1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

(21)

ცისკარი

11

1975

80—პაოლო იაშვილი—80

ზემოური რთველი

ჯერ სოფელში კიდევ თბილა,
თუმცა მთები დაითრთველა
და ცაც უფრო მუქი გახდა,
გზაზე მიდის ჩემი კბილა
და ღიღინებს ისე ტკბილად,
თითქოს ნატვრა გაინაღდა.

მიდის, ჩადის სავსე ზვარში,
მეზობლებთან მხარი-მხარში
მიაშურებს ფერად მტევნებს;
სამალაბა მკლავებს გაშლის,
გადაგდებს მტევანს ძარში
და სიმღერას დაადევნებს.

დიდი ძარი წარმარა
შეანათებს სოფლის მარანს;
საწნახელიც აკრიალდა;
უკვე დილის იჯრად კმარა,
რაც სიმდიდრით დაიფარა
მისი ღრმა და უხვი კალთა.

ბავშვმა წყალი მოიტანა
და გაჩაღდა ფეხის ბანა,
მხიარული ყურძნის სრესვა.

აღღღუნდა წვენი თანაც...
ყავრის ჭერში ოქროს დანა
გაურკვია დილის მზესა.

მზეა, ქარიც... ფიცხი ჩალა
ნაფუზარში აიშალა,
მიეხვეტა ყანის ღობეს;
ავსებულა ჯოგით ბალა
და მწყემსები ხმაწყვრილა
გვრიტს ესვრიან ფილთა თოფებს.

განგაშშია რთველის ალო,
ტაროებით ბრწყინავს კალო
და ქალები სხედან განად...
„ბაბა ერთი, ჩორთას ქალო,
შენი სულის სამოწყალოდ,
წამოიწყე იავნანა"...

და გაისმის სოფლის ველად
ნანინა და ოროველა
ჩანგურული კილოს ხმაზე...
უკვე. რაჭის მთებში ბნელა,
მთვარე — ძროხის ერთი წველა
დევს პერანგას ქიმის ჯაშზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკე

222

გამოცემის მეცხრამეტე წელი

11

ნოემბერი

1975

თბილისი

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

13089

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

კ. მარქსის სახ. სგკ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

სკკპ XXV ყრილობის შესახებ

3. ჩვენი ნოვმბერი

პროზა, პოეზია

7. ოთარ ჭილაძე. ყოველდღიან ჩემგან მკოფნელმან... რომანი. გაგრძელება
77. ლია ასათიანი. ლექსები
78. გივი ალხაზიშვილი. ლექსები
80. გიორგი ხოროგუაშვილი. არამყიმოზე ჭირისუფალი. მოთხრობა
97. ირაკლი ციგროშვილი. ლექსები
99. ხვთისო ფიცალური. ლექსები
100. ირაკლი გაზაძე. პატარა თოჯინას გალაზა. ლექსი
101. ზოთა ხოდაშვილი. იკორთა. ლექსი
102. შალვა ამირხანაშვილი. პალიეტზე დაბეგული თვითმფრინავები. მოთხრობა

ახალი თარგმანები

110. იანის რიციოსი. მთვარის სონატა. თარგმნა ი ზ ა ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე მ
120. ტარას შევჩენკო. ლექსები. უკრაინულიდან თარგმნა ა მ ი რ ა ნ ა ს ა ნ ი ძ ე მ

— 50 —

121. ჯანსუღ ჩარკვიანი. ოთარ ჭილიძე

მსოფლიოს რუკასთან

123. ედუარდ მენაბდე. ევროპა: გუშინ, დღეს, ხვალ...

წერილები

127. ფრიდონ ხალვაში. მართალი კაცის ხმა
130. დავითი ლაშარაძე. ევროპეიზმი ანტონ გაგრა ტიონის შემოქმედებაში
145. ენვერ ნიჟარაძე. „გულის მეორე მხარე“
151. ლერი ალიმონაური. კოლხური მზის საფიდელი
159. სატირა, იუმორი, პაროდია

მთავარი რედაქტორი
ჯ ა ნ ს უ ღ ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა ამირეჯიბი,
ვალერიან ბაარაძე,
გუარამ გვეტრიშვილი,
გივი გეგეშკორი,
რისვან გოგოლაძიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაბდე,
ო�ia ბაბკოროა,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ წერეთელი,
ბარნელ ფანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

ჩვენი ნოემბერი

ნოემბრის დღესასწაული — ასე ვამბობთ ჩვენ და მას დაზუსტება აღარ სჭირდება, ყველასათვის ცხადია, რომ ძლევამოსილი რევოლუციის გამარჯვების დღე — 7 ნოემბერი იგულისხმება ამ სიამაყითა და სიყვარულით ნათქვამ ორ სიტყვაში.

კიდევ ერთი, რიგით 58-ე ბედნიერი ნოემბერი გაუთენდა მრავალეროვან საბჭოთა ხალხს.

ჟურნალი „ცისკარი", მისი რედაქცია და რედკოლეგია, ავტორები და თანამშრომლები გულითადად მიულოცავენ თავის მრავალრიცხოვან მკითხველებს და მათთან ერთად მთელ საბჭოთა ხალხს ამ უმშვენიერეს და უბედნიერეს დღესასწაულს.

ჩვენი დიდი, 250-მილიონიანი ოჯახის ყოველ წევრს აქვს თავისი საზეიმო დღეები, დაკავშირებული პირად ბედნიერებასთან, საკუთარ გამარჯვებასთან, მაგრამ ნოემბერი სულ სხვაა, იგი ბედნიერებათა ბედნიერებაა, გამარჯვებათა გამარჯვებაა, ჭეშმარიტად საერთო-სახალხო დღესასწაულია.

არადა, მართლაც, რა შეიძლება იყოს ამ თარიღზე უფრო ძვირფასი ჩვენთვის. მას თავისი მნიშვნელობით მხოლოდ კაცობრიობის დაბადება თუ შეედრება, მაგრამ ამას ხომ თარიღი არა აქვს.

თავისი არსებობის მრავალი ათასი წლის მანძილზე კაცობრიობამ გრძელი და მძიმე გზა განვლო, ალსავსე შრომით, ტანჯვით, შემოქმედებითი წვით, ადამიანის გონებისა და სულის აღზევებით. და მთელი ამ გზის მანძილზე ადამიანმა თან ატარა ერთი სანუკვარი ოცნება, ოცნება თავისუფლებაზე, და კიდევ — იმედი, იმედი ამ ოცნების აღსრულებისა. ამან გააძლებინა ადამიანს უამრავ ჭირთათვის, ამან შეაძლებინა შეექმნა ის საოცრებები, რაც თავისი არსებობის მანძილზე შექმნა.

ხალხის იმედს გამტყუნება არ უწერია, მისი ოცნება არ შეიძლება ხორცშეუსხმელი დარჩეს. ეს ნანატრი დღე, ოცნების ახდენის დღე სწორედ 7 ნოემბერია. 58 წლის წინ დაიბადა თავისუფალი ადამიანი, თავისუფალი ხალხი, თავისუფალი ერები და ამ დაბადების დღით მონიჭებული ბედნიერება და სიხარული, სიამაყე და სიმხნეევ განუზომელია, განუმეორებელია.

ამიტომ არის გვიანი შემოდგომის ეს დღე კაცობრიობის გაზაფხულის კაშკაშა სხივებით ნათელფენილი. ამიტომ ეკუთნვის ჩვენი გულები ნოემბერს. ამიტომა გვაქვს ბედნიერებით გაბრწყინებული სახეები ამ ზეიმზე.

საბჭოთა ხალხმა ზეიმი იცის, მაგრამ, ამასთან ერთად, მან იცის ზეიმისათვის მზადებაც. ყოველ ისტორიულ თარიღს იგი ახალი შრომითი და შემოქმედებითი ღიმაღლობით ხვდება, ყოველ დღესასწაულზე იგი გულდასმით აალებს თვალს განვლილ გზას და გასავლელს ზვერავს. ზეიმს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა მას ვალმოხდილი ეგებები. ეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების წესად იქცა, და თუ რამ გვეთანაღრება, არც ამას ვუმალავთ არც ჩვენს თავს და არც სხვას, რადგან ფხიზელი თვალი წინსვლის აუცილებელი პირობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წელსაც საფსე შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდა საბჭოთა ხალხი ჩვენი თვალშეუწვდენი სამშობლოს ყოველ მხარესა და კუთხეში, გრანდიოზული მშენებლობების, წარმოებისა თუ პლანტაციების, მეცნიერებისა და კულტურის ყოველ უბანზე. ეს წელიც მდიდარი იყო ღირსშესანიშნავი მოვლენებით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წელსაც ვიყავით მომსწრენი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და ამ საშვიდნოვემბრო დღეებში გვმართებს ზოგი მათგანის გახსენება.

წელს საბჭოთა ხალხმა და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ — იზეიმა **ფაშისტურ** გერმანიაზე ისტორიული გამარჯვების 30 წლისთავი. დიდი სამამულო ომი მძიმე გამოცდა იყო ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსთვის, რამაც აშკარად დაარწმუნა კაცობრიობა, მტერიც და მოყვარეც, ჩვენს უძლეველობაში. ამ ომში საბჭოთა ხალხმა უბრალოდ კი არ გაიმარჯვა, არამედ მსოფლიო ხალხების წინაშე ისტორიული მისიაც იტვირთა და კიდეც ბოლომდე ზიდავ ვაკვაცურად. მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა ქვეყანამ ბრიღო თავის თავზე მთავარი დარტყმა ძლიერი გასამხედროებული სახელმწიფოსა, იტვირთა ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მთავარი ტვირთი, დაამხო ფაშიზმი, იხსნა ხალხები მონობისაგან, გადაარჩინა მსოფლიო ცივილიზაცია და კულტურა ბარბაროსებისაგან, თავისუფლება და დემოკრატია მოუტანა ევროპისა და აზიის ხალხებს, მათ შორის თავად გერმანიასაც და ამით დაუმტკიცა ყველას, რომ ჩვენი საზოგადოებრივი წყობა არა მარტო ყველაზე ჰუმანური და მშვენიერია, არამედ სალი კლდესავით მტკიცეცაა. ეს ტრიუმფალური გამარჯვება საბჭოთა ხალხს თავისი მილიონობით შვილების წმინდა სისხლის ფასად დაუჯდა. ბრძოლის ველზე გმირთა სიკვდილით დაცენენ ყველა ეროვნებისა და პროფესიის ადამიანები, მათ შორის მწერლებიც, ჟურნალისტებიც. კულტურის მოღვაწენიც. დიადი გამარჯვების 30 წლისთავის ზეიმზე მთელმა საბჭოთა ხალხმა თავი დახარა დაღუპულ გმირთა უკვდავი ხსოვნის წინაშე.

სწორედ წელს აგიზგიზდა თბილისში გამარჯვების პარკში უცნობი ქართველი ჯარისკაცის საფლავზე ჩაუქრობელი კოცონი და ამით ამიერიდან კიდევ ერთი წმინდა ადგილი გაუჩნდა ქართველ ხალხს. ეს კოცონი ჩვენი სანდასისა და **ნამუსის,** სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლოდ დაინთო **და ყველა ჩვენთანგანის** ვალია მართალი გზის მანათობელ ლამპრად გვესახებოდეს **იგი.**

წლევანდელი ზაფხულის სამი დღე ივლისისა და აგვისტოს პირველ ნახევრის დიდ**ხანს დარჩება** ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხების მადლიერ ხსოვნაში. **ამ დღეებში** ჩვენი პლანეტის ასეული მილიონობით ადამიანების ყურადღება **მიპყრობილი** იყო ფინეთის დედაქალაქის ჰელსინკისაკენ, სადაც გაიმართა **დასკვნითი** სხდომები თათბირისა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობა**სათვის,** რომლის ინიციატორებიც იყვნენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

ჰელსინკში 35 ქვეყნის პოლიტიკური და სახელმწიფო ხელმძღვანელების შეხვედრა უმაღლეს დონეზე დამაგვირგვინებელი გახდა მშვიდობისათვის ხალხთა მრავალი წლის ბრძოლისა და მეცადინეობისა. ამიტომაც იყო, რომ ასეთი იმედიანი მოლოდინით ველოდით ამ თათბირის და მისმა შედეგებმა ჭეშმარიტი სიხარული და შვება მოგვიტანა. სწორედ ამან განსაზღვრა თათბირის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა, რომლის უმთავრესი შედეგები ნათლად ფიო ჩამოყალიბებული საბჭოთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ღრმა და ამაღლებულ ვრცელ სიტყვაში.

ერთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის სიმბოლურ გამოხატულებად იქცა უპრეცედენტო გმირული ერთობლივი ფრენა ბაიკონურიდან ჩოთა და ამერიკელი კოსმონავტებისა „სოიუზ-აპოლონით“.

ამ საშვიდნოემბრო დღესასწაულს რომ მშვიდობიანი მომავლის ღრმა და იმედიანი პერსპექტივით ვხვდებთ, ეს ჭეშმარიტ ბედნიერებას გვანიჭებს და მადლიერების გრძნობით გვაკავშებს იმთავდან, ვისი დაუღალავი მეცადინეობითა და ღვაწლითაც არის იგი მიღწეული.

წლევანდელი ნოემბერი იმით არის უაღრესად მნიშვნელოვანი, რომ ახლა მთელი საბჭოთა ხალხი ერთი მიზნით არის შეპყრობილი — დიდსულად შეხვდეს დიადი ლენინური კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობას. ხუთწლედის ამ დამამთავრებელ წელს თვითეული ჩვენთაგანის ნაყოფიერ, თავდადებულ შრომაზეა დამოკიდებული მისი გამარჯვებით დაგვირგვინება. ეს კი თავის მხრივ მომავალი მეათე ხუთწლედის წარმატების საწინდარია. ამიტომაც არის, რომ მთელი საბჭოთა ხალხი წინასაყრილობო შრომით ვახტზე დგას და დაუზოგავად იღწვის მის წინაშე დასმულ ამოცანათა გადასაწყვეტად, ვალდებულებათა გადაჭარბებით შესასრულებლად. შრომის საყოველთაო პათოსი სუფევს ჩვენში და მისი ღალატი არავის ეპატიება.

ყოველ დღეს ახალ-ახალი სასიხარულო ცნობები მოაქვს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებზე ქარხნებსა და ფაბრიკებში, ვენახებსა და პლანტაციებში, მშენებლობებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში. კულტურის ფრონტის მუშაკები მონდომებით იღვწიან, რათა ჩვენი დროისა და ხალხის წინაშე არც ისინი დარჩნენ ვალში. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ საგანგებო სხდომაზე განიხილა პარტიის 25-ე ყრილობის შესახვედრად მზადების საკითხი.

ქართული საბჭოთა მწერლობა მუდამ იყო რევოლუციურ გარდაქმნათა ბრძოლის დროს მოწინავე ხაზზე, მისი შთამაგონებელი მხატვრული სიტყვა არასოდეს მოკლებია ხალხს. მაგრამ, ამასთან ერთად, ქართულ მწერლობას მუდამ ეთანაღრებოდა გული, რომ იგი კიდევ უფრო ძლიერ და სრულად ვერ გამოხატავდა საქართველოს მშრომელების მთელ სიდიადეს, ზოგჯერ კი აკლდა მოქალაქეობრივი სული და სითამამე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში თანდათან ფუძემოკიდებულმა გულდამშვიდებამ, რამაც გზა გაუხსნა პოროტმოქმედებასა და დანაშაულს, ქართული მწერლობის გულისწყრომა გამოიწვია და კიდეც შეაქმნა მამხილებელი ნაწარმოებები, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მწერლების ერთი ნაწილი აქტიურად ედგა მხარში ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ მებრძოლ პროგრესულ ძალებს და ამით თავისი კუთვნილი წვლილი შეტანა საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღებაში, მაინც, უნდა გულახდილად იქნას აღიარებული, მას მეტის გაკეთება შეეძლო და უნდა გაეკეთებინა.

დღეს ქართული მწერლობა ისევ გაკეთებული მაღალი მოქალაქეობრივი სულით, როგორც არასოდეს.

ქართველი მწერლები ამაყობენ მათი შემოქმედებითი შრომის იმ შეფასებით, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის თვეში გამოქვეყნებულ დადგენილებაში მოცემული:

„საქართველოს მწერალთა ორგანიზაციამ მხურვალედ დაუჭირა მხარი ეკონომიკის სფეროში ჩამორჩენის დაძლევისათვის, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის ძირითადი გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ღონისძიებებს. ამაღლდა რესპუბლიკის მწერალთა კავშირის ავტორიტეტი მშრომელთა ფართო მასებში. შემოქმედებითმა ძალებმა, უდავოდ,

უშუალოდ მოჰკიდეს ხელი თანამედროვეობის პრობლემებს, ამაღლდა მათი საზოგადოებრივი აქტივობა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დიდი მნიშვნელობის დადგენილებაში მითითებულია იმ სერიოზული ნაკლოვანებებიც, რომლებიც მწერალთა ორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ შეინიშნება. ჩვენი ვალია ყოველი ღონე ვიხმაროთ მათი დროულად გამოსწორებისათვის, რათა გავამართლოთ ის ნდობა, რომელიც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ გამოგვიცხადა:

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლიტერატურული საზოგადოებრიობის მონაწილეობას რესპუბლიკის წინაშე მდგომ მოძწყვეტელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სახალხო-სამეურნეო პრობლემებზე პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და ჩამოყალიბების საქმეში".

ქართველი მწერლები გრძნობენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიურ მზრუნველობასა და დაბარებას. ამისი ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო გამოხატულება იყო ინდუსტრიულ ქუთაისში ქართული პერიოდული ლიტერატურული ორგანოების უმცროსი ძმის, ალმანახ „განთიადის" დაბადება.

ქართველი მწერლები გაიცნობენ მშობლიური ხალხის დიდ სიყვარულსა და ყურადღებას, რის მკაფიო დემონსტრაციად იქცა საბჭოთა მწერლების წლევანდელი დღეები საქართველოში, როცა ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები რესპუბლიკის მშრომელება უშუალოდ ეარხნენებსა და ფაბრიკებში, მინდვრებსა და პლანტაციებში შეხვდნენ და ეს შეხვედრები გადაიქცა ხალხისა და მწერლობის ერთსულოვნების გამოხატულებად.

ყოველივე ამას ასეთივე სიყვარულითა და თავდადებით, შემოქმედებითი აქტივობითა და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისგებით ქართველი მწერლები. „ხუთწლედის მხარდამხარ" — ასე ჰქვია გამოცემათა სპეციალურ სერიას, რომელიც არსებობის სულ მოკლე ხანში უკვე ორ ათეულ წიგნზე მეტს ითვლის და მხატვრულ სიტყვას ნამგალსა და ეროს უთანაბრებს. ჩვენს პერიოდულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდება მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობით შთაგონებული მხატვრული ნაწარმოებები, რომელთა მნიშვნელობა ხალხის დარაზმვის საქმეში უდაოა.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია იმ პასუხსაგებ ამოცანათა გადასაწყვეტად, რომლებიც დღეს ქართული მწერლობის წინაშე დგას.

კომუნიზმისათვის საერთო-სახალხო ბრძოლის თანამედროვე ეტაპის თავისებურება ისაა მდგომარეობს, რომ ეკონომიური, საწარმოო პრობლემები, ისე როგორც არასდროს, გადაჯაჭვული და დაკავშირებული არის ეთიკურ პრობლემებთან, ადამიანის იდეურ და მსოფლმხედველობრივ სიმწიფესთან. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, ეკონომიური რეფორმები მოითხოვენ არა მარტო ცოდნასა და პროფესიულ მომზადებას, არამედ ღრმა ფსიქოლოგიურ გარდაქმნებსაც, შრომისადმი, საზოგადოებისადმი, კოლექტივისადმი ახლებურ დამოკიდებულებასაც, უფრო მაღალ შეგნებულობას.

ამ მაღალი მომთხოვნელობის პოზიციიდან, რომელსაც მწერლობას თანამედროვეობა უყენებს, ნაოლად იკვეთება ახალი ამოცანებიც და ის ნაკლოვანებებიც, რომლებიც გაგვაჩნია.

დღეს ქართველი მწერლები, რესპუბლიკის მთელ მოსახლეობასთან ერთად, წინასაყრილობო ვახტზე დგანან და ისევე უნდა გავამართლოთ ვალდებულებები, როგორც ეს ჩვენს შესანიშნავ მშრომელებს სჩვევიათ.

ამ განწყობილებებით, ამ იმედებით, ამ ამოცანებით შევხვდით ნოემბრის დღესასწაულს, გამარჯვების დღესასწაულს და მუდამ გამარჯვებებით გვევლოს ჩვენს ნათელ გზაზე.

;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

ყოველმან ჩემმან მპოვნელმან...

რომანი

5

რომ გეკითხთ, თვითონაც ვერ გიპასუხებდათ, რატომ იქცეოდა ასე, რატომ ცდილობდა, არავის შეეტყო, არავის დაენახა, არავის გაეგონა, როგორ იპარებოდა იგი ღამღამობით ჩაძინებული სახლიდან, კარადისკენა საათის მარად მომუშავე მექანიზმით დაძაბული წყვდიადიდან, თვითონაც დაძაბული მუხლებაცახცახებული, მღელვარებისგან გათოშილი და აღგზნებული, ატაც ნილი, განსჯის უნარს მოკლებული, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ეაცივით, რომლის ყოფნა-არყოფნაც ამ ნაბიჯზეღაა დამოკიდებული, რომელსაც მხოლოდ ასე, მხოლოდ ამ გზით შეუძლია, სხვა ყველაფერი დავიწყნია, ოჯახიც, სიფელიც, ეკლესიაც, რაღგან მხოლოდ ასე, მხოლოდ ამ გზით შეუძლია მოინანიოს, კი არ მოინანიოს, ერთი-ორი დღით მაინც ჩაიწყნაროს სინდისი, ერთი-ორი დღით, სანამ ხელმეორედ არ გამოიპარება, ხელმეორედ არ შეუდგება ამ ეკლიან გზას, მთვარის შუქით განათებულს, ვერაგულად გატრუნულს, გაუთავებელს, გაუცხოვებულს მისივე წარმოდგენების, მისივე შიშისა და მღელვარების გამო; ასეთივე გზით გადადიან, ალბათ, ცოდვილნი სულეთში, მაგრამ ისინი ერთხელ გადადიან, ერთხელ და სამუდამოდ, მან კი, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ უნდა გაიაროს იგი, მთვარის ყვითელი ფერფლით მოფენილი, ხის ტოტებზე ჩამომბრჭვალი ჩრდილების ქვეშ მიმავალი, ხელწაკრულივით შეძრული, შეტორტმანებული და ცარიელი, მტკივნეულად, აუტანლად ცარიელი, როგორც მისი გონება, სადაც ერთადერთი სიტყვა დაძრწის, დაფაჩუნობს, მხდალი და გაუბედავი, სიმშილისგან გამწარებული და გაჯიუტებული, როგორც თაგვი ჩაპნელებულ სამზარეულოში. „შვილო, შვილო, შვილო“ — იძახის მისი გონება, და აი, ისიც: საწოლზე წამომჯდარი, პატიმარივით ფერმკრთალი, გაოცებული და გაბედნიერებული ყურადღებით, თანაგრძნობით, მოულოდნელი სტუმრობით; სიბნელის, სიმარტოვის, გაუუბიერებელი, გადაუხარშავი ფიქრისა და ოცნების დადდასმული შუბლზე, თვალებს ქვემოთ, პირის კუთხეებში; მორიდებული, მოუხერხებელი, სიტყვაჭუნწი და უსაზღვროდ, წარმოუდგენლად მადლიერი. ამ ერთი წამისთვის ღირს სიცოცხლე, ამ ერთი, აკრძალული წამისთვის, და ისიც ბედნიერია, აღარ ღელავს, აღარ ეშინია, თითქოს სამშვიდობოსაა, თითქოს მდევარს დააღწია თავი, იქ არის, სადაც უნდა იყოს. უბედურ საყვარლებს უფრო გვანან, ვიდრე დედა-შვილს. შვილი სპბნის ქვეშ უნებურად ფეხებს იკეცავს, ჩამოსაჯ-

---

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 10.

დამია ადგილი რომ მოუცალოს დედა**ისაც** ჯდება. უაზროდ მომღიმარნი, უმიზეზოდ დარცხვენილნი შეაცქერიან ერთმანეთს. ცალი ხელი ისევ წინსაფრის ქვეშ აქვს ამოდებული (ცოტა ხნის მერე თვითონვე გაიცინება საკუთარ დანეულობაზე, „რამ გამომპტერაო“ — **ატყვის და ოდნავ** წამოიწევს, სასთუმლის ქვეშ **რომ** ამოუდოს შვილს შინ მოპარული ვაშლი. ჩურჩხელა თუ ნაზუქის ნაჭერი), მეორე ხელით ქვეშაგებს **ეფერება**, შეფფარვით ამოწმებს ლეიბის **სირბილეს**, საბნის სისქეს, ზეწრის სისუფთავეს. თან იქაურობას ათვალიერებს, თითქოს პირველადაა, თითქოს მოწონს იქაურობა, თითქოს კმაყოფილია, ასე კარგად რომ მოწყობილა მისი შვილი. მას კი, აქ მოავლამდე, **რა ლა არ ელ**ანდებოდა, რაღას არ ფიქ**რობდა**, რაღა არ წარმოიდგინა. „ღმერ**თო, ღმერთო, შენი** სახელის ჭირიმე, **შენ გაამარჯვებინე ჩემს** უბედურ **გორგალს“**. **გიმეორ**ის ერთი **კუთხ**ეში სახედარი **ატუზულა, უფრო** სწორად, სახედრით **ჩახურ**ებული და ჩამოქცეული წყვდიადი, ოდნავ შეშფოთებული, ოდნავ შეძრული მისი გამოცხადებით. თითქოს ესეც მოსწონს, დიდხანს იყურება ჩამოქცეული კუთხისკენ ცნობისმოყვარე სინაზითა და თანაგრძნობით. **ერო** კი გადის, ახლა უფრო სწრაფად გადის და ყოველი წამი ძვირფასია, ყოველი წამი, შეიძლება, საბედისწერო გახდეს. ორივეს ეტყობა შეშფოთება, მოუსვენრობა, თუმცა არც ერთმა არ იცის, რა აშფოთებს, რას აშავებს. „წადი ახლა“. — ეხვეწება შვილი, ჩურჩულით, მხურვალედ, თითქოს სატრფოს დარჩენას თხოვდეს. შეიძლება, გრძნობენ კიდევაც, უარესად რომ აშორებთ ეს წამიერი, ნაქურადალი სიახლოვე, მაგრამ რაკი ერთხელ დაყაბულდნენ ასე ცხოვრებას, ახლა სხვა არაფერი შეუძლიათ, ამისიც მადლობები არიან და უარესის ეშინიათ, უარესის მოლოდინი აწუხებთ. თუმცა ერთმანეთს უმალავენ, როცა ერთად არიან, არ შეუძლიათ უარესზე იფიქრონ და ერთი ვენახის **ამბებს ყვება, მეორე კი** — სახლისა**ს. „წადი, წადი, დაიძინე.** ცოტა გაგაგრძელებ სალელი“. — ეხვეწება, ემუდარება, ელოლიავება შვილი. „დღითიდღე უარესდება, მამამისივით სულ ილრინება. როგორ უნდა იცხოვროს ასე“. — ჩურჩულებს ისიც და უცვამ ორივე რინდდება, ყურდაცქვეტილნი, კისერმოღრეცილნი სხეედან, პირზე სატყვა შეეფენული, ქანდაკებებივით ეს ციცოცხლონი, გაქვავებულნი, დამთავრებულნი, დატყვევებულნი საკუთარი უძრაობითა და უსახსრობით. ორსართულიან სახლში კარადისხელა საათი რეკ**ავს**. გომურის კედელშიც აღწევს მისი **დ**ა**ძ**ა**ბ**ული, მბრძანებლური, დამთრგუნავი ხმა. სახედარი უარესად იკუნტება კუთხეში, ეშინია ამ ხმისა, ყოველთვის მოულოდნელად რომ შემოიჭრება ხოლმე სოფლური ღამის სიმყუდროვეში. კარადისხელა საათი შინიდან გაპარულ დიასახლისს უხმობს. ახლა კი, მართლა აღარ შეიძლება დაყოვნება, საათის ხმამ ყველაფერი მის წინააღმდეგ აამხედრა: ჰაერს ეკალი გამოესახა, მთვარის შუქი ნაღვლელივით გამწარდა, ტუჩებზე გადაიგლესა, ტოტებზე დაკიდული ჩრდილები კი არ ირხვევან, ფართხალებენ, თითქოს საათის ხმამ გააცოცხლა და ხელეთორედ იხრჩობიან, მიწაც აიბურძგნა, აიტალღა, ყოველ წუთას უვარდება ფეხი წყვდიადით შენიღბულ ღრმულში, კიბეკი გაიჭიმა, საფეხურები უარესად მოშორდნენ ერთმანეთს, ლამის აფოფხდეს ზედ. მაგრამ, მადლობა ღმერთს, უკვე შინაა. ქოხისარო ხვრინავს, პეტრეს საბანი გადახდია. მივა და დაიფარებს. არა, ჯერ თვითონ გაიხდის, მოშინაურდება, ჯერ ყოველნაირ კვალს მოსპობს ღამეული პაემანისას და მერე დაიფარებს პეტრეს საბანს.

— სად იყავი? — ჰკითხა პეტრემ.

— რატომ არ გძინავს? — შეუბრუნა კითხვა ანამ.

— განა არ ვიცი?! — თავი გადაუქნია პეტრემ.

ანამ უნებურად პირზე ხელი მიიფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩუმად, ჩუმად. მამა არ გააღვიძო. — შეეკვეთა ჩურჩულით და უაზროდ მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეუცხოვა იქაურობა, თითქოს ეს წუთია, გამორკვეულიყო სიზმრიდან და ჯერ კიდევ ვერ მოესწრო გონზე მოსვლა.

— ის უფრო ვიყვარს, ის... — პირიდან ძალით მოიშორა დედის ხელი პეტრემ.

— არ თქვა! — უყვირა ანამ. მერე ისევ ჩურჩულით გააგრძელა. — არ თქვა. შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ... დაიძინე... გეხვეწები.

მერე, საკუთარი საქციელით გაოცებული, ორივე ხელს ურტყამდა პეტრეს, მოწყვეტილად, გამეტებით. ხორცი ეწვოდა, ძვლები სტკიოდა. მაგრამ მაინც ურტყამდა, თითქოს სახრით მატყლსა პენტავდა, თითქოს მობეზრებოდა ეს საქმე და ცდილობდა, ეალე მოეთავებინა, დაეძლია ტკივილიც და დაღლილობაც, რადგან ახლა რომ შეესვენა, მერე კარგახანს ვეღარ მიუბრუნდებოდა. „ნაბიჭვარია, ნაბიჭვარია, ნაბიჭვარია“ — თითქოს მის ხელებს აყოლებდა ხმას ბალიშფარებული., დაკლაკნელი, დაუშნოვებული პეტრე. ის კი, ურტყამდა, მკლავები დაწყვეტაზე ჰქონდა, თითქოს მაჯებზე ქვები შეუბამია. ვმინავდა, სული ეხუთებოდა, მაგრამ ალარც გაჩერება შეეძლო, საკუთარი ტკივილი მიერეკებოდა, საკუთარი ტკივილი უწუოდა ყურებში, სისხლმოწყურებულ კოღოსავით, და ვერ მოეშორებინა, ვერ შეეტოვებინა შვილის სხეულისთვის, რათა იმასაც გაეგო მისი სიმწარე, გაეგო და მიმხვდარიყო, რას უძლებდა, ამდენი ხანი რას ითმენდა იგი. გონზე რომ მოეგო, პეტრე ტახტის ბოლოში ჩაცოცებულიყო, კიდელს აჰკვროდა, პერანგშემოფლეთილი, შემცბარი და შემკრთალი. ღია კარში ლამპის შუქით განათებული ქაიხოსორო, მოჩვენებასავით ჩამდგარიყო. ანამ ტახტის წინ დაიჩოქა, სახე შვილის აწეწილ ლოგინში ჩადო და აქვითინდა, აზმუვლდა, ასლუკუნდა, გალახული, დამარცხებული, განწირული.

არც ქაიხოსოროს და არც პეტრეს არასოდეს ალარ გაუხსენებია მისთვის ეს ღამე. თვითონ კი, ვერ ივიწყებდა, ვერ ეპატიებინა თავისთვის წამიერი სიგიჟე, ქმრისაც რცხვენოდა და შვილისაც. სირცხვილის გრძნობა დანაშაულისა გრძნობასაც ულვიძებდა და უარესად ითრგუნებოდა, უარესად ბეჩავდებოდა მისი ისედაც მორჩილი და მორიდებული ბუნება. იმდენად უდანაშაულო შვილის გალახვა კი არ აწუხებდა, — პეტრე მართლაც არაფერ შუაში არ იყო იმ ღამეს, — რამდენადაც საკუთარი სიმაკაცრე, საკუთარი თავშეუკავებლობა და სითამამე, ესოდენ უცხო და შეუფერებელი მისთვის და, ამატომაც, სასაცილო, დასაგმობი, გასაპამპულებელი, როგორც მთვრალი ბავშვი, სამზარეულოში უმეთვალყურეოდ დარჩენილს, უზომოდ რომ უყლაპია ტკბილი ნუნუა და თვითონაც ვერ გაუგია, რა ამბავი მის თავს, რატომ ტრიალებს ჭერი, რატომ ერევა გული, რატომ კრავენ აქეთ-იქიდან ასე უხეშად ხელს უსაშველოდ სახეგადდებული უფროსები, რატომ აწევენენ ძალით, რატომ ადებენ სველ ტილოს შუბლზე, რომლის შეგრძნებაც უარესად ურევს გულს, რატომ ყირავდება ტახტი თავისთ და რატომ ცდილობს, გაინრნებული სახედარივით, მის მოშორებას, მის გადაგდებას სადღაც, თვალჩაუწვდენელ უფსკრულში. გამოფიზლება ამაზრზენია, მტანჯველი და დამაკნინებელი, მით უფრო პირველი და უნებლიე სიმთვარალის შემდეგ. ანას თვალის გასწორება უჭირდა ქმარ-შვილისთვის და ამას ისინაც ატყობდნენ. ქაიხოსოროს არც უკითხავს რას ერჩოდი, რა გინდოდა იმ შუადამისას ბავშვისგანო, არც პეტრეს უჩვენებია უმეზეზოდ დალილავებული ხორცი, მაგრამ ვირორგას გომფურში იმდენი წყალი შეასხა, მთელი იატაკი დაატბორა და საღამოს ვენახიდან მობრუნებული გიორგა იძულებული გახდა, ისევ ვენახში

ოთარ ჭილაძე
ყოველდღე ჩემთან მკოვნელმან....

წასულიყო და იქ, თალარის ქვეშ, ნაჯახსა და ძველი თექის ნაკუწებზე გაეთია ღამე. ისევ გიორგა დაზარალდა და ისევ ანას მიზეზით. განა შეიძლება უარესი სასჯელის გამონახვა დედისთვის? ღმერთს მხოლოდ სიყვარულის უნარი მიეცა, ცხოვრება კი სიძულვილს ათესვინებდა. მის ნავალზე შხამიანი ბალახი ამოდიოდა და ის ბალახი, უპირველეს ყოვლისა, მისი მეორე წყება ქმარ-შვილის თვალებში ხასხასებდა. კი მაგრამ, რატომ? თუ ასეთი ცუდი იყო, რატომ უვარდებოდნენ შინ? რატომ არ დაყენეს თავის ობოლთან და ჩვენდარ ქმართან ერთად? ის ხომ არაფერს თხოულობდა, არაფერს ჩიოდა, არაფერს, არაფერს, არაფერს... ჩვენური ქმრისთვისაც არ უთქვამს საყვედური, უპატრონოდ რომ მიატოვა, მომღიმარი რომ წავიდა სასიკვდილოდ. დაფფიქრებლად რომ შეელია ორი თვის მოყვანილ ცოლს, დაკარგული მიწვეისთვის, მაგრამ რა ეჭარბელაქნებოდა, როცა საკუთარი, ერთი მტაველა ეზოყურის დასაცავადაც არ ეყოფოდა ჯანი, იმდენი მტერი ყავდა, თურმე, ზურგს უკან ჩასაფრებული. „მგონი გვეშველა ქართველობასო“ — ეჩურჩულებოდა იგი ცოლს წინა ღამეს და ისეთი აღგზნებული, ისეთი გახარებული იყო, ანას ენა ვერ მოუტრიალდებოდა, მისი ალტაცების, მისი სიხარულის გასაქარწყლებლად, თუმცა გული უტიროდა, ქალი იყო და სხეულითა გრძნობდა, სასიკეთო არაფერი რომ მოყვებოდა ამ ამბავს. „სულელო, — ასე უნდოდა ეთქვა ანას ქმრისთვის. — სულელო, მე ვარ შენი მიწის მიწა და შენი სამშობლოს სამშობლოო“ — მაგრამ ვერ უთხრა, ვერც ეტყოდა, ამას თვითონ უნდა მიმხვდარიყო, ეს ისეთიც უნდა სცოდნოდა, რადგან სამშობლო ოჯახიან იწყება და თუ ოჯახს მოუშლი კაცს, ცოლს გაუბახებ, შვილს ნაბიჭვრად გამოიცხადებ, მისთვის სამშობლო ჩვეულებრივ მიწაწყლად იქცევა მხოლოდ. საძოვარ და სათოს ფართობად, რომელიც არსად არ იწყება და არც არსად მთავრდება, რადგან ცის ქვეშეთში მიწა ყველგან მიწაა და წყალი ყველგან წყალია, მაგრამ იმას, ოჯახშოშლილს, ცოლგაბახებულს, შვილდაკარგულს, ქვეყნის მკვიდრი კი აღარ ჰქვია, არამედ მაწანწალა, რომელისთვისაც უკვე სულერთია, რომელ ცის ქვეშ, რომელ ჭიშკართან გამოუტანენ სამადლოდ ერთი ლუკმა პუროსა და ერთ ყლუპ წყალს. ანამ ეს თავისი ბუნებრის, თანდაყოლილი ქალური სიბრძნის წყალობით იცოდა, პაგრამ იგიგე ტენება და სიბრძნე გაჩუმებასაც ავალდებულებდა, ვერ დაუშლიდა სასიკვდილოდ მიმავალ ქმარს ჭიშკარიტი თავისუფლების განცდას ჭეშმარიტად მის კუთვნილ მიწაზე. „ახლა რაღაზე ტირიხარო“ — ეჩურჩულებოდა, ეფერებოდა, ყურის ბიბილოს უკოცნდა ქმარი და ისიც სლუკუნით, ცრემლითა და კოცნით გახურებული, შეშუბებული ტუჩებით პასუხობდა: მოკვარხარ და იმიტომო. „ეიღუბებით და იმიტომო“ — უნდოდა ეთქვა სინამდვილეში, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს ერთი და იგივე იყო. ქალი არსებულის მსახურია და არა წარმოდგენილისა, რაღა თქმა უნდა, ავისა და კარგის გარჩევა იმასაც შეუძლია, მაგრამ ცაში გაჭიმულ წერილს თავის საქათმეში ჩაბუდრებული ქათმები ურჩევნია, მისთვის მთავარი ის არის, რასაც თვალი და ხელი მოეკიდება, მოვლა და პატრონობა ჭირდება, ის ძველს კი არ ანგრევს ახლის შესაქმნელად, არამედ ძველშივე ქმნის ახალს, კაცისაგან განსხვავებით, ყველაფრის თავიდან დაწყებას კი არ ცდილობს, არამედ — გაგრძელებას, რადგან უფრო მძლავრადაა დაკავშირებული მიწასთან, უფრო ენდობა, უფრო სჯერა მიწისა. მიწას მოწყვეტილი ქალი უმწეოა, რადგან სხვა არაფერია იგი, თუ არა მიწისა და მიწიერობის განსახიერება. ქალი, როცა სიყვარულს უხსნიან, მიწას დასცქერის, თითქოს იქ, მიწის დაღარულ სახეში ამოიკითხავს პასუხს, თითქოს სანამ მიწა არ მისცემს ნებას, უფლება არა აქვს, აპყვეს გულისთქმას. ქალი მიწაზე წვება, როცა უყვარს, ანდა რო-

ცა მშობიარობს, **და** სადაც არ **უნდა** დაწვეს **იგი**, ყველგან შინაა, უფრო სწორად, სადაც ქალი წევს, იქაა **ყველასათვის** მარადიული **სახლი, იმისთვისაც**, ვინც ბრმად, ვნებისმიერ ნეტარებას აყოლილმა ახალი სიცოცხლე **უნდა** ჩასახოს და იმისთვისაც, ვინც ვნებისმიერი ნეტარების **შედეგად** ასევე ბრმად **უნდა** დაიბადოს. დაწოლილი ქალი ღვიძებაა, ის **ქმნის**, რადგან **უყვარს** და **უყვარს**, რადგან **ქმნის**. მაგრამ რა იცოდა ანამ, რომ თვითონვე გაუჩენდა მტერს **მისი** პირველი და ერთადერთი სიყვარულის ნაყოფს, რა იცოდა, ბოროტებას **რომ** სჩადიოდა, თორემ საკუთარი ხელით ამოშშანთავდა საშოს, ბალიშით მოგუდავდა აკვანშიე**ვ** და თვითონაც ჩამოეკიდებოდა თოკზე, მაგრამ განა მიწამ იცის, რისი თესლი ღვივის მის წიაღში, ანდა განა მიწა ერთმანეთისაგან არჩევს ვაზსა და ძაღლუურძენს, განა ერთნაირად არ კვებავს ორივეს და განა ორივენი ერთნაირი სიფრთხილით, ერთნაირი სიძლიერით არა ჰყავს გამობმული ყოველს ამტანსა და ყოველს შემწყნარებელ გულზე? ასე იყო ანაც. ანაც ამ გაუნელებელ ცეცხლში **იყო** ჩავარდნილი და ისეთი არავინ ყავდა გვერდით, თავისი უბედურება რომ შეეჩიოლა. ქმარს იგი აგურის გასაცხელებლად და ჯაჭის ამოსაყრელად ჭირდებოდა მხოლოდ; გიორგას კი, მის დანახვაზე ისე უბრწყინდებოდა სახე, ენა მუცელში უვარდებოდა, ზვილის **უსაზღვრო** სიყვარული და ერთგულება უარესად აჩანგებდა; სიცოცხლეს აზიზღებდა და სიცოცხლეს ავალდებულებდა კიდევაც, რადგან ის ერთადერთი ბედნიერებაც არ მოეშალა, რომელსაც უბრალოდ მისი არსებობა ანიჭებდა გიორგას, გიორგასაც და მასაც, რადგან გიორგას თვალებში ის ქალწულივით უბიწო დარჩენილიყო, გიორგას კბილა გოგოდ, „ბაბგადაცმულ ოცნებად, იმედად, სიმშვიდეთა და სიხარულად. გიორგას თვალებიდან გიორგას სულში ხელმეორედ დაბადებული, სამუდამოდ დაკანონებული, ღვთაების ხატებით **ჩაბარად** უცვლელი **ანა** იმზირებოდა **და ნამდვილ** ანას, ცვალებადს, **წარმავალსა** და მოკვდავ ანას, ამ უცვლელ**ა, ამ** მარადიული და ამ უკვდავი **ანას გაშჩენის** გამჩენ ანას, **რა უფლება** ჰქონდა, მოესპო საკუთარი სიცოცხლე, ზვილისთვის ხელიდან გამოეგლიჯა თოხი, რომლისანაც იგი **დედის** უკეთეს ორიეულს ძერწავდა. ხოლო პატრეს იმოდენა გული არ გაჰნდა, დედისთვის რომ მეორე ზვილი ეპატიებინა, მასზე ადრე გაჩენილი, **მაგრამ** მასზე უუფლებო, რადგან იმას **გერი** ერქვა, თავად კი — ვაეშვილი. შეიძლება, ეჭვიანობდა კიდეც პეტრე **გიორგაზე**, მისი პირველობა შურდა, **ვერ** შელეოდა იმ პირველ დედობრივ კოცნას, რომელიც მან კი არა, გიორგამ დაიმსახურა, იმ პირველ ყლუპ რძეს, რომელიც მან კი არა, გიორგამ გამოწოვა დედის ძუძუს, მაგრამ ეს შური, შეიძლება ითქვას, ეს ბუნებრივი შური, სიძულვილში არასოდეს არ გადაეზრდებოდა ალბათ, გიორგაც რომ მამამისის ზვილი **ყოფილიყო**. გიორგა სხვა იყო, სხვისა **იყო**, გულის ნახევარი სხვაგან ჰქონდა, **ამ** კიდლეს გარეთ, მამიკოსთან, თუ კი საერთოდ ყავდა მამა, ჩამსახველი კი არა — მამა. პეტრეს მამა ყავდა და მამისთვის პირველი ზვილი იყო იგი, მამისთვის პირველი, დედისთვის კი — მეორე, კოჟანდარი, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, დედამისს მამამისამდეც შეეცოდა, როგორც მამამისი ამბობდა, „**რა**ღაცრაღაცეები ეეშმაკა“, „სულს **წაიძ**ლია“, მაგრამ პეტრე სრულებითაც არ იყო ვალდებული, დედის ძველი ცოდვების გამო პირველობა დაეთმო ვიღაცისთვის თავის საკუთარ სახლში, **იმ** ვიღაცას კეთილი ენება და იქ დაეჩემებინა პირველობა, საიდანაც **გამომტყვრალიყო**, აქ პეტრეს სახლი **იყო**, ნამდვილი მაკაბელი პეტრე **იყო, ის**

ოთარ ჭილაძე

ყოველმან ჩემმან მკოვნელმან....

ეიდაცა კი მხოლოდ მაკაბელობდა. მარ-**თალია, ის** ვიდაცაც დედამისს გაეჩინა, **მაგრამ** ეს სრულებითაც არ კმაროდა, **ძმად რომ** ჩაეთვალა იგი პეტრეს. სულო ცოდვილო და, ძაღლი რომ გაეჩინა დედამისს, განა ის ძაღლი და პეტრე ძმები იქნებოდნენ? თუმცა, დედამისს **თუ** დაუჯერებდა, ძაღლიც ძმად უნდა ჩაეთვალა, რადგან ერთ მუცელში **მჯდარიყვნენ** და ერთი ძუძუ ეწოვათ. **კი, ასე იყო, პეტრე** და გიორგაც ერთი **მუცლიდან** დაიბადნენ, ერთი ძუძუ ჰქონდათ ნაწოვი, მაგრამ გიორგა მაინც **არ** იყო ნამდვილი მაკაბელი, რადგან სხვა მამა ყავდა, **სხვა** სისხლის, სხვა გვარის, სხვა ჭკუა-გონების.

— ძმები არა, ტოროლა! — ყვიროდა პეტრე, როცა დედამისი ერთხელ კიდევ შეეცდებოდა ხოლმე მისი გულის გახსნას, აჩუყებას, დანამუსებას.

პეტრეს დედა უყვარდა, მაგრამ სიყვარული ერთია და სამართლიანობა მეორე. დედამისი ვალდებული იყო, ეთრია თავისი ცოდვის ნაყოფი, რაკი გაეჩინა, უნდა ეპატრონა კიდეც, მაგრამ პეტრეს ხარჯზე რატომ უნდა მომ-**ხდარიყო** ეს? პეტრე პატიოსნად ელო-**დებოდა** თავის რიგს, ის კი, ურიგოდ **გამოტა წინ, უკანონოდ** მოინდომა **პირველი ვაჟის** უფლებების მოპოვება, **მაგრამ**, ღვთის წყალობით, სამართალიც არსებობდა ამ ქვეყანაზე და კანონიც.

— მადლობა თქვი, მამაჩემი პურს რომ აჭმევს, — ეუბნებოდა კოპებშეკრული პეტრე დედას. — რაღაი გაპატიეთ, განა სულ თავზე უნდა დაგვასვა?!

ანას ნაღველი ჩაექცეოდა ხოლმე გულ-მუცელში, ენა უქმავდებოდა და სხვას რომ ვერაფერს ახერხებდა, გაკვირვებული ღიმილი ეყინებოდა სახეზე.

— რას მიცინი? ტყუილს ვამბობ? — ვერ ხვდებოდა დედის ღიმილს პეტრე. „ყველა გზა მოვუჭერიო“ — ფიქრობდა გულში.

— რატომ მუცელში არ გამიწყალდი, შვილო. — ბოლო-ბოლო, ისეთი ხმით ამოიოხრებდა ანა, პეტრეს **ეს**ნი ებურძგნებოდა და **ცოტა არ იყოს,** შემკრთალი თუ შეცბუნებული **გაეცლებოდა** ხოლმე იქაურობას.

„შვილო, შვილო, შვილო, როგორ უნდა იცოცხლო ასე, შე უბედურო“ — მოთქვამდა გულში ანა. ასე გადიოდა დრო მაკაბელების **გალავაწმშოვლებულ** სახლში, საიდანაც მედილეგის ნაბიჯებივით ისმოდა კარადისნელა საათის ერთფეროვანი, გაუთავებელი, ერთმანეთზე გადაბმული, ერთმანეთის მიმყოლი, მოკლე ბიძგების მაგვარი ხმა. ერთ დღეს კი, გიორგა დაიკარგა, საღამოს აღარ მობრუნდა ვენახიდან, მაგრამ იფიქრეს, ალბათ, ვენახში დარჩა ღამის გასათევადო. მეორე დღეს პეტრემ ჩააკითხა, **იმის** გასაგებად კი არა, რამე ხომ არ უჭირსო, ისე, ჩვეულებისამებრ, დასახედად, როგორ მუშაობდა, როგორ მისდიოდა საქმე. ვენახში მარტო სახედარი დაუხვდა. პეტრეს ფეხის ხმაზე თავი ასწია და დიდხანს უყურებდა. თვალის გარშემო თეთრი ბალნის ვიწრო ზოლი გასდევდა, თითქოს ცარცით შემოუხაზავთ, უკეთესად რომ გამოჩნდეს მისი წყლიანი, სათუთად ამობ**ურცულები თვალნი.**

— სადაა **შენი ამხანაგი?** — ჰკითხა პეტრემ. — ჩვენი ბიჭი არ დაგინახავს?! — გასძახა მომიჯნავე ვენახში მომუშავე გლეხს.

— მეც ეგ არა ვთქვი, კაცო... გუშინდელიდან არ გამოჩენილა. — უპასუხა ბარის ტარზე დაყრდნობილმა გლეხმა. ცერა თითი ნესტოზე მიიჭირა და მეორე ნესტოდან ხმაურით გამოიგდო წვინტლი. რაღაი დრო იხელთა, ეს საქმეც მოითავა.

— გუშინდელიდანო?! — გაუკვირდა პეტრეს.

— მააა. — გააგრძელა გლეხმა.

— ეგე, ოჯახის მარჩენალი, დაუგდია ვენახი ამ გაგანია მუშაობაში და გაპარულა. — თქვა შინმობრუნებულმა პეტრემ.

— გაპარულაო? — გაუკვირდა ქაი-

ხოსროსაც. — სად მამაჩემთან... სად მამამისთან გაპარულა?

ანას მუხლი მოეკვეთა, მომუწული ხელები პირთან მიიტანა, თითქოს მოჰყინვია და სუნთქვით უნდა გაითბოსო. პეტრემაც და ქაიხოსრომაც უნებურად ანას შეხედეს. ქმარ-შვილის დაკინებულმა მზერამ უარესად აფორიაქა, მოკვდა და მიმალვენო, ჯერ ეს გაიფიქრა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რატომ უყურებდნენ ასე, არაფერი არ იცოდნენ, მართლა არაფერი არ იცოდნენ გიორგასი და მისგან მოელოდნენ პასუხს. ცოტა გულზე მოეშვა, ცოცხალი ყოფილიყო და სადაც უნდოდა იქ წასულიყო, ცხრამთის იქით გადაკარგულიყო თუნდაც. იქნებ ჯობდა კიდეც, იქნებ კი არა — ჯობდა, ნამდვილად ჯობდა, სხვა თუ არაფერი, შხამს გაეცლებოდა, თავისუფლად ამოისუნთქავდა და თავსაც უკეთესად შეინახავდა, გომურში ყველგან აცხოვრებდნენ. უნდოდა, რამე მწარე ეთქვა, რატომ გიკვირთ, ან აქამდე როგორ გაგიძლოთო, ანდა — ამას არ ცდილობდით თქვენი დღე და ბოსტრეაო, — მაგრამ თავი შეიკავა, ენას კბილი დააჭირა, ისინიც შეეცოდა, დაბნეულები, ნირწამხდრები რომ შემოსცქეროდნენ, თავიანთ სიავკაცეს ბიხვედრილები. მიხვედრილები? რა იყო, არ შეიძლებოდა, მიხვედრილიყვნენ? თვალი ახელოდათ, გული ტკენოდათ? შენს ხელში გაზრდილი ძაღლი და საქონელი დაგენანება კაცს და ის ხომ ძაღლზე მაინც, საქონელზე მაინც მეტი იყო? ხმას გაგცემდა, წყალს მოგაწვდიდა, შეშას დაგიპობდა... უყურეს, უყურეს და თავი გაანებეს, იმდენი ჭკუა და მორიდება ეყო ორივეს, ამ უბედურ ქალისთვის რომ არ ეკითხად: სად არის შენი შვილიო.

ის ერთი კვირა რაღას არ ამბობდნენ გიორგაზე გარეგანს დუქანში: ზოგმა — თბილისში უნახავთო, ვიღაც ვაჭარს დასდგომია ხელზე მოსამსახურეთო; ზოგმა — ქართულ მილიციაში ჩაწერილა და რუსეთს ჯართან ერთად თურქებს ჩვენი მიწები უნდა წაართვასო. ზოგს ჯეროდა, ზოგს კი — ... ზოგს ეცოდებოდა, ზოგი კი სულელად თვლიდა და ქილიკობდა: რაც მამამისმა წაართვა თურქებს, ეგეც იმას წაართმევსო. ერთი კვირის მერე კი, პეტრემ ყველაზე ნამდვილი ცნობა მოიტანა.

— ვენახში გდია და ბარავს. — თქვა პეტრემ.

გონს რომ მოეგო, ორღობეში მირბოდა, თავსაფარი გადაეძრო და ხელში ეჭირა, მეორე ხელით კაბის კალთა აეწია, უფრო თავისუფლად რომ ერბინა და მირბოდა, თითქოს ათი წლის გოგო იყო, სრულებითაც რომ არ ენაღვლება დაუნახავენ თუ არა კანჭებს სოფლის ბიჭები. ცა და მიწა თავიისი ეგონა, თითქოს მთელი სიცოცხლე ასე ქროლაში გაეტარებინა, არც ოჯახი ადარდებდა და არც სოფელი. სოფელს ვერც ამჩნევდა, არც ძაღლების ეყურებოდა, გაანჩხლებულები რომ აწყდებოდნენ ღობეებს, ვერც წყაროსთან თავმეყრილ ქალებს ხედავდა, გულხელდაკრეფილნი, მხრებაწურულნი, ტუჩებმოპარუწულნი რომ აყოლებდნენ თვალს, არც გარეგანს დუქნიდან გამოცვენილი კაცების მორიდებია, რა ჰქონდა მოსარიდებელი, უნდოდა და მირბოდა, ვისი რა საქმე იყო, შვილთან მირბოდა, დაბრუნებულ შვილთან, ხელმეორედ დაბადებულ შვილთან, თითქოს საუკუნე არ ენახა, თითქოს იქ, სოფლის განაპირას, მზით გახურებულ ვენახში დაეთქვათ საუკუნის წინ ბაღმანი და აჰა, ეს დღეც დამდგარიყო. თბილი, ფაფუკი მტვერი ედებოდა გულმკერდზე, სახეზე, თმაზე, სუნთქვას უჭირვებდა, მოელვარებისგან გამომშრალ პირში უცვიოდა. სასაზე ეკვროდა, ენას უსიებდა, ძნელად ჩასაყლაპი და ძნელად გადმოსაფურთხებელი, მაგრამ მაინც მირბოდა, მიფრინავდა, მიილტოდა თამამად, შეუფერხებლად, როგორც ზარის ხმა, როგორც

ოთარ ჭილაძე

ყოველნაირ ჩემებან მაოგნელნაირ...

სანთლის ალი, როგორც გარდაცვლილის სული — უფლისკენ. სოფელს რომ გასცდა, ფლოსტი წასძვრა ფეხიდან, მაგრამ არ შეჩერებულა, თითქოს წამები წყვეტდა სამქოს (ის ფლოსტი აქეთობისას ისევ იქ დაუხვდა, ეგდო უპატრონოდ, უცალოდ დარჩენილი, მტვრით გადათეთრებულ შარაზე, გაცვეთილი და ქუსლმობრეული. ან ვინ წაიღებდა, ვის რაში გამოადგებოდა. ხოდა, ისიც ელოდებოდა ანას, ერთადერთ პატრონს, პატრონივით უბრალო და უჩუმარი). და აი, ვენახიც გამოჩნდა. მოესმა, როგორ ჩახია, ჩაფხრიწა გიორგას ბარის პირმა მიწა, როგორც შუბმა ურჩხული ხორცი, როგორ ყრუდ დაეზანყა გიორგას ხელებით ამოტრიალებული ბელტი. შეიძლება, არც მოესმა და მხოლოდ მოეჩვენა, რადგან პეტრემ თქვა, ვენახში ვდია და ბარავსო. გიორგას ცხელი, მიწიანი ხელები ჰქონდა, დედა ბალღივით აეტაბენინა და ქუსლებით ჩაგლესილი ბელტებში ბზრიალებდა. „რატომ, ბიჭო, რატომ“. — უსასრულოდ იმეორებდა ანა და თვითონაც არ იცოდა, რისი თქმა უნდოდა: რატომ გაიპარე თუ რატომ დაბრუნდიო. შვილის დიდი ხელები აკრთობდა და აბედნიერებდა კიდეც, უკან აბრუნებდა, შორეულ წარსულში, ხელმეორედ აბავშვებდა, თითქოს საქანელაზე შემოესვათ, თითქოს ვარსკვლავებს უნდა მისწვდენოდა. არა, თითქოს იმასთან იყო, პირველთან, ერთადერთთან, მარადიულთან და სამარადისოდ მკვდართან. მთელი ქვეყანა ბზრიალებდა, ვენახიც, კაკლის ხეებიც, კაკლის ხეების ჩრდილში გარინდული სახედარიც, ქუჩჩრით თავდაცობილი დოქიც. ერთი წუთიც და ყველაფერი ანასთან ერთად მოწყდებოდა მიწას და ყამარის ჭურჭელივით გაფრინდებოდა ცაში. „ჩამომსვი, ბიჭო, სირცხვილიაო“. — იძახდა ყასიდად, რადგან არ უნდოდა, შვილს რომ ჩამოესვა, ხელი გაეშვა, გაეჩერებინა ისიც და ქვეყანაც. მერე თალარში ისხდნენ და თავბრუდამხვევი ქროლვისაგან წამოხეთქილ სახეს თავსაფრით ინიავებდა.

— მეგონა, მარტო დავაგდე... ქმარ-შვილთან კი არა, მტრებთან. — ეუბნებოდა გიორგა.

გიორგა თბილისში მიმავალ ურმის ქარავანს აკეკდება. მტკიცედ ჰქონია გადაწყვეტილი ადარ მობრუნებულიყო შინ. დიდხანს უყოყმანია ამ ნაბიჯის გადასადგმელად და ბოლოს მაინც გაუბედავს, რადგან დარწმუნებული ყოფილა, ასე რომ აჯობებდა ყველასთვის. არავის ადანაშაულებდა, თავის თავზე იყო გამწყრალი, თვითონ იყო უვარგისი და უნდილი, რაკი ვერავის შეაყვარა თავი, ვერც მამინაცვალსა და ვერც ძმას. ღმერთი — რჯული, ცდილობდა, ღმერთი — რჯული, მხოლოდ ესა ჰქონდა ამოჭრილი გულში, მაგრამ არ გამოსდიოდა. მამინაცვალი მტრად სთვლიდა, ძმას ეგონა, სახლკარში შემეცილებაო, დედამისი კი — ორ ცეცხლს შუა იყო ჩაკრავნილი, ორად იყო გაჭრილი, მაგრამ არც აქეთ იყო და არც იქით, რადგან გაუყოფელს ვერ გაყოფდა, შეუღელველს ვერ შეელეოდა, შეუძლებელს ვერ შესძლებდა. ასე კი იმიტომ ხდებოდა, გიორგა რომ არსებობდა. განა ვერ ხვდებოდა? ხვდებოდა, მაგრამ რა ექნა, რა გზა გამოენახა ისეთი, სხვისთვის ლუკმა რომ არ გაემწარებინა და ამავე დროს მამობილის ვალიდანაც ამოსულიყო, ძმისთვის ძმობა დაემტკიცებინა, დედისთვის კი — შვილობა. გაქცევა ადვილია, არც ერთბაშად უფიქრია, საქორწილო კაბაში გამოწყობილი დედა ეკლესიაში რომ მიაცილა, იმ დღეს მიხვდა ზედმეტი რომ იყო, ხელისშემშლელი, შემბორკავი. მაგრამ მაშინ თვითონაც პატარა იყო, ღიმე მარტო დარჩენისა ეშინოდა, ტურის ჩხავილისა, ჯოტის ხმისა, ჭექა-ქუხილისაც. მართალია, დედის ქორწილში მაყარივით დათვრა, მაგრამ ესეც ბავშვობით მოუვიდა, დედის დაკარგვის შიშით. მერე სულ ფიქრობდა გაქცევაზე, მაგრამ მარტო კი არა, დედანად, დედა უნდა

მოეტაცა, ქრისთვის **უნდა** მოეტაცა **დედა**, **წარმოდგენილ ნაბადში** უნდა გაეხვია, **წარმოდგენილ რაშზე** უნდა შემოესვა და **წარმოდგენილ** ცხრა მთის იქით **გადაეყვანა**, **უკეთეს ქვეყანაში**, უკეთეს ხალხთან, **უკეთეს** ირსებობს **უკეთესი** ქვეყანა და ხალხი სადმე. მერე დედამისს შვილი **გაუჩნდა** **და** მიხვდა, დედას რომ ვეღარ მოიტაცებდა, რადგან დედამისი მარტო მისი **დედა** კი არ იყო, არამედ იმისიც. დედას კი ვერავის მოსტაცებდა, რადგან დედა სხვაა, ცოლი კი — სხვა. ცოლს მაგიერი შეიძლება იშოვოს კაცმა, — დედისა კი — ვერა. დედის დათმობაც არ შეიძლება, რადგან არ მოიპოვება, არც აირჩევა, არც გაიყოფა, შენიც იმდენია, რამდენიც შენი ძმისა, ორნი კი არა, შეიძლება ათნი იყოთ, დედა კი ერთია და ათიათვისთვის ერთნაირი. მაგრამ გიორგა მაინც სხვა იყო, გიორგა დედის ჭირად იყო გაჩენილი, დედის დასაკნინებლად, **რადგან** ის სხვა კაცის ნაშვილი **იყო**, ქაიხოსრომდე და პეტრემდე არსებული, ბედნიერისა თუ უბედური **ცხოვრების** დამღა, ნაიარევი, **რაც** ქაიხოსროსა და პეტრეს თვალში, მხოლოდ და მხოლოდ, ამახინჯებდა ერთისთვის ცოლისა და მეორისთვის დედის სუფთა სახეს, **წარამარა** ახსენებდათ, **რომ** ერთის ცოლსა და მეორის **დედას ადრე**, მათ გამოჩენამდე სხვა ცხოვრებით ეცხოვრა, მათთვის საიდუმლო, მათთვის მიუღებელი და მათთვის შეურაცხმყოფელი ცხოვრებით. სანამ **გიორგა** იქნებოდა, ანაც უცხო იქნებოდა საკუთარ **ოჯახში**, **უცხო კი არა**, **გაუცხოვებული**, **გასაიდუმლებული** და **ამიტომაც** გამაღიზიანებელი. განა დედამისი სხვაზე ნაკლებად ხვდებოდა ამას? **აბა**, **რატომ** იყო, **შეყვარებულ** გოგოსავით **რომ** მოიპარებოდა შინიდან **გიორგასთან** **შესახვედრად**? **აბა**, **რატომ** **იყო**, **გაწუწკებულ** **მოახლესავით** **რომ** **იპარავდა** **საკუთარ** **ოჯახში** **ნაზუქსა** **თუ** **ჩურჩხელას**, **გიორგასთვის** **რომ** **მიერბენინებინა**, **თუკი** **თვითონაც** **არ** **გრძნობდა**, **გიორგა** **რომ** **სხვა** **იყო** **და** **პეტრე** **სხვა**? პეტრე სინამდვილის ნაყოფი იყო, გიორგა კი — ზღაპრისა, ოცნებისა, შეიძლება, სიზმრისაც, **და**-**უნდობლად** **რომ** **გახვევს** **თავზე** **მოგონილ** **ბედნიერებას**, ენით **აუწერელ** **ნეტარებას**, **ღმერთებისთვის** **განკუთვნილს** **და** **ადამიანისთვის** **შეუფერებელს**, **რათა** **სიზმრიდან** **გამორკვეულს** **ცივი** **წყალივით** **გადაგასხას** **მკაცრი** **და** **უგულო** **სინამდვილე**, **რომელსაც** **შენი** **სიზმარი** **სასაცილოდაც** **არ** **ყოფნის**, **ფეხებზე** **კიდია**, **და** **იქამდე** **არ** **მოგეშვება**, **სანამ** **სიზმრით** **გაბრუებულს** **მიწაზე** **არ** **დაგაბრუნებს** **და** **ცხენივით** **არ** **ჩაგაყენებს** **ხორკლიანსა** **და** **შენივე** **თქმებით** **გადახეხილ** **ხელნებს** **შორის**, **რომლებზეც** **ერთფეროვანი** **ყოველდღიურობაა** **გამობმული**, **თანაც** **უბორბლებოდ**. **ასეთი** **ფიქრები** **ტანჯავდა** **გიორგას** **ვენახშიც** **და** **გომურშიც**, **არცა** **კლავდა** **და** **არც** **არჩენდა**, **მოსდგებოდა** **და** **უბაგუნებდა** **თავში** **უხილავ** **ჩაქუჩებს**, **თითქოს** **ტვინზე** **ნალს** **აჭედებდა**. **მარტო** **სახედარს** **თუ** **შესჩივლებდა**, **ახე** **და** **ასეა** **ჩემი** **საქმეო**, **მაგრამ** **სახედარს** **მოსმენის** **მეტი** **რა** **შეეძლო**? **უსმენდა** **და** **უარესად** **ყეყეჩდებოდა** **ისიც**. **რაც** **არ** **უნდა** **ძნელი** **ყოფილიყო** **უნდა** **გასცლოდა** **აქაურობას**, **გაპარვამდე** **დარწმუნებული** **იყო**, **ასე** **აჯობებდა**, **თუმცა** **არც** **ის** **აეიწყებოდა**, **მხოლოდ** **და** **მხოლოდ** **აქ** **რომ** **იყო** **მისი** **ადგილი**, **ტყუილუბრალოდ** **რომ** **არ** **ყავდა** **მამინაცვალს** **ქოფაკივით** **ეზოში** **გაშვებული**, **მამინაცვალს** **მარტო** **ვენახში** **სამუშაოდ** **არ** **ჭირდებოდა** **იგი** **და** **ეს** **მხოლოდ** **გიორგამ** **და** **მამინაცვალმა** **იცოდა**. **ასე** **რომ** **არ** **ყოფილიყო**, **აქამდე** **თვითონ** **მოიშორებდა** **თავიდან** **და** **არ** **აარეკინებდა** **ოჯახს**. **ან** **რა** **ძნელი** **მოსაშორებელი** **იყო**, **ეტყოდა** **და** **ისიც** **აიკიდებდა** **გუდანაბალს**, **მე** **შენ** **გეტყვი**, **წილს** **მოთხოვდა**, **ჯიბრში** **ჩაუდგებოდა**, **მამისეული** **სახლის** **იმ** **ერთადერთ** **ქვასაც**, **ზედ** **მიხატული**

ოთარ ჭილაძე

ყოველმან ჩემმან მოგონელმან....

კაცუნას წყალობით რომ სცნობდა, დატოვებდა. შეელოდა, რადგან იმ ერთი ჭვის გამოცალა შეასუსტებდა კედელს. ის კედელი კი, მის ძმას უნდა დარჩენოდა, დედამისს ნაშიერს. ჯობდა, მამინაცვალს რომ გაეგდო, მაშინ უფრო თავისუფლად წვიდოდა, კი არ გაიპარებოდა, წვიდოდა, მოვალეობისგან განთავისუფლებული. გაპარვა ღალატს ნიშნავდა, მაგრამ ბოლოს მაინც შეცდა, მაინც გაბეგა, მამალმა გააბედვინა, ურმის კოფიზზე შემომჯდარმა, ალისფერმა, მზესავით გაფოფფრილმა და მზესავით თვალებბრიალამ. ისეთი ხმით გაჰყიოდა, დავრდომილს წამოაყენებდა, ქვასაც აუჩქროლებდა სისხლს. ესეც ადგა და გაეკიდა; იფიქრა, ქვეყანა ვრცელია, რა ღმერთი გამიწყრება, სადმე რომ ვერ მოვიკიდო ფეხიო. რამეს თუ ეშოვიდა, შორიდანაც შესძლება თავისიანების პატივისცემას. ბარი მიწაში ჩატოვა, ახალუხის კალთები ჩამოიშალა და აედევნა ურმის ქარავანს. მამალი ყიოდა, გაუთავებლად, გადაბმულად, ურმის რწევას აყოლილი, ბუმბულაშლილი, გაფარჩხული, ავად მბზინავი კლანჭებით ფიცარს ჩაფრენილი, თვალგაშეშებული, გაბრაზებული თუ გაკვირვებული, გაბრაზებულიცა და გაკვირვებულიც ქვეყნის სიყრუითა თუ იმის სიშორით, თავისი ჭკუთ, ვის გასაგონადაც ყიოდა. მეურმეები იცინოდნენ: მოგვეშალა საათიო, და ბეორგაც, ბალღივით გაღიმებული, გახარებული და გაამაყებული შესცქეროდა ყვითელსა და ქერცლიან ფეხებზე აქანავებულ მამალს, თითქოს მთელ ქვეყანას რომ იწვევდა საძიებელოოდ, საჩხუბრად, ყელმოღერილი, ცალთვალზე ბიბილო ჩამოფარებული, თითქოს თავიდან სისხლმა ამოასხაო, ყოჩაღი და ყოყლოჩინა. სანამ დღე იყო, სანამ გზაზე იდგნენ, კიდევ არაფერი უშავდა, მამლის გაუთავებელი ყივილი ახალისებდათ კიდეც. გზისპირა ბორკვებზე და ბუჩქებზე რწევარწევით გადადიოდა მამლის ვეება ნაფდილი. საქმე საქმეზე რომ წასულიყო, მთელი ფარა, თავისი ძაღლებიანად და მწყემსებიანად შეაფარებდა თავს მამლის ვეები ჩრდილში. ესეც მოსწონდათ, ამაზედაც იცინოდნენ მეურმეები, ქალაქში ჩასვლისთანავე, პირველსავე დალაქს თუ არ დავაყვერინეთ ეს ვაჟბატონი, დედლის სახსენებელს გაწყვეტავსო. მაგრამ თვითონ მამალს დიდი დრო აღარ ჰქონდა ამ ქვეყანაზე, არ ეწერა ქალაქში ჩასვლა. ღამით, როცა საქონელი გამოხსნეს და დაბანაკდნენ, აუტანელი გახდა მამლის ყივილი. საქონელიც წუხდა, შფოთავდა, ზმუოდა, მამლის ყივილით დარღვეული დროის დინებიდან ამოვარდნილი. ხალხსაც დაეკარგა საუკუნობით გამომუშავებული უნარ.. დროის შეგრძნებისა, დაბნეულნი და გაავებულნი უთავოთავლებდნენ ვარსკვლავებს, თითქოს იქიდან ჩამოდიოდა ეს შემაწუხებელი, შემაშფოთებელი ხმა, იქიდან, სხვა ქვეყნიდან, ღმერთის საუფლოდან და თავისი არაჩვეულებრივობისა და ადამიანის ცრუმორწმუნე ბუნების წყალობით მაგიურ ძალასა და მნიშვნელობას იძენდა. მამალი აშკარად გაგიჟებულიყო, მაგრამ ეს იმდენად უჩვეულო ამბავი იყო ყველასთვის, არ შეიძლებოდა, არ გასჩენოდათ ავი წინათგრძნობა. გიჟი მამალი რაღაცას ანიშნებდათ, რაღაცის მაუწყებლად მოვლენოდათ, გათენებისა და დაღამების კი არა, რაც აქამდე ევალებოდა ღმერთისგან, უფრო მეტის და უფრო მნიშვნელოვანისაც. იქნებ მეორედ მოსვლა იწყებოდა, განკითხვის ჟამი, ჰა? დასწყეველოს ეშმაკმა, ხელებს შლიდნენ აყივლებულ წყვდიადში აბორიალებული მეურმეები. მამალი კი ყიოდა, ყელს იხვევდა, ბულს იხეთქავდა, კუჭს იბრუნებდა, ყანყალებდა დაძაბულობისაგან ამაგძაგებულ ფეხებზე და მთელი ქვეყანა იკუმშებოდა, იბურძგნებოდა განსაცდელში ჩავარდნილი ზღარბივით. ასე გაათენეს ღამე, მაგრამ მამალი არც დილით გაჩუმებულა, ვეღარ ამჩნევდა დღისა და ღამის მონაცვლეობას, დღისა და ღამის გამმიჯნავი, დაუზარელი შუაკაცი და

სამართლიანი მომრიგებელი. ისევ ისე ყიოდა, ნირიც არ შეეცვალა, თუმცა უფრო გალახულიყო, ღამის სუსხსა და ველის ნიავს გაეჩეჩა, დაეუშნოვებინა, მართლის მთქმელივით ამაყი და საცოდავი, რომელსაც თავისი გაუთავებელი ქადაგებით ყბედის სახელი დაუგია ხალხში, ამაოდ დამშვრალა, ამაოდ დაქანცულა წიგნთან ჭიდილში, ენის გაწაფვაში, მეტყველების დახვეწაში, ამაოდ უოცნებია ხალხით გაძძეულ მოედნებსა და ტაძრებზე, რადგან არავის აინტერესებს, არავის არ ესმის ის, რასაც მან მიაკვლია, რაზედაც მზოლოდ მას აუხილია უფალმა თვალი. მოთმინებიდან გამოსულმა მეურმეებმა მამალი ძალით მოაგლიჯეს კოფოს, კუნძზე დაადებინეს გრძელი, ფოლადის ზამბარასავით ღონიერი კისერი და წალდის ერთი დაკვრით წაადგინეს თავი, ნისკარტდაბჩენილი, ყვითელთვალება, ალისფერ ბიბილოიანი. ტანი ცალეკ ხტუნავდა, ჭრელი ბურთოვით ასკდებოდა მიწას, ცეკვა-ცეკვით კვდებოდა, თითქოს უნაღოდა, რომ კვდებოდა, თავისუფლდებოდა იმ მძიმე და დაუფასებელი მოვალეობისაგან, რაც ღმერთს დაეკალებინა მისი მოდგმისათვის. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა უცებ, გეგონებოდათ ცის ქვეშ, შარაგზაზე კი არა, მიწისქვეშა აკლდამაში ჩაუღალავთ ხალხიცა და საქონელიცო. მამლის უთავო და ფეხებგაფშეკილი ტანი ობლად ეგდო სისხლის გუბეში. ბუმბულიც მოჰკედომოდა, უცებ დაეკარგა ძველებური ბზნისა და სილბილე. თავს კი, თვალები ისევ დაჭყეტილი ჰქონდა, ერთი ვნახო, რას იზამენ, რა გუნებაზე არიან უჩემოდო. ყველანი მოშხამულები იყვნენ, თითქოს კაცი შემოკვდომოდათ. გიორგა ერთი დღე კიდევ მიჰყვა ურმის ქარავანს, თუმცა გამობრუნება იმავე წუთას გადაწყვეტა, მამლის სისხლის ნაფლეთებით რომ მოიფინა იქაურობა, როგორც ნეკერჩხლის ფოთლებით, მაგრამ მაინც მისდევდა დამუნჯებულ, ნირწამხდარსა და გულმოკლულ ქარავანს. ეუსერხულა მაშინვე გამობრუნება, ცოტაზე მაინც უნდა გაპყოლოდა, როგორც სხვები. მკვდარს მიჰყვებიან ყველასთვის საერთო ვალის მოსახდელად. მერე, გადაქუცული გორაკების იქით თბილისი რომ გამოჩნდა, ყველას თავი დაუკრა და გამობრუნდა, მარტო უნდოდა დარჩენა, მარტოს უნდოდა ველენო გიე მამალთან ერთად გამოვლილი გზა.

ანა შეაძრწუნა გიორგას ნაამბობმა. ათრთოლებული ხელებით თავსაფარი მოიხვია, კაბის კალთა გადაიბერტყა, პირზეც გადაისვა ხელი, თითქოს უცხო სახლში შედიოდა, და მერე შეხედა სახეში შვილს, დაკვირვებით, ხანგრძლივად. გიორგა გამოცვლილიყო ამ ერთი კვირის განმავლობაში, მაგრამ ეს კი არ გაჰკვირვებია, თავისმა უყურადღებობამ ატკინა გული. გიორგას ლოყები ჩასცვენოდა, ყვრიმალები გამოზნდოდა, ზედ კანი გადასჭიმვოდა და ქონგადასმულივით უბზინავდა, როგორც სატხიან ავადმყოფს. თვალებიც ავადმყოფისა ჰქონდა, უპეებამოშავებული, აწრიალებული. საფეთქელზე ისე ცხადად ეტყობოდა ლურჯი, განუწყვეტლივ მფეთქავი ძარღვი, უნებურად თვალი აარიდა, თითქოს ცუდი იყო, რომ ფეთქავდა, ჯიუტად, ყველას დასანახად, მხოლოდ და მხოლოდ სიფრიფანა კანით დაცული, დაცული კი არა, უარესად გამომჟღავნებული, უკვე ადვილად მისაგნები, როგორც თხლადნაქსოვი, ლამის უჩინარი ბადით დაჭერილი ფრინველი. ქარით დაშაშრულ ტუჩებზე დაბნეული ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს ეს წუთია წყლიდან გამოეყვანათ, დახრჩობას გადაერჩინათ და ერთდროულად მადლიერიც იყო და რაცხვენოდა კიდეც გადარჩენისა.

— შენს შვილსაც გავზრდი და წავალ, მივაკითხავ მამაშენს. — თქვა ანამ, ყალბი, მოგონილი ხმით, როგორითაც ატარა გოგოები ელაპარაკებიან თავიანთ თოჯინებს.

ოთარ ჭილაძე
ყოველთვან ჩემთან მკითხველთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს **ოგითონვე** იგრძნო და ისე სწრაფად **წამოდგა,** გიორგამ ხელის შეშველებაც ვერ მოასწრო. მეტს ვეღარ გაჩერდებოდა აქ, ერთი წუთიც და ძალიკვით აყმუვლებდა უსაშველო სევდა. უზარმაზარი კაკლის ხის ტოტებში კოდალა დახტოდა და ამ პატარა ჩიტის წყალობით მთელი ხე ჭრელი და მოძრავი ჩანდა. მაგრამ ანას არც კაკლის ხე დაუნახავს და არც კოდალა, ეენახიდან უზმოდ გადავიდა, პატარა, მარად დამშრალ ღელეში გაუჩინარდა თანდათანობით, მერე ისევ გამოჩნდა, ჯერ მისი თავსაფარი, მერე მზეზე გამოხუნებული ბეჭები, მერე კი მთლიანად, თავიდან ფეხებამდე, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სოფლელი ქალი, ცოლი, დედა, დიასახლისი, არაფრით რომ გამოირჩევა სხვა ქალებისგან, არც ჩაცმულობით და არც საფიქრალით. მერე შარაზე გავიდა და ფაფუკ მტვერში შინისაკენ გაადიჯა. მისი ცალი ფლოსტი შარაზე ეგდო და ელოდებოდა. ალაყაფი მოეღებული დაუხვდა და უნებურად ფეხს აუჩქარა. ეზოში, ცაცხვების ძირას ცხენშებმული ორთვლიანი ეტლი **იდგა.** ცხენის ზემოთ მუმლის გუნდი **ტრიალებდა** და უცებ მოინაცვლება **ხოლმე** ადგილს, როგორც კი ცხენი **თავის** მძიმე და ვერცხლისფერ კუდს **აიქნევდა.** სახლში **შესვლის შეეშინდა,** ამ **უცნაურმა** ეტლმა და უცხო **ცხენმა** შეაშფოთა რაღაცნაირად. ეზოც დამაეჭვებლად გატრუნულიყო. სადღაც, სხვის ეზოში, კვერცხით შეწუხებული ქათამი კაკანებდა. სახლიდან კი ჩამოჩუმი არ ისმოდა. მუხლებაკანკალებულმა აათავა კიბე.

ისინი დიდ ოთახში ისხდნენ: ქაიხოსრო, პეტრე, ზოსიმე მოვდელი და უცნობი.

— კარგია, ცოცხალს მომისწარი. — უთხრა ქაიხოსრომ. — ჩემი მეუღლე **გახლავთ.** — **მიუბრუნდა** უცნობს.

უცნობი **წამოდგა,** გამორჩეულად, **თვალში** საცემად სუფთა და ასევე **გამორჩეულად,** თვალში საცემად უცხო, **თეთრი,** გახამებული საყელოსი თუ დაბალყელიანი, **გრძელცხვრიანი** და **შავად** მბზინავი ფეხსაცმელების **გამო.** ახოვანი კაცი იყო, დიდი, ფაფუკი, საოცრად ცოცხალი ხელები ჰქონდა და გულში ჩამწვდომად იღიმებოდა, გულში ჩამწვდომად კი არა, გამომცდელად, თითქოს **უნდა** გეცნობოდათ და გამოწმებდათ, ამა მიცნობს თუ ვერაო. სანამ ანა გონზე მოსცლას მოასწრებდა, მისი ხელი პირთან მიიტანა და ფრთხილად აკოცა, ოდნავ შეახო ტუჩები. ანამ ხელი გამოსტაცა და უნებურად ზურგს უკან დამალა, თითქოს ხელის წართმევას უპირებდნენ. ქაიხოსრომ გაიცინა.

— გვაპატიეთ, ექიმო. ჩვენ ხომ სოფლები ვართ. — თქვა, თანაც ანას უყურებდა სახეში.

ანას კი არ შერცხვა, სოფლურობით კი არ მოუვიდა ეს, არამედ თავზარი დაეცა, ნამდვილი თავზარი, გამოაგნებელი, თავფეხიანად შემარყეველი, მოულოდნელობას, მოუმზადებლობას, გაუთვალისწინებლობას რომ მოსდევს ხოლმე. ეს უცნობი მეორე კაცი იყო, რომელმაც ხელზე აკოცა. მართალია, ეს კოცნა იმ კოცნისგან ბევრად განსხვავდებოდა, მაგრამ რაღაცა ჰქონდათ საერთო, რაღაც ფაფული გრძნობა, ძნელად გამოსახატავი, ძნელად გამოსამეღავნებელი. მოკრძალება? თუ თანაგრძნობა? არა, ანას ახლა არ შეეძლო ამის გარკვევა. იდგა სახეწამოჭარხლებული, დაბნეული, გაბითურებული, თითქოს შინ კი არ იყო, შემოეტყუებინათ აქ, უცხო მამაკაცებით სავსე ოთახში.

— **მოგვაშველე რამე,** ადამიანო. **მოგვკლა ცარიელ** ღვინის სმამ. — **გამოაფხიზლა ქაიხოსრომ.**

მერე ქათამს პუტავდა, ცომს ზელავდა, სახაჭაპურე ყველს ალბობდა წყალში და ამ დროზე ფიქრობდა, როცა იმან, მკვდარმა, ძალით გააშლევინა მომუწული თითები და გაოფლილ ხელისგულზე აკოცა.

ხელმეორედ რომ შემობრუნდა ოთახში, ყველანი შეზარხოშებულიყვნენ. უცნობი ისევ **წამოდგა:** მაპატიეთ,

წელან ვერ მოვასწარი გაგცნობოდით... ექიმი ჯანდიერი გახლავართო. ანა შეკრთა, ორივე ხელი თეფშებითა ჰქონდა დაკავებული, მაგრამ ექიმი აღარ წამოსულა მისკენ.

— დაჯექი, დაჯექი. — შინაურულად უთხრა ქაიხოსრომ ექიმს.

ექიმი დაჯდა, თან ლაპარაკობდა: სტუდენტობისას ესკულაპეს მეძახოდნენ, მაგრამ ახლა ჩვეულებრივი ექიმი ვარ მხოლოდ. ესკულაპობას ბევრი მიკლია. არც ვაპირებ. — ანას მიმართავდა, თუმცა ანა არ უყურებდა. პეტრემ ხელადა მოაშორა, თეფშების ჩასადგმელი ადგილი მოუცალა დედას. „ბალლობთ“ — თვალებით უთხრა ანამ. „გენა არ ვიცი, სადაც იყავი“ — თვალებითვე დაუბრუნა პეტრემ. ექიმი კი ლაპარაკობდა, თავაზიანი, მხიარული, თავისუფალი, ღვინომოკიდებული, პირველად მოხვედრილი ამ ოჯახში და დაზღვეული ამ ოჯახის საიდუმლოებებისაგან. — ესკულაპე ექიმების პეპერაა, დიდი პაპა, და ყველა პაპის არ იყოს, ცხოვრებით კი არ ვბაძავთ მას, არამედ მისი სახელი გვეამყება მხოლოდ. ნამდვილ ექიმს, ესკულაპესავით, ორკაპა ჯოხი უნდა ეჭიროს ხელში, ძაღლების მოსაგერიებლად, და საგზაო ბაგაში გველი და მამალი უნდა ეკდეს — სიბრძნე და სიფხიზლე. (მამლის ხსენებაზე ანამ ყურები დაიქნიტა, გაუბედავად, ერთი წამით შეხედა ექიმს).

— ესკულაპე მკვდარს აცოცხლებდა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა თვალების ყუყუნით.

— არა, მამაო. ეგ მითია. — უთხრა ექიმმა ჯანდიერმა. — ესკულაპე მკვდრის გაცოცხლებაზე ოცნებობდა, მაგრამ ოცნებაც არ აპატიეს ღმერთებმა. წვიმისაგან ხისძირას შეფარებულს, მეხი დასცეს მეოცნებე თავში. საწყალს, ალბათ, დანაშრეტებულ გულმკერდზე ბოლოებშტერუსული მამალი ეკდა და დაჰყოიდა. (ანა ისევ შეკრთა, ისევ წამიერად გახედა ექიმს და გიორგა დაინახა, ლოყებჩაცვენილი, თვალებამოშაშვებული, ბარის ტარზე დაყრდნობილი, მზედაცხუნებული, ჩაკარგული სალიაც, უკიდეგანო ვენახის შუაგულში მარტოხელა, მიტოვებული, როგორც მათ ეზოში ცაცხვებთან გაჩერებული, ორთვლიან ეტლში შებმული ცხენი). — თუმცა სიკვდილით ყველა ექიმი ესკულაპესავით კვდება, მარტო ამაშიღა ვგეგავთ მკურნალობის ღვთაებას. ავადმყოფის უმადურობაცა და საკუთარი შეცდომაც ექიმისთვის იგივე მეხია.

— თუ ღმერთი გწამს, ჩემთან ნუ დაგეცემა მეხი. — თქვა ქაიხოსრომ.

— ხა, ხა, ხა, — გულიანად გაიცინა ექიმმა ჯანდიერმა. — ნუ გეშინიათ, თქვენ ადვილი ავადმყოფი ხართ.

— რა ვიცი, ღორი არაო, ცხვარი არაო, მქავე არაო, ცხარე არაო, მწვავე არაო კვერცხი რომ კვერცხია, ისიც კი ამიკრძალეთ. — ხელები გაშალა ქაიხოსრომ. — ბალახი ვძოვო?

— ცოტა-ცოტა ყველაფერი შეიძლება აუცილებელიაა. — მოიღუშა ექიმი ჯანდიერი, მაგრამ მაშინვე გაიღიმა, მომხიბვლელად, გადამდებად, ბავშვურად. ანას შეხედა და გაგრძელა. — უფრო მკაცრი უნდა ვიყო, მაგრამ რა ვქნა, დაამთავრეთ, მომისყიდეთ.

— მამაჩემმა ღორის ქონი თუ არ შეჭამა, მოკვდება. — თქვა პეტრემ.

— ერთი შენც უნდა გაგასინჯო. — გამოცოცხლდა ქაიხოსრო, თითქოს ლამაზი ქალი შემოვიდა ოთახში. — სხვაგან ვერსად ვერ შეჭამ, მე თვითონ გამომყავს, ჩემი ხელით. ჩვენში არც იციან. გასასუქებელ ღორსაც მე თვითონ ვყიდულობ ხოლმე ყოველ წელიწადს. მე უნდა ავარჩიო. საღორეც განსაკუთრებული მოვიგონე, ზუსტად იმოდენაა, რამოდენაც ღორი უნდა გახდეს საახალწელოდ. დაბმული მყავს, მოკლე ჯაჭვით, საძრაობა რომ წაართვას და წოლას მიეჩვიოს. საჭმელს კი თავზე საყრელად ვაძლევ, სულ ცხვირწინ უდგას სალოფავით სავსე ტაში და

ისიც სულ ჭამს, უნდა თუ არა. მა, რისი ღორია. სამაგიეროდ ისეთი ნაზი ქონი აქვს, თავისითა დნება პირში. ბასრი, კარგად გალესილი დანით თხლად რომ დაგჭრი ხოლმე, ეტრატივით იგრაგნება, ალაგ-ალაგ კი, ალისფერი გადაჭკრავს, ჩაის ვარდის ფურცელივით. როგორ გამომყავს, ამას მერე გეტყვი, როცა გასინჯავ. არაყთან მისწრებაა. ერთმა ჩემმა მეგობარმა მასწავლა. აი, ბოშებმა მოიტაცეს-მეთქი, რომ გითხარი — მიუბრუნდა ზოსიმე მღვდელს.

— ბოშებმაო? — გაიკვირვა ექიმმა ჯანდიერმა.

— ხო, ბავშვობაში.

— ბოშები კარგი ხალხია. — გაიღიმა ექიმმა ჯანდიერმა.

ანა ქაიხოსროს გვერდით იჯდა, ძალით დაისვა ქმარმა გვერდით და ისიც არ აუძალიანდა, ვერ გაუძალიანდა, სტუმრის მოერიდა, იგრძნო, ქმარი სტუმრის დასანახად რომ მოიქცა ასე, თითქოს უფრთმანეთოდ ლუკმა არ გადასდიოდათ ყელში. დამორცხვებული იჯდა, ეგონა, სულ მას უყურებდა სტუმარი თავისი თბილი, გულში ჩამწვდომი თვალებით და ყველაფერს ხვდებოდა, ყველაფერს კითხულობდა მის სახეზე. რატომღაც უნდოდა, სტუმარს მისი არაფერი სცოდნოდა, ანდა ბედნიერი ჰგონებოდა, ბედის კმაყოფილი, ქმარ-შვილსგან დაფასებული, ერთგული ქმრისა და მოყვარული შვილების პატრონი. თითქოს, მისი ოჯახის ამბები რომ გაეკოლა სტუმარს, ასე თავისუფლად თავს ვეღარ დაიჭერდა, ვეღარ გაიცინებდა ასე გულიანად, აღარც საშმელი მოეწონებოდა და აღარც ღვინო, რადგან ამ ქერქვეშ დაბუდებული სიძულვილი მასაც გაუმწარებდა პირს, ჩაითრევდა, დასვრიდა და აქედან ვეღარ გადიდოდა ისეთივე სუფთა და უცახო, როგორიც მოსულიყო. იმას რაღაზე უნდა გამწარებოდა სიცოცხლე, ან რა ხელი ჰქონდა ამათ უბედურებასთან? იმას უფლება არ ჰქონდა, ამათნაირი გამხდარიყო, უნდა გადაერჩინა, ბოლომდე უნდა შეენარჩუნებინა თავისი ხასიათი და სიუცხოვე, რაც, შეიძლება, იმდენად მას არ ჭირდებოდა, რამდენადაც ანას სჭირდებოდა იმ რწმენის განსამტკიცებლად, რომ ყველანი ერთნაირნი არ იყვნენ, რომ სადღაც, ოცნებაში კი არა, სინამდვილეში, არსებობდა სხვა ქვეყანაც, საქანელაზე შემდგარი გოგოსავით თამამი, თავისუფალი და ბედნიერი, სადაც ერთნაირად სუფთა, მისთვის და მისნაირებისთვის, ერთნაირად უცხო ადამიანები ცხოვრობდნენ, ბავშვებივით კეთილები და ბავშვებივით გულუბრყვილონი, რადგან კიდევ სჯეროდათ, შესაძლებელი რომ იყო ქაიხოსროს განკურვნა, ანდა პეტრესი, ანდა გიორგასი, ანდა თვითონ ანასი. მისი სტუმარიც იმ ქვეყნიდან იყო, სიკეთის, სიწმინდის, სიმშვიდისა და სილამაზის ქვეყნიდან, რომლისკენაც ანა მოისწრაფოდა განუწყვეტლივ, გაჩენის დღიდან, რომელშიაც ორი თვე ეცხოვრა მხოლოდ და რომელიც უკვე სამუდამოდ დაკარგულიყო მისთვის. მაგრამ იმისთვის არ უნდა დაკარგულიყო, იმისთვის, აგერ, ორ ნაბიჯზე რომ იჯდა შინაურივით და ფაფუკი, მოუსვენარი თითქმის პურის გულს ასორსოლევდა. ის იმ ქვეყანას ჭირდებოდა, მისი იქ ყოფნა იმ ქვეყანას უფრო გააღონიერებდა, გაახანგრძლივებდა კიდეც, აქ კი, ზედმეტი იყო, უსარგებლო და უმწეოც, რადგან სენის წამალი, რომელიც ამ ქვეყანას მოსდებოდა, ჯერ ღმერთს არ გამოეგონებინა, ვერც გამოიგონებდა, რადგან არც ის სენი იყო მისი მოგონილი. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მას აქ შეეძლო, რაც მადლად ჩაეთვლებოდა, თუკი საამისო გამბედაობა აღმოაჩნდებოდა, ნავთი უნდა გადაესხა ყველაფრისთვის და, ჭირიანის ლოგინივით, დაეწვა. ის აქ თავის სიკეთეს, თავის მოვალეობას, უფრო სწორედ, თავის ოცნებას მოეუვანა და ისე იყო გატაცებული ამ ოცნებით, როგორც თვითონვე თქვა, არ შეეძლო, შეემჩნია ავადმყოფის სიბნიძურე, ეგრძნო მისი სიმყრალე, რადგან მკურნალი, ესეც თვითონ თქვა, მკურ-

ნალი აღარაა, თუკი ავადმყოფი კი არ ებრალება, არამედ ეზიზღება. ანასაც **არ** უნდოდა, რომ შეზიზღებოდა **იმას, მაგრამ** არც ის უნდოდა, გაეგო სად მოხვედრილიყო, სად მოეყვანა სიკეთესა და ბავალეობას. არა, ოცნებას! ანას (ეს თვითონვე უკვირდა და, ცოტა არ იყოს, სიამოვნებდა კიდეც) ეცოდებოდა ის კაცი, როგორც სულელი ბავშვი, ცოფიან ძაღლთან რომ ჩაცუცქ�, გულთრთოლებული რომ ეფერება დუქამოდგარ პირზე, შეუზიზღებლად რომ აცლის ტანზეშემპალი ბალნიანს ტკიპებს, რადგან ბავშვია, სულელია, ჯერ არც სიფრთხილისა გაეგება რამე და არც ზიზღის. არადა, თუ დროზე არ მოუსწრო პატრონმა... არა, უნდა მოუსწროს პატრონმა, აუცილებლად უნდა მოუსწროს, აუცილებლად უნდა გადაარჩინოს ბავშვი.

— გიორგიც ავადაა, ექიმო, ჩემი უფროსი ვაჟი. — თქვა ანამ და გაშტერდა, პირი დაეღო თვითონვე.

— გიორგი? უფროსიცა გყავთ? — შეჰკიდილია ანას ექიმმა ჯანდიერმა, თითქოს ანას ნათქვამიდან მარტო ის გაიგოო, რომ ამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ლამაზ ქალს ამოდენა შვილები ყავდა. — აბა, ერთი მაჩვენეთ თქვენი ავადმყოფი.

— ავადმყოფი? ნეტავ მეც ვიყო ეგეთი ავადმყოფი. — თქვა ქაიხოსრომ და ხელადას გადაწვდა, — რატომ არაფერს გადმოიღებ? — ნიკაპი აუქნია ზოსიმე მღვდელს. ზოსიმე მღვდელმა ხელები გულზე გადაიჯვარედინა, ვითომ ყელამდე ვარო, აღარ შემიძლიაო. — დღეს უნდა აპატიო დიასახლისს, არ გელოდებოდათ.

— შემახვედეთ მაინც. — თქვა ექიმმა ჯანდიერმა.

— შინ არ გახლავთ, — თქვა პეტრემ. — ვენახშია, ბარავს.

— ხა, ხა, ხა, ხა, — გულიანად გაიცინა ექიმმა ჯანდიერმა. თან ანას თვალს არ აშორებდა. არც ანას დაუღუნია თავი. — თუკი ვენახშია და თუკი ბარავს, საჩემოდ არ ჰქონია საქმე.

— კარგი ბიჭია, გულიანი, მშრომელი. — თქვა ზოსიმე მღვდელმა და ტუჩები გაიწკლაპუნა. — მადლობა უფალს, მადლობა მასპინძელს. ტკბილი იყო ყველაფერი.

— მოიცა, ადამიანო, ნუ იცი ხოლმე, ასე უცებ წამოშლა. — შეიჭმუხნა ქაიხოსორო, მაგრამ ექიმი ჯანდიერი უკვე ფეხზე იდგა, ანოვანი, ლამაზი, კეთილად მომღიმარი.

— ამის შემდეგ მხოლოდ ქორწილებზე და ძეობებზე მოვსულიყავი თქვენთან. — უთხრა ანას.

ანას ერთმანეთზე ჩაფრენილი ხელები წინსაფრის ქვეშ დაემალა. ექიმს უმალავდა. ახლა, როცა უკვე მიღიოდა იგი, გული წყდებოდა, გრძნობდა, როგორ გამოცარიელებულიყო მის ზურგს უკან ოთახი, სადაც ის იჯდა, ლაპარაკობდა, იცინოდა, პურის გულს ასორსოლებდა. უცებ შესჩვეოდა ამ უცხო კაცს და ყოველგვარი იმედისა, ყოველგვარი დაპირებების გარეშე, უცებვე შეჰგუებოდა მის დაკარგვას, როგორც ბავშვებს სჩვევიათ, წუთები რომ ყოფნით, რათა უცხო ძია, რომელმაც თავი გაუყადრათ, თამაშში აჰყვათ, მათი ჭკუისა გახდა, მეგობრად ჩათვალონ, მთელი არსებით მიეკედლონ, მთელი გულით მიენდონ, მაგრამ ასევე იოლად შეეღონონ და იოლად დაივიწყონ იგი, თუმცა ერთი წამით, სანამ ჯერ კიდევ ესმით იმ უცხო ძიას ფეხის ხმა, უკვე დიდური, საქმიანი, მათი სამყაროდან გამავალი, მათაც ეუფლებათ გაწბილების გრძნობა, უფფსვო, სწრაფწარმავალი, ასეთივე სევდა, მოულოდნელად შეწუვეტილი თამაშის გამო, და ასეთივე ეჭვი, უფროსისთვის შეუფერებელი საქციელით აღძრული. ის მიდიოდა და ანას გული წყდებოდა, გული წყდებოდა და უკვირდა თავისი უსაფუძვლო, ლამის სულელური წუხილი. აი, ცალი ფეხი უკვე შესდგა ეტლის საფეხურზე, ეტლი დაიზნიქა, ცხენმა დაიფრუტუნა

ოთარ ჭილაძე

ყოველმან ჩემმან მკოვნელმან....

და თავი ასწია. აი, უკვე კოფოზე ზის, სადაც აუკრფია, ერთხელ კიდევ იხედება აქეთ, ერთხელ კიდევ იღიმება, ღმერთივით დიდებული, თავისუფალი, თავგზიანი, და მისი ღიმილი მზის შუქებით ეთამუნება ანას სახეზე. „ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე“. — ლოცულობს ანა გუნებაში, შემკრთალი და დაბნეული. შემკრთალი, დაბნეული და ბედნიერი. მერე შინ შერბის, რათა იმისი ხელშენავლები ჭიქა და თეფში გამოარჩიოს, სანამ ჭუჭყიანი ჭურჭელი ერთმანეთში აირეკა. ცალკე გარეცხავს და ცალკე შეინახავს, ეს თეფში და ჭიქა უკვე მხოლოდ იმისია და მხოლოდ **იმის** გამოუტანს, როცა მოვა, თუკი კიდევ მოვა როდისმე. მაგიდაზე დასორსოლებული პურის გული გდია, თიხის პაწაწინა თოჯინის მაგვარი. აშკარად **ატყვია** იმისი თითების ანაბეჭდები. ანა დაუფიქრებლად, გაუაზრებლად იღებს პურის დასორსოლებულ გულს და ჭამს. მხოლოდ ახლა ახსენებდა, რომ მთელი კვირაა, ლუკმა არ ჩაუდია პირში. ეტლი კი მიდის, მიიჩქეფა უკაცურ გზაზე, სადამოს მზე ბეჭებში აცხუნებს კოფოზე მჯდომარეს, ავადმყოფის გასამხნევებლად დალეული ღვინო თავს უმძიმებს, გულისპირზე ჩამოწუწული წამლის სუნი სასიამოვნოდ უღიტინებს ნესტოებში, ჩვეულებრივი ცერეცოს ნახარში, თაფლით გაზავებული, **დასამშვიდებელი,** ზიზღითა და ეჭვით რომ სვამენ სნეულები, ნახეკარს ზედ ასხამენ, კოვზიან ხელს **უჭერენ გამხდარნი,** გალეულნი, გაძვალტყავებულნი, მაგრამ შიშითა და უნდობლობით გაღონიერებულნი, გაღონიერებულნი კი არა, გაკერპებულნი. „რა სჭირს ადამიანს?“ — ფიქრობს ის, კოფოზე მჯდარი, ყველის იმედი, ყველას გამკითხავი, თავად უპოვარი და უამხანაგო, ცხელ კერძსა და მშვიდ ძილს გადაჩვეული, გაუთავებელ გზაზე დამდგარი, ავადმყოფიდან ავადმყოფისკენ მიმავალ გზაზე, ერთფერადან, ერთი და იმავე ფიქრების აღმძერელ გზაზე, ჯოხმომარჯვებული, მხარეზე აბგაჯადაკიდული ესკულაპე, მრავლის მცოდნე **და მრავლის მნახველი,** ეტნელი მოკრძალებისა და სიამაყის ლაბირინთი, მაგრამ სინამდვილეში უვიცი და უმწეო, ყალბისმქმნელი, ფუჭი იმედებისა და ტყუილი დაპირებების ჩამომრიგებელი, დაუმსახურებლად განდიდებული მის შესახვედრად გამოქცეულებული ბავშვისა, აქოთებულ ქვეშაგებზე გადასვენებული სნეულისა თუ გულხლდაკრეფილი, მისი ბოლო სიტყვის მომლოდინე ჭირისუფლის თვალში, რადგან ვერც ის ჩაწვდომია თთავარს, ვერც მას შეუოწვევია დიდი სენის საბუდარში, ადამიანის სულში, ვერც სიმართლე უთქვამს, ვერ გამოეტეხია მის მოიმედე ხალხს, მოურჩენელი სენით რომ არიან ისინი შეპყრობილნი, ქეცი და **მუცლისგვრემა** მოგონილი რომაა იმ ჯოჯოხეთთან, რაც მათ სულში ტრიალებს, რასაც ისინი ნებაყოფლობით ეკვლევინებიან, დაუფიქრებლად, განუსჯელად, რაღაცნაირი, არამიწიერი ნეტარებითაც კი. „რა სჭირს ადამიანს? რა ამბავია მის თავს?“ — ფიქრობს იგი, ცხენის ალაპლაპებულ გავაზე თვალებდაბჯენილი და ხან ყალბად მომღიმარი მაიორი ელანდება, ხან ძმის სახელის ხსენებაზე ყბამოქცეული პეტრე; ხან სიტყვის ბანზე ამგდები ზოსიმე მოვდელი და ხან წინსაფრის ქვეშ ხელებდამალული, დაბნეულად გამომზირალი ანა. შუბლით მიქრიან უკან გზაზე გადმოფენილი ტოტები, სოფელს სოფელი ენაცვლება, სარკმელებში უკვე ჭიატობს ბიისფერი, მშვიდი სინათე, ხანდახან რომელიმე დაუზარელი ძაღილი გამოენთება ყეფით, ბინდი მძლავრობს, გზა ვიწროვდება, ცხენი ბორძიკობს, ეაცივით ხვნეშის, თავის **ფიქრებში** ჩაძირული, გამოვლილი სოფლებისა და მზეზე ნაწოლი მინდვრების სუნით გაღღენთილი, მცოდნე და უსაზღვროდ ერთგული თავისი საქმისა. „რა გვქონს, მეგობარო, რა **ამბავია ჩვენს თავს?!**“ — ეძახის **კოფოზე მჯდარი** და **ცხენს** სიამაყით გული ებერება, პატრონმა გაიხსენა, დაელაპარაკა. ახლა უფრო ხალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიანად მიაპობს უჩინარი მტვრით გასქელებულ წყვდიადს, ზუთრი უთრთის, ბაოფლილი თეძოები ულალაპებს და ყველაფერ ამას სიცოცხლე ჰქვია.

6

ასაკით გიორგას უფრო ეკუთვნოდა ცოლს შერთვა, ვიდრე პეტრეს, მაგრამ ჯერ პეტრე დაქორწილდა, როგორც ურუქელები ამბობდენ — „უფროს ძმას აჯობა“ — და არა მარტო უფროს ძმას აჯობა, არა მარტო ურუქელებს, — ალაზნის გაღმა-გამოღმა ყველას დაუყენა თვალი, ლამის უცხოელი ქალი შეერთო, თანაც უბრალო კი არა, ლიხსიქეთელი, ზღვისპირელი თავადის ასული, რბილ მიწაზე სიარულს მიჩვეული, ნოტიო ჰაერზე ყოფნით გაფერმკრთალებული, ნაავადმყოფარივით ნაზი და სათუთი, ფიქრიანი, თითქოს სევდიანიც, ალბათ ზღვის განუწყვეტელი სიახლოვის გამო; ამაყი და ნებიერი, ალბათ მწვერვალისა და ულგაშების მოკლა-პატრონობის გადაყოლილი მამისა და განუწყვეტელი ყურადღებით გარემოცული დედის წყალობით; ხის ფარფლალარა სახლში დაბადებული, „მჭადითა და პრასით“ გაზრდილი და ამიტომაც, თვალში საცემად გამორჩეული ლიხსაქეთა, გამტკიცული ჰერისა და ერბოიანი, მოშუშული ხახეთ გამოტენილი ნაზუქების ჭამით ლოყებდალაქლაქებული ქალებისაგან, რომლებსაც, სხვათა შორის, მარილა აუჩუყათ გული პატარძლის სიგამხდრემ და სიფერმკრთალემ და, ცნობისმოყვარეობის გარდა, ერთგვარი სიბრალულითაც უცქეროდნენ, როცა პირველად შედიოდა იგი მაკაბელების რკინის ალაყაფში, უდედმამოდ, უდამძოდ, უნათესაოდ, მზითვად მოყოლილი ერთადერთი მოახლის ანაბარა, რომელიც ურუქის ჩაჩჩაბა მზეს საკმაოდ გამოხუნებული ქოლგით უჩრდილავდა თავის ქალბატონს, თავად სახეწამონეებული, ოფლით პირდაცვარული, ნაძალადევად მოდუშული, ნაძალადევად გამეფდიდურებული, მღელვარების დასიფარავად და ღირსების შესანარჩუნებლად, როგორც საერთოდ მარტვილელ სულისა და მხლალი ბუნების ადამიანებს სჩვევიათ უცხო გარემოში მოხვედრისას. პატარძალს ბაბუცა ეჩქვა. ძალქალაძის ქალი გახლდათ, მის მოახლეს კი — ალათია. მოახლის გარდა, ფიცრის პატარა ყუთში ჩარგული ლიმონის ხე მოჰყვა (რომელიც ორი კვირის თავზე გახმა და ყუთიანად გადაგდეს), იმ დროის კვალობაზე საკმაოდ ვრცელი ბიბლიოთეკა, დედისეული ყუთბალიში და მამისეული ხმალი და ჯვარი, რომელიღაც მკვდარი მწერივით რომ ესვენა შვინდისფერ, კიდეებგამოშავებულ ბაბთაზე, როგორც მოყვარული ზოოლოგის კერძო კოლექციის ექსპონატი. სიმდიდრის გულისთვის არც პეტრეს შეფრთავს ბაბუცა, ბევრი შეძლებული ოჭახი ნატრობდა მის სიძოობას, მაგრამ მამის „შეცდომის“ გამეორებას და სისხლის „ურევასად გაუბრალოებას“ პეტრემ ღარბი, ოღონდ კეთილშობილი ქალის შერთვა აჰპობინა, თუმცა მასზე ნამდვილი და მასზე ღირსეული თავადიშვილები სოფდგრების გოგოებზე ნადირობდნენ, ნათხოვარ ჩოხა-ახალუხებში გამოწყობილნი, მხრების თამამით, დარდიმანდულად მომდიმარნი მთელი დღე ქარგასლების წინ დასეირნობდნენ, თავი რომ მოეწონებინათ მომავალი სასიმამროებისთვის, ნემსის ყუნწში ძგრებოდნენ, პეწი რომ შეენარჩუნებინათ, არ გამოჰკლეფოდნენ ქალეხსა თუ ქორწილს, დაუფიქრებლად ყიდდნენ და აგრეავებდნენ წინაპრების ძალებით გაპოხილებულ მიწებსა და წინაპრების აჩრდილებით გამოტენილ ციხე-კოშკებს, საგვარეულო ხატებსა თუ იარაღს, მათი ნებიერი პეპერების, ბებიების, დედებისა თუ დეიდების ნაქონ ყელსაბამსა თუ ბეჭედს, უკანასკნელ წუთს, სამარეში კუბოს ჩაშვების წინ რომ წაეძროთ მიცვალებულის თითიდან, მო-

---

ოთარ ჭილაძე

ყოველმან ჩემმან მკოვნელმან....

ეგლიჯათ კისრიდან, რათა ისიც ჯიბიდან გავარდნილი მაჭანკლებისთვის შეეტენათ და რომელიმე ვაჭრის ოქროს ტომარაზე შემოსაკუბებული, ფერუმარილით ასაკგადაშლილი გომბეშო ჩაეგდოთ ხელში და ასე, მხოლოდ ასე, რადგან სხვა აღარაფერი შეეძლოთ, გამკლავებოდნენ, ცოტახნით მაინც, მათ გასათელად, მათ დასაკნინებლად ამოვარდნილ ქარიშხალს, სამოცდაერთი წლის რეფორმას **რომ** ჩამოყოლოდა ყინულითის **ქვეყნიდან. ქარიშხალი** იყო, აბა რა იყო! **ის ღღის** მერე ძალი პატრონს ვეღარ სცნობდა. უგლეხოდ დარჩენილ ბატონს **კარმიდამო** რჩებოდა ოხრად, **უბატონოდ დარჩენილ** გლეხს კი, თავისუფლება, რომლის არც მოხვნა შეიძლებოდა და **არც** დათესვა. მაგრამ **მაკაბელები** თავიანთი ჭუჭრუტანიდან **უყურებდნენ** ცხოვრებას, არაფერში ერეოდნენ და არც არაფერი აინტერესებდათ, **რაც** მათი გალავანის გადაღმა ხდებოდა, **მათ** არც კრწანისის ველზე დაუზოქათ და არც სამშობლოში გადმოსვენებული პოეტის ნეშტს ჰპყოლიან მთაწმინდაზე. „ჩვენ არ გვეხება, ჩვენ **არ უნდა** ჩავერიოთო“ — ყველაფერზე **ერთნაირად** ამბობდა მაიორი, მაგ**რამ რაც** იმ **დროს** ხდებოდა, მეტნა**ლებად, მაკაბელებზეც ვრცელდ**ებოდა, მათი მტკიცედ ნაგები გალავნის **კედ**ელსაც აწყდებოდა, საღღაც, **ცხრა** მთის იქით, ზამთრის სასახლის **სარკე**საკენ მოპრიალებულ იატაკზე დაბაკუნებული ფეხის ხმა. ბაგრატიონების სიგელ-გუჯარები გამოხეულ შარავალზე ასაფარებლად თუღა ვარგოდნენ, **მაგ**რამ მაკაბელებს მაინც თავი მოსწონდათ კეთილშობილი რძლით და, თქვენ წარმოიდგინეთ, ურუქელებიც მეტი მოწწიწებით, შურიანი მოწწიწებით შესცქეროდნენ ორსართულიან სახლს, თითქოს აბისინიაში მოტაცებული ქალი ესვათ იქ და არა მათი კარის **მეზობ**ელი, სისხლი სისხლთაგანი და **ხორცი** ხორცთაგანი, **საერთო** მტრის გამოგნილი ორმეფობას, **ორპირობასა** და **ორ**გულობას რომ გაეუცხოვებინა, **როცა** სინამდვილეში ერთი ქეციანი, ხარი, **ზურგისხელა ქედით** იყვნენ **ერთმანეთისგან გათიშულნი, როგორც** საწოლშიც მოუსვენარი **ტყუპები** — **მუთაქით.**

— მეშინია, აღათია. — თქვა ბაბუცამ, როცა ისა და მისი მოახლე მარტო დარჩნენ ოთახში და ბარგის ამოლაგებას შეუდგნენ. ბარგი ბევრი არ ჰქონდათ, მაგრამ ყველაფერი ძვირფასი იყო მათთვის, ნაცნობი, სანდო, **სამეღო**, მით **უფრო** ახლა, ამ **უცხო** **გარემოში.** — თითქოს ციხეში ვარ... თავი მიბრუის.

— **რისა, შემოგვევე, რის** გეშინია? აქ არა ვარ. — გაამხნევა აღათიამ და უნებურად მოათვალიერა ოთახი.

აღათია თითისტოლა გოგო ყოფილა, პირველად **რომ** მოუყვანიათ **მიქელაძეებთან.** დიდ ქალბატონს, ბაბუცას ბებიას, ძალით დაუბანნინებია ცხვირპირგამურული გოგო და ნიფხავიც **ძალით** ჩაუცმევია მისთვის, პირველად **თავის** სიცოცხლეში. „უნიფხვოდ აღარ დაგინახო, თორემ თავს მოგჭრი, ხალხში შეგამოწმებ, ხალხში წამოგხდი კაბასო“. — უთქვამს დიდ ქალბატონს და იმ დღის მერე აღათია, ნიფხვის ტარებასთან ერთად, ისე შესჩვეოდა მიქელაძეების ოჯახს, ისე შეუყვარებია, ძალით **რომ** გაეგდოთ, მაინც მობრუნდებოდა **და, რომ** ა**ღარ** მიეღოთ, ჭიშკარზე ჩამოიხრჩ**ობდა თავს. შეიძლება,** ამიტომაც **დარჩა გაუთხოვარი, გათხოვების** დრო სხვათა მოვლა-პატრონობაში გაეპარა, **არც** ფ**ი**თითონ **გახსენებია** და **არც სხვას შეუხსენებია.** მერე დიდი ქალბატონი **მოკვდა** და ბაბუკას დედამ დაიკავა **მისი ადგილი,** ამას კი, ბაბუცა ჩა**უსვეს კალთაში.** ბაბუცა შვილივით **უყვარდა** და ესეც ყოფნდა. საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, ბაბუკას გულისთვის დაუფიქრებლად მოკლავდა კაცს, თუმცა ქათმის დაკვლას ვერ **აყურუბ**ნებ**ენ**დით. ხოლო დიდი ქალბატონ**ს და** დიდი ბატონის სიკვდილის მერ**ე, ლამ**ის ზედ გადაჰფარვოდა, რადგან ბ**აბუცას,** აღათიას **გარდა, სხვა** აღარა-

ვინ ყავდა ახლობელი, ნამდვილად ახლობელი, გული შემატკივარი, გაჩენის დღიდან თვალის მომდევნებელი, რომელიც მისი პირველი კიბის ამოსვლასაც შესწრებია და ქალურის დაწყებასაც. აღათია ბაბუკასთვის დედაც იყო და მამაც, ქალიც და კაციც, სითბოცა და იმედიც და უბრალოდ ამის შეგრძნება, არა მარტო ასულდგმულებდა, არამედ ამაყაკედა და აყოჩაღებდა კიდეც. სხვებს კი ჩვეულებრივი მოახლე ეგონათ.

— აქ არა ვარ! — გაიმეორა აღათიამ. — ეგ ხმალი და ჯვარი კედელზე დავკიდოთ, გამოსაჩენად. არ იფიქრონ, მთლად უპატრონოება ყოფილანო.

რკინის ჯვარი, მკვდარი მწერივით რომ ესვენა შვინდისფერ ბაფთაზე, იმპერატორის რომელიღაც ნათლულს უჩუქებია ლუარსაბ მიქელაძისთვის საჯავახოს სადგურში, სადაც მის შესახვედრად გამოსული თავადაზნაურობიდან მარტო ბაბუცას მამამ, ლუარსაბ მიქელაძემ შესძლო თურმე შვიდლტრიანი ყანწის დაცლა. იმპერატორის ნათლულს, ამ უცნაური სანახობით, ცოტა არ იყოს, შემკრთალსა და გაოგნებულს, რკინის ჯვარი ჯვარი მკერდიდან მოუგლეჯია და იქვე, ყველას თვალწინ, ყველას გულის გასახეთქად გადაუცია ლუარსაბ მიქელაძისთვის, დაცლილ ყანწზე დაყრდნობილი, ძირგამოჭრილ ხესავით ატორტმანებული, გიჟი ხარივით რომ უბღავერდა მოტირალი დედაკაცივით ჩაშავებულს, ავიშვიშებულსა და აკივლებულ ორთქლმავალს, თითქოს გული უგრძნობდა, მის სამფლობელოში ამ უცნაური ურჩხულის შემოჭრას, კარგი არაფერი რომ მოჰყვებოდა მისთვის. ძნელი სათქმელია, მართლა გრძნობდა თუ არა რამეს საჯავახოს სადგურში ატორტმანებული, შვიდი ლიტრა ღვინით გაოგნებული ლუარსაბ მიქელაძე, მაგრამ რაც მის ოჯახს მომავალში დაატყდა თავს, მარტო მისი უყაირათობისა და ქარაფშუტობის ბრალი არ იყო. პატარა, შავად გამეურულმა ორთქლმავალმა, ცეცხლსა და ჭვარტლს რომ აფრქვევდა, ახალი დროებიდან მოიყოლა თან, ხოლო ახალმა დროებ, სხვა ყველაფერთან ერთად, ცხოვრების ყაიდაც შეცვალა. ნაზი და მეოცნებე მეუღლის მოულოდნელმა სიკვდილმა ხომ უარესად აიჩქარა, უარესად აამჩატა ლუარსაბი, მამულები დააგირავა და თავისი ერთადერთი ქალიშვილიანად თბილისში გადასახლდა, სადაც უკვე საკმაოდ მოეყარა თავი მასავით გუდაფშუას, იმპერატორის სამსახურისა და იმპერატორის წყალობის მაძებელს. გადარჩენისა და ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივების ჟინს ისე გაეცოფებინა და ისე გამოეთაყვანებინა ყველანი, მამა შვილს ვეღარ სცნობდა და შვილი — მამას: მეფისნაცვლის სასახლეში გამართულ მეჯლისებზე რომ მოხვედრილიყვნენ, ხელის აუკანკალებლად ჩაუყრიდნენ ერთმანეთს საწამლავს, ოდესღაც ღირსეული და ერთგული მამულიშვილები. ლუარსაბ მიქელაძე ალბათ იქაც გამოირჩეოდა, ალბათ, იქაც გააწბილებდა სხვებს, როგორც ერთხელ გააწბილა, საჯავახოს სადგურზე, მაგრამ ბედმა უმტყუნა, აღარ დასცალდა, ძვალ-რბილში გამჯდარმა სიამაყემ დაღუპა. ან რა გასაკვირია, კაცი თავზე ბუზს არ ისვამდა და ვიღაც ქალაქელი ვიგინდარას გადაბრუნებულ სიტყვას როგორ მოითმენდა, სუფრაზე რომ აუტყდა, გინდა თუ არა, ულვაშები მომყიდეო. ყველაფერი კი ამით დამთავრდა, რომ გამთენიისას, როცა ჯერ კიდევ ეძინა ქალაქს, (თუმცა ბაბუცას და აღათიას რა დააძინებდათ! ღამის პერანგებზე თავშალმოხვეულები, მობუზულები ისხდნენ ნასხვისარ ტახტზე, ნასხვისარ კედლებს შორის და გულისფრიალით ელოდებოდნენ საქეიფოდ წასული ლუარსაბის დაბრუნებას) ორმა მეეზოვემ და ერთმა გოროდოვიმ ძლივს გამოიტანეს ორთაჭალის ბაღებიდან ყელგამოჭრილი ლუარსაბ მიქელაძის უზარმაზარი,

გალურჯებული და გასივებული გვამი. **ამის** შემდეგ ბაბუკას **ისდა** დარჩენოდა, მაჭანკლისთვის დაეჯერებინა, თბილისიდან მისთვის კიდევ **უფრო** შორეული და უცნო ურუქში გადასახლებულიყო, მაკაბელების რძალი გამხდარიყო **და** სამუდამოდ აეღო ხელი გულურსავლო ოცნებაზე, რომლისაც მარტო თვითონ და სულელ აღათის ჯერიოდა და რომელიც მზეჭაბუკის მოულოდნელ გამოცხადებას პირდებოდა, იმ ოქროს კულულებიანი მზეჭაბუკისას, ზღვის პირას ამართულ ბროლის კოშკში რომ წაიყვანდა, სადაც **ვარ**დის სურნელითა ჩამინებულს იადონების ხმაზე გამოეღვიძებოდა. სამავიროდ, ქმრის სახლს რკინის ალაყაფშებმული ვალავანი ჰქონდა შემოვლებული, ციხესავით პირქუში და შეუვალი იყო და ცხოვრებისგან გაწბილებულ ქალს თავისუფლად შეეძლო შიგ ჩაკარგა, ყოველგვარი ოცნების დავიწყება და მშვიდად, შეუჭმნესელად ცხოვრება საქარგავითა და წიგნებით. **მაგრამ** ბაბუკა პირველსავე დღეს შეაშინა ამ სახლმა, თავისი ნახევრად ბნელი ოთახებით, სქელი კედლებით, დაძაბული, მოგუდული ხმებით, ამ კედლებს შორის რომ ბუდობდნენ, უჩინარი არსებებივით, თითქოს ბაბუკას გულის გასახეთქად და დასაშინებლად. ბაბუკა კი, ისეთი მხდალი ბუნებისა გახლდათ, ფეხსადგილშიც ვერ წავიდოდა დაღამებულზე, აღათის რომ არ გაეცილებინა ჭრაქით.

„ისიც არ ეცოდინება, ვის გააჩენს, ვისი დედა იქნება“ — ფიქრობდა ზოსიმე მოდელი, როცა საკურთხევლის უკან ეპიფანე დიაკვნის დახმარებით ირთვებოდა, ემზადებოდა პეტრესა და ბაბუკას შესაყოლებლად. არასოდეს არ უფიქლია ასე, ხელები უცახცახებდა, წარამარა ისწორებდა ფართე, ოქრომკედით ამოქარგულ ოლარს, უმიზეზოდ დაჰყვიროდა ეპიფანე დიაკვანს, თითქოს სასიკვდილო განაჩენის აღსასრულებლად მიდიოდა და არა ორი ახალგაზრდის გასაბედნიერებლად.

ჰაეროვანი და კდემამოსილი ბაბუკა საკმაოდ ნაყოფიერი დედაკაცივ. ალბომრჩდა და თითქმის ერთმანეთისაგან. ბაყოფილებით სამი შვილი გაუჩინა პეტრე მაკაბელს: ჯერ ალექსანდრე, მერე ნიკო (ნათლობის წიგნში — ნიკოლოზი) და ბოლოს — ანეტა (ნათლობის წიგნში — ანა, ბებიის საპატივსაცემოდ). პეტრე დამშვიდდა, ახლა ვეღარავინ გაუბედავდა პირველობაში შეცილებას. გიორგა, გინდაც ნამდვილი ძმა ყოფილიყო მისი და გინდაც ორჯერ უფროსი, მაინც ვერ მოვიდოდა მასთან, ცოლიან კაცთან, სამი შვილის მამასთან, რომელსაც თბილისელი თუ თელაველი სრაჯებიც მოკრძალებითა და რიდით ელაპარაკებოდნენ, აფასებდნენ და ყოველთვის უფამბდნენ, რადგან პეტრე თავის სიტყვას მაინც არ გადაუხვევდა, ღვინო გინდაც აძმარებოდა, მაინც აღარ დაუკლებდა ერთხელ დადებულ ფასს. ლაპარაკისას ყელეტის ვიწრო ჯიბდან ბალმალე იღებდა საათს, ხელისგულზე იდებდა და დასცქეროდა, თითქოს დრო განსაზღვრული ჰქონდა, წუთი-წუთზე გამოთვლილი და, თქვენ წარმოიდგინეთ, სირაჯებზე მარილა მოქმედებდა საათის წიგნიკი, უნებურად ისინიც ჩქარდებოდნენ, უნებურად ისინიც დასცქეროდნენ ხელისგულზე დასვენებულ საათს, განუწყვეტლივ რომ წიგნიკებდა თავისი პატრონის სასარგებლოდ და იმ წიგნიკის ბრალი იყო თუ რა იყო, თითქოს დაცოცავდა კიდეც, ერთ ადგილას ტრიალებდა, ფრთებადაგლეჯილი მწერივით. პეტრე უკვე კაცი იყო, საქმისა და ოჯახის პატრონი, ქუდის მოხდით ესალმებოდნენ, ჭკუას ეკითხებოდნენ, ხოლო გარეგნასა დუქანში რომ შევდოდა, ყველანი ჩუმდებოდნენ, განზე გადგებოდნენ ხოლმე და ხელებში შესაცქეროდნენ, რას აირჩევდა, რას იყიდდა და რამდენს. (ერთხელ პეტრემ, მხოლოდ იმიტომ, რომ ტალახიანი ფეხსაცმელი გაეწმინდა, ჩითის თოფს მთელი არმინი შეახია, საიდანაც თავისუფლად გამოიჭრებოდა ხუთი წლის ბოგოს კაბა და სათავსაფრეკე მორჩებოდა. იქვე,

დუქანშივე შეიხოცა იმ ჩითით მარილს ტომარაზე რიგრიგობით შემოდგმული ფეხები და მერე, დაჭმუჭნული და გაბინძურებული, კუთხეში მოისროლა). გიორგა კი ბიჭად დარჩენილიყო **ისევ**, მაგალითი ტუჩებმოთხუპნული ბრუნდებოდა ვენახიდან, ხან ოფოფის ბარტყს მოუყვანდა უბით ძმისშვილებს, ხან კი, სამხრის ნარჩენივით, ცოცხალი ზღარბი ყავდა ხელაბანდში გამოკრული. ბიჭები, მის დანახვაზე, ყიჟინით მიაწყდებოდნენ ხოლმე რკინის ალაყაფს. როგორც თავი ეჭირა და როგორც ისსახურებდა, ბავშვებიც ისე ექცეოდნენ, შინ მობრუნებულს ოფლიანი პერანგის გამოცვლასაც არ აცლიდნენ, მიწაზე აგორებდნენ, ზურგზე ასხდებოდნენ, როგორც სასედარს, და თვითონაც თითხნებოდნენ იმისი ოფლითა და ტალახით. ხოლო, როცა მასთან ნაბღალაძენებ ბავშვებს აღათია ხელმეორედ ბანდა სპილენძის დიდ ტაშტში, იმ სულელს წყინდა და მხრებაწურული, ბრაყვულად გაღიმებული, ისახდა: რა იყო, ჭირიანი ხომ არა ვარო. გიორგა ყველასთან პატარა იყო, უფროსობა არ გამოსდიოდა, ასაკი ემატებოდა, მაგრამ არ ეტყობოდა, ლეკვობაში არაყდალეული ძაღლივით სულ ლეკვად დარჩენილიყო, სულ სხვისი ელის შემყურედ. პეტრეც დედაზე უფრო იყო ნაწყენი, ვიდრე გიორგაზე, რადგან გიორგა ყველაფერს უსიტყვოდ უთმობდა, არასოდეს უთქვამს — ჯერ მე და მერე შენო, ხოლო დედა, რაც თავი ახსოვს, სულ უკან ეწეოდა, გიორგა რომ გამოეგდო წინ. ჯერ ეგ არიო, პატივი უნდა სცეო, ეგ სხვანაირი გულის ბიჭიაო და, რა ვიცი, რაღის არ იგონებდა, პეტრე რომ დაეჩაგრა, თანაც უსამართლოდ, რადგან ამ სახლში, ამ ჭერქვეშ პეტრე იყო პირველიცა და ერთადერთიც, რომელმაც მამის ვინაობაც იცოდა და დედისაც. ვინ რა იცის, რა ცეცხლი ტრიალებდა პეტრეს გულში, როგორ ტანჯავდა დედის უსამართლობა! რამდენი რამე მოუთმენია, რამდენი **შხამი** და ბაღლიმი ჩაუყლაპავს ისევ დედის ხათრით, თუმცა არც ეს გაემტყუნებოდა, საერთოდ უარაფერსაც ეთქვა ასეთ დედაზე, ასეთ ქალზე, რომელიც მამამისის სიკეთის გამო გახდა მხოლოდ მისი დედა და იმის მაგიერად, რომ თავი ჩაეღუნა, ენა მუცელში ჩაეგდო, კანონიერი ქმრისა და შვილის დასანახად მაინც დაეეგზეგებინა თავისი ბნელი წარსული, რაც სხვებმა დაუვიწყეს, აპატიეს და შეარგეს, ის წარსული ნათესლარის ისე დაჰფოფინებდა, ცეცხლი წაეკიდებოდა ხოლმე სახეზე, ვინმე თუ გაეხუმრებოდა, ანდა რამეს დაავალებდა, რამეზე დასასქმებდა, თითქოს მეფის შვილი იყო გამოძიძავებული და არა ვიღაც ვლეხაჯუას ნაშიერი. კი, ბატონო, ისიც ყვარებოდა, ვინ დაუშლიდა, ან ვისი რა საქმე იყო, მაგრამ სხვა რაღაზე უნდა მოიძულო, იმ სხვამ რა დააშავა, გარდა იმისა, რომ მოთმინებით უცდიდა ღმერთის ნებასურვილის აღსრულებას, თავისი ჯერის დადგომას. მართალია ნაქურდალი ხილი ტკბილია, მაგრამ რატომ უნდა გერჩიოს იგი შენს საკუთარ ბაღში დაკრეფილს, თუკი... არა, პეტრე გუნებაშიც არ იტყოდა იმას, რასაც დედამისი იმსახურებდა, მაგრამ ნურც იმის თქმას მოსაოდნენ ხმამაღლა, რაც არ დაემსახურებინათ.

ცოლ-შვილმა პეტრეს პირველობის, უპირატესობის რწმენაც განუმტკიცა და ის შეფითვა და წუხილიც დაავიწყა, რაც ადრე, მოულოდნელად გამოფვიძებულს, დედის ცარიელი ლოგინის დანახვაზე ეუფლებოდა. „იქ არის, ისევ იმასთანა“ — ეროსავით ჩაჰკრავდა ხოლმე პეტრეს თავში, მაგრამ ახლა, ყურადღებიანი და მორჩილი მეუღლის გვერდით ჩათბუნებებულს, აღარც თავი ჰქონდა და აღარც სურვილი, ეეჭვიანა გომეფის ბინადრებზე, ქურდებივით ყურადაცქვეტილნი რომ ისხდნენ ბნელში, სახედრის შარდის სუნით გაღეღნთილ კედლებში, და ჩურჩულით ეფი-

ოთარ ჭილაძე
ყოველდან ჩემმან მკოვნელნან...

ცებოდნენ ერთმანეთს საყვარულს. თუ ვინმე ეცოდებოდა პეტრეს, ისევ მამა-მისი. მამას თაყვანს სცემდა, აღმერთებდა, იმ დღიდანვე, როცა საბოლოოდ აეხილა თვალი და მთელი ბრწყინვალებით აღიქვა ივი. პირველი, რამაც სამუდამოდ აღაფრთოვანა და რამაც სამუდამოდ გააამაყა, მამის მუნდირი იყო, ბრჭყვიალა ღილებითა და ეპოლეტებით გაწყობილი, მოკრძალებისა და პატივისცემის ჩამნერგავი. მერე, ჭკუაში რომ ჩავარდა, ეს შთაბეჭდილება არ განელებია, პირიქით, უფრო განუმტკიცდა, მაგრამ ერთი რამის გაგება უჭირდა მხოლოდ, ასეთმა კაცმა, როგორადაც მამა ეხატებოდა, რატომ შეირთო ასეთი ქალი, როგორიც დედამისი იყო, თანაც ასეთი წარსულის მქონე: რა საერთო ჰქონდათ, რა შეიძლებოდა ჰქონოდათ საერთო ქვეყანამოვლილ კაცსა და უპატრონოდ გაზრდილ ქალს, რომელიც ერთნაირად თავჩაღუნული, ერთნაირად დარცხვენილი ელამპარაკებოდა სტუმარსაც და შინაურსაც, არც ღიმსება გააჩნდა და არც სიამაყე, თითქოს მონად გაეჩინა ღმერთს, და ვისაც მოეპრიანებოდა, ის გადაიყვანდა ბოსტანში, რადგან ვერავის გაუბედავდა უარის თქმას. მამის სიკეთე და კეთილშობილება ცოტა იყო ამ შეუღლების ასახსნელად, სხვა მიზეზიც არსებობდა და, ალბათ, სათაკილო, რაკი ვერც თვითონ ეკითხა მამისთვის და ვერც მამას გაემხილა აქამდე. მამას რომ დედამისი არ უყვარდა, ეს დიდხანია იცოდა და ამის ცოდნა ამშვიდებდა ცოტათი, რადგან დედა სხვაა და ცოლი სხვა, დედა, შეიძლება კუზიანი იყოს და გიყვარდეს, სოფლის გიჟივით შარაშარა დაწანწალებდეს კაბაწამოხდილი და მაინც გიყვარდეს, რადგან იმის გაჩენილი ხარ, ღმერთმა დაავალა იმას შენი დედობა და ამით თავიდანვე, გაჩენამდე მოგისპო შენ არჩევანის უფლება. ამტომ ვერავინ დაგძრახავს მახინჯი თუ გიჟი დედის გამო, რადგან იმავე ღმერთმა, რომელმაც შენ დედის არჩევის უფლება წაგართვა, სხვებს — თავისთავად, შენი განკითხვის საშუალება მოუსპო. ცოლი კი სხვაა, ცოლს კაცი ირჩევს და ეს ... ჩევანში გამოჩნდება ხოლმე კაცის გემოვნებაცა და ღირსებაც. მაგრამ, რაც არ უნდა გემოვნებიანი და ღირსეული იყოს კაცი, მაინც შეიძლება, შეეშალოს არჩევანი. ეს უკვე ბედის საქმეა. ბედის კი არა — უბედობის. ასე მოუვიდა მამამისსაც, ბედმა არ გაუმართლა. აკი თვითონვე უთხრა: მე რაზედაც ვოცნებობდი, შენ აგისრულა ღმერთმაო. პეტრეს თვალში ქაიხოსრო გაცილებით მეტის ღირსი იყო, მაგრამ ისღა უმშვდებდა გულს, მამის უბედურება უბედობის ბრალი რომ იყო და არა უგემოვნებისა. „როგორც გაჭირვებული კაცი სირცხვილს აღარ დაგიდევს და პირველსავე მოფარებულ ადგილზე ჩაკუნცხდება, მეც ისე ვარ, შენთან რომ ვწვებიო“. — უთხრა ერთხელ მამამისმა დედამისს, დიდიხნის წინათ, როცა პეტრე პატარა ბიჭი იყო და ბევრი არაფერი გაეგებოდა ამ ქვეყნისა. ვერც ამ სიტყვების აზრს ჩასწვდა მაშინ, მაგრამ მამის ნათქვამი სამუდამოდ დაამახსოვრდა და დიდხანს აწვალებდა მისთვის ჯერ კიდევ გაუგნარი სიბილწითა და სიმკაცრით. ეს სიტყვები მის გასაგონად არ იყო ნათქვამი, მაგრამ, ეტყობა, ღმერთს უნდოდა, პეტრესაც რომ მოესმინა ისინი, მოესმინა საიდუმლოდ, ქურდულად, რადგან მოულოდნელად გამოღვიძებული, ღმერთმავე აიძულა, გატრუნულიყო ლოგინში, ისევ მოემძინარებინა თავი იმის სანახავად და მოსასმენად, რაც ჯერ მისთვის ადრე იყო, მაგრამ ადრე თუ გვიან მასაც უნდა სცოდნოდა, რადგან ამის ცოდნამ, უფრო სწორედ, როცა შემთხვევით ნანახი და გაგონილი თანდათანობით ცოდნად იქცა, ბევრი სხვა რამეც თავისთავად ნათელი გახდა მისთვის. პეტრეს რომ იმ ღამეს გამოეღვიძა, არც მის მშობლებს ეძინათ, ერთად იწვნენ, ერთ ლოგინში და, პირველად ისე მოეჩვენა, თითქოს რაღაცაზე ეძიძგილავებოდნენ ერთმანეთს, თითქოს მამა რაღაცის წართმევას უპირებდა დედას,

დედას კი, ის რაღაც მაგრად ჰქონდა ორივე ხელით ჩაბღუჯული და არ ანებებდა. უხმოდ იბრძოდნენ, თითქოს სუნთქვასაც ძალით იკავებდნენ, ალბათ, პეტრე რომ არ გაეღვიძებინათ, და მარილაც იყო მათ ბრძოლაში რაღაც დასამალი, შემაშფოთებელი, შემაწუხებელი და დამძაბველი. თვითონაც სუნთქავ შეეკრა, ლამის გული ამოუხტა საგულედან, იგრძნო, დანაშაულს ჩადიოდა, თუნდაც უნებლიე მოწმე რომ გამხდარიყო დედისა და მამის ამ უცნაური სიახლოვისა. ცოტახნის მერე მამამისი წამოდგა, იატაკზე, საწოლის ფეხთან დადგმულ ლამპას დაწვდა და ოთახიდან გავიდა, თუმცა იქამდე ის სიტყვები უთხრა დედას, რომლებმაც დიდი ხნით დაუკარგეს პეტრეს მოსვენება, თავიანთი იდუმალი სიუხვშით, დაუნდობლობითა და სიბილწით, რაც ასე რიგად ესადგებოდა მისი მშობლების იმდამინდელ საქციელს. იმ ღამის მერე მშობლები მისთვის გამოცანად იქცნენ, ხოლო როცა, დროთა განმავლობაში, მამის ნათქვამში ჩამალული აზრის ამოკითხვა შეძლო, მამა შეეცოდა, თუმცა არც მერე შეცვლია რწმენა მამის სიდიადისა და განსაკუთრებულობისა, რაც ამბის სუნით გაეღვენთილი მუნდირიდან გადაედო თითქოს, როცა იგი, ჯერ კიდევ თითის ტოლა ღლაპმა, სხვების უჩოქრა, მუხლების კანკალითა და გულის ფრიალით, კი არ ჩაიცვა, ნაბადით მოიხურა, ერთი წამით, ძმის და უხეში, მხურვალე და საიმედო, როგორც დაკაცებაზე, მამობაზე, ოჯახის უფროსობაზე ფიქრი. ის ფიქრი, საბედნიეროდ, წარსულს ჩაბარდა. პეტრე დაკაცდა კიდეც, მამაც გახდა და ოჯახის უფროსიც; მისი ჩარევისა და ნებართვის გარეშე თეფში არ გადადგილდებოდა სახლში, ჩიტი ვერ გამოკენკავდა მარცვალს ვენახში, რადგან თვითონ ქაიხოსროომ მოინდომა ასე, უფროსიც შენ ხარ და უმცროსიც, ყველას გასაგონად გამოუცხადა ქორწილზე, და ამის მერე, რაღა თქმა უნდა, გიორგა თავისთავად ამოირიცხა სათვალავიდან, თუმცა არც იქამდე ეკითხებოდნენ რაზე.

ახალმა დიასახლისმა ახალი წესები დაამკვიდრა. ახლა საღამოობით ყველანი თეთრი ფაიფურის მუცლიანი ლამპით განათებულ ოთახში იკრიბებოდნენ და სულგანაბულნი უსმენდნენ მძიმე, ყდაგაქეცილი წიგნებიდან ბაბუცას მრთოლვარე ხმით ამოკითხულ ამბებს. ბავშვებზე ნაკლებად, არც დიდეს სიამოვნებდათ სხვათა თავგადასავლების მოსმენა. კითხვა თავადაც იცოდნენ, მაგრამ ბაბუკას უნებართვოდ ვერავინ გაბედავდა მზითვებში მოყოლილი ბიბლიოთეკიდან წიგნის გადმოღებას, თვალის ჩინებით უფრთხილდებოდა და დღეში სამჯერ ინდაურის ფრთით გადასწმენდდა ხოლმე მტვერს ბიბლიასა თუ სახარებას, ვეფხისტყაოსანსა თუ ყარამანიანს, დაუჯდომელსა თუ ბარბარე ჯორჯაძის საოჯახო წიგნს, უმალ საკუთარ სამკაულებს მისცემდა ბავშვებს სათამაშოდ, ვიდრე დაუკითხავად და დაუდევრად გადაალეწინებდა რომელიმე მათგანს. თანაც, დიდებისა არ იყოს, ბავშვებსაც მოსმენა ერჩიათ კითხვას, ისინი თითის მიუყოლებლად და სიტყვის დაუმარცვლავად ჯერ კიდევ ვერ კითხულობდნენ და წინადადების ბოლოში გასულებს წინადადების თავისა ალარაფერი ახსოვდათ. ბაბუკა კი, მშვიდად, აუჩქარებლად, მკაფიოდ, წაუბორძიკებლად, გადაბმულად, ხმის რაღაცნაირი სინარნარით კითხულობდა და გეგონებოდათ, თეთრი, გაფუჟული ლამპის შუქით განათებულ ოთახში მთვარის ყვითელი ფოთლებით გადაპენტილი ნაკადული მოწკრიალებსო. დიდებიც და პატარებიც გაფაციცებულნი უსმენდნენ ამ იდუმალი ნაკადულის წკრიალს, რომელსაც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაყავდა მსმენელები, ქაღალდის გემებივით თავის ნებაზე მიშვებულნი, გამსუბუქებულნი და გათავისუფლებულნი ყოველგვარი

ოთარ ჭილაძე
ყოველმან ჩემმან მკოველმან....

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზრუნავისა და ტვირთისაგან; შეყავდა ისინი ზღაპრულ ციხე-კოშკებში, რომლებშიაც გმირები და მზეთუნახავები ცხოვრობდნენ და შეუმჩნეველად, ჩაურეველად, თითის გაუნძრეველად, მათი არარაგეულებრივი ბედისა თუ უბედობის მონაწილეებად, მოზიარეებად ხდიდა. მაგრამ ამ მღელვარე სიმყუდროვეში კარადისნელი საათის ხმა შემოიჭრებოდა ხოლმე მოულოდნელად და თვალისდახამხამებაში ყველას ისევ დიდი, ვაფფუყული ლამპის შუქით განათებულ ოთახში აბრუნებდა, ერთხელ კიდევ ახსენებდათ, მათი გამოთიშვა განსაზღვრული რომ იყო, დროებითი, წარმავალი, წიგნში აღბეჭდილი ამბებისგან განსხვავებით.

— ეგრე მხოლოდ წიგნებში ხდება. — ეუბნებოდა ქალიხორო ბავშვებს, თვალანთებულნი, მღელვარებისგან დაძაბულნი, ხარბად, მთელი არსებით რომ უსმენდნენ დედას.

მამამთილის ამ უადგილო და უსაფუძვლო შენიშვნით გამწყარალი და გაკვირვებული ბაბუცა, წარბებს მკაცრად შეწკიპავდა ხოლმე, როგორც მასწავლებლებმა იციან მოუსვენარი მოწაფის გასაფრთხილებლად: ხოლო პეტრეს, იმდენად წიგნიდან ამოკითხული ამბები არ აღფრთოვანებდა, რამდენადაც მეუღლის სიტკბიანე და სიდარბაისლე.

„ბომ-მმმ, ბომ-მმმ, ბომ-მმმ“ — დაუნდობლად, დაუზოგავად რეკავდა კარადისხელა საათი და ეს ყღრიალა, მბრძანებლური ხა, ცოტა არ იყოს, შეშაფოთებელი ხმა ბაბუცას წიგნს ახურვინებდა, რა საინტერესო ადგილმდეც არ უნდა ყოფილიყო მისული, ბავშვებს საწოლებისკენ მიელალებოდა, როგორც არ უნდა გასძალიანებოდნენ უეცრად გამკაცრებულ უფროსებს, კაცებს დილით გასაკეთებელ საქმეს ახსენებდა, რაც არ უნდა მომაბეზრებელი ყოფილიყო ის საქმე, ქალებს ერთხელ კიდევ ამოწმებინებდა, რამე ხომ არ დარჩენოდათ დასაბინავებელი, თავის ადგილზე დასადები, და საკუთარი სიფხიზლითა და სიზუსტითა [illegible] ფილი, ისევ ხარბად, ისევ ფაცაფუცით აგრძელებდა წმიდის თვლას, როგორც საგანძურში შეპარული ავაზაკი ფულისას, რომელმაც კარგად იცის, დაყოვნება მისთვის დაღუპვას რომ ნიშნავს, მაგრამ მაინც ვერ მოუთმენია, ვერ მოერევია ცნობისწადილს და ეკვე, აუწრელი, დაულეველი სიმდიდრის ხილვით გათავხედებული, ითვლის სხვის საკუთრებას, ითვლის, ითვლის და მზადაა უსასრულოდ ითვალოს კიდევ, თუკი არ მოუსწრეს, თუკი ძალით არ აიღებინეს ამ საქმეზე ხელი. ბავშვები თავიანთ დაუძინებელ მტრად თვლიდნენ ამ მოუსყიდველსა და ყოვლისშემძლე ყუთს, სათამაშოდ განკუთვნილ დროს თვალისდახამხამებაში რომ ნთქავდა, როგორც მათი პაპის ღორი — სალაფავს, ხოლო სადღესასწაულო დღის გათენებას საშველს არ დააყენებდა ხოლმე. იმღენი კი აღარ იცოდნენ, მათი უდარდელი და ტკბილი ბავშვობაც, თავად აუტანლად და მწარედ რომ ეჩვენებოდათ, ამ საათთან იყო დაკავშირებული, ამ საათს ეჭირა ფოლადის ორი ისრით, როგორც ჰპეკლა ორი თითით, და როცა მოუპრიანებოდა, მაშინ შეაწყვეტდა ფრთებს. ბავშვები ერთმანეთს ზრდიან, ერთმანეთი გამოყავთ ბავშვობიდან, როგორც დიდებს ბრძოლის ველიდან, ანდა ცეცხლწაკიდებული სახლიდან, რადგან ადამიანის ბუნება საფუძვლიანად ვერც ერთ ასაკს ვერ ეგუება, შემდეგი, უფრო ზემო საფეხური მიაჩნია სრულყოფილად და, ამიტომაც დაუნანებლად, უკეთესობის იმედით გადადის ერთი ასაკიდან მეორეში, სანამ ბოლო საფეხურს მიაღწევდეს, რომელსაც სიბერე ჰქვია, რომლის იქითაც აღარაფერი ღორია, და სწორედ მაშინ, ხელმეორედ ამოტიტვლდება ხოლმე ადამიანის სულსა და გონებაში მისი ცხოვრების პირველი საფეხური, იმ პირველ საფეხურზე შემომდგარი, სულის შემძვრელად ნორჩი არსება, რომელიც თვითონ იყო ოდესღაც, თუმცა ახლა ისევე გვანან ისინი ერთ-

მანეთს, როგორც თავკომბალა და გომბეშო, ანდა თავთავი და დაობებული პურის ყუა, მაგრამ იცის, რომ ის, პირველ საფეხურზე შემოდგარი და თვითონ, უკანასკნელ საფეხურზე ჩამომჯდარი, ერთიდაიგივე არსებაა, ორად გაყოფილი, არა, ორ უკიდურეს წერტილს შორის გაბმული, გაჭიმული, სიმივით, სიმივით კი არა, ჭიაყელასავით, რომელიც სადაცაა გაწყდება, სადღაც, შიგნით, საკუთარ არსებაში და ყველაფერი გათავდება, მაგრამ ერთბაშად კი არ მოკვდება, არამედ ნაწილნაწილ, უფრო ზუსტად — ორჯერ, ჯერ პირველ საფეხურზე, მერე — უკანასკნელზე, ჯერ თავს მოუკვდება და მერე ქვეყანას. ბავშვობა მხოლოდ მაშინ არცს სინანულის გრძნობას, როცა კარგახნის დამთავრებულია იგი, როცა წესიერად ადარც გვახსოვს, როცა ამ სათუთი და ვარდისფერი ჭურჭლის მხოლოდ რამდენიმე ნამტვრევია ბრჭყვიალეს დაბერებული სულის კუნჭულში, როგორც ხელმეორედ გათხრილი სამაარხის ფსკერზე, და როგორც არ უნდა ვეცადოთ, იმ ნამტვრევებისგან მაინც ვეღარ შეკეთებთ სწორედ ისეთ ჭურჭელს, როგორიც ის იყო ოდესღაც და მაინც ბოლომდე ვერ ამოვიცნობთ იმ ჭურჭლის დანიშნულებას.

ქაიხოსროს ძველმა სიზმრებმა გაუხსენეს. სიზმარში ისევ ხუთი წლის ბიჭი იყო და ისევ სუნთქვაშეკრული მიქროდა ავად აპრიალებული ქვაფენილისკენ, რომელიც, ამავე დროს, თითრის დაკრეჭილ კბილებსაც ავონებდა. ქვაფენილიდან წამომხტარს, მუხლებგადატყაულს, ორი თვის მკვდარი გოგო მოსდევდა, ყოჩის რქებისნელა ულვაშებს მოაფრიალებდა და მოსძახოდა: არ მოგეშვები, სანამ არ მეტყვი ვინა ხარო. „ნოე ვარ, ნოე ვარ, ნოე ვარ“ — ყვიროდა ოფლში გაღვრილი, საბანგადამძარული, პერანგის საყელოში ხელებჩაფრენილი. სიზმარში კი გარბოდა, აღარ თავდებოდა თბილისის დაკლაკნილი, ვიწრო ქუჩები. როცა ეგონა, ესაა გავაღწიეო, ორსართულიანი, ხის აივნიანი სახლი გადაუჭრიდა გზას. ჭუჩა კი, ერთხელ კიდევ იზნიქებოდა წელში, როგორც ნუჟრს წამოდებული ხერხი, ერთხელ კიდევ გვერდს უვლიდა იმ სახლს, მოულოდნელად, ულანასკნელ წამს, როგორც ღამურა ბნელში გარინდულ ტოტს, და ისევ მისრიალებდა, მიეცოცავდა, მოფარფატებდა ცეცხლით გამურულ კედლებს შორის, გადადიოდა უკაცურ, სახტად დარჩენილ ხიდებზე, წვიმის დანატოვარი გუბისხელა მოედნებზე და არ თავდებოდა, არ თავდებოდა, თითქოს საკუთარი კუდი პირით ეჭირა. „ბიჭს უშველეთ, ბიჭს უშველეთ, ბიჭს უშველეთ“ — ქალის ხმით ყვიროდნენ ჩანნელეპული ფანჯრები, ბოქლომდადებული დარაბები, ყრუ, ჩაკარგული ეზოები, ბინდჩამდგარი თაღები, მოულოდნელად შეშვებული კიბეები, გაშეშებული, ენაშეხსნილი ზარები — და ქაიხოსროს ეღვიძებოდა, გაშტერებული, ნირწამსდარი, უაზროდ მომიმაძარი უსმენდა სახლში გამეფებულ სიჩუმეს. შვილიშვილებმა ქაიხოსროს ყველაზე მკაცრი, ყველაზე მიუდგომელი და მოუსყიდველი მტერი გაახსენეს: სიბერე და სიკვდილი, ბუნებრივი და გარდაუვალი დასასრული ადამიანის სიცოცხლისა, რომელსაც ვერც ქაიხოსროო დაუშერდა იმ სამიოდე ლიტრა სისხლს, რომლის გადასარჩენადაც ცხოვრობდა იგი საერთოდ. ხოლო, ერთ მშვენიერ ღამეს, ამგვარი სიზმრიდან გამოფიზზეზეულმა ქაიხოსრომ გამაოგნებლად იგრძნო, რომ ამდენი განსაცდელის გადამტანსა და ამდენი მტრის პატრონს, ყველაზე მეტად საკუთარი შვილიშვილებისა ეშინოდა. ალბათ უყვარდა კიდეც ისინი, რაკი შეაშფოთა ამ აღმოჩენამ, მაგრამ უფრო ეშინოდა, ვიდრე უყვარდა. შვილიშვილების ყოველდღიური, თვალნათელი ზრდა, მისი დაბერებისა და მოახლოებული აღსასრულის დადასტურება იყო და მეტი არაფერი. იმ ღამიდან მოყოლებული

ოთარ ფილაძე
ყოველმანი ჩემმან მკოვნელმან....

სამი ბავშვი ქერუბიმის სამ საყვირად ქცა მისთვის და როცა მათი ჟოვილ-ხვილი ესმოდა, ტანი ებერძნებოდა, ხელ-ფეხი უსუსტდებოდა, მზად იყო სიტყვის შეუბრუნებლად, ბოლომდე გაუზრებლად შეესრულებინა ყველა მათი ინიმება, რაც არ უნდა უაზრობად და სისულელედ მოსჩვენებოდა იგი სხვებს. ქაიხოსროს ახლა ერთადერთი ოცნება ჰქონდა, ისიც სულელური, თვითონვე გრძნობდა ამას, მაგრამ მაინც ჯიუტად ოცნებობდა, არასოდეს არ დაზრდილიყვნენ მისი შვილიშვილები, კი არ დახოცილიყვნენ, ამას გულშიც ვერ გაიკვლებდა, იმდენად ეშინოდა მათი, არამედ სულ ბავშვებად დარჩენილიყვნენ, სულ, უსასრულოდ. ზრდა შეეწყვიტათ და არა — სიცოცხლე. „ნუ ანებივრებო“ — ეუბნებოდა პეტრე, მაგრამ პეტრეს რა ესმოდა, ანდა რა ენაღვლებოდა, პეტრე ჯერ მხოლოდ მამა იყო, ის კი — ბაბუა. რომელიმე ბავშვისთვის ქაიხოსროს თანდასწრებით ვინმეს რომ ეთქვა: როგორ იქცევი, უკვე დიდი ხარო, — ისეთ ამბავს ასტეხდა ქაიხოსრო, საღამომდე მთელს ურუქში ზრიალებდნენ ფანჯრები.

— რა ხელს უწყობთ, რა ყრია დიდობაში, ან ჯერ რა დროს მაგათი დიდობაა! — ბობოქრობდა ქაიხოსრო.

ყველას და ყველაფერს, რასაც კი შეიძლებოდა ბავშვებისთვის დიდობის ხერვალი აღეძრა, ქაიხოსრო თავის მტრად თვლიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას თვითონაც ხვდებოდა და განიცდიდა, რაც ბავშვების თვალწინ შეიძლებოდა მომხდარიყო, ან რაც ბავშვების გარშემო შეიძლებოდა არსებულიყო, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ბავშვებს ზრდის დასაჩქარებლად იყო გამიზნული, რადგან ქვეყანა, რომელშიაც ბავშვებიც ცხოვრობდნენ, დიდებს ეკუთვნოდათ, დიდების ჭკუაზე იყო მოწყობილი. ასე რომ, ქაიხოსრომ ტყუილუბრალოდ ჩაადო ფეხსადგილს ორმოში თავისი თოფი და დამბაჩა, რადგან სხვაც ბევრი თოფი და დამბაჩა არსებობდა ამ ქვეყანაზე და რაკი უკვე შეეტყოთ მათი არსებობა, მაინც ველარაფრით ამოუგდებდა თავიდან თოფსა და დამბაჩაზე ფიქრს თავის დამთხვეულ შვილიშვილებს. ასევე ტყუილუბრალოდ გაანაწყენა რძალიც, რადგან მისი რძლის წიგნებიდან ამოსული გმირები და მზეთუნახავები ოდესღაც ისეთივე გაკნაჭული, კოკინებაპრეხილი გოგოები და ქოჩორგადაგლესილი ბიჭუნჭები იყვნენ, რომლებთანაც მისი შვილიშვილები თამაშობდნენ დილიდან საღამომდე. ქაიხოსრო უმწეო იყო, გრძნობდა თავის უმწეობას, გრძნობდა შვილიშვილების სიძლიერესაც, მაგრამ მაინც ჯიუტად აგრძელებდა თავისას, თვითონაც ენის ჩლექით ლაპარაკობდა, თვითონაც მიზეზობდა საჭმელზე, თვითონაც მაგიდის ქვეშ იმალებოდა, როცა ბავშვების დაწოლის დრო მოაწევდა და თვითონაც კისკისებდა, თვითონაც ვითომ ეშინოდა, როცა გამწარებული ადათია ფეხებს უბაკუნებდათ და უყვიროდათ: ახლავე გამოდით, არ შემოიყვანთო მანდაო. მაგრამ პაპასა და შვილიშვილებს შორის განხეთქილებამ მაინც იჩინა თავი. პირველებმა ბიჭებმა აუბზუეს პაპას ცხვირი, იუკადრისეს მასთან თამაში, რადგან ტანმა უგრძნოთ, ერთი გზითა და ერთი მიმართულებით რომ არ მიდიოდნენ, პაპა იქით ექაჩებოდათ ჯიუტად, საიდანაც გიეებივით გამორბოდნენ თვითონ.

— როზგი უნდათ მაგათ, როზგი! — გაჰყვიროდა შვილიშვილების ღალატითა და დაუნდობლობით გამაწრებული ქაიხოსრო, მაგრამ ნიკოსა და ალექსანდრეს მაგიდის ქვეშ რაღა გააჩერებდათ, როცა ამდენი საოცრება არსებობდა ქვეყანაზე. მთელი სოფელი აკლებული ჰქონდათ.

ქაიხოსროს მაინც არ დაუყრია ფარ-ხმალი, ახლა ანეტას დაუწყო ლაქუცი, რადგან ანეტა ბიჭებზე უმცროსი იყო, ბიჭებზე სუსტიც და ბიჭები თუ თვალსა და ხელს შუა ყაჩაღდებოდნენ, ანეტას არცკი ეტყობოდა ზრდა; შეიძლება იმიტომაც, სულ რომ ლოგინში იწვა,

ყველა შოსახდელი, გაუთვალისწინებელი, თუ თავიდან ადვილად ასაცილებელი სენი მაინცდამაინც მას შეეყრებოდა ხოლმე და მაკაბელების სახლი თითქმის განუწყვეტლივ სავსე იყო ბაბუცას ცრემლით, აღათის ბუზღუნითა და ათასსანირი წამლის სურნელით. ურუქელეს ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდათ, თითქოს ექიმი ჯანდიერის ორთვლიანი ეტლიც ფეხმოეცვლელად იდგა გალავანშემოვლებულ ეზოში, ცაცხვების ძირას; ხოლო ეტლს კოფოზე ნიკო და ალექსანდრე დასკუპებულიყვნენ, ვითომ მიმქროლავნი, ვითომ არსებული ქვეყნების ვითომ მტვერსა და ვითომ ქარში. ცხენი მშვიდად, ყბების გამოზომილი მოძრაობებით ახრამუნებდა ქერსა თუ შვრიას, ბლომად რომ ჩაეყარათ მისთვის კისერზე გადაცმულ თოფრაში, თვალები გიშრის კრიალოსნის მარცლებს მიუგავდა, პრიალა, ჯალარაგარეული კუდით იგერიებდა მუმლსა და ბუზანკალს, და აინუნშიც არ აგდებდა ვითომ მეეტლეების სტვენასა და პრუწუნს. სახლში კი, ანეტას ფერხთით ჩამომჯდარი ბაბუცა უზარმაზარი სანთელივით უბმოდ იცრემლებოდა, თავისთან ჩამოსდიოდა ცრემლი.

— სატირელი მართლაც რომ არაფერი სჭირს, ქალბატონო, თქვენს ქალიშვილს. ორი დღის მერე კურდღელს გაეჯიბრება სიჩბილში. — ამბობდა ექიმი ჯანდიერი.

დიდი, ღონიერი, ქათქათა ხელი ანეტას გაოფლილ შუბლზე ედო და, ღმერთივით მშვიდი და ახოვანი, მთელ სახლს სასიამოვნო, ტკივილის ჩამაწყნარებელი ბუნანთ ავსებდა. — კურდღელები ხომ გიყვარს? — ეკითხებოდა ანეტას, ისეთი ხმითა და სახით, თითქოს მხოლოდ ამის გასაგებად იყო მოსული. ანეტა სიამოვნებისგან მხრებში იწურებოდა, საბანში მიძვრებოდა და, მორცხვად მომღიმარი, მეჩხერ კიბეს აჩენდა. მერე, ერთი წამით, გამოღებულ კარში ანას სახე გაიელვებდა, ზრდილი მოახლესავით უხმაუროდ, სწრაფად ჩაივლიდა ანა, სადღაც, ვეღაცეების ზურგს უკან და ექიმ ჯანდიერს გული შეეკუმშებოდა ხოლმე. „აი, ვინაა სამკურნალო... აი, ვინაა მისახედი“. — ფიქრობდა იგი და უნებურად ეფერებოდა ანეტას ოფლიან შუბლს, თმილი, ფაფუკი თითებით, რომელთა არსებობა იმ წუთას აღარცკი ახსოვდა თვითონ, თითქოს ცოტახნით ანეტას შეატოვა სათამაშოდო. „ზედმეტი სიკეთეც ავადყოფობაა... აუძლურებს კაცს. — ფიქრობდა იგი. — ნუთუ სიკეთე უძლურებაა? ნუთუ ძლიერი რომ იყო, უნდა გაბოროტდე აუცილებლად?“

ერთხელ ანეტა ყვავილის მტვერმა მოწამლა და ყინწმოწყვეტილი, თვალებმიბლანტული ბავშვი აღათიან ისეთი ამბით მოარბენინა შინ, თითქოს მეზობელ სოფელში მოუტაცნიათ, ანდა მომტაცებლები დასდევნებიანო. ექიმი ჯანდიერის ეტლი ისევ რბილად შემოსრიალდა მაკაბელების ეზოში. ქაიხოსრო ალაყაფთან ელოდებოდა ექიმს. მიშველეო, — მიაძახა და ცხენს ალვარი დაუჭირა. ექიმ ჯანდიერს მუხლებზე მუყაოს დიდი ყუთი ედო, ვარდისფერი ზონრით შეკრული.

— თვალებს ვეღარ ახელს... ძლივსღა სუნთქავს... ეს რაღაა? — ხელი მიუშვირა მუყაოს ყუთს ქაიხოსრომ.

— ასკლიპიოდოტა. — გაიღიმა ექიმმა ჯანდიერმა. — ასკლიპიოდოტა. — გაიმეორა. — ყველაზე უებარი წამალი ანეტას ტოლა ბავშვებისთვის. — თქვა და ვარდისფერი ზონარის კვანძი უცებ გამოხსნა, ყუთს სახურავი ახადა და თავი აუწია.

მუყაოს ყუთში ლამის ანეტას ხელა თოჯინა იწვა. გრძელი, აპრეხილი წამწამები ჰქონდა, პატარა, პაპუა ცხვირი, დაბრაწული, ფუნთუშა ლოყები, ბუტუნელასავით დახვეული, ოქროსფერი კულულები და თითქოს გაბუტული, ვარდის ფურცლებივით აბურცული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე
ეროვნულ ჩემმან მკოვნელმან....

ტუჩები. როცა ექიმმა ჯანდიერმა ყუთს თავი აუწია, თოჯინამ თვალები გაახილა, დიდი, ცისფერი თვალები.

— ღმერთო დიდებულო! — თქვა ქალიხოსარომ. გაშტერებული შესცქეროდა, დავიწუყებოდა, ავადმყოფი შვილიშვილი რომ ეწვა შინ.

თოჯინა გრძელსა და აპრეხილ წამწამებს ახაზხაზებდა, თითქოს ეს წუთია გამოეღვიძაო, თითქოს მზე აწუხებს და იმიტომ ვერ გაუხელია კარგად თვალები. სახე კი არ შესცვლია, ისევ ისეთი, მშვიდი და გულუბრყვილო გამომეტყველება აღბეჭდვოდა სახეზე, როგორითაც მოეკლნა ქვეყანას, სადაც, ცხრა მთის იქით, აქედან ძალიან შორს, მასსავით ცისფერთვალება და ოქროსფერ კულულებიანი გოგონებისთვის განკუთვნილი. თუმცა მისთვის სულერთი იყო, ვინ ჰინიხუტეზდა, სიხარულისაგან ვის გაუდიდდებოდა თვალები მის დანახვაზე. მშვიდად იწვა ფუყოს ყუთში, არც ეშინოდა და არც გული წყდებოდა, დღითიდღე რომ შორდებოდა სამშობლოს, ალმა-დადმა რომ დაატარებდა ბედი, ამდენი ხანი ყუთის წყვდიადში რომ ცდებოდა უქმად, რაცა მისი მიღიონნი ტყუპისცალი უკვე დიდი მაღაზიების ნათელსა და კრიალა ვიტრინებში დასკუპებულიყო. იწვა თავისთვის, თვალდახუჭული, და ბოთმანებით ელოდებოდა, როდის იყიდდა ვინმე, როდის ამოიყვანდნენ ამ ბნელი ყუთიდან, რათა მასაც მისცემოდა საშუალება, ფარჩის ლამაზი კაბისა და მაქმანებიანი საცვლის გამოჩენის: მისთვის სულერთი იყო, ვის ხელში მოხვდებოდა, არც ყუთში დაკარგული დრო ენანებოდა, რადგან ვერც გზა დაღლიდა, ვერც დრო დაამჩნევდა კვალს. იწვა და ელოდებოდა. მერე ვიღაცის დიდმა და ფაფუკმა ხელებმა ამოიყვანა ყუთიდან, ერთი-ორჯერ შეატრიალ-შემოატრიალა ჰაერში, თავი გადაწევეინა და, თვალები რომ გაახილა, იმ ხელების პატრონის სახე დაინახა, ერთდროულად მოღუშულიცა და მომღიმარიც. არც გახარებია და არც შეშინებია, მხოლოდ, ეს ის არ იყო, ვისთვისაც [illegible] სებინა ბედს. შესცქეროდა [illegible] არც მაშინ შესცვლია სახეზე სამუდამოდ აღბეჭდილი გამომეტყველება. სულერთი იყო, მოიწონებდნენ თუ დაიწუნებდნენ, ბედი მაინც იქ მიიყვანდა, სადაც უნდა მისულიყო. მერე ისევ ყუთში ჩადეს, ისევ გადაუშვირეს ვარდისფერი ზონარი და სწორედ მაშინ, ყუთის სიბნელეში ჩაფლულს, ჩაესმა დიდიხნის ნანატრი სიტყვა. „ვეყიდულობთ“ — თქვა იმ კაცმა. მერე ეტლის კოფოზე იდო, იმ კაცის გვერდით, და ღელადდა, პირველად თავის სიცოცხლეში, რადგან გრძნობდა, მალე ნახავდა იმასაც, მის კანონიერ პატრონს. არ იცოდა და არც უნდოდა, სცოდნოდა, როგორი იყო ის, მაგრამ მაინც მისწოდა მისკენ, გარეგნულად უშფოთველი და უგრძნობელი; მერე ისევ ამოიღეს ყუთიდან და ისევ რომ გაახილა თვალები, ასლა სულ სხვა სახე დაინახა: შეშინებული, დაბნეული, აწრიალებული... და თვითონაც შეეშინდა.

— ღმერთო, დიდებულო! — თქვა ქალიხოსარომ. (აი, რა უნდოდა! აი, როგორები უნდოდა, რომ ყოფილიყვნენ მისი შვილიშვილები! სულ პატარები, სულ ლამაზები, სულ საპატრონებლები. სულ, სულ. უსასრულოდ). — ათმაგად გადაგიხდი, ოღონდ... — აღელდა მოულოდნელად.

— როგორ გეკადრებათ, — გაიღიმა ექიმმა ჯანდიერმა. — ეს ჩემი საჩუქარია. იმიტომაც ჰქვია ასკლიპიოდოტა. სათქმელად ცოტა ძნელია, მაგრამ სწორედ რომ ზედგამოჭრილი სახელია, ესკულაპეს მონიეზებულს ნიშნავს.

— ასკლიპიოდოტა. — გაიმეორა ქალიხოსარომ, თითქოს ამოწმებდა, შესძლებდა თუ არა, ამ ძნელი სახელის წარმოთქმას. — მაშინ... — აბორძიკდა, ხელები მოიფშვნიტა, მორცხვად, გაუბედავად გაიღიმა. — მაშინ... მე შევუტანო, თუ შეიძლება.

— რა თქმა უნდა. — უთხრა ექიმმა ჯანდიერმა.

ჯერ ისევ ეტლის კოფოზე იჯდა, ჯერ

ისევ მუხლზე ედო მუყაოს ყუთი, რომელშიაც მკვდარი ბავშვივით ესვენა თოჯინა. „არ შეიძლება სხვისი სიკეთის მითვისება, ბრიყვო. არ შეიძლება ყველაფრის მითვისება“. — ფიქრობდა იგი.

თოჯინა უკვე ქაიხოსროს ეჭირა ხელში. ექიმმა ჯანდიერმა ვარდისფერი ზონარი მოუმუშნა და ცარიელ ყუთში ჩაადგო.

— ხომ არ გვეკურთხებინა, ჰა? — თქვა ქაიხოსრომ, თავისთვის, ექიმისთვის არც შეუხედავს. ექიმი ჯანდიერი ეტლიდან ჩამოდიოდა. ერთი წამით შეყოვნდა საფეხურზე, მშვიდი, ახოვანი.

— სად გაგონილა, ადამიანო, თოჯინის კურთხევა. — თქვა და გაიცინა ხმამაღლა, ვულიანად.

— სად გინახავს ამისთანა თოჯინა? — შეჰკრინა ქაიხოსრომ.

ცოტახნის მერე ექიმი ჯანდიერი ანეტას ოთახის კარში იდგა, ქაიხოსროს ზურგს უკან, და ანას უყურებდა. ანას ისევი სახე ედო, თითქოს ვერ მოესწრო ამ ოთახიდან გასელა, თითქოს შემოხვევით, დაუკითხავად შემოსულიყო აქ და მოულოდნელად წამოდგომოდნენ თავზე. „რატომ, რატომ, რატომ არ იცი შენი ფასი“ — ეუბნებოდა ექიმი ჯანდიერი პირის გაუსნელად, მაგრამ დარწმუნებული იყო, ანას ესმოდა მისი, ყოველ შემთხვევაში, უნდოდა, რომ გაეგონა ანას.

— მეგობარი გესტუმრა... — ამბობდა მის წინ მდგარი ქაიხოსრო. თოჯინა ყავდა ატატებული, ოდნავ მოხრილიყო ბეჭებში, ვითომ პაპა კი არ იყო, პაპობას თამაშობდა. ექიმი ჯანდიერი ეღარც თოჯინას ხედავდა და ვეღარც ქაიხოსროს სახეს, მაგრამ გრძნობდა, როგორ იმანჭებოდა იგი, როგორ ცდილობდა, უფრო სასაცილო ჩვენებოდა შვილიშვილს. ცოტახნით გაჩუმდა, ალბათ გუნებაში გაიმეორა თოჯინის ეცნაური და ამატომაც ძნელად წარმოსათქმელი სახელი. — ასე ამბობს, ასკლიპიოდატა მქვიანო.

— რა მქვიანო? — წამოჯდა ცხვირშეშმუხნული, თვალებში ღიმილჩამდგარი ანეტა.

თოჯინა მეოთხე ბავშვივით მიიღეს ოჯახში. „ღმერთმანი, ცოცხალიაო“ — იძახდა აღათია, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაიმახსოვრა მისი სახელი. დორას ეძახდა. დორა კი, იმ დუხაბორის ქალს ერქვა, თვეში ერთხელ იატაკების მოსარცხად რომ დადიოდა მაკაბელებთან. ურუქელები ამბობდნენ: მაიორი დორას ჯერ იატაკს აპრიალებინებს და მერე ზედ აწვენს, ჭრელი და ფაშფაშა კაბა რომ არ დაესვაროსო. დუხაბორის ქალს მართლაც თოჯინასავით მრგვალი და ფუსფუშა სახე ჰქონდა, სულ ერთნაირი, ცოტა არ იყოს, სულელური ღიმილი დასთმაშებდა პირზე, სულ რაღაცას იცმუცნებოდა, იდაყვში მოხრილ მკლავზე ყოველთვის თეთრი ბოხჩა ჰქონდა წამოცმული, თითქოს ეს წუთია აბანოდან გამოსულაო, არხეინად, რწევა-რწევით მოუყვებოდა ხოლმე ორღობეს. მისი გამოჩენა სოფელს ყოველთვის კარგ გუნებაზე აყენებდა. ჩილაბანდის ბოლოებით პირაკრული ქალები ქოქოლას აყრიდნენ, ხოლო ბრიყვულად, დაწკულად მომღიმარი კაცები იქამდე არ აშორებდნენ თვალს, სანამ კიდევ შეიძლებოდა ორღობეში აკონწიალებული ჭრელი ქვედაკაბის დანახვა. ძნელი საოქმელია, მართალი იყო თუ არა, რასაც ხალხი ლაპარაკობდა, მაგრამ ღორამ, ასე თუ ისე, მაინც მოიხადა თავისი დედაკაცური ვალი მაკაბელების ოჯახში, თუმცა ანეტას მაშინ არც ამდენი ვიგებდოდა და არც აინტერესებდა ეს ამბავი, მას უბრალოდ მოსწონდა, აღათის რომ ვერ დაემახსოვრებინა მისი თოჯინის სახელი და ვიღაცა დიდი ქალის სახელში ეშლებოდა.

დრო კი გადიოდა და ქაიხოსროს ჯიბრზე ბავშვები მაინც იზრდებოდნენ. ნიკო და ალექსანდრე უკვე თაკლობდნენ ბავშვობას და ძაღლებივით დასტრიალებდნენ დას, აივნის რიკულებში

რომ არ გამძვრალიყო, ძირნაყარი თუთა რომ არ ეჭამა, ეკალზე რომ არ გამოეგლიჯა კაბა, გუბეში რომ არ ეჭაუმპალავა, რასაც თვითონაც სიამოვნებით აკეთებდნენ, არა მარტო მაშინ, როცა ანეტას ხნისანი იყვნენ, არამედ ახლაც, როცა თავი დიდები ეგონათ. ანეტა სკოლაშიც ძმებს დაყავდათ. ერთი ძმა რომ წინ მიუძღოდა, მეორე უკან მოყვებოდა სახედარს, რომელზედაც ანეტა დასკუპებულიყო თავისი თოჯინიანად და პატარა ქოლგიანად. სახედრის ზურგზე გადაკიდული, მჭიდროდ ნაქსოვი ხურჯინი ანეტას შიშველ კანჭებს უსუსხავდა, მაგრამ ხმას როგორ ამოიღებდა, როგორ მოიკლებდა ამ დიდ სიამოვნებას. ეგონა, მთელი ურუკი შემოსცქეროდა, ყველა მას შენატროდა. რა გასაკვირია, ასე რომ გონებოდა, მაკაბელების ბავშვებს ძაღლებიც არჩევდნენ, ღობის ძირებში იკუჭებოდნენ, ხოლო მასწავლებელი თავისი ხელით ჩამოსვამდა ხოლმე ანეტას ვირიდან. ხურჯინში სამი ბავშვის წიგნები და საუზმე ეწყო, თუმცა იმდენ საჭმელს ატანდნენ შინიდან, (აღათია პატარა ჭინჭილით წყალღვინოსაც დებდა ხურჯინში), სამ ბავშვს კი არა, მთელს სკოლას დაეძღობდა. ასედაც ხდებოდა: დიდ შესვენებაზე მთელი სკოლა მაკაბელების სახედრის გარშემო იყრიდა თავს, ხოლო ახალი მოვალეობით დაბნეული, ბავშვების ქიქილ-ხივილით უარესად გაოგნებული სახედარი დიდი და წყლიანი თვალებით ჩასცქეროდა მიწას.

— შენა, — ეუბნებოდა შეკავებული სიბრაზისგან ხმადახეული ქაიხოსრო რძალს. — ჩემი სიკვდილის დედაცა ხარ.

— რას ბრძანებთ, მამა?! — გულწრფელად წუხდა, გულწრფელად, გაკვირვებული ბაბუცა.

ქაიხოსრომ კი აღარ იცოდა, რითი შეეკავებინა ბავშვების ზრდა. ანეტას ჯერ კიდევ აჩერებდა, ჯერ კიდევ აყოვნებდა თოჯინა, ერთად დგებოდნენ და ერთად იძინებდნენ, საჭმელს პირს არ დააკარებდა, თუ პურჩაფშუნვნილ ტყეს თოჯინასაც არ დაუდგამდა ფინჯნით, თავისი სითბოთი, თავისი სურნელით გაეკონინთა იგი და ტყუპისცალივით უყვარდა; თითქოს თოჯინაც გრძნობდა ანეტას სიყვარულს, თითქოს ამ სიყვარულს სული ჩაებერა მისთვის და ისეთი ცოცხალი თვალებით იმზირებოდა, აღათია უნებურად პირჯვარს გადაიწერდა ხოლმე. მუნჯი ბავშვის თვალები ჰქონდა: დიდი, სევდიანი, მეტყველი. სამაგიეროდ, ბიბეს აღარაფერი ეშველებოდათ, ყოველ წუთას უმუქდებოდათ ღინღლი სულლვაშეზე და ჭამის დროსაც იწოწქნიდნენ საყმაწვილო მუწუკებს, რასაც ქაიხოსრის აღშფოთება, მაგიდაზე მუშტების ბრახუნი და ბაბუცას ტირილი მოსდევდა. „მეშინია, აღათია, მეშინია“ — სლუკუნებდა ბალიშებზე მიწოლილი, მამამთილის საქციელით ნირწამხდარი, დაბნეული და თავში სისხლვარდნილი ბაბუცა. „რისი გეშინია, აქ არა ვარო“. — ამშვიდებდა აღათია და თვითონაც შიშით შესცქეროდა კარს, რომლის იქითაც ჯერ კიდევ ისმოდა ქაიხოსრის ყვირილი.

— მოესწრებით, თქვე ოხრებო! რა გეჩქარებათ! — ბრდღვინავდა ქაიხოსრო.

მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა, ან ვინ აღუდგებოდა წინ. ერთ მშვენიერ დღეს დუხაბორის ქალი ჩვეულებისამებრ მოვიდა, ჩვეულებისამებრ მადიანად ისაუზმა, ჩვეულებისამებრ ერთი ჭიქა წითელი ღვინოც დაეყოლა საუზმეს, ჩვეულებისამებრ დაიკაპიწა მსუქანი მკლავები, ჩვეულებისამებრ ამოწურა ტილო წყლით სავსე ტაშტში და ჩვეულებისამებრ შეუდგა იატაკების რეცხვას. ჯერჯერობით არაფერი იყო უჩვეულო და მოულოდნელი. დუხაბორის ქალი იატაკს რეცხავდა და თან ღიღინებდა, ათასში ერთხელ თუ გაიმართებოდა წელში, სველი, დაწითლებული მკლავით თვალებზე ჩამოშლილი თმა რომ გადაეწია. მაგრამ მერე მოხდა ის, რაც იქამდე არასოდეს მომხდარა,

ყველასათვის უჩვეულოცა და მოულოდნელიც, თუმცა დუხაბორის ქალი აგერ უკვე მეორე წელი იყო, რაც მაკაბელებთან დადიოდა. იმ დღეს, სკოლიდან მობრუნებული ნიკო და ალექსანდრე, ხმელი პურის ლეკვი-ლეკვით მაშინვე ეზოში კი არ გაცვივდნენ, როგორც საერთოდ იქცეოდნენ ხოლმე, არამედ შინ დარჩნენ და დუხაბორის ქალს დაუწყეს ბღლარძენა. ლეკვებივით ფეხებში უგორდებოდნენ ტაშზზე გადმოხრილ ქალს, კაბის კალთას უწევდნენ და ცდილობდნენ, როგორმე შეეხედათ კაბის ქვეშ. დუხაბორის ქალი ჯერ იცინოდა, ჯერ ისიც ყვებოდა ბავშვებს და სველი, გაწურული ტილოთი იგვრიებდა, ისე, ყასიდად, რაც თამაშობაში აყოლას უფრო გავდა, ვიდრე მოგვრიებას. ბავშვები ამას გრძნობდნენ და უარესად ეტანებოდნენ კაბაზე. „კარგით, გეყოფათ, რა ამბავში ხართო“. — ხანდახან გამოსძახოდათ აღათია მეორე ოთახიდან, მაგრამ ბავშვებს აღარაფერი ესმოდათ, დუხაბორის ქალის ნითხითის მეტი, ვერაფერს ხედავდნენ, მრგვალი, აღაღაკებული, სულელურად მომღიმარი სახის გარდა, და ერთი სული ჰქონდათ, როგორმე მისწვდნოდნენ, სადმე მაინც მოეკიდათ ხელი აკოწიალებული კაბისთვის, სიჩქარესთან ერთად, უცნაურ, ამაფრიალებელ მხურვალებას რომ აფრქვევდათ გაოფლილ სახეებში და ასევე უცნაური, ასევე ამაფრიალებელი და ასევე ჭრელი ძალით იზიდავდათ თავისკენ; ბავშვები გაიოფლნენ, ქოჩრები გადაეგლისათ, თვალები გაუდიდდათ, გაუბრწყინდათ და ახლა მათი სიცილ-კისკისი უფრო და უფრო ემსგავსებოდა რომელიღაც მტაცებელი ცხოველის გაღიზიანებული ლეკვების ღრენასა და წკავწკავს. დუხაბორი ქალიც დაიღალა, მძიმედ სუნთქავდა, აფორიაქებული მკერდი აქეთ-იქით დაუდიოდა, ახლა უფრო ხშირხშირად ისვამდა შაშველ, დაწითლებულ მკლავს შუბლზე, ჩამოშლილი თმის გადასაწევად, და ქალის მკლავის ეს უბრალო, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი მოძრაობა, უარესად აკრთობდა, უარესად აღიზიანებდა ძმებს.

— გამოყარე ეგ ოხრები, დორა. — იძახდა მეორე ოთახიდან აღათია.

დორა კი იცინოდა, იცინოდა და თვითონაც რაღაცნაირად ჩოთენილი თუ გამოთთუული, უკვე გამეტებით უტყლაშუნებდა გაწურულ ტილოს მის ფეხებთან აფუტფუტებულ ბავშვებს. ბავშვები მის შაშველ მკლავს აყოლებდნენ თვალს და ყურებში ამოგმინვის მაგვარი ხმა უგუბდებოდათ, რომელსაც მოქნეული ტილო გამოსცემდა. სწორედ ამ დროს ოთახში ქაიხოსრო შემოვიდა. ძმებმა ერთი კი გახედეს პაპას, ამღვრეული, გაფართოებული, უაზრო თვალებით, და ისევ აკონწიალებულ კაბის კალთას მიეტანნენ. არავის დაუნახავს, როდის შეიხსნა ქაიხოსრომ ქამარი. მხოლოდ მაშინ მოეგნენ გონს, როცა ჯერ კიდევ მოუტეხავმა ტყავმა ჰაერი წვივლით გახია და იატაკზე დაკრილ ბავშვებს მდუღარესავით გადაესხათ. თვითონაც ასე იფექრეს ჯერ, დორამ ცხელი წყალი ხომ არ გადაგვასხაო, მაგრამ ერთი წამით მხოლოდ; უცებ, თითქოს წინასწარ დაუთქვამთო, ორივენი მუხლებზე წამოიმართნენ, ერთდროულად, და ახლა გაოცებულნი, დაბნეულნი მიიჩერდნენ პაპას. პაპამ კი, ქამარი მოუნაცვლათ და ორივემ ერთდროულად შეჰყვირა, თითქოს ამაშიც წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი, პაპამ თუ ქამარი მოგვინაცვლოს, ერთდროულად შევყვირითო; ერთდროულად წაეტანნენ აწივლებულ ქამარს, ჯერ უნებურად, ალალბედზე, გაუბრაზებლად, თითქოს პაპა ლუტკობასს ეთამაშებოდათ. ქამარი კი წოდა, ჰაერს ფხრეწდა და ტკივილისგან დაბრმავებული, უარესად გაშმაგებული ძმები ახლა უკვე შეგნებულად, ღრენით, ღმენილით, კბილთა ღრჭიალით, ნადირის თავგანწირვითა და სისასტიკით მიეტანნენ პაპის ქამარს, ქამარს კი არა, პაპის ხე-

---

ოთარ ჭილაძე
ყველანი ჩემნი პატარანი....

ლებს, თითქოს გულები დაუსკდებოდათ, თუ ვერ მიწვდებოდნენ, თუ არ მოაღრღნიდნენ, თუ არ მოაკბიჯდნენ მაჯებში. პირველი ისევ დორა გამოფხიზლდა და, ალმაჯივით **თმაგაწეწილი**, ჩავარდა პაპასა და **შვილიშვილებს** შორის. ძმებმა ერთდროულად დაინახეს, როგორ შეატოვა ქმარმა ფართე და სისხლისფერი ზოლი დორას შიშველ მკლავს. ბიჭები კუთხეში მიიყუჟნენ და ახლა იქიდან ჭამდნენ პაპას ბოროტი და აპრიალებული თვალებით. ქაიხოსროს ქმარშეხსნილი შარვალი მუხლებამდე ჩამოფლაშვილიდა; მოპობილი, იატაკზე მოთრეული ქმარი მკვდარი გველივით ეჭირა ხელში. ოთახში შეუმჩნევლად შემოსული ბაბუცა ტახტზე იჯდა, გაშლილი ხელის მტევნები მუხლებზე დაეწყო და უხმოდ იცინცლებოდა. იმ დღეს იატაკები მოურეცხავი დარჩა. სახედაფორაჯებულმა, სუნთქვაჩქარებულმა დორამ სახელოები ჩამოიშალა, თავსაფარი ნიკაპის ქვეშ გაინასკვა და ისე გადავიდა ეზოდან, უკან აღარ მოუხედავს. მას აქ სხვა არაფერი ესაქმებოდა. მან შეუგნებლად, მაგრამ პირნათლად შეასრულა ის, რაც ბედს მინდამანც მისთვის დაეკისრებინა: ძმების დაკაცება.

დორა წავიდა — დაუვიწყარი და დაუფასებელი, როგორც ანბანის მასწავლებელი — მაკაბელების სახლში კი, კარგახნით დაისადგურა დუმილმა და გაურკვევლობამ. ახლა თეთრად გაფუყული ლამპის შუქით განათებულ დიდ ოთახში უმთავრესად უფროსები იკრიბებოდნენ. წოვნი ვიღას ახსოვდა, ბავშვებზე ლაპარაკობდნენ, და იყო ერთი ბუბა და კამათი, სანამ კარადისხელა საათი არ აუწყებდათ, რომ იმ დღეს აღარაფერი მოესწრებოდა, სჯობდა დაესვენათ და ხვალისთვის გადაეტანათ ბავშვების ბედისა და მომავლის განსჯა. ბაბუცას გულწრფელად უკვირდა, გულწრფელად ვერ მიმხვდარიყო, რა აღელვებდა ასე მის ქმარსა და მამამთილს, რა დაეშავებ მისმა შვილებმა ამისთანა, რომ „საკუთარ სახლში ბაბუამ ქმარით დალახათ, როგორც ბრინ-ნები სტამბოლის ბაზარზე“. ეს ბერ ბაბუცას თვალზე ცრემლი არ შეშრობია, გინდაც მე გაველახეთო, — რამდენჯერმე თქვა ქაიხოსროს გასაგებად, მაგრამ ქაიხოსრომ, ერთ ყურში შეშვებული მეორედან გაატარა, წარბიც არ შეუტრია, ზრდილობის გულისთვისაც არ მობოდიშებია რძალს, პირქით, სულ იმას გაიძახოდა: ბაუშვი თუ უვარგისია, მშობელია დამნაშავეო.

— ბოდიში... — სლუკუნით ამბობდა ბაბუცა. — არავის არ უთქვამს ჩემი შვილების უვარგისობა. ჩემი შვილები თამამები არიან... მამაჩემივით.

და მართლაც, რა უნდა გაჰკვირვებოდა ბაბუცას ორი რძეშეუმშრალი ბიჭისა, როცა მამამისი, ლუარსაბ მიქელაძე, სიკვდილამდე ისეთი ხმაურიანი და მოუსვენარი კაცი იყო, ერთიორი დღით შინიდან რომ გავიდოდა, მისი მეუღლე მოსამსახურე ბიჭს იატაკზე ჯოხს არაკუნებინებდა, მიუჩვეველი სიწყნარისგან თავი რომ არ ასტკიებოდა.

— ღმერთმა აცხონოს მამათქვენი, — დასისინებდა ქაიხოსრო რძალს. ხმის ყწეას ვერ ბედავდა, რადგან დარწმუნებული იყო, ბიჭებს ყური კედელზე ჭერნდათ მობჯენილი. — ღმერთმა აცხონოს მამათქვენი. მე ჩემს შვილიშვილებზე მოგახსენებთ. ამას სითამამე კი არა, გარყვნილობა ჰქვია.

— ბოდიში მომიხდია! — სამაგიეროდ ხმას უწყვდა ბაბუცა. წელგამართული იჯდა, წარბებაწეიპული. ცალი ხელი აღათიასთვის ჩაეკლო მაჯაში. — გარყვნილობა თქვენში მოიკითხეთ. ჩვენი სისხლი პატიოსნების დასაცავად იღვრებოდა მხოლოდ.

ყველაზე მეტად იმ წუთას გავდა თავდაღ ქალს. ზამირი თავდაუჭერლობა, წამიერი გაცხარება დიდებულობის შარავანდედში ხვევდა. ამ სუსტი და ფერმკრთალი ქალის არსებაში საუკუნეების მანძილზე, ცხენთა ჯიხვინითა და ხმლების ტრიალით მოპოვებული სიამაყის გრძნობა იღვიძებდა და ერთი წუთით ყველანი მისი ტყვეები ხდე-

ბოდნენ. პეტრე და ქაიხოსრო რატომღაც ანას შეხედავდნენ ხოლმე, თითქოს ნიშნს უგებდნენ, თითქოს ეუბნებოდნენ, აი, როგორი უნდა იყოს ქალი.

ასე იყო თუ ისე, ოჯახში ახალი საფიქრალი გაჩნდა, არც ისე იოლი და უმნიშვნელო, ჰაი-ჰარად რომ გადაეწყვიტათ. ერთი კი ცხადი იყო, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ბავშვებისთვის ახალი ცხოვრება უნდა დაწყებულიყო და ისინაც ვალდებულნი იყვნენ, მიხმარებოდნენ გზის არჩევაში. ბაბუცა ორივე ვაჟის გიმნაზიაში გაგზავნას მოითხოვდა. პეტრე ეთანხმებოდა და არც ეთანხმებოდა მეუღლეს, რადგან მისი აზრით, ბიჭების დაშორება უფრო აჯობებდა, ერთი თუ ქალაქში წავიდოდა სასწავლებლად, მეორე სოჯახო საქმეებს მოეკიდებოდა, თორემ ისევ ერთად თუ იქნებოდნენ, ერთმანეთის წამხედურობით, კიდევ ათას სისულელეს ჩაიდენდნენ და, ღმერთმა იცის, როდის ჩავარდებოდნენ ჭკუაში. ქაიხოსროსთვის სულერთი იყო, რა გზას დაადგებოდნენ მისი შვილშვილები, ქალაქელ ვახპუს დაუწყებდნენ დეენას თუ ბაღვენახებში იტრიალებდნენ გიორგასავით. მისი აზრით, ჯერჯერობით ადრე იყო ბავშვების ეზიდან გადაშვება, მისი რჩევა და თხოვნა იყო, ჯერ კიდევ ბავშვებად ჩაეთვალათ ისინი და ისე მოქცეოდნენ, როგორც ბავშვებს შეეფერებოდათ.

— როდისმე ხომ უნდა დაკაცდნენ, მამაჩემო. — ხელებს შლიდა პეტრე.

— როცა დრო მოუვათ, მამა. ხვალევე კი არ ვაგზავნით თბილისში. — ახლა უკვე მშვიდად, შემარიგებლად ეუბნებოდა ბაბუცა.

ანას არავინ არაფერს ეკითხებოდა, არც თვითონ ერეოდა საუბარში, ცალი ყურით უსმენდა, დიდი, გაფუყული ლამპის შუქით განათებულ ოთახში შეკრებილთა ხმებს, ცალი ყური კი, გარეთ ჰქონდა, ეზოსკენ, გომურისკენ და იჯდა გარინდული, მთელი არსებით დაცქვეტილი, როგორც რომელიღაც უწყინარი ცხოველი, ბალახის წიწკნით გართულს, რაღაც უცხო, დამაეჭვებელი, საფრთხის მაუწყებელი ჩქამი ხმა ამოიღოს.

ბავშვების ბალახვის ამბავი, რაღა თქმა უნდა, მთელმა ურუქმა გაიგო. ტყუილად კი არ ტრაბახობდა გარეგინა, ჩემი დუქნის იატაკს ფეხი რომ დაკვარა, ხმა ბაღდადამდე ჩაიწევსო. მაკაბელების სახლში ჩამოვარდნილი დუმილი მათაც აწუხებდათ, ცნობისწადილი კლავდათ, რა ხდებოდა ამ ცხენსავით სახლის კედლებში, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იქიდან „ბუზოიკის“ წიპა-წიპა რომ შემოესმათ, მხრები აიჩეჩეს, ხელი ჩაიქნიეს და ეს ამბავი კარგანსნით გადაიბერტყეს გულიდან.

„ბუზოიკა“ ქაიხოსროვმა ბიჭებისთვის იყიდა და ფეხსადგილის კარზე დაკიდა. „უბუზოკოდ“ ვერც ერთი ბიჭი ვერ შევიდოდა ფეხსადგილში, რათა იქ „რამერუმეებზე“ არ ეფიქრათ და „რამე არ ემამაძღლათ“. ბიჭები იძულებულნი იყვნენ, შეესრულებინათ პაპის მოთხოვნა, რადგან განუწყვეტლივ ჭრძნობდნენ მის მკაცრსა და ფხიზელ თვალს. „ბუზოიკა“ ფეხსადგილის კარზე ეკიდა, როგორც მუხლუხო ჭია ფოთოლზე, და მალე ყველამ შეაჩვია თვალიც და ყურიც. ბიჭები კი, დღითიდღე გულჩათხრობილები ხდებოდნენ, ჭამასაც მოუკლეს და თამაშსაც: სამაგიეროდ, სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდნენ ყველაფერს, რასაც უფროსები ავალებდნენ, რასაც უფროსები მოითხოვდნენ მათგან. ოჯახში გამეფებული წესრიგი და მორჩილება ქაიხოსროს ყაზარმაში გატარებულ დროს ახსენებდა და თვითონაც დამშვიდდა. ძმების „დაკვიანებამ“ ყველაზე მეტად ანეტა დააზარალა. ძმები აღარ მეგობრობდნენ მასთან, ის კი არა, ძალით თუ არ გაებლანდებოდათ ფეხებში, ვეღარაც კი ამჩნევდნენ. თანდათანობით ანეტაც გადაეჩვია ძმებს და, ცოტა არ იყოს, უკვე ეშინოდა კიდეც ამ მარად დაბღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერილი, მარად მღუმარე ბიჭებისა, სხვების თანდასწრებით მხოლოდ თვალებით რომ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით ღამღამობით ეშინოდა ანეტას, როცა ასკლიპიოდოტას ამარა დარჩენილს, ათასნაირ საზარელ ჩვენებებში ხვევდა ძმების ჩურჩული, კედელში გამოღწეული და ამიტომაც უარესად გაიდუმალებული, უარესად ამაფორიაქებელი. ანეტამ არ იცოდა, რაზე ჩურჩულებდნენ მისი ძმები, მაგრამ ამ ჩურჩულისაც ეშინოდა, უფრო უკაცურსა და უფრო სახიფათოს რომ ხდიდა წყვდიადში ჩაფლულ სახლსა და გაუთავებელ სოფლურ ღამეებს. თავის განუყრელსა და ერთგულ მეგობარს გულში მაგრად იხუტებდა და როდის-როდის ჩაეძინებოდა ხოლმე, ბავშვური გაურკვევლობითა და ბავშვური წარმოდგენებით შემკრთალსა და დაბნეულს. ბომ-მმმ, ბომ-მმმ, ბომ-მმმ, — დროის მდინარებას ახსენებდა მაკაბელების ოჯახს კარადისახელა საათი და მისი შემაშფოთებელი ხმაც მდორედ, მღვრიედ ემატებოდა. უარესად ამძაფრებდა სახლში გამეფებულ ბუერანსა და მდუმარებას. ერთ ასეთ ღამეს ანეტას თავზარდაცემულს გამოეღვიძა, ძილშივე შეეშინდა და შაშისაგან ასკლიპიოდოტასავით გაშშედა, ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, სად იყო, ცხადში თუ სიზმარში. მთელი სახლი, მისი ოთახის გარდა, გაეჩაღებინათო, როგორც ახალწლის ღამეს, კედლები ზრიალებდა, ზანზარებდა, ვიღაცეები დარბოდნენ, დაბრახუნობდნენ, ვიღაცა კიოდა, ვიღაცა კი არა, დედამისი კიოდა: ჩქარა, ჩქარაო, და სისხლისგამყინავად ყღრიალებდა იატაკზე დაგორდნილი თუ ძალით დადებული ტაშტი. მერე აღათია შემოვარდა მის ოთახში, აქაც აანთო ლამპა, საწოლზე ჩამოუჯდა და იმდენი ეძახა, ნუ გეშინია, არ იტირო, ახლავე მოვა დედაშენო, უარესად გულგახეთქილმა და თავზარდაცემულმა ანეტამ, ერთი ისეთი დაიწივლა, სახლს ჭერი აეხადა და ვარსკვლავიანი ზეცა გამოჩნდა, ლამპის შუშა დამაყრუებელი ჭახანით გასკდა და გაბრაზებულ ანეტას ალი უცემ ... [illegible] მაღლიზე წამოიმართა. მერე აღარაფერი ახსოვს ანეტას. ისევ რომ გაახილა თვალი, თავფიცთ დედა ეჯდა და გაუხარდა. დედა უხმოდ იცრემლებოდა. მერე იმანაც შეაჩჩნია ანეტას გამოღვიძება თუ გამოფხიზლება და დაბნეულად გაუღიმა, მისკენ გადმოიხარა, მხართან საბანი ამოუკეცა. ლოყაზე აკოცა, კი არ აკოცა, ლოყაზე მიეხუტა ტუჩებით და ჩაჰქვეითინა: ნუ გეშინია, გადავრჩით, მგონი გადავრჩითო.

აფეთქება ძლიერი არ იყო, მაგრამ მაინც საკალალოდ დამთავრდა. ყველაზე სამწუხარო ის იყო, თვითონ ბავშვები რომ დაზარალდნენ. მართალია, ორივენი ცოცხლები გადარჩნენ, მაგრამ იმღამინდელი ელდა, ტკივილი და საკუთარი უსუსურობის შეგრძნება, გამოუთქმელ ბოღმად, გამოურწყვეტ ბალღობად ჩაილექა სამუდამოდ ორი პატარა ბიჭის სულში, სადაც ჯერ კიდევ არ შექმნილიყო სამყარო, ჯერ კიდევ უღმერთო ქაოსი და წყვდიადი სუფევდა. ცხადია, ბიჭებმა შური იძიეს პაპაზე, უფრო სწორედ, შურისძიება უნდოდათ და ამიტომაც აირჩიეს ასაფეთქებლად საღორე, რომელშიაც მათი პაპა ყოველ წელიწადს ღორს ასუქებდა და სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდა ხოლმე, როცა უსაშველოდ გასისინებული ღორის ფერდები საღორის კედლებს აეჭიაჭუნებდა. ვინ იცის, რამდენი ღამე გაათიეს თეთრად პაპის ქამრით გალახულმა ბიჭებმა, სანამ მათი არჩევანი საღორეზე შეჩერდებოდა, თუმცა მათთვის მთავარი საღორის აფეთქება კი არ იყო, არამედ გულის წყრომის გამოხატვა, რათა უფროსებს არ ეფიქრათ: უსიტყვოდ, მორჩილად რომ შეეგუებოდნენ ყველაფერს და ვისაც მოეპრიანებოდა, ის ჩაუპარტყუნებდათ თავში. ამ აფეთქებით ბიჭები ჯერ აფრთხილებდნენ უფროსებს, უფრო ძლიერ აფეთქებებს პირდებოდნენ და ადვილი შესაძლებელია, სიბნელისა და სიჩქარის გამო, საერთოდ შემთხვე-

ვით დადეს დენთით სავსე კოლოფი საღორის გვერდით და სულ ამოუვარდათ თავიდან, იმ საღორეში ცოცხალი არსება რომ იწვა, ბეგემოტის ხელა ღორი, უჭკუო და უდანაშაული. მათთვის მთავარი აფეთქება იყო, ცეცხლმიცემული დენთის ხმა, თუნდაც ერთი წამით რომ გააყრუებდა იქაურობას, ფეზზე რომ წამოადგებდა მთელ სოფელს, ააფორიაქებდა და დააფრთხობდა, თუნდაც ერთი წამით. ის ხმა, სინამდვილეში, უფრო სწორედ, ბიჭების წარმოდგენაში, მათი, პაპის ქამრით გალახული და „ბუზიკოთ“ შეერაცხყოფილი ბიჭების ხმა იქნებოდა და ასეც უნდა აღექვა ყველს (სხვათა შორის, ასედაც აღიქვეს. ზოსიმე მღვდელმა მეორე დღესვე უთხრა ქაიხოსროს: ეს ამბოხებაა და თანაც სისხლიანი), რადგან ის ბიჭები რომ არ ყოფილიყვნენ, ასეთები რომ არ ყოფილიყვნენ, მაშინ არც ის ხმა იქნებოდა, აფეთქების ხმა, დენთის სანახევროდ დანეცხტანებულმა კოლოფმა რომ გამოსცა, ბოლოს და ბოლოს, მაინც გამოსცა, მეოთხე ცდაზე, რადგან ასე სურდათ ბიჭებს, ასე ჰქონდათ ჩაფიქრებული და მეოთხეჯერ კი არა, მესაჯერ ცდიდნენ, საჭირო რომ გამხდარიყო; დენთიც მათი ნაშოვნი იყო, ნავთიც, კანაფის გორგალიც და ასანთიც, და როცა კაცსაც და ბუნებასაც ენა ჰქონდა ჩავარდნილი, ძილით იყო გართული, ისინი ალაპარაკდნენ, აფეთქებულ დენთს ათქმევინეს, რომ არავის შეარჩენდნენ, არავის აპატიებდნენ უპრავონო ცემა-ტყეპასა და აბუჩად აგდებას, გინდა პაპა ყოფილიყო და გინდა მამაზეციერი. ისინი შუაღამისას, დენთიანად, ნავთიანად, კანფიანად, ასანთიანად, ლეიბების ქვეშ რომ ჰქონდათ დამალული თავიანთ ოთახში, გამოიპარნენ ჩაძინებული სახლიდან, მთამა ღამის პერანგებმა თეთრი მოჩვენებებივით გაიელვეს სიბნელეში, და ეზოს ბოლოში, საღორის გვერდით ჩაცუცქდნენ. ნავთში ამოვლებულ კანფს, რომლის ერთი ბოლო დენთის კოლოფზე იყო გამობმული, ნიკო უკიდებდა ცეცხლს. „ჩქარა ქენი, გაშრა ნავთიო“ — დასჩურჩულებდა ალექსანდრე, მაგრამ ნიკოს ასანთის დერი ხელში ატყდებოდა, ანდა უშედეგოდ ფხაჭნიდა გოგირდწასმულ მუყაოს. მაინც მოახერხა და სამჯერ წაუკიდა ნიკომ ცეცხლი ნავთში ამოვლებულ კანფს, და ერთმანეთის გვერდით ჩაცუცქულნი, მღელვარებისგან სუნთქვაშეკრულნი, მისჩერებოდნენ ისინი, ლეკის ჯამბაზივით როგორ მიცეკვავდა მოლურჯო ალი კანფის ძაფზე, მაგრამ დენთის კოლოფამდე ძლივს მიღწეული ცეცხლის ალი სამჯერვე ჩაქრა, გაიშიშინა და ღამის ჩახუთულ ჰაერში ტუსის სუნი დააყენა. მაშინ კი იმძლავრა ბავშვურმა სულსწრაფობამ, ბავშვურმა სისულელემ, შეიძლება თავმოყვარეობამაც და ალექსანდრემ ძმას ასანთი გამოსტაცა, ბოთლში ჩარჩენილი ნავთი დენთის კოლოფს მოასხა და, სანამ ნიკო დაყვირებას მოასწრებდა, ანთებული ასანთი ზედ მიაგდო. აფეთქების ტალღამ ნიკოც გადააქცია, თუმცა იგი გაცილებით შორს იყო დენთის კოლოფისგან. ჰაერში ამოტრიალებულმა ნიკომ მაინც მოასწრო დაეხახა, როგორ აფრინდნენ ცაში საღორის დანფოტეტებული, ცეცხლწაკიდებული ფიცრები და თვალისმომჭრელ სინათლეში დათოვლილი ბორცვებით, ერთი წამით გაიელვა ქაიხოსროს თეთრმა ღორმა. ღორს ბალანიც არ შეტრფესია, მაგრამ აფეთქების ხმამ და მიუჩვეველმა სინათლემ ისიც გამოაფხიზლა მარადიული რინდიდან და თავისი უკმაყოფილების გამოსახატავად მხოლოდ ერთხელ ამოიღრუტუნა, მოკლედ და ბრაზიანად. საკუთარ სისხლში თავფეხიანად ამოსვრილ ალექსანდრეს კი მარცხენა მკლავი იდაყვთან ტყავზღვა ეკიდა.

ალექსანდრეს მკლავი იდაყვს ზემოთ მოჰკვეთეს და როცა იგი საავადმყოფოდან გამოვიდა, გამხდარი და ფერდაკარ-

---

ოთარ ჭილაძე
ყოველმან ჩემმან მკოვნელმან....

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული, ანეტას გაუჭირდა **მისი** ცნობა, თუმცა წინასწარვე **იცოდა**, ალექსანდრეს ცალი ხელი რომ **აღარ ჰქონდა**; მაინც გაუჭირდა ამ **ფერდაკარგული**, მობუზული და რიღაცნაირად, შიშისა **თუ** ზიზღის მომგვრელად **დავიწროვებული** ბიჭის დაკავშირება იმ ალექსანდრესთან, რომელსაც აქამდე იცნობდა. ალექსანდრემ ოდნავ, ნაძალადევად **გაუღიმა**, თითქოს ტუჩები სტკიოდა, და **ისე** ავიდა ეტლში, ხმა არ ამოუღია. სა-ერთოდ ყველანი დუმდნენ, ყველას უშირდა ლაპარაკი. აქეთ რომ მოდიოდნენ, ანეტას ეგონა, ერთი ჟივილ-ხივილით შეეგებებოდნენ ამდენნირნის უნა-ხავ ალექსანდრეს, ისიც ყველას გულში ჩაიხუტებდა (ცალი ხელით?) და ყველას **დაკოცნიდა**, რადგან, ალბათ, იმა-საც მონატრებული ეყოლებოდა ყველანი, **მაგრამ** ამის მსგავსიც არაფერი **მომზდარა**, ეტლში ჩასხდნენ და შინისაკენ **გამოსწიეს**. ერთ მხარეს ქიიხს-**რო, ნიკო** და ანეტა ისხდნენ, მეორე **მხარეს** კი — პეტრე, ალექსანდრე და **ბაბუკა**. შუბლებს შორის ჩამჯდარი ალექსანდრე უარესად დაჩიავებული-**ყო**, თითქოს ადგილი არ ყოფნიდა, ვერ **ჩატეულიყო**, მხრები თავისუფლად ვერ გაეშალა. ექვსი უახლოვესი ადამიანი კრიჭაშეკერული, დაბნეული შესცქეროდა ერთმანეთს. ეტლი კი, რბილად, მსუ-ბუქად მიუყვებოდა თეორი, მზეზე გა-ხურებული მტვრით დფაფარულ შარას **და** ცხენების ფლოქვების განუწყვეტელი, **ერთფეროვანი** ბაკუნი კი არ აფ-რთხობდა, უარესად აძძაფრებდა ეტლ-**ში** გამეფებულ დუმილს. გზის გაყოლებით, **წვიმებისგან** ჩამორეცხილა და ჩამოღარულ ფლატეებზე, ერთმანეთს გადაბმოდნენ, ერთმანეთში გადახლარ-თულიყვნენ ასკილის, კუნელისა თუ მაყვლის ბუჩქები. ეკლიანსა და ოდნავ, თითქმის შეუმჩნეველად აქანავებულ ყლორტებს აქა-იქ კიდევ შერჩენოდა შავი, დამტვერილი, დამეჭეჭებული ნა-ყოფი. ხანდახან ბროწეულის ყვავილი გამოაჭყეტავდა წითლად და მისი გა-ბაკეცული ანარეკლი, ერთი წამით, **ეტლში** მსხდომთა სახეებსაც **გადაფენ-ნებოდა**, **გამოაცოცხლებდა**, **გაანძალ-ნებდა**. გზაზე ხელი, **გამოფიტული** ნა-ზუქებივით ეყარა ფუნა. უცაბ შაშვი აპახჭახდებოდა, ანდა ოინბაზი კიჭკიჭი გადაიხარხარებდა და მსუბუქად, **მშვი-დად, უხმაუროდ** მიმავალი ეტლის თავ-ზე გავარვარებული ჰაერი თვალისმომ-ჭრელად ალიცლიცდებოდა. ხანდახან გზა მოულოდნელად წყდებოდა, ეტლი დამშრალი მდინარის ქვაღორღიან კა-ლაპატზე მიირწეოდა და ეტლში მსხდომნი უნებურად ერთმანეთს აწყდე-ბოდნენ. ნამდინარევზე აქა-იქ კიდევ შემორჩენილიყო პატარა, ამღვრეული გუბეები, რომელთა გარშემო უზარმაზარი, ტალახშემხმარი კამეჩები მიყრი-ლიყვნენ და ბიბლიური სიმშვიდით და-რაჯობდნენ გზაფხულამდე უგზოუკვ-ლოდ გადაკარგული მდინარის ამ უკა-ნასკნელსა და საცოდავ ნარჩენებს; მე-რე ისევ გზა იწყებოდა და ეტლიც ისევ მსუბუქად, რბილად, უხმაუროდ მის-რიალებდა ცხელსა და ფაფუკ მტვერ-ში და ისევ აუჩქარებდად, რულისმომ-გვრელად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს მარტოხელა, სახტად დარჩენილი ხეები თუ ჩუქურთმიანი ქვებით მოფენილი პატარა სასაფლაოები, ხრიოკ ფერდობ-ზე შეფენილი, ლამის ვერტიკალურად გარინდული, ჯიქანდაბზეკილი თხები თუ ღობის ძირას მოყრილი ულოლიანი ღო-რები, ქვითკირის ნვიან წყაროებში მოუყუსპალავე ბიჭებუქები თუ მხარზე კოკურაშედგმული შაოსანი ქალები, დაგვილი, წუალმოპკურებული ეზოები თუ რიკულიანი აივნები, ხის ძირას და-დგმული, ხილაბანდგადაფარებული აკ-ვანი თუ ჩრდილიან კედელზე თავმიბ-ჯენილი სახედარი, მეხუთე ფეხვივით, მიწამდე რომ დასთრევდა სასირცხვო. მერე ისევ გადაებმევოდნენ კუნელის, ასკილისა და მაყვლის ბუჩქები, ისევ გადაფენებოდა ეტლში მსხდომთა მო-ღუშული სახეებს ბროწეულის ყვეტელა ყვავილის ალისფერი ანარეკლი, ისევ გაბაბადნენ ჭრიჭინები გაუთავებელ ჭრიჭინს და, ოქროს კენჭივით, ისევ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვარდებოდა ეტლში მბზინავი, ბუსუსიანი ფუტკარი.

ნახევარი გზა გამოვლილი ჰქონდათ, ქიაბსრომ ეტლი რომ გაარეხინა და ალექსანდრესა და ბაბუცას გარდა, ყველანი გზისპირა ბუჩქნარში გაუჩინარდნენ. მეეტლემ მთარახი ტარით ჩაამგრა კოფოზე, რკინის ფოსოში, და ფარეთე ქამრის სწორებ-სწორებით, თითქოს ისიც იმ საქმეზე არ მიდიოდა, გადავიდა გზიდან. ანეტა ნოტიო, ჩრდილჩამდგარ თხრილში მიმოფანტულმა ყვავილებმა გაიტაცეს და მამამისს რომ არ დაეძახა, სად მიდიხარო, მიყვებოდა ყვავილებს, აღარცკი ახსოვდა, რისთვის გადმოსულიყო ეტლიდან.

— შენ არ გინდა? — ჰკითხა ბაბუცამ ალექსანდრეს.

დედის ხმამ ალექსანდრე თითქოს შეაკრთო, უარის ნიშნად თავი გაიქნია და მხოლოდ მაშინ იგრძნო, ლაჯები რომ გოფლიანებოდა და გადაჭრილი მკლავი უბტყოდა.

— მე მოგეხმარები. — არ მოეშვა ბაბუცა.

ალექსანდრეს ყბა ჩამოუგრძელდა, ლოყა აუცახცახდა და ისეთი მძვინვარე თვალებით შეხედა, ბაბუცა შიშისაგან კუთხეში მიიყუჯა.

ანა, გიორგა და აღათია ჭიშკართან ელოდებოდნენ. ეტლი რომ გამოჩნდა, ანა თავს ვეღარ მოერია, ეტლისკენ გამოიქცა და მეეტლეს რომ არ ემარჯვა, ლამის გადაეთელვინა კისერმობრეცილ, პირზე დუქმომდგარ ცხენებს. ალექსანდრე ეტლიდან გადმოხტა, მკლავებში ჩაუვარდა თავსაფარგადამძვრალ ანას და აღრიალდა. მაშინ ვეღარც ეტლში მსხდომებმა შეიკავეს თავი და ნათმენი, ნატყუები ცრემლით დამდუღრულნი ჩაეხვევნენ ერთმანეთს. ასე, ერთმანეთის ხვევნა-კოცნით, სიცილ-ტირილით შეიკეტეს იმ დღეს მაკაბელებმა რკინის მძიმე ალაყაფი.

7

თვალის გახელვამდე იცოდა, მარტო რომ არ იყო ოთახში. გრძნობდა, ვიღაცა დაჯინებით უყურებდა. თვალი რომ გაახელა, ვიწრო, თაღისმაგვარ სარკმელში ლურჯად აბურძგნული წყვდიადი ჩამდგარიყო, შორს, ძალიან შორს, ჩაწეული ლამპა ბჟუტავდა. საწოლის ფეხებთან, უზურგო სკამზე, უცხო ქალი იჯდა, ხნიერად მოეჩვენა, თუმცა სინამდვილეში ის ქალი მხოლოდ ხუთი წლით თუ იქნებოდა მასზე უფროსი. შავი კაბა ეცვა, უსაყელო, უმაჯვნო; ხუჭუჭი, ბუჩქივით თმა ჰქონდა, ოთხკუთხა სახე და დიდი, კაცური ხელები. კაცივით გაიზმორა, ფეხები გაფარჩხა და წელში გაიზნიქა, ღონივრად, მადიანად. უსიამოდ ამოებურცა გულმკერდი, კაბის უხეში ქსოვილი შეინძრა, სოლის ნაკადივით ჩაუშვავდა სხეულის ღრმულებში.

— მეც დამძინებია. როგორა ხარ? — ჰკითხა მოქნარებით.

ალექსანდრემ უნებურად თვალი აარიდა; ქალმა რაღაცას მიაყურა, გაიღიმა, მუხლზე გადაფარებული ხილაბანდი, რომელიც იქამდე არ შეუმჩნევია ალექსანდრეს, რადგან ისიც კაბის ფერისა იყო, სწრაფად, ხელის ერთი მოქნევით მოიხვია თავზე.

— მამაჩემსაც გაუღვიძია. მე კი ისევ ღამე მეგონა. — თქვა უმისამართოდ, ჰაერში. მერე ისევ შეხედა ალექსანდრეს. — გესმის? — ჰკითხა და ისევ მიაყურა რაღაცას.

თითქმის მაშინვე ალექსანდრესაც ჩაესმა შორეული, ყრუ, სუსტი კაკუნი. არა, მაშინ კი არ ჩაესმა, დიდიხანია ესმოდა, შეიძლება ამ კაკუნმაც გამოაღვიძა, მაგრამ მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება.

— კუბოს აკეთებს. გუშინ ერთი მოგვიკვდა. ისეთ დღეში იყო, საწყალი, კედლებზე გადიოდა. თავში ბაყაყი ყავდა. — ცხვირში გაიცინა ქალმა და დიდი, დაშაშრული ხელი პირზე აიფარა. — გინდა ქილა? — ჰკითხა მოულოდნელად.

ალექსანდრეს თავი უბრუოდა, კი არ უბრუოდა, გვერდზე მიუდიოდა რაღაცნაირად; უცხო, უსიამო სუნი უღიტინებდა ნესტოებში და თითქოს იმას ერიდებოდა ალექსანდრეს თავი ალექსანდრეს ჩაურეკლა. ეგონა, ლორწოში იწვა, თავადაც დინდლო და მოშვებული, როგორც წყალში ამოწებული ბამბა. ცოტაც და გული აერეოდა, თავზარდაცემული ელოდებოდა გულისრევას.

— წყალი მინდა. — ამოიკვნესა, როგორც იქნა.

პირიც ლორწოთი ჰქონდა სავსე. ქალმა ცალი ხელი თავქვეშ ამოუდო, მეორეთი ჭიქა მიუტანა პირთან. ალექსანდრემ ჭიქის ჩამორთმევა დაუპირა, მაგრამ ვერ მოახერხა. მარჯვენა ხელი საწოლზე ჰქონდა დაბმული, მარცხენას კი, ვერ იმორჩილებდა, დაბუეებოდა, უსაშველოდ გაზრდოდა, გასივებოდა, წვრილწვრილი, ბასრი ნემსებით გავსებოდა შიგნიდან, ჭიქამდე თითქოს მიქონდა, თითქოს ეხებოდა კიდეც. მაგრამ ჭიქას ვერ გრძნობდა, ჭიქა ცალკე იყო, მისი ხელი კი — ცალკე, ჭიქა ისევ ქალს ეჭირა, რადგან ქალის ხელს ხედავდა, თავისას კი — ვერა.

— ხელი, ჩემი ხელი. — გაუკვირდა ალექსანდრეს.

— ჯერ სადა ხარ, ახლა დაგეწყება ტკივილი. — უთხრა ქალმა და დაშაშრული ხელისუფრები ტუჩებზე მოუსვა.

მერე ტკივილი დაიწყო. ტკივილს ხერხის კბილები ჰქონდა, ხერხივით ხროტინობდა, დაუნდობლად გლეჯდა ხორცს, ძარღვებს, ძვალს ჩაფრენილი, წელში იბრიცებოდა, ღრჭიალებდა და ჯიუტად მიიწევდა წინ, ძვლის ტვინისკენ. ალექსანდრე კვდებოდა და ცოცხლდებოდა, სული ეხუთებოდა, თითქოს ბოლში იწვა, ვერაფერს ხედავდა შავად დაგრაგნილი ბოლის მეტს, ათასში ერთხელ წითლად რომ ფეთქდებოდა და საყრდენგამოცლილი, დაცარიელებული, სუნთქვაშეკრული ალექსანდრე ნელა, რაღაცნაირი, შემაშფოთებელი, დამაეჭვებელი ნეტარებით ეშვებოდა უძირო ორმოში, გრილი, ლორწოვანი ბაყაყებით სავსე კუბოში; თვალებზედაც ბაყაყები ესხდნენ, გუგებით გრძნობდა მათ სლიპინა მუცლებს. მერე ისევ ბაეუტავდა ლამპა, ისევ იკეიხთებოდა წამლის სუნით, ისევ ერეოდე გული, ისევ თხოულობდა წყალს, ისევ ცდილობდა არარსებული ხელით ჭიქის ჩამორთმევას, ისევ იზმორებოდა უზურგო სკამზე ქალის უხეში, მოურიდებელი სხეული, ისევ გრძნობდა ტუჩებზე იმ ქალის დაშაშრულ კანს, ისევ ესმოდა ყრუ, სუსტი კაკუნი და ისევ ებურძგნებოდა მისავათებული სული, სადღაც, მისი არსების გარეთ, გველივით წამოფოფრილი, ტკივილის მოლოდინში; მერე იმ ქალთან ერთად იწვა ლოგინში, გაეუეჩებული, შემკრთალი და ბედნიერი.

— რა გატირებს, ვაკაცი არა ხარ? — ეუბნებოდა ქალი.

ქალის სიმხურვალე და მძაფრი სუნი თავბრუს ახვევდა, ისედაც დასუსტებულს, მაგრამ ახლა სხვა არაფერი უნდოდა ამ სიმხურვალისა და ამ სუნის გარდა, ისე შეეუეუელიყო შიგ, როგორც ნარბენი, ნიფთის გადარჩენილი ნადირი დიდიხნის წინათ მიტოვებულ სოროში, გასაპირმა რომ გაახსენა მოულოდნელად.

— მეც მახინჯი და შენც მახინჯი, — ეუბნებოდა ქალი. — დავიწეროთ ჯვარი და ვიცხოვრთ ბედნიერად.

— ხო, ხო, ხო. — იმეორებდა იგი უსასრულოდ, უაზროდ, ენინანად. ოღონდ დიდხანს გაგრძელებულიყო ასე, ოღონდ არ მიეტოვებინა ქალს.

ქალს მარო ერქვა, აქვე ცხოვრობდა, მონასტერში, მამასთან ერთად. მამამისი მონასტრის დარაჯიც იყო და ხელობაც იცოდა, სკამებსა და თაროებს აკოწიწებდა, ხანდახან კუბოებსაც, თუკი ვინმე უპატრონო მოკვდებოდა მონასტერში. მაროს დედა ადრე მოუკვდა, წესიერად აღარც ახსოვდა, მაგრამ ხშირად ახსენებდა, ხშირად უთვლიდა წყეევლასა და კრულვას. მარო დაბადებით კოჭლი იყო, დედამისი ორსულობისას წაქცეულა, თვითონ არაფერი მოსვლია,

მარდად წამომხტარა ფეხზე, მარო კი, სამუდამოდ დაუმახინჯებია, **დედის** მუცელში მოსტეხია ფეხი. იმის მერე მოდის და მობარავს თავის **მწარე** ბედს, რახან ცალი ფეხი მოკლე აქვს, აღარც მისი შავი თვალები **უნდა** ვინმეს და აღარც მისი ხუჭუჭა თმა. თხუთმეტი წლისა იყო, მესაფლავე იაგორიამ რომ გაუპატიურა. სულელი იყო მაშინ, სასაფლაოზე უყვარდა სიარული, ჩამოჯდებოდა ვინმეს საფლავთან და მოთქმით ტიროდა, დიდ ქალებს ბაძავდა. იაგორას იქამდეც იცნობდა, ხან საიდან გამოტყვრებოდა მხარზე ბარგადებული და ხან საიდან. „შენ რომ არ ყავდე, რა ეშველებოდა ამდენ უპატრონო მკვდარსაო“ — ეუბნებოდა და იღრიჭებოდა, შავი, ჩამპალი კბილებით. წითელი თმა ჰქონდა, ბეჭებზეც წითელი ბალანი მოსდებოდა, ზამთარ-ზაფხულ წელზევით ტიტველი დადიოდა. მაროს არ ეშინოდა იაგორასი, ან რატომ უნდა შინებოდა, ის საფლავებს თხრიდა, ეს მკვდრებს ტიროდა, შეეჩვევნენ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ იმ დღეს მაინც გადაუტტრიალდა გული. იაგორა საფლავში იდგა და მარომ ერთბაშად ვერცკი შეამჩნია იგი. „ბუჰო“ — დაუძახა იაგორამ საფლავიდან **და** ისე მოულოდნელად ამოყო **წითელი** თავი, გეგონებოდათ ალი ამოვარდაო. „ჭირი და დოზანა. როგორ გამიხეთქე გული“. — მიაწყევლა მარომ დიდი ქალივით. „ჩამომგოგო, **რა** გაჩვენო“. — უთხრა იაგორამ. „ რა უნდა მაჩვენო“. — დაინტერესება მარო. „ჩამო და გაიგებ“. — **უთხრა ი**აგორამ. მაროც ჩავიდა; ჩავიდა და ჩავიდა. **ი**აგორას ცხელი, **მიწიანი** ხელები ჰქონდა. მაროს კისერი ეტკინა, მოუხერხებლად იწვა. „იცოდე, ცოცხლად დაგმარხავ, სადმე თუ გითქვამს“. — უთხრა იაგორამ. „როგორა ძლებს **ამ** სივიწროვეში მკვდარი“. — თქვა მარომ. იაგორამ გაიცინა, იღლიებში ხელები შეუყო და საფლავიდან ამოახტუნა. ნამდვილი შიში მერე გადაეტანა მარომ, სიზმარში; ვითომ იაგორა ფეხში თოკს აბამდა და საფლავში მიათრევდა, **მაროს** დაყვირება **უნდოდა, მაგრამ** პირზე იაგორას ცხელი, **მიწიანი** ხელი ეფარა და სული ეხუთებოდა. **ეშინ**ოთა თუ არა, სასაფლაოზე გაიქცა, **დასიზმრებულ** იაგორას ცხადი იაგორა ჯობდა. ახლა აღარ ტიროდა უპატრონო მკვდრებს, საფლავის ქვაზე შედგებოდა ხოლმე და ჩუმად, მოთმინებით ელოდებოდა, როდის, რომელ მხარეს ამოყოფდა იაგორა წითელ თავს მიწიდან. მერე იაგორა დაიკარგა, მიწამ უყო პირი. ტყუილუბრალოდ დადიოდა მთელი წელი სასაფლაოზე. ხალხი ისევ იხოცებოდა, საფლავებიც ისევ ითხრებოდა, მაგრამ ახლა სხვები თხრიდნენ საფლავებს. იაგორა კი არ ჩანდა. არც არავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი, ჯანდაბამდის გზა ჭმონიაო, — ერთნაირად ამბობდნენ ყველანი. მერე ისა და მამამისი ამ მონასტერში გადმოსახლდნენ. მერე მონასტერი ლაზარეთად გადააკეთეს და იმანაც დაისვენა, სადღა ეცალა იაგორასთვის, ხან ვის უთვევდა ღამეს და ხან ვის, მთელი თვე რომ არ დაეძინა, არაფერი მოუვიდოდა, ისე შეუყვარდა ავადმყოფების მოვლა-პატრონობა. ავადმყოფებთან აღარც გამორჩეულად გრძნობდა თავს და აღარც დაჩაგრულად. „დაო, დაო“ — ეძახდნენ აქეთ-იქიდან ცეცხლით დამწვრები, ტყვიით დაფლეთილები, ცულით დაჩეხილები, ჩირქში, ბალღამში, დამპალ სისხლში ამოთითხნილნი და ისიც შეუზიზღებლად წმენდდა ჩირქს, ბალღამს, დამპალ სისხლს; გაჰქონდა მათი შარღი და განაცალი, ჭამდა მათ მონარჩენ საუმელს და ბედნიერი იყო, რადგან მასზე უბედური ხალხიც არსებობდა ამ ქვეყანაზე. ის, რაც იაგორამ ასწავლა, ავადმყოფებმაც იცოდნენ, სიცხიანები, ტკივილისგან აღმუვლებულნი იწვენდნენ ლოგინში, გაშმაგებულნი კოცნიდნენ, მკლავებს ულოკავდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ, და ბავშვებივით მშვიდად იძინებდნენ მის მკერდზე, დროებით

ოთარ ჭილაძე
ყოველთვის ჩემთან მოგონებლად...

ტკივილჩამცხრალნი, დროებით განკურნებულნი. ერთი იმ დროს მოუკვდა, მის მკლავებში დალია სული. „მადლობელი ვარ, დაო“ — ამოიგმინა და გათავდა. მკვდართან ერთად მოუსწრეს ლოგინში, რადგან მოერიდა მკვდრისა, არ წამოვარდა მაშინვე, აცალა ბოლომდე გაციება. მერე მამამ სარდაფში ჩაიტყუა, სადაც კუბოებს აკეთებდა, და ჩაქუჩით დაედევნა. კოჭლი იყო, მაგრამ მაინც ვერ ეწეოდა მამა, ისე ყოჩაღად მიხტოდა დაუშთავრებელ კუბოებზე, თვითონვე ეცინებოდა, თითქოს დამშვერაობას თამაშობდნენ ისა და მამამისი. ბოლოს მამა დაიღალა, გამწარებულმა ჩაქუჩი ესროლა, თვითონ კუბოზე ჩამოჯდა და ატირდა. ბაღლინით სლუკუნებდა: ხომ იცი, შენს მეტი არავინა მყავს, რატომ მღუპავ, რატომ მჭრი თავსაო. „კოჭლი რად გამაჩინე?“ — ნიშნს უგებდა მარო, ეკონა მამამისი თავს იკტუნებდა, მიტყუებას უპირებდა და იმიტომ ტიროდა. უკეტ იგრძნო, რომ მამამისი არ თვალთმაქცობდა და გაბრაზდა, თვითონაც არ იცის, რამ გააბრაზა, მაგრამ ისე მწარედ წაეკიდა ცეცხლი გულმუცელზე, ბალლინით ასლუკუნებულ მამას ხელი ჩკრა და კუბოში ჩააყირავა. არც ის იცის, რატომ მოიქცა ასე, მაგრამ ასე რომ არ მოქცეულიყო, გული გაუსქდებოდა. აკი მაშინვე დამშვიდდა კიდეც, კუბოდან ამოსვლაშიც მიეხმარა ფეხებაფართხალებულ მამას და ღიღინებულნით ამობარა სარდაფის კიბეები. მერე მამამაც თავი გაანება, მამაც მიხვდა, მარტო საფლავებსა და ავადმყოფთა ლოგინებში ჩასაწვენად რომ ვარგოდა მისი ქალიშვილი. რადგან კოჭლად დაბადებულიყო და თავიდანვე გამოყოფდა ჯანსაღი ადამიანებით დასახლებულ ქვეყანას, სადაც მისი გამოჩენა, ყველას სიცილისა და ხუმრობის გუნებაზე აყენებდა. „ამოჰკარი, ერთიც ამოჰკარიო“ — ეძახდნენ ქუჩაში მიმავალს უსაქმური ბიჭუტკები და ისიც უარესად კოჭლობდა, ამაყად მომღიმარი, გაცისკროვნებული და აღგზნებული მთელი ქვეყნის სიძულვილითა და საკუთარი სიმარნეზის შეგრძნებითა.

ეს ყველაფერი საწოლში მოისმინა ალექსანდრემ, უძილო, გაუთავებელი, ტკივილითა და ქალის სიახლითაგასპეტაკებულ ღამეებში, წამლებისა და ლამპის სუნით გაჟღენთილ სენაკში, კირით გადათეთრებულ კედლებს შორის, დედ-მამას, და-ძმას მოწყვეტილმა და ხელმეორედ დაბადებულმა, ისევ ჩვილად კი არა, დასრულებულ მამაკაცად, აქოთებულ სახვევებსა და უცნო ღედაკაცის მკლავებში.

— მე არ მიგატოვებ, მე არაფრის არ მრცხვენია. — ჩურჩულებდა ხმაშეცვლილი, სულშეძრული საკუთარი ნათქვამით, მისივე პირიდან ამოსული პირველი მამაკაცური სიტყვებით.

— ისეძაც მე ვიხარო, — დაშაშრულ ხელს პირზე აფარებდა ქალი. — იცი რასა გევხარ? — ეუბნებოდა ცოტახნის მერე. — ჭიაყელას. აი, მეორე ხელიც რომ არ გქონდეს, ნამდვილი ჭიაყელა იქნებოდი.

მერე ალექსანდრე წაიყვანეს. მაროს არ გამოუცილებია, ვიწრო, თაღისმაგვარ სარკმელთან იდგა და იქიდან უყურებდა. „სად მიდიხარ, ბიჭო, რა საერთო გაქვს მაგთანთან“ — ლაპარაკობდა გუნებაში. ალექსანდრემ მოიხედა, თვალი ჩამოაყოლა მონასტრის ერთნაირ სარკმლებს, იცოდა, მარო რომ უთვალთვალებდა საიდანღაც. „ჰი, ჰი“ — ჩაიცინა მარომ თავისთვის, შორიდან გაეთამაშა, გაუხარდა, ალექსანდრემ რომ ვერ აღმოაჩინა იგი. ალექსანდრე კი, მთელი გზა მაროზე ფქრობდა, მისი სუნი ასდიოდა და დედ-მამის შორის ჩაქეფილი, გრძნობდა, თანდათან როგორ ეუფლებოდა სურვილი. ეტლში მისთვის უკვე უცნო ხალხი იჯდა. რა ბქმა უნდა, იცოდა, ვინ ვინ იყო, ვინ რად ეკუთვნოდა, მაგრამ მხოლოდ იცოდა, გრძნობით კი, ვეღარ გრძნობდა. სრულებით არ აწუხებდა ეს ამბავი, თავისთვის იჯდა და იხსენებდა მონასტრის სენაკში გატარებელ ცხოვრებას, რომელიც ეტლში მსხდომთათვის არცკი

არსებობდა, არაფერი აკავშირებდათ თაღისმაგვარ ვიწრო სარკმელთან, ახრჩოლებულ ლამპასთან, რკინის უხეშ საწოლთან, ტკივილისა და სიკვდილის სარეცელთან, რომელიც **ყველასთვის** ერთნაირია და რომლისთვისაც ყველანი ერთნაირები არიან, ერთნაირად ტანჯულნი და განწირულნი, რომელზედაც კი არ იკურნება ადამიანი, არამედ ხელმეორედ იბადება, სულ სხვა, სულ სხვანაირი, ანდა კვდება. ასევე არაფერი აკავშირებდათ უხეში, ცუდად გარანდული ფიცრებისგან გაკეთებულ სკამთან, რომელიც, ალბათ, მაროს მამის ნახელავი იყო და რომელზედაც მარო იჯდა ხოლმე, უხეში, უშნო, მოურიდებელი, დაუზარელი და გამგები, მონდომებული კი არა, გამგები, მოწყალების და კი არა, ტანჯულთა და მახინჯთა მოწყალების ცოლი, თავადაც ტანჯული და მახინჯი. ალექსანდრე ისე ფიქრობდა მონასტრის სენაჯზე, როგორც უცხო ცის ქვეშ მოხვეულილი — მშობლიურ სახლზე, ერთადერთ დგილზე, რომლის დავიწყება არ შეიძლება და სადაც, **თუ** ბედმა არ გიმუხთოა, აუცილებლად **უნდა** დაბრუნდე, ადრე თუ გვიან. ცხენები მტვერში მიბაკუნობდნენ, ეტლი მშვიდად, **რულის** მომგვრელად მიირწეოდა ბორბლებზე **და** ალექსანდრემ იცოდა, **დარწმუნებული** იყო, რომ დაბრუნდებოდა, **იქ,** გაქუცული კვიპაროსებით შემოღობილ მონასტერში, ღრმად, ხარბად ჩაისუნთქავდა, ერთხელ კიდევ, წამლების, სიდამშლისა და დამწვარი ნავთის სუნს, განაბული, თვალმილულული მიუგდებდა ყურს ჩაქუჩის **შორეულ** კაკუნს და ერთადერთი ხელით მტკივნეულად მიიხუტებდა მაროს ტლანქ სხეულს, საიდანაც ტკივილითა და შვებით, ტანჯვითა და ნეტარებით ამოვიდა ის, ახალი ალექსანდრე, ცალხელა ალექსანდრე, თავისიანებისთვის უცხო და საიდუმლო ალექსანდრე. **თუ** ალექსანდრე მართლა ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, როგორც ისინი, მისიანები ამბობენ, რაკი თავის მაგვრად მკლავი დაკარგა მხოლოდ, მაშინ მისი ბედნიერი ვარსკვლავი, მისი ბედნიერების ვარსკვლავი იქ ანაფაფაზე გაქუცული კვიპაროსების თავზე, აკოთებულ ტალანებში, ვიწრო, თაღისმაგვარ სარკმელში, ახრჩოლებულ ლამის შუშაში, ბნელსა და ნესტიან სარდაფში, სადაც უპატრონო მკვდრისთვის შეკოწიწებულ კუბოზე ჩამომჯდარი მოხუცი საკუთარ უმწეობასა და ერთადერთი ქალიშვილის კოჭლობას ტირის, და არა აქ, ერთმანეთზე სულელი, ერთმანეთზე გულუბრყვილო და ერთმანეთზე მშშარა ადამიანების ბუნაგში, სადაც მისი სიმახინჯე უფრო თვალში საცემია და უფრო გაუმართლებელი, გაუგებარიც; როგორც არ უნდა ითვალთმაქცონ, მაინც უჭირთ მასთან შეგუება. ამიტომაც ლაპარაკობენ ამდენს, ამიტომაც სჯერათ ვიდაც ბოდბისხველი მკოხვისა, ამასწინებუნ ფარანლინად რომ უხუმრეთ: ჯერ პატარაა და ყველაფერი გაეზრდებაო. ჩხრკეენ და ქექავენ სხვათა უბედურებებს, რადგან თვალი აარიდონ იმას, რაც ცხვირწინ უდევთ, რაც მათზედაც ვრცელდება, რამდენადაც, უნდათ თუ არა, ალექსანდრე მათი სისხლი და ხორცია, მათი სახელის მატარებელი, და თუკი სახელი გაუზარეს, მაშინ თავადაც უნდა გაიზიარონ მისი სიმახინჯე. ეს ანბავი, ეს აშინებთ, ეს აიძულებთ თვალთმაქცობას, თავის ძალად გაბრიყვეებს, იმის დაჯერებას, რაც ალექსანდრეს კი არ მოეხმარება, მათ დაამშვიდებს, ცოტახანით მაინც, ერთიორი დღით გაუხანგრძლივებთ უსაფუძვლო იმედს, სანამ რამე ახალი სისულელე გამოჩნდება, ახალი სასწაულის მაგალითი. არარსებულს ეპოტინებიან, რადგან არსებული ხელს არ აძლევთ, ის კი გაუგიათ, ღრუნჩიაანთ ნატომ ექვსთითიანი ბავშვი რომ გააჩინა და ექიმმა ჯანდიერმა ის თითები ხუთამდე დაუყვანა, მაგრამ იმის გაგებაც არ უნდათ, ოთხთითიან ბავშვს მამაზეციერიც რომ ვეღარ მიუმატებს მეხუთეს; იმას

ოთარ ჭილაძე

ყოველნაირ ჩემნაირ მპოვნელნაირ....

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი გაიძახიან, ყრუჩუნა კოლას ორმოცი წლისას გაეხსნა სმენაო, მაგრამ იმაზე ხუმად არიან, იმ ყრუჩუჩა კოლას ყურის შესახმაც რომ ესიკვდილება და იმავე ექიმმა ჯანდიერმა მთელი ტაშტი ჭუჭყი და ბალლამი გამოუღო ყურებიდან; ისიც შეუტყვიათ, ახლა უკვე ბეხრეკ იოსებას, თხუთმეტი წლისას რომ დაღლაპარაკია პირველად, პაპამისის ქელეხში, და ხალხი ისე გაუოცებია, პურმარილი მიუტოვებიათ და გალობითა და პირჯვრისწერით დაძრულან ეკლესიისკენ. რაც მართალია მართალია, ასე ყოფილა, იოსებაც არ უარყოფს ამას, მაგრამ შაურიანსაც თუ ჩაუდებ ხელში, თავიდან ბოლომდე მოგიყვება, რატომ იყო დამუნჯებული თხუთმეტი წლის განმავლობაში და რამ ამოუდგა უცებ ენა. იოსებას მონახვას რა უნდა, დილიდან საღამომდე გარეგანის დუქნის წინაა ჩამომჯდარი, მაგრამ ამათ შაურიანიც არ ემეტებათ, სიმორთლე რომ გაიგონ. სიმპათოლე სასაცილოა და იმიტომ, სიმართლე ხელს არ აძლევთ, სასწაული კი უფრო კეთილია, იმედის მომცემია, ღვინოსავით გათრობს და გალაქლაქებს. ისხდნენ და ილაქლაქონ სანამ არ მობეზრდებათ, რა ესაქმება ალექსანდრეს იმათ ლაპარაკთან. ალექსანდრეს არც დასამალი აქვს რამე და არც სათვალთმაქცო. მახინჯია და გათავდა. იცის რომ მახინჯია და ესაა მისი სიძლიერე, ამიტომაც არიდებენ ყველანი თვალს, კი არ ეცოდებათ, რა სჯირს მათთ შესაცოდი, ეშინიათ მისი, განსხვავდება, გამოირჩევა მათგან. დედამისს ხომ ორი ღღე აბრუნებდნენ ნიშადურით, როცა მოთმინებიდან გამოსულმა ალექსანდრემ, პერანგი ჩამოიხია და ცხვირწინ აუსავსავა მკლავის ნარჩენი. აბა, რა ეგონა? მართლა გაეზრდებოდა ალექსანდრეს მკლავი, თუ ჩიტი ამოუფრინდებოდა პერანგის სახელოდან? იმის მერე ბოდბისხეველი მკითხავი აღარ უხსენებია დედამისს, აღარც იმ ოთახში შედის, სადაც ალექსანდრე წევს და აღარც ტანის დასაბანად გომურში შეკეტილ ალექსანდრეს ეხვეწება, გომურის კარს გარეგანმა ჩარული, შემომიშვი, ზურგზე მაინც წაგისვამ საპონსო. ალექსანდრესი ეშინიათ, ალექსანდრე კი, გულში იცინის და, სულო ცოდვილო, კმაყოფილიცაა თავისი ბედით. ის ნიკოსავით ცაში კი არ დაფრინავს, ყელამდე ტალახში დგას, დედიკოს კალთას კი არაა ამოფარებული, მაროს სუნითაა გაქღენთილი, ნიკოსავით ლექსებს კი არ წერს წმინდა გიორგის გამოცხადებაზე, რომელმაც მათი სამშობლო ურჩხულს უნდა გამოსტაცოს პირიდან, არამედ იმ დღეებზე ოცნებობს, როცა მტირალა მეკუბოვეს მიუვარდება და ერთადერთ ქალიშვილს წაართმევს, ხოლო თუ ბევრს გაიჭირებს, თავისსავე შეკოწიწებულ კუბაში ჩაჭედავს ცოცხლად, რადგან კოჭლმა მარომ ახალი, ცალხელა ალექსანდრე თავისთვის გააჩინა, თავისი კოჭლი ფეხით შემოუბარა კარმიდამო, გამზადებული დაბავედრა ოფლისა და თესლის ჩასაღვრელად. რაც იქამდე იცხოვრა ალექსანდრემ, დაკარგული დროა მხოლოდ, არარსებული, გამოგონილი, და იმის გახსენება, თუ არ შეაფერხებს, არაფერში გამოადგება, რადგან მაშინდელი ალექსანდრე სხვა იყო და ახლანდელი სხვაა. ის გამოგონილი იყო, ეს კი — ნამდვილია, რადგან იმას ორი ხელი ჰქონდა და არ იცოდა, რაში მოეხმარა, ამას კი, ერთი ხელი აქვს და იცის, რამდენი რამის გაკეთება შეიძლება ცალი ხელითაც, თუკი შენს ჭკუაზე გაწვრთნი, როგორც ყაჩაღი — ცხენს, მწყემსი — ქოფაკს და ბაზრის ოინბაზი — მიიმეს. ამისათვის მთავარია, ანკესზე არ წამოეგოს, არ გააბრიყვოს თავისიანების გულისხმიერებამ და გულკეთილობამ, თავიდანვე ჩაინერგოს თავში, რომ დასახმარებლად კი არ მოისწრაფვიან ისინი მისკენ, არამედ დასაღუპად. ერთხელ მაინც რომ მოხვრიპოს სხვისი ხელით მოწოდებული კოვზი, ყველაფერი წუალში ჩაეყრება, სხვისი ხელის შემყურე დარჩება სულ, ისევ სხვებს დამშგავსება და ისევ იქ

შებრუნდება, საიდანაც აფეთქებულმა დენთმა გამოისროლა ერთხელ და სამუდამოდ. მან ცალხელა კაცის ცხოვრება უნდა ისწავლოს და რაც შეიძლება მალე. მოკვდება და ისწავლის, მოკვდება და თავის ჭკუაზე გაწვრთნის ერთადერთ მკლავს, თავიდანვე მოუსპობს სხვისი დახმარების იმედს, გაიუხეშებს, გააღონიერებს, გააეშმაკებს, თვითონ იცის და მისმა მკლავმა, რომელიც ჯერ კიდევ დარდობს ტყუპისცალზე, ჯერ კიდევ ახსოვს იმის საიმედო შეხება, სიობო და სირბილე, მასთან ერთად გატარებული დრო, უაზრო, უდრტვინველი ბღლანძული და კოტრალი, ჯერ კიდევ მიზეზიანობს, ჯერ კიდევ მოუსერხებელია, ხან რა უვარდება და ხან რა, მაგრამ ალექსანდრე მოიყვანს ჭკუაზე, მიაჩვევს უამხანაგოდ ცხოვრებას. თუ იმან დაკარგა ტყუპისცალი, ალექსანდრემ ძმა დაკარგა. ყოველშემთხვევაში, ალექსანდრესთვისაც ისეთი უმნიშვნელო და უსარგებლო გახდა ძმა, როგორც მისი ერთადერთი მკლავისთვის დაკარგული მკლავის ნარჩენი, პატარა, პირიმკრულ ტოპსიკასავით დანაოჭებული ხორცის მორგვი, მხოლოდ და მხოლოდ ზიზღნარევი სიბრალულის ამღვრეული, რომელსაც ბუნდოვნად ჯერ კიდევ ახსოვს, როდის როგორ უნდა მოიქცეს, უნებურად ახლაც ცდილობს გაიმეოროს გადარჩენილი ტყუპისცალის მოძრაობები, მაგრამ აღარ შეუძლია, რადგან აღარ არსებობს, ცვდადნი და ფუფე სიცარიელე აგრძელებს მხოლოდ და იმ სიცარიელეს ვეღარაფერი ამოავსებს. ერთადერთი გზა შეგუებაა, დანარჩენი თავისით მოვა. ვაი, იმისი ბრალი, ვისაც გულუბრყვილოდ ჯერა, ვისაც სიმართლის გასაგებად შაურიანიც არ ემეტება; სიმართლის ფასი შაურია, რადგან არავის არ ჭირდება იგი. ტყუილი კი, ჯადოსნური წამალივითაა, თვალებზე გადაისვამ და გათავდა, ისეთ სიზმრებს დაგასიზმრებს, გაღვიძება არ მოგინდება. ამიტომაც ღირს უფრო ძვირი, ორმოცწლიანი სიყრუეე ანდა თხუთმეტწლიანი მუნჯობაა მისი ფასი. ქველნარი სიმართლე უბრალოა, ცარიელი ტარიელაა, რაც არის — ის არის, არც მეტი და არც ნაკლები, ვერც შეკვეცავ და ვერც გაწელავ, ნალივით მარტივია და ნალივით გამოსადეგი, ოღონდ უნდა იცოდე მისი გამოყენება, როგორც ნალისა, რადგან ნალი ცხენს შუბლზე თუ მიაჭედე, დასასახჩრებს და გააგიჟებს, ხოლო ფლოქვზე მოერგება და მოეხმარება კიდეც სიარულში. პირჯვრის გადასაწერად ცალი ხელიც საკმარისაო, თქვა ზოსიმე მღვდელმა. ესეც სიმართლეა. ცალი ხელი იმის ამოსაღებადაც კმარა, მაგრამ ძალიან შემცდარან, თუ გონიათ, რომ ალექსანდრე იმიტომ გადარჩა, მთელი სიცოცხლე პირჯვარი იწეროს და შარვლის ღილები აწვალოს. მართალია, მკლავი დაკარგა, მაგრამ არც სხვებზე ნაკლები მადა აქვს და არც უნარი. სხვებზე მეტიც ეკუთვნის, რადგან მათ ოჯახში მარტო ისაა პირნათელიცა და თავისუფალიც, რადგან დასაშავებელი უკვე დააშავა და სასჯელიც უკვე მოიხადა, დასაკარგი დაკარგა და რაც დარჩა, იმითაც კმაყოფილია. ისხდნენ და იყბედონ, სანამ არ მოწყინდებათ, იმათ ჯერ არც ნამდვილი ტკივილის ფასი იციან და არც საკუთარი სიმახინჯის დასანახი თვალი ახლიათ. ამიტომ, არც ამ ქვეყნისა გაეგებათ რამე, ნეხვი ვარდად ეჩვენებათ, ნეხვშიც ვარდს ეძებენ, ნიკოსავით პოეტები არიან, მაგრამ ნიკოსი არ იყოს, თავს იტყუებენ მხოლოდ, სხვის ტკივილსა და სიმახინჯეს დაჰფოფინებენ ღმერთის დასანახად, ღმერთს ატყუებენ თვალითი ჭკუთ, ვითომ ნახე, როგორი კეთილები ვართ, როგორ გვტანჯავს სხვისი ჭირი და ჩვენ მაინც დაგვზოგე, ჩვენ მაინც ნუ გვატკენ, ჩვენ მაინც ნუ დაგვამახინჯებ. მაგრამ არა, არ გამოვა ასე, თავის თავს თვითონ მოუვლის ალექსანდრე, სხვებმა კი სხვა გზით, სხვა საშუალებებით მოინანიონ თავი-

ოთარ ჭილაძე
ქართველნი ჩემნი მკოვნელნი....

ანთი ცოდეები. რა წმინდანი ის ხარ, რომ მისი მოგლა-პატრონობა სიკეთესა და ღვთისნიერობაში ჩაეთვალოთ? ის იმიტომ კი არ დაამახინჯა ღმერთმა, რომ სხვების გასართობი გახდეს, სხვებმა ითამაშონ მისი მახინჯი სხეულით, როგორც ანეტის თოჯინით, არამედ იმიტომ, სხვებისგან რომ გამორჩეულიყო, სხვებზე ადრე რომ ახელოდა ქვეყნის დასანახი თვალი. სიმახინჯე მისთვის იგივეა, რაც ნიკოსთვის სწავლა-განათლება. რისთვისაც ნიკომ წლები უნდა დაკარგოს და კიდევ საკითხავია, მოიპოვებს თუ არა, მან ერთ ღამეში მოიპოვა, სისხლითა და ტკივილით, წიგნით კი არა, სისხლითა და ტკივილით, როგორც დაპყრობილი ქალაქის კედლთან ჩამჯდარმა მეომარმა ცხელი ულუფა. ძნელი სათქმელია, მოიპოვებს თუ არა, ანდა როდის მოიპოვებს ნიკო იგივეს წიგნისა და დედამისივით ქერქეტა გიმნაზიელი გოგოების დახმარებით. ღმერთმა ხელი მოუმართოს. რა მისი საქმეა? იმ ღამის მერე, ნიკო მისთვის იგივეა, რაც მისი მარჯვენა ხელისთვის მარცხენა ხელის მონარჩენი, აღარც ძოგმატება და აღარც მოაკლდება რამე. „მაპატიეო“ — უთხრა ნიკომ ქალაქში გამგზავრების წინა დღეს. რა? რა უნდა აპატიოს ალექსანდრემ ნიკოს? ან ვინ მისცა ალექსანდრეს იმდენი უფლება, ნიკოს რომ აპატიოს? მპატიებელი, მიმტევებელი და გამკითხველი სხვაა, ერთია ნიკოსთვისაც და ალექსანდრესთვისაც და იმან უკეთ იცის, ვინ რამდენი დაუშავა და ვინ რა სასჯელს იმსახურებს. ნიკოს ნათქვამმა კი არ გააბრაზა, გააკვირვა, რადგან ნიკოსთან აღარაფერი ესაქმებოდა. ასედაც უთხრა: მე რისი მპატიებელი ვარო, ავე, იმან გაპატიოსო, და ერთადერთი ხელი ცას მიუშვირა, ღვთის წყალობით, ალექსანდრეს არაფერი სჭირს სხვათა საპატიებელი, არც დასაყვედრებელი, არც დასამადლებელი. ალექსანდრე მოწყალების არც გაღებას აპირებს და არც მიღებას, რადგან მოწყალების მიღება საკუთარი უმწეობის აღიარებაა, ხოლო მოწყალების გაღება საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად ჭირდებიან ადამიანს. ამ ქვეყანაზე ტყუილად არავინ არაფერს იძლევა, მაგრამ ძლიერია არა ის, ვინც იძლევა, არამედ ის, ვინც არ იღებს. ალექსანდრე უარს რომ ეუბნებათ მოწყალებაზე, იმიტომ არიან ასე გასაცოდავებულები ყველანი, იმიტომ იმზირებიან ასე დამფრთხალები. აბა, ახლოს მოუშვას! სიამოვნებით გახდიან და ჩააცმევენ დღეში ათასჯერ, როგორც ანეტა თავის ასკლიპიოდოტას; ჩვილივით გადაასვენებენ, ფრჩხილებსაც დაუქნიან და ზურგსაც მოფხანენ, აღარც ძმარში გაწურული ტილოების აფარება დასჭირდებათ ზუბლზე და აღარც ნიშადურის სპირტი, რადგან მომვლელი მოსავლელზე მეტია, მოსავლელზე ძლიერი და არაფერი სჭირს თავის ასატკივებელი და გულის შესაღონებელი. ხა, ხა, ხა... ვერ მოგართვით! მე ჩემთვის და თქვენ თქვენთვის — აი, ყველაზე სწორე სიტყვა; მე ერთი და თქვენ მრავალი — აი, ყველაზე სამართლიანი ანგარიში, მაგრამ ვნახოთ ვინ ვის აჯობებს, ვინ ვის უტიტრებს დედას. კეთილი ინებონ და ერთხელ და სამუდამოდ შეიგნონ, ჭკუას მოუხმონ, თუკი უმტკივნეულოდ შესაძლებელია ეს, და უფრთხილდნენ ალექსანდრეს, რადგან იგი არაფერს არ თხოულობს, მაგრამ არც არაფრის დათმობას აპირებს, რაც ეკუთვნის მაინც მიიღებს, ქვეყანაც რომ გადაუდგეს წინ. ღმერთი სამართლიანია. ალექსანდრემ დაიშავა, მაგრამ დაისაჯა კიდეც. ასე რომ, ახლა ბარიბარში არიან ისა და ღმერთი. სხვებს არაფერი ესაქმებათ არც მის სიცოცხლესთან და არც მის აღზრდასთან. ნიკოს მიხედონ, ნიკოს უპატრონონ, ნიკოზე გამოსცადონ თავიანთი სიკეთე და გულისხმიერება, რადგან ნიკო ჯერ კიდევ იმათია, ნიკოს ჯერ ღმერთი არ უნახავს. მან კი, ახლა და განიცადა კიდეც, რამეთუ ღმერთი არის ტკივილი და საკუთარი სიმახინჯის მიხვედრა. „ახლა ჭკუით იქნები“. — უთხრა ღმერთმა ალექსანდრეს, მერე

დაშაშრული ხელისზურგი ტუჩებზე მოუსვა და ისა და ალექსანდრე ნელნელა, თანდათანობით ჩაიწრიტნენ, ჩაიკარგნენ ერთმანეთში. გიმნაზიელ გოგოებს უკითხოს ნიკომ ახლა თავისი ლექსები, გიმნაზიელი გოგოები მოატყუოს: შუბი შემართა წმინდა გიორგიმო. გიორგას გულისხმობს ალბათ. მაგრამ წმინდა გიორგიც გიორგასავით გულადი თუა, კიდეც დიდხანს დააყოვნებს შუბის შემართვას. მათ ოჯახს გიორგა უფრო შეეფერება, ურჩხულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მთელი სოფლის ძაღლები ყეფით მოსდევენ აქეთ-იქიდან, როცა ვირზე ამხედრებული და მხარზე ბარგადებული, მოჩაჩქეს ხოლმე იგი ვენახიდან.

თეთრი, დიდმუცლიანი ლამპის შუქზე თავმოყრილი მაკაბელები ათასნაირად ჭრიდნენ და კერავდნენ, რთავდნენ და ალამაზებდნენ ბავშვების მომავალს. „ბავშვები“ უფროსების ლაპარაკში არ ერეოდნენ, ნიკო წიგნს კითხულობდა, ანეტა თავის ასკლიპიოდტას ეჩურჩულებოდა რაღაცას, ალექსანდრე კი, თვალმოუშორებლად შესცქეროდა ლამპას და მონასტრის სენაკი ედგა თვალწინ, მაროზე ფიქრობდა, მარო ენატრებოდა, მისი სუნი სცემდა, მისი დაშაშრული კანის შეხებას გრძნობდა და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდებოდა ხოლმე ერთი წამით, როცა ლამპა გაიტაცუნებდა და მაგიდაზე დაფენილ ჩრდილებს შეაკრთობდა. „ბომ-მმმ, ბომ-მმმ, ბომ-მმმ“ — მოულოდნელად გამოიღვიძებდა კარადისხელა საათი და ამ ხმის გაგონებაზე პეტრე ქოლეტის ვიწრო ჯიბიდან ვერცხლის ძმიმე ძეწკვზე გამობმული საათს ამოიღებდა, ცერა თითით მონოგრამიან ხუფს ახდიდა და დახედავდა, თითქოს იმას, კარადისხელას, არ ენდობოდა; კაი დრო გასულაო, იტყოდა მერე და დასაძინებლად მიდიოდა.

— დრო გადის, ჩვენ კი ვერაფერი გადაგვწყვეტია. — წუხდა ბაბუცა.

ალათიაც მაშინვე დაფაცურდებოდა ხოლმე, ანეტას, თავისი ასკლიპიოდტიანად აიტაცებდა და, მიუხედავად იმისა, რომ ანეტი უძალიანდებოდა, არ ანებებდა ატატებას, ხომ ხედავ, ჯერ არც ნიკო დაწოლილა და არც ალექსანდრეო, მაინც მოყავდა, მაინც თავისას უმეორებდა: მაგათ, რას უყურებ, ეგენი უკვე კაცები არიანო.

— კაცები, კაცები... — ბურდღუნებდა ქალიხოსრო. — ეგე, ხომ ხედავთ, რა უყოთ თქვენმა უბრაგონო ლაპარაკმა?!

ასე იყო ყოველ საღამოს და ვერავინ გრძნობდა, რა ერთფეროვნად, რა მოსაწყენად, რა უაზროდ მიედინებოდა მათი ცხოვრება. არა, ნიკო და ალექსანდრე გრძნობდნენ, რადგან ერთი უკვე გზაზე იდგა თითქმის, დღეებს ითვლიდა, გული აღარ უჩერდებოდა აქ, სულითა და გონებით უკვე გიმნაზიელი იყო, ქუდის დახურვაღა აკლდა და ეგონა, აღარ დაადგებოდა საშველი იმ დღის გათენებას; მეორე კი, ქალს ფიქრობდა, ჯიუტად, ბრაზიანად, როგორც თავმოყვარე კაცი — ვალის გადახდაზე, იმ ქალის ხმა გამუდმებით ედგა ყურებში: ნუ სულელობ, ნუ სულელობო, და ერთი სული ჰქონდა, როდის დაუმტკიცებდა. რომ არაფერი ჩაედინა და არაფერი წამოსცდენოდა მასთან ბავშვობით. შეიძლება, ესეც უწყობდა ხელს მის ნაადრევად დაკაცებას, ის საკუთარ არსებაში ახალ ადამიანს ქმნიდა, სპარტანელი მასწავლებლის სიმკაცრით, და მალე ცალი ხელით ცხენსაც კაზმავდა, შეშასაც აპობდა და ბარსაც გირჩაზე მარჯვედ ხმარობდა. ხოლო ასანთის კოლოფს ისე მარდად ხსნიდა, ისე ადვილად ამოქონდა ღერი და ისე მოხდენილად უკიდებდა პაპიროსს, მწახველები გაოცებისგან პირებს აღებდნენ. ბაბუცაც გაოცებამ გადაარჩინა გულისწყასელს, პირველად ნახა, ადამიანის ცხვირაპირიდან ბოლი რომ გამოსდიოდა. ჯერ იფიქრა, დარდისგან ალბათ გულზე ცეცხლი უკიდია და გულის ბოლი ამოსდისო, მაგრამ როცა მისმა

მამამთილაც გაბოლა პაპიროსი **და** აცრემლებუღლა, **ხველებხველებითა** თქვა: გამახსენდა კარგი ცხოვრებაო, ცოტათი დამშვიდდა, თუმცა მაინც ვერ დააკავშირა ერთმანეთთან „კარგი ცხოვრება“ **და** ცხვირპირიდან გამომავალი ბოლო. ალექსანდრე კი ამ ბოლით, პაპიროსის **მწარე** ბოლითაც ბავშვობას **ებრძოდა,** ბოლით უნდოდა ამოეხრჩო **საკუთარ** არსებაში, თუკი რამე დარჩენოდა **ბავშვური;** იბრძოდა, წვალობდა, **ჯიუტად მიიწევდა** წინ; როგორც თაფლზე **დაჭდარი** ბუზი. ნიკო მხოლოდ ხელს **უშლიდა** ბრძოლაში, რადგან ნიკო, სანამ **თბილისში** გაემგზავრებოდა, უნებურად **საკუთარ** ბავშვობას ახსენებდა, თავისი დარცხვენილი ღიმილითა და შემკრთალი, შეწუხებული თვალებით. „წადი, სანამ ლამაზი ხარ, გიმნაზიელ გოგოებს აუჩუე გული“ — ბურდღუნებდა გუნებაში ალექსანდრე. ხოლო იმ დილას, როცა ნიკო გაემგზავრა, ძმები **ისე** ცივად **დაშორდნენ,** თითქოს შემთხვევით **მოხვედრილიყვნენ** ერთდროულად ამ სახლში და მხოლოდ ზრდილობა აიძულებდათ, შეემჩნიათ და მოეთმინათ ერთმანეთი.

— კარგად იყავი, ალექსანდრე. — უთხრა ნიკომ.

— კარგად, კარგად. — ჩაიბურდღუნა ალექსანდრემ და მაშინვე მამას მიუბრუნდა. — აგრონომი მავთულს თხოულობს. რაც აუბედეთ, ორი რიგისთვის ძლივს უმყოფნენია.

— თხოულობს და აუტანე. ჩემი თქმა რად გინდა? — ხელები გაშალა პეტრემ.

— შენი თქმა **არ მინდა, მაგრამ შენც** ხომ უნდა იცოდე. — უპასუხა ალექსანდრემ და პიტნის ნაყენით სავსე სირჩა მაგიდაზე დადგა.

მაგიდაზე კიდევ სამი ასეთივე სირჩა იდგა, სამივე სავსე, პირდაუკარებელი. ბროლის გრაფინის გვერდით ვერცხლის მძიმე დანები ეყარა. თეფშზე ვაშლის დაკლაკნილი ნაფცქვნები ეგდო. ნიკო ჯერ კიდევ აივანზე ტრიალებდა, თვალებაწყლიანებული ჯერ კიდევ ემშვიდობებოდა **იქაურობას,** როცა **ალექსანდრე დუქნისკენ მიაბიჯებდა,** რომელიც ნახის გასამართი მავთული დროულად მიეწოდებინა ქალაქიდან ჩამოყვანილი აგრონომისთვის.

ნიკოს გამგზავრებამ ალექსანდრეს უბედურება ყველას დავიწყა. ახლა სულ ნიკოზე იყო ლაპარაკი: როგორ მოეწყობა, საჭმელს ვინ მოუმზადებს, როგორ მოუვლის თავსაო. ეტლი, რომელმაც ნიკო წაიყვანა, კარგად არც იყო თვალს მიფარებული, ბაბუცა უკვე წერილს რომ წერდა. „აქ ყველას უყვარხარ. ალექსანდრეს ძალიან დაწყდა გული. ვინა ყავს შენზე ახლობელი...“ — აწრიპინებდა ბაბუცა კალამს ცრემლით დამბალ ქაღალდზე.

— კაცი რომ ოჯახს მოწყდება, გათავებულია იმისი საქმე. ვინ იცის, ვის გადაეყრება იმ წყეულ ქალაქში. — იგესლებოდა ქაიხოსრო ბაბუცას **ბულის** მოსაკლავად. — ახლა რაღა დროსია, გაზრდა უნდა დაგეცალიათ **და ისე** უნდა გაგიშვათ შინიდან.

— კარგი ერთი, მამაჩემო. მეტი რა**ღა** უნდა დაგვეცლია, კალთაზე ხომ არ გამოიკერავდა დედამისი. — **ეუბნებოდა** პეტრე.

მაგრამ ქაიხოსროს სხვა **ადარდებდა,** სხვა სატკივარი ჰქონდა, **გაქურდული** კაცივით სკდებოდა **გულზე,** თითქოს გაექურდათ, თითქოს შავი დღისთვის გადანახული ფული წაერთმიათ და სანამ ის აქ **უმწეო** სიბრაზით იბრუკებოდა, დაუდევრად, დაუზოგავად ფლანგავდნენ **ქალაქელ** კახპებსა და კინტოებში.

— ნეტაი შენს! **ახე როგორ** უნდა გადამბიბიროს ცოლმა! — არც შვილს ინდობდა ქაიხოსრო. ალექსანდრე განზე იდგა და, თავისიანების შემყურე, **გულში** იცინოდა.

ნიკო არდადეგებზე ჩამოდიოდა სოფელში და მისი ყოველი ჩამოსვლა ახალ დარდსა და წუხილს უჩენდა ბაბუცას. ყოველ ჩამოსვლაზე შვილი უფრო გამოცვლილი, უფრო გამხდარი და უფრო ფერდაკარგული ეჩვენებოდა და

ახლა სულ ამაზე იყო ლაპარაკი, ყველას ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: ხომ არ შიმშილობს, ხომ არ იღლება, ან რამე უბედურება ხომ არ არის ჩვენს თავსაო.

— ნაზია და ნებიერი, — ეუბნებოდა ალექსანდრე, — აბა, ერთხელ გამოუბაროს ვენახს ძირი და მერე ნახავთ, როგორ აუდაყდაყდება ლოყები.

— შვილი იქამდეა დედისა, სანამ უცხო ქალის სუნს დაიკრავს. — ეცინლზე ნავთს უსხამდა ქაიხოსრო.

ბაბუაცას შვილისა და მამამთილის ნალაპარაკევი მხოლოდ აბნევდა და აღიზიანებდა. ვერ გაეგო, რას ერჩოდნენ, რა უნდოდათ ნიკოსგან, რატომ **ფყვნენ** ორივენი დაძაბულნი და აღრენილნი, სანამ ნიკოს არდადეგები ჩამოთავდებოდა.

— შენ რომ არ იყო, საერთოდ არ ჩამოვიდოდი აქ. — ეუბნებოდა ნიკო ბაბუცას.

ბაბუცა კი ტიროდა, სანთელივით უხმოდ დნებოდა ოთახში შეკეტილი, რადგან ვერაფერი გაეგო საკუთარი ოჯახისა, ერთმანეთისთვის ახლობელი მამაკაცების სიძულვილისა და, რაკი სხვა არაფერი შეეძლო, იჯდა და იცრემლებოდა, ტირილში ეპარებოდა ნიკოს არდადეგები. მერე ფხიზლდებოდა, როცა ნიკო უკვე შორს იყო და გაუთავებელ სოფლურ ღამეებს ისევ მზურვალე ლოცვავედრებაში ათენებდა. დილით კი, ჯერ ისევ პირდაუბანელი, თმადაუვარცხნელი, ღამის პერანგის ამარა, მაგიდასთან იჯდა და კალამს აწრიპინებდა, თავსაც ატყუებინებდა და შვილსაც: აქ ყველას უყვარხარ, სულ შენს ხსენებაში ვართ, ნეტავ სულ უსწავლელი დარჩენილიყავი, ასე თუ გაგვიჭირდებოდა უშენობაო.

ნიკო და ალექსანდრე არდადეგების დროსაც იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ზაფხული ერთისთვის თუ დასვენების დრო იყო, მეორისთვის — შრომისა და ჭაპანწყვეტისა. დილაუთენია შინიდან გასული ალექსანდრე გვიან ღამით ბრუნდებოდა და მთელი სახლი ოფლის, გახურებული მიწისა და შაბიამნის სუნით ივსებოდა. ხოლო ნიკო უმთავრესად ბაბუცას ბიბლიოთეკაში იქექებოდა, დედის ხათრით ცხვირშეშმუხნილი სვამდა ახალმოწყვლილ, ქაფად რძეს და მერე პატიმარივით დაბორიალობდა გრილსა და სანახევროდ ჩამობნელებულ ოთახებში, ადგილს ვერ პოულობდა და მხოლოდ მაშინ მიდიოდა სასეირნოდ, როცა ისევ დედა აუჩემებდა: შინ რას უზიხარ, გაანებე მაგ წიგნებს თავი, ჰაერზე გადი, **იქნებ** ცოტა მოგეგადღოს მზეო. ნიკოს **სოფლელებისა ერიდებოდა:** ის ისევნებდა, ისინი კი შრომობდნენ. კარგა მანძილზე გასცდებოდა ხოლმე ურუქს, მზით გამოხუნებულ ბალახზე გულაღმა წვებოდა და ცას უცქეროდა. ცაში გიმნაზიის ნაცრისფერი შენობა ილანდებოდა, შავსერთუკიანი მასწავლებლები დაფუსფუსობდნენ, თეთრწინსაფრიანა, სადად თმაგადავარცხნილი გოგოები მელნიანი თითებით ფურცლავდნენ **წიგნებს** და დაძაბული გულგრილობით იგერიებდნენ ფურთხით ქოჩორგადაპრიალებული გიმნაზიელი ბიჭების დაკენებულ მზერას. მერე ის ბიჭები ნიკოს ოთახში იყრიდნენ თავს, თუთუნის ბოლით იხრჩობოდნენ, ჩიტებივით უთავბოლოდ ისხდნენ საწოლზე, მაგიდაზე, **სარკმლის** რაფაზე და გაუთავებლად კამათობდნენ სიყვარულზე, ქალზე, თავისუფლებაზე, სანამ ნიკოს სახლის პატრონნი, **ორი ქალიშვილის,** ნინოსა **და ქეთევანის** დედა, ქალბატონი ჯუფანა არ მოუკაკუნებდათ, დაიხრჩობით, ფანჯარა მაინც გამოადეთო. ნიკო ცაში აძრული მოგონებებს უღიმოდა, **თვალნათლივ** ხედავდა დედის ზურგს ამოფარებული გოგოების დაცქვეტილ სახეებსაც, ერთი სული **რომ ჰქონდათ** გაეგოთ, რა ხდებოდა ბიჭებით გავსებულ ოთახში და დედის ზურგით შეკავებულნი, დედის თავით გათიშულნი, დედის მხრებზე აქეთ-იქით ნიკაკდაბჯენილნი იქცრებოდნენ, სანამ მათი იდუმალი ბუნება, ჯერ კიდევ

ბოლომდე გაუღვიძარი, ჯერ კიდევ არმცოდნე საკუთარი, ყველაფრის წამლეკავი ძალისა, ამაფორიაქებელი, თავბრუდამხვევი დაუდეგრობით მოედინებოდა თუთუნის ბოლითა და ენაჰავარდნილი ბიჭებით სავსე ოთახში, როგორც გზაზე დახვედრილი ლოდით ორად გაპობილი მდინარე. „კარგი ბიჭები ხართ, მაგრამ როგორ დაჯერებ ქვეყანას, რომ ყველაფერი რიგზეა სახლში, სადაც გასათხოვარი გოგოები ცხოვრობენ და სადაც ერთბაშად ამდენი ბიჭი იყრის თავსო“ — ამბობდა ქალბატონი ჯუფანა და ვერცკი ხვდებოდა, ამით ხელს რომ უწყობდა მხოლოდ, „სხვანაირად“ ეფიქრათ ბიჭებს მის გოგოებზე. შეიძლება, ხვდებოდა კიდეც და შეგნებულად იქცეოდა ასე, ბიჭებს აფრთხილებდა, გადაკრულად ეუბნებოდა, რომ, თუ რამე გაქვთ გუნებაში, მხოლოდ და მხოლოდ, წესისა და რიგის დაცვითაო. ბიჭებიდან მარტო ნიკომ იცოდა, წესრიგის როგორი დამცველი გახლდათ ქალბატონი ჯუფანა. კვირა არ გავიდოდა ისე, ერთმანეთს რომ არ დარეოდნენ დედა და ქალიშვილები, რაც ყოველთვის ქალბატონი ჯუფანას გულის შეღონებით, ნიშადურის დამტვერილი ბოთლის ძებნით, არასოდეს რომ არ იდო თავის ადგილზე, და ნინოსა და ქეთევანის სლუკუნით მთავრდებოდა.

— ყველა ქალს თავისი ოჯახი უნდა ჰქონდეს. ერთ ოჯახში სამი ქალი უბედურებაა. რომელიღაც ქვეყანაში, ერთად დახატული სამი ქალი სახელმწიფო გადატრიალებას ნიშნავს თურმე. — შესჩიოდა სავარძელში მისვენებული, ნიშადურის მძაფრი სუნითა და ქალიშვილების მწარე სილაქებით მოსულიერებული ქალბატონი ჯუფანა ნიკოს.

ნიკოს ისინი ოჯახის წევრად თვლიდნენ და ნიკოც ნამუსს უნახავდათ, არ ყვებოდა ბიჭებში, როგორი გააფთრება იცოდა ამ მარად მომღიმარმა, მარად გაპუდრულმა, სუნამოს ნაზი სურნელით მარად გაჟღენთილმა ქალმა და მისმა ორმა, მორცხვად თავდახრილმა ქალიშვილმა. ბალახზე გულაღმა გაშოტილიყო, ცას მიტჩერებული ნიკო, სევდანარევ გრძნობდა, როგორი ახლობლები გამხდარიყვნენ ისინი მისთვის, შემაწუხებლად გრძნობდა, როგორ ენატრებოდა ისინიც, თბილისის გავარვარებული პაერის ჩასუნთქვაც, ქაშვეთის წინ გაჩერებაც. მთაწმინდიდან გადმოხედვაც, ტიტლიკანა ბავშვებით დახუნძლული ვერის ხიდზე გავლაც, ხიდიდან გადაშტარი ბავშვის სხეულისთვის თვალის ჩაყოლებაც, ცეცხლისფერი, მკვრივი, კუდიანი ვარსკვლავივით რომ გაიელვებდა ხოლმე ჰაერში, სანამ მტკვრის ავადმბრუნავ მორევში ჩაინთქმებოდა. წამიერი, ძნელად ასახსნელი ბედნიერების მომნიჭებელი, ალბათ, თავისი სრულყოფილი სილამაზითა და ბავშვური გამბედაობით. იწვა მზის ცხელი ტერფით გადათელილ ბალახში, მოგონებებით გავსებულ ცას მიჩერებული, გულაჩუყებული, თითქოს მთელი სამყაროს სევდა დაუფლებოდა მის სუსტსა და უმნიშვნელო არსებას, სამუდამოდ მიტოვებულს ყველასგან, სამუდამოდ ჩაკარგულს კალიებისა და ხოჯოების ფაჩუნში, წრიპინში, კუთვაში, მარადიულ ზაფხულში, ბოლოსფერი ვენახებით შემოსაზღვრულ სივრცეში, პაპის, მამისა და ძმის ოფლით გაპოხიერებულ მიწაზე, რომლისთვისაც მარტო ის იყო უცხო და ზედმეტი, ქალაქის მტვერნასყლაპი, მის მიჯნებს გამცდარი, მის ბნელ, ოფლიან ნაოჭებში ჩაუხედავი და მარტო წიგნებიდან ამოკენკილი ცოდნის ამარა დარჩენილი. ის აქ უცხოც იყო და ზედმეტიც, მის დანახვაზე სოფლელები სამუშაოს თავს ანებებდნენ, თითქოს ნიკო მაინც ვერ მიხვდებოდა, ვერ ჩაწვდებოდა მათი საქმიანობის აზრსა და მიზანს; რამეს თუ მოკიდებდა ხელს, ცული იყო თუ სასხლავი, მაშინვე ღიმილით ჩამოართმევდნენ ხოლმე, თითქოს თავს დაიშავებდა, ცულს ფეხში ჩაიჩატყამდა ანდა სასხლავით თითებს მოიწეწკავდა. ასე თავაზიანი მაშინ ბავშვს საოჯახო რელიკვიის მაგვრად ვამლსა და ჩურჩხე-

ლას ჩაუდებს ხოლმე ხელში, რადგან თავად იმ რელიგიის თვალისჩინეიით უფრთხილდება, ბავშვს კი, მხოლოდ და მხოლოდ, თავისი ბავშვური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჭირდება იგი. ნიკოსაც ასე ექცეოდნენ, ყველანან და ყოველთვის დაჯდომასა და ცივ წყალს სთავაზობდნენ, როცა თვითონ არც დასაჯდომი დრო ჰქონდათ და არც წყურვილის მოსაკლავი. ნიკოც გრძნობდა, ხელს რომ უშლიდა, განებივრებული ლეკვივით ფეხებში რომ ებლანდებოდა ყველას, გიმნაზიელის ფორმაში გამოწყობილი, თვალშისაცემად გამოკვეთილი, გამოცალკავებული ზაფხულის ხვატით ჩახუთული ვენახების, სახედაღარული, შაოსანი დედაკაცებისა და მოღუშული, მიწასთან ჭიდილში დუმილს მიჩვეული კაცების ვეერდით. შესაცქერად მთა გაოფლილ ბეჭებს, მტვრით გადათეთრებულ, ჯიუტად მოკუმულ ტუჩებს და დარწმუნებული იყო, ვერასოდეს წამოადგენენებდა საიდუმლოს, რაც მათ მიწისგან გაეგოთ და რაც არც ერთ წიგნში არ ეწერა „რა ხდება ქვეყანაზეო“ — უინტერესოდ, სხვათაშორის, ზრდილობისთვის ეკითხებოდნენ ისინი ნიკოს, რამე რომ ეკითხათ, მთლად ლენჩად და მთლად უცხოდ რომ არ გამოეყვანათ იგი, რადგან ქვეყანა, საიდანაც ნიკო მოვლენოდათ, თითქოს არც არსებობდა მათთვის, ან თუ არსებობდა, მადლობლები იქნებოდნენ, საერთოდ თუ გაანებებდათ თავს, არ ჩაერეოდა მათ საქმეებში, არ ჩაითრევდა ომებსა და ამბოხებებში, არ აიძულებდა გაზეთებისა და პროკლამაციების კითხვას, დაალდათ ერთი ხელი საცვლის გაცვეთას, მშვიდად შეაქმევდათ ერთ ჯამ შეჭამანდს და მშვიდად ჩაიყვანდათ გლეხურ, ბარაქიან საფლავებში. ნიკოსაც უჭირდა, ნიკოსაც ეუნერხულებოდა მათთან ლაპარაკი, რადგან რაც მან იცოდა, იმათ არ ინტერესებდათ, ხოლო რაც იმათ აინტერესებდათ, თვითონ არაფერი გაეგებოდა იმისი. „რაღაც უნდა მოხდეს. არ შეიძლება ასე. — ელაპარაკებოდათ ნიკო, უხმოდ, ბიბოს გაუხსნელად, გუნებაში. — თქვენ ნიმ ისიც არ იცით, რომ აღარა ხართ, აღარ ითვლებით სათვალავში. აღარც ეს მიწა არსებობს. ზედ კი არ დგეხართ, გეჩვენებათ, კი არ გრძნობთ — გასხოვთ, როგორც ჩემს ძმას — მოკვეთილი მკლავი, და ეს მახსოვრობა გაბრიყვებთ, მახსოვრობა გაღვრეენებთ ოფლს, მიწაზე კი არა, არარაობის უძირო ორმოში და, ამიტომაც, თქვენი ჭაპაწყვეტაც ისეთივე უაზრო და უნაყოფო იქნება ყოველთვის, როგორც დასიზმრებულ ქალთან შეუღლება“.

ნიკო ვერც საკუთარ სახლში გრძნობდა თავს თავისუფლად. ბაბუცასა და აღათიას გადამეტებული ყურადღება უფრო აჩენდა მის სიუცხოვეს, ისე დაჰფოფინებდნენ თავზე, თითქოს საპატიო სტუმარი იყო და არა მათი კანონიერი მკვიდრი, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ალეკსანდრე შეგნებულად არიდებდა თავს (ყველაზე მეტად ეს აწუხებდა ნიკოს), ხოლო ანეტას სიმორცხვის გრძნობა უშლიდა, ძველებურად რომ ჩაეხვა მისთვის კალთაში უკვე საკმაოდ შელახული ასკლიპიოდოტა და მოეყოლა, კიდევ რა სისულელე ჩაედინა, რა საოცარი და სასაცილო ამბავი გადახდომოდა თავს ამ თვალხუჭუნა თოჯინას. გარდა ამისა, ანეტას ძმებისაგან განსხვავებული ბუნება აიძულებდა, უფრო თავდაჭერილი ყოფილიყო, განსაკუთრებით კაცებთან, ძმებად ეკუთვნოდნენ ისინი თუ მტრებად. მამამისს ერთი ფეხი ალაზნის გაღმა ჰქონდა, მეორე კი — ალაზნის გამოღმა, სოფელ-სოფელ დაძრწოდა და წინასწარ, მოსალული შემოსვლამდე იბევებდა გლეხებს, რათა ქალაქელ სირაჯებს მხოლოდ მასთან ჰქონოდათ საქმე. „ბედნიერი კაცი ხარ, ნასწავლი შვილი გყავსო“ — ეუბნებოდნენ ურუქელები პეტრეს და იმასაც ეამაყებოდა, მაგრამ შვილის ნასწავლობიდან სახეიროს ჯერ

ოთარ ჭილაძე
ყოველმან ჩემმან მკოვნელმან....

ვერაფერს ხედავდა. ქაიხოსრო დილიდან საღამომდე სავარძელში იჯდა და ჯიუტად მისჩერებოდა კარადისეული საათის ციფერბლატს, თითქოს ეშინოდა, არ გამოპარვოდა ნიკოს წასვლის დრო. ერთადერთი, ვისი დანახვაც უხაროდა, ვისაც მისი გამოცოცხლება შეეძლო, ზოსიმე მოვდელი იყო. გავიდოდნენ ივაზზე, გიიყოლებდნენ ხელადით ღვინოს და საღამომდე ლაპარაკობდნენ თავიანთთვის.

— ცუდია, ღმერთის რწმენა რომ დაკარგა ხალხმა. — ვინ იცის მერამდენედ ამბობდა ზოსიმე მოვდელი.

— ღმერთისა თუ მოვდლისა? — ვინ იცის, მერამდენედ უგებდა ნიშნს ქაიხოსრო თავის სიყრმის მეგობარს.

— თუნდაც მოვდლისა. — ახალგაზრდულად ცხარობდა ზოსიმე მღვდელი. — ჩვენა, ძმაოსავ, გორგასლანისთვის ჩაგვიმტვრეავა კბილები.

სოფლის ეზო-შუკებში ცაცხვისა და აკაციის ხეები ყვაოდნენ და მათი მძაფრი სურნელით გასქელებული ჰაერი თითქოს დროის დინებასაც აფერხებდა. შავი თუთით დალაქავებული ეზოები ჩახურებული თონეებივით ბუბუნებდნენ. აქეთ-იქიდან ლობიოსა თუ გოგრის ყეყეჩი, სარის სიმაღლიდან დანახული ქვეყნის სილამაზით პირდაბჩენილი ყვავლები იქყიტებოდნენ. წყაროს ნავში დამსხვრეული დოქის ყური ათასნაირად ლივლივებდა. ცარიელ, გადათეთრებულ შარაზე ბატები მისუსულობდნენ. გამოდებული განჯინებიდან შვების მომგვრელი სიგრილე და დაძველებული ნივთების სუნი ამოდიოდა. სიცხისაგან გაბრუებული ქათმები ნელა, თავაშეულნი დაბიჯებდნენ დაბზარულ ფილაქანზე, როგორც მცველები — მძინარე მზეთუნახავის სასახლეში. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც ჩამთთავდებოდა ხოლმე ზაფხული, ერთ დღეს სხვანაირ ხმაზე შეიშრიალებდნენ ცაცხვები და ბუდიდან გადმოგდებული ბარტყივით ბზრიალ-ბზრიალით წამოვიდოდა თავქვე პირველი ყვითელი ფოთოლი.

— მივდივარ, ძმაო. — ბოლო წუთას მაინც ვერ ერეოდა თავს ნიკო და მიავდებული, თანაგრძნობის მაძიებელი თვალებით შეაჩერდებოდა ხოლმე სხვებთან ერთად მის გასაცილებლად გამოსულ ალექსანდრეს, იქნება ახლა, მაინც მითხრას რამე, იქნება ახლა მაინც დამანახოს გულიო.

— ეგრეა. სოფელი ჭუჭყიანანა, რა თქვენი საკადრისია. — ეუბნებოდა ალექსანდრე.

მერე, ეტლი რომ დაიძვრებოდა, ერთს გადაიფურთხებდა და ვერ გიიგებდით, მტვერს აფურთხებდა თუ იმ მტვერში გაუჩინარებულ ძმას. დედამისი კი, უკვე მაგიდასთან იჯდა, ცხვირსახოცით ცრემლს იხოცავდა ლოყებზე და ცრემლისაგან გაბლანდული, დაბინდული თვალებით ძლიეს არჩევდა საკუთარ ნაწერს. „შვილო ნიკო, — წრიპინებდა კალამი. — აქ ყველას უყვარხარ. ალექსანდრემაც რა ქნას, შვილო, უბედური ყოფილა, ნაადრევად ეტკინა გული. ღმერთს მაინც მადლობა ვუთხრათ, სულ რომ არ წაგვართვა მისი თავი, სულ რომ არ დაგვიქცია ოჯახი. შენც უნდა გაუგო, შვილო. სიყვარული გაგებაა“. — წრიპინებდა, ჩქარობდა კალამი, რადგან ალექსანდრეს რომ შემოესწრო შემთხვევით, ცხვრის დაატეხნებდა ფურცელზე. ნიკოც წერდა დედას წერილებს, მაგრამ უფრო იშვიათად, დროის უქონლობას უჩიოდა, სამაგიეროდ, ყოველ წერილში ყველას ცალცალკე უთვლიდა კოცნასა და მოკითხვას, პაპით დაწყებული და ასკერიოდოტათი გათავებული. ბაბუცას შვილის წერილები ვარდისფერი ზონარით ჰქონდა შეკრული (ის ზონარი თოჯინის ყუთში იპოვა და დაენანა გადასაგდებად) და ახალი წერილი რომ მოუვიდოდა, ყველას ერთად გამოიტანდა ხოლმე დიდ ოთახში, სადაც ადრე გმირებისა და მზეთუნახავების თავგადასავლებს უკითხავდა ბავშვებს, სულშიჩამწვდომი, ათრთოლებული ხმით. ახლა შვილის წერილებს კითხულობდა ხმამაღლა, თანამიმდევრულად, პირველიდან ახლახანს მიღებულ წერილამდე

და კითხვისას მხოლოდ იმას თუ შეხედავდა ერთი წამით, ვისთვისაც მოკითხვის გადაცემას თხოვდა შვილი. ეს წერილები უკანასკნელის გარდა, თუმცა არც უკანასკნელი გამოირჩეოდა ბევრად თავისი წინამორბედებისაგან, ყველას ათასჯერ ჰქონდა მოსმენილი, მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს გულისყურით უსმენდნენ ბაბუას, ბაბუასი კი არ ეშინოდათ, მისი გულუბრყვილო, გამასაცოდავებელი ალტაცება უბორკავდათ უნებურად ხელფეხს. მაგრამ ხანდახან მაინც ირღვეოდა ეს მოგონილი თანხმობა და სიმყუდროვე.

— რაო, იმ მამძაღლმა? სანამ არ აქმარდება, იქამდე არ აპირებს ღვინოების წაღებას? — გასძახებდა ხოლმე პეტრე ალექსანდრეს.

— ამ დღეებში წაიღებს. — მოკლედ პასუხობდა ალექსანდრე, მაგრამ ეს წუთიერი უყურადღებობაც საკმარისი იყო, ბაბუას გუნება რომ მოშხამოდა, კითხვის ხალისი რომ დაკარგვოდა და ცრემლით ამოვსებოდა თვალები.

ამაოდ იღეწოდა, ამაოდ ცდილობდა ბაბუა სიყვარულის გაღვივებას სიძულვილის ბუნაგში და ერთხელ კიდევ გაბითურებული, შემცბარი და დაბნეული, ჩუმად, ტუჩების ცმაცუნით აგრძელებდა კითხვას, უფრო ტირილს შესაკავებლად, და ცოტახნის მერე წერილებიანად გადიოდა ოთახიდან.

ასე ცხოვრობდნენ მაკაბელები. თავისუფლად შეიძლება ითქვას, ნიკოს წერილები აკავშირებდათ მხოლოდ გარე სამყაროსთან. თვითონ არაფერში ერეოდნენ, პირადად მათ არავინ აბიჯებდათ ფეხს, არავინ ართმევდათ სახლსა და ვენახს და, ერთი შეხედვით, თითქოს მართლაც არაფერი ხდებოდა ისეთი, მათი მყუდროება რომ დაერღვია. ნიკოც თავდაჭერილად, სხვათაშორის იწერებოდა ქვეყნის ამბებს, მაგრამ შიგადაშიგ ისეთ სიტყვებს გამოურევდა ხოლმე, ბაბუასაც უჭირდა მათი ერთბაშად ამოკითხვა. ის სიტყვები, თავიანთი სიუცხოვითა და სირთულით, ანეტას თოჯინის სახელს აგონებდათ, მაგრამ ბაბუას ისინიც მოსწონდა, იმათაც თრთოლვითა და ძღელვარებით კითხულობდა, რადგან ისინიც ნიკოს დაწერილი იყო.

ELIBRARY.GEO

— ჯერ სადა ხართ, — ამბობდა ქაიხოსრო. — რაც უფრო ნასწავლია კაცი, მით უფრო უჭირს ადამიანურად ლაპარაკი. შემდეგ ჩამოსცლაზე ხელებით თუ გაგვაგებინებს რამეს, იმაზედაც მაღლობა ვთქვათ.

ბაბუა კი, სასოებითა და ნეტარი მღელვარებით დასცქეროდა უცხო სიტყვებს, როგორც უმისოდ, მისგან შორს, სხვა ქვეყანაში დაბადებული შვილიშვილების სურათებს და შვილიშვილების სახელებიეთ, სათუთი სიამაყით იმეორებდა გუნებაში: იმნისტია... მანიფესტაცია... პროკლამაცია... რევოლუციაო, და ეს სიტყვები თანდათან ახლობელნი ხდებოდნენ მისთვის, ახალ, მხოლოდ ბაბუასთვის გასაგებ მნიშვნელობას იძენდნენ და სამუდამოდ იმკვიდრებდნენ ადგილს მის გულში, ბაბუასთვის ასევე ძვირფასი სახელების გვერდით, თუმცა ეჭვადაც არ იცოდა, ეს სიტყვები მთელ ქვეყანას რომ ეცერა პირზე, მთელ ქვეყანაზე რომ დაძარწოდნენ ისინი, როგორც გამოქცეული, შურისმაძიებელი კატორღელები. ქვეყანაზე მართლაც დიდი ამბები ხდებოდა. და აი, ერთ დღეს თბილისიდან თავზარდამცემი ამბავი ჩამოიტანა ვიღაცამ: ნიკო ხელმწიფის საწინააღმდეგო საქმეში გარეულა და დაუჭერიათო. ბაბუა ძლივს მოაბრუნეს. აღითია გალურჯებულ ხელებს უსრესავდა, პეტრეს მთელი ღამე ეჭირა მის ცხვირთან ნიშადურის ბოთლი.

— ტყუილი იქნება, ჩემს შვილს რა უნდა ჰქონოდა ხელმწიფის საწინააღმდეგო. — ბაბუა ძალიან ბრაზობს. — ეს ამბავი ადამიანმ? — მიუბრუნდებოდა ხოლმე სავარძელში ჩასვენებულ ქაიხოსროს. — როგორ მოვიქცეთ?

— უკვე დიდიაო, თქვენ არ იძახ-

ოთარ ჭილაძე
ყოველ ჯერ ჩემგან მკოვნელ ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით?! — მხრებს იჩეჩავდა ქაიხოსრო. — ხოდა, თვითონ მიხედოს თავის თავს.

— უღმერთოვ! უსვინდისო! — იყვირა ბაბუკამ.

იმ ღამეს, თავის სიცოცხლეში პირველად, უყვირა ბაბუკამ მამამთილს, მაგრამ ეს წამიერი **თავშეუკავებლობა** უტყლეველი იყო მისი გაოგნებული **არსებისთვის**, თუკი სიცოცხლე უნდოდა. ბაბუკას კი, **სწორედ** ახლა **უნდოდა** სიცოცხლე: შვილს **უდანშაულობა** უნდა დამტკიცებინა და, რაც მთავარია, შვილი უნდა **ენახა**, ერთხელ მაინც.

— ხელმწიფემდე მივალ, მაგრამ ჩემი **ავისმსურველს** მაინც ვიპოვი. — მტკიცედ განაცხადა ბაბუკამ, **თითქოს** ვიღაცას დამეშქრა, ვიღაცას კი არა, ყველას, პირველ რიგში თავისიანებს.

მერე ოთახიდან გავიდა, მაგრამ თითქმის მაშინვე შემობრუნდა. ერთ ხელში მამისეული ხმალი ეჭირა, მეორეში — შვინდისფერ ბაბთაზე მკვდარი მწერივით დასვენებული ჯვარი.

— აი, — შეჰკვირა. თვალები **უბრწყინავდა**. თმა ასწეწოდა. ჩქარჩქარა სუნთქავდა, მეამბოხესავით ფერმკრთალი და აღგზნებული. — აი! ხელმწიფის ნაჩუქარია... მამაჩემის დამსახურებული... **უპატრონო** **არ** გეგონოთ ვინმეს. — **უცებ** **ნებისყოფამ** უმტკუნა, თითქოს **წინასწარ** **მომზადებული** სიტყვები **დაავწყდა**, მკ**ლავები** ჩამოუცვივდა **და** აქვითინებ**ული** გულმკერდზე მიეხუტა **ალათიას**. — **შვილი** დამიდუპეს, **ალათიი... ზურიანმა** ხალხმა დამდუპა, ალათია... კარგი რომ იყო იმიტომ... ყველანი რომ ვუყვარდით... — სლუკუნებდა იგი.

ხმალი ყელიალით დავარდა იატაკზე.

იმ ღამეს, ქაიხოსროს გარდა, არავის **დაუძინია**. სანამ ანა და ალათია ქათმებს გაპუტიდენენ და ცომს მოზელავდნენ, გიორგამ თონე ჩაახურა. სოფელი უკვე კარგახნის ჩაძინებული იყო, ისინი კი, თონის ამონაშუქით განათებული, **უზარმაზარ** ლანდებგამობმული, ეზოში დაბორიალობდნენ, გეგონებოდათ, მაკაბელებისას ალაჯებს თავყანისცემა გაუმართავთო. ბაბუკა მთელი ღამე ნიკოზე ლაპარაკობდა.

— მოკიდე ხელი და წამოიყვანე. ერთი დღეც ადარ გაიჭერო. ჩემი თავი დაფიცე. უთხარი. ცუდად არის-თქო. შენი ნახვა უნდა-თქო. — გაუთავებლად არიგებდა ქმარს.

მართლა ცუდად იყო, სიცხე ალაპარაკებდა, მაგრამ თვითონ ვერ გრძნობდა, არ იცოდა, თავისთვის არ ეცალა, შვილის ბედით იყო შეპყრობილი.

— დამაძინე, ადამიანო. მეც ცოდო ვარ. — შფოთავდა პეტრე.

ღილით პეტრე თბილისში გაემგზავრა. დარწმუნებული იყო, ნიკო ადგილზე დაუხვდებოდა და ყველაფერი მტრების მონაპოვრი აღმოჩნდებოდა. მაგრამ პეტრემ, რაც ურუქშიაც იცოდა, იმაზე მეტი ვერც თბილისში შეიტყო, ოღონდ, რაც ურუქში მუქთად გაიგო, იმის დადასტურება თბილისში თუმანი დაუჯდა, გზის ფულის გარდა. „რაში აიღო თუმანი, იმ კოტხის პალოს, იმ შაშიბეშამო“ — მერე სკდებოდა გულზე პეტრე. ყანდარმერიის ჩინოვნიკს სათვალე კეთებია, თითები და ქვედა ტუჩი მელანში ჰქონია ამოსვრილი და პეტრე, რატომღაც, ნდობით გამსჭვალულა მის მიმართ. იმას კი, თუმნად, დავთარი უჩვენებია პეტრესთვის, სადაც შავით თეთრზე წერებულა, რომ ტერორისტი ნიკო პეტრეს-ძე მაკაბელი დაუჭერიათ, გაუსამართლებიათ და უკვე გაუციმბირებიათ კიდეც. პეტრემ შვილისთვის წაღებულ ძღვენს შვილს ნივთებიც ჩამოაყოლა, ზეყარში გამოკრული. „ღვთის გულისათვის, მომაშორეთ. ქალაშვილების პატრონი ვარ. შვილი იქამდე უნდა მოიკითხოთ, სანამ ციხეში ამოყოფს თავსო“. — უთქვამს ნიკოს სახლის პატრონს, ქალბატონ ჯუფანას. „დასწყევლოს ღმერთმა. კეთხიანილი ჰქონდა სახე. ისეთი სუნი ასდიოდა, ლაპარაკისას ცხვირი განზე მიმქონდაო“ — ყვებოდა პეტრე.

— შვილის ამბავი თქვი, უბედურო! — უყვირა ბაბუცამ.

— ყუმბარა უსვრია გენერლისთვის. გენერალი მოუკლავს. — თქვა პეტრემ.

ბაბუცას აღარაფერი უკითხავს, ნიკოს ნივთები ზეწრიანად თავის ოთახში გაიტანა და ჩაწვა. აღარც წამომდგარა, სანამ ნიკოს წერილი მოუვიდოდა. ზეწარში ორიოდე წიგნი, ქაღალდის საკრეული, ხისპირიანი დანა, რკინის სასაპნე, წითელყვავილებიანი ფინჯანი, თავისივე ლამბაქით, ვერცხლის პატარა ყუთი, რომელშიაც ქალის, კიდეებშემოქარგული ცხვირსახოცი და, ალბათ, იმავე ქალის შეკრული კულული იდო, მაღალყელიანი შავი ფეხსაცმელი და ქული, იდაყვებგადაქექილი სერთუკი იყო გამოხვეული, რომლის ჯიბეშიაც ბაბუცამ ვიღაცის ოთხად გაკეცილი სურათი იპოვა, როცა, ვინ იცის მერამდენედ, სინჯავდა და ეფერებოდა ნიკოს ხელშენახვლილ ნივთებს. სურათზე, მკვეთრად რომ ეტყობოდა განაკეცები, მაღალშუბლიანი, დიდთმიანი და დიდწვერიანი კაცის სახე იყო აღბეჭდილი. „ღმერთსა გავსო“ — ერთი კი გაიფიქრა ბაბუცამ, მაგრამ ვისიც არ უნდა ყოფილიყო ის სურათი, მისთვის მაინც ძვირფასი იქნებოდა, რაკი ნიკოს ასე სათუთად შეენახა სერთუკის ჯიბეში.

ის სურათი ჩარჩოში ჩაასმევინა და ხატებთან ჩამოაკიდებინა აღათიის.

— ღმერთმანი, ცხონებული ბაბუაშვილია. — იძახდა სურათის წინ გაჩერებული, დოინჯშემოყრილი აღათია, უფრო იმიტომ, ბაბუცასთვის რომ ესიამოვნებინა.

მერე ნიკოს წერილი მოვიდა და ოცტა გამოიდარა მაკბელების ჭერქვეშ. ძღილვარებისგან ხმაწართმეული, ქალიშვილივით სახეშეფაკლული ბაბუცა წერილს რომ ჩაათავებდა, თავიდან იწყებდა კითხვას, მაგრამ ისე უხაროდა ნიკოს ნაწერის წაკითხვა, აზრი ვერ გამოჰქონდა. მაინც სიამოვნებდა, მაინც აფორიაქებდა, როგორც ჩვილის უთავბოლო ღუღუნი. ხანდახან გაკვირვებული მიუბრუნდებოდა ხოლმე მსმენელებს: გამაგებინეთ ერთი, ნიორი რად უნდაო. ძველებური სიმშვიდისა დარბაისლისა სატამალიც აღარ შერჩენოდა. გოგოსავით იყო ატაცენილი, პირველად რომ შემოუთვლიან სიყვარულს.

— ალბათ, ხაშს აპმეკენ იქ და უნივროდ აბა რა გემო უნდა ჩააყოლოს. — იცინოდა ალექსანდრე.

— ძმაა, ბიჭო, ძმა! — ჯერ კიდევ იღიმებოდა ბაბუცა, ბედნიერებისგან მოტეხილი, დაუძლურებული.

ამაოდ ცდილობდა, არ გაეგონა, არ შეემჩნია ალექსანდრეს პირიდან ამოსული გესლი. უნდოდა, დღეს მაინც ყოფილიყვნენ ყველანი სუფთები და ლამაზები, როგორც დღესასწაულს შეეფერება, მაგრამ დღესასწაული მხოლოდ მაშინაა დღესასწაული, როცა სხვებიც დღესასწაულად თვლიან. მარტო კაცს დღესასწაულიც არ გაეჩინა, ხოლო გაუზიარებელი ბედნიერება გაზიარებულ უბედურებაზე მწარეა. ეს ბაბუცამაც იგრძნო და ტირილი აუვარდა, ნიკოს წერილი მიიფარა პირზე, თითქოს კოცნისო.

— რა სჭირს სატირალი ცოცხალ ადამიანს? აგე, საცვლები და ნიორიო, აკი თვითონვე იწერება? — ამშვიდებდა აღათია.

— მეც მაგიტომ ვტირი, ჩემო აღათია, — მშვიდად თქვა ბაბუცამ და ცხვირსახოცით ლოყები შეიმშრალა. — კარგი ამბავი რომ იყოს მის თავს, ნიორს როგორ მოინატრებდა.

ის იყო და ის, იმ დღის მერე ბაბუცა აღარ ამდგარა. საღამოს დიდი სიცხე მისცა, შფოთავდა, საბანს ეშორებდა, ყრუდ, გადაბმულად, სულის მოუთქმელად ახველებდა, მერე, ბალიშებზე გადასვენებული, გაუბედავად, ძლივსშესამჩნევად სუნთქავდა. ბნელაო, რატომ ბნელაო, — ჩიოდა უნდილად, უხერხემლოდ. მერე ისევ წამოახტებოდა და მეროდა, სუსტი, მიკნავებული ხმით. აღათია, აღათიაო, — შეშფოთებული

ოთარ ჭილაძე

ყოველმან ჩემმან მკოვნელმან....

დაიძახებდა უცებ, მაგრამ აღათია ხელს რომ დაუჭერდა, მომშორდი შე კუდიანო, — უყვიროდა გაანჩჩლებული, სახეშეშლილი: — ხომ არ გგონია, მამაჩემმა აქ დამტოვოს... სულ ლუკმალუკმა აგაუწავთ სუყველასაო. დილით გულისპირი სიხლსნი ჰქონდა მოსვრილი. შემკრთალი და დარცხვენილი უყურებდა აღათიას. საღამოს ისევ აუწია სიცხემ, ისევ აღებინა სისხლი, ისევ მდეროდა, ისევ უხეთქავდა გულს აღათია უაზრო და უთავბოლო ლაპარაკით: რა მოიგე ჩემი მოტაცებითო... ვინ იცის, მამაჩემი დამეძებს, მე კილოგინნი ვკოტრიალობო... შე უბედურო, ბაბუაჩემს რომ მიიმსგავსე ღმერთი, ჯიჯოხეთის მაინც არ გეშინიაო... — ბოდავდა საწყალი. მერე ანეტა შემოაყვანინა აღათიას. დიდხანს, ხმისამოუღებლად უყურა ნამძინარეკ, სიცოცხისგან აბუზული გოგოს და ცრემლმა თვალები რომ ეუჭრელა, კედლისკენ გადაბრუნდა. მთელი თვე მაკაბელების სახლის აივანზე ბაბუცას ზეწრები, ბალიშისპირები და პერანგები ეკიდა, გაშრობას ვერ ასწრებდნენ, ოფლდა იღვრებოდა ავადმყოფი. მთელი თვე ცაცხვების ძირას იდგა ექიმი ჯანდიერის ორთვლიანი ეტლი, მაგრამ ესკულაპე უშწეო იყო, სწრაფი ჭლექი დაუნდობლად, ხანძრის მძვინვარებით ანადგურებდა ბაბუცას სიცოცხლეს. ექიმმა ჯანდიერმა კარგად იცოდა ამ სენის ვერაგობა და იმასაც ცდილობდა, ავადმყოფი გამოეცალკევებინა ოჯახის სხვა წევრებისგან, რამაც ყველაზე მეტად ქაიხოსრო დაადგრთხო, გამოუხარშავი ჭიქადან წყალს აღარ სვამდა, გარეთ ჭამდა და ის ერთი თვე ზოსიმე მღვდელთან ეძინა. ანეტას სანახვაროდ გამოღებული კარიდან შემოაჭყიტებდნენ ხოლმე დედის ოთახში და თვალებდაქცეული, მიტკლისფერი და სევდიანად მომღიმარი დედის დანახვაზე ანეტას ტუჩები ებრიცებოდა, თუმცა თვითონაც ვიღიმებს ცდილობდა და ბავშვური სიკერპით იკავებდა ყელში მობჯენილ ცრემლს.

— ბევრს კი არ გთხოვთ, ექიმო, ამ ნიკოს ჩამოსვლამდე... — ეუბნებოდა შემკრთალი და დარცხვენილი ბაბუცა ექიმ ჯანდიერს.

— ყველაფერი კარგად იქნება. ნუ გეშინიათ. — უსვინდისოდ ატყუებდა ექიმი ჯანდიერი.

ბაბუცა ექიმის მადლიერი მოკვდა, რადგან ერთი წუთითაც არ დაჰკარგვია რწმენა, ნიკოს ნასვას რომ ეღირსებოდა. მშვიდად, უხმაროდ მიიცვალა, ჩიტივით. მისი ლოგინი და ტანსაცმელი იმავე დღეს დაწვეს ეზოში, გომურის უკან. ალეკსანდრე ის დღეები სულ მთვრალი დადიოდა, ჩახმახივით იყო შემართული საჩხუბრად, ხარივით უბრიალებდა თვალებს სამძიმარზე მოსულ ხალხს. ნიკოს წერილმა, რომელიც სასწაულად ბაბუცას ვარდაცვალების მეორე დღესვე მოვიდა, უარესად გააცეცხლა. ისიც ცეცხლში ჩაადგომ, სადაც დედამისის ლოგინი და ტანსაცმელი იწვოდა. „დედაჩემს რა მოუვიდაო“ — იწერებოდა ნიკო. მეტი არაფერი, არც სალამი და არც მოკითხვა. ერთადერთი წინადადება ეწერა მხოლოდ კომშივით გამოყვითლებულ ქაღალდზე: გამაგებინეთ, რა მოუვიდა დედაჩემს. ტანმა უგრძნო ალბათ, სიზმარმა აუწყა ალბათ დედამისის ამბავი. ასე იცის დიდმა სიყვარულმა, არც ვზა არსებობს მისთვის და არც კედელი. ცაში ჰკიდია, ვარსკვლავივით, და ციდან ატყობინებს შეყვარებულებს ერთმანეთის ამბავს.

— დედაჩემი ჩემს ძმას გადაჰყვა. — ბობოქრობდა ალეკსანდრე და ერთადერთ ხელს ავად ასაცავებდა ჰაერში, — მე არ ვიყავი, მე არ ვარსებობდი მისთვის. არა, როგორ არ ვარსებობდი. ჩემს დანახვაზე გული მისდიოდა, თითქოს... თითქოს... — სიბრაზისგან ენა ებმოდა, უნდოდა, რამე საშინელი სიბილწე ეთქვა და ვერ მოეგონებინა. — ცალხელა რომ ვარ, იმიტომ, უწიგნური, გლეხაჭუა.

დაკრძალვის დღეს, როცა ზოსიმე მღვდელმა კუბოსაც და პირდაღებულ საფლავსაც ჯვარი გადასწერა და ჭირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლები გვერდზე გაიყვანეს, ალექსანდრემ კუბოსთან დაიჩოქა, მესაფლავეებს, მობოშებული თოკებით რომ იდგნენ კუბოს აქეთ-იქით, კუბო ხელახლა აახდევინა, მერე ზედ გადაეხო, ჯოხივით დაიბჯინა მარჯვენა და დედის გაცრეცილ შუბლს დაეკონა. ხალხმა ამოიზმუვლა. ალექსანდრე წამოდგა, მუხლისთავები ჩამობერტყა და მისი საქციელით შეჩოჩქოლებული ხალხი წინ გაშვერილი ხელით გაეპო, თითქოს მხარზე გადებული მორი მოქონდა; თავაწეულმა, ყბებდაჭიმულმა გაიარა ხალხში. უკვე იცოდა, სადაც წავიდოდა აქედანვე, სასაფლაოდან, დედის კუბოდან.

8

კაცი თავისავე გაკეთებულ სკამზე იჯდა კიპაროსების ძირას. შეიძლება, თვლემდა კიდეც, რადგან მესამე დაძახებაზე გამოიხედა მხოლოდ. დაბნეულ, გაოგნებული იყურებოდა.

— ხო, შენ გეუბნები. — დაუძახა ალექსანდრემ. ღობესავით დაწნულ, დაბალ ჭიშკართან იდგა. — მარო სად არის?

— მარო? რომელი ხარ? — გამოერკვა კაცი.

— მეასე, მეათასე. მემილიონე. უკანასკნელი! მარო... მარო მინდა! — დაუყვირა ალექსანდრემ.

— რა თავს იგდებ, ვიღაცა ხარ? — გაწყრა კიპაროსების ძირას მჯდომი.

ალექსანდრემ ჭიშკარი მუხლით შეაღო, კაცთან მივიდა და გამეტებით შემოჰკრა სახეში. კაცი სკამზე გადაქანდა, ხელები მოაფათურა ჰაერში, საყრდენს დაუწყო ძებნა. უკან გადაწეული გაირინდა და ქვემოდან ამოხედა გამოთიშული თვალებით.

— აი, თუ თავს ვიგდებ. აი, თუ თავს ვიგდებ. სად არის-მეთქი მარო? — დაჰყვირა ალექსანდრემ.

— მარო ტყეშია... რა გინდა, ადამიანო, ვინ ოხერი ხარ. — ერთდროულად შეკრთა და გაბრაზდა კიდეც კაცი. ხელები სახის წინ ეჭირა. თითები უცაბედ ცახცახებდა.

— ხომ არ გგონია, შეგრჩეს. კარგი იყო, მაროს ჩაქუჩი რომ ესროლე? — უთხრა ალექსანდრემ. ღვინო უკვე თითქმის გამონელებოდა, კეფა ტკიოდა, გამომშრალი პირი აწუხებდა, სასაზე, სქელი, წებოვანი, ძნელად ჩასაყლაპი ნერწყვი აჰკვროდა. — ხომ არ გგონია, ჰა? — გაიმეორა და კიპაროსს მიეყრდნო მხრით. კიპაროსს გამომშრალი, დაფშვნილი, მტვრადქცეული მოწითალო კანი ჩამოსცვიდა: კაცი ადგომას ვერ ბედავდა, ისევ სკამზე იჯდა და ქვემოდან აჰყურებდა დაბნეული, განაწყენებული. ლოყა უხურდა, უბეჟეოდა, თითქოს რაღაცა გადაუწეპებიათო ზედ. ხელს მაინც არ ისვამდა ლოყაზე, რატომდაც რცხვენოდა ტკივილის გამომჟღავნებისა. იჯდა. და აჰყურებდა ქვემოდან.

— მამილო. — მიესიყვარულა ალექსანდრე. ხის სიახლოვეს დაამშვიდა.

— ვის ურტყამ, შე მამაძაღლო, შენა. — გათამამდა კაცი.

— რაც იყო-იყო, შევრიგდეთ. მე და მაროს ერთ ლოგინში გვძინებია. — უსიამოდ, თითქოს ნაძალადევად გაიღიმა ალექსანდრემ.

— გადადი ეზოდან, სანამ ხალხისთვის დამძახნია.— უარესად გათამამდა კაცი, თუმცა ჯერ ისევ დაძაბული, უუარადღებად ქცეული იჯდა სკამზე.

ალექსანდრემ თავი შეატრიალა და კიპაროსის ტანს უსუნა, კაცის ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, თითქოს არც არაფერი უთქვამს კაცს. ისევ უსუნა ხეს, ღონივრად, ლოყები შეუცვივდა. თვალები დახუჭა და ასე გაირინდა, თვალდახუჭული, ხეზე თავმიდებული. მზის შუქი ედგა სახეზე და ოდნავ უხამხამებდა ქუთუთოები. კაცს ახლა უფრო შეეშინდა მისი, სიკვდილის მოციქულივით დასდგომოდა თავზე ეს ცალხელა ახმახი, სიკვდილივით გადა-

---

ოთარ ჭილაძე
ყოველმან ჩემმან მოკვნილმან....

ფითრებული, უჩუმარი და დაუნდობელი. ეშმაკმა იცის, რა ფიქრები უტრიალებდა თავში, რას მოიმოქმედებდა მისი საზარელი მკლავი, ლამის მიწამდე რომ ეთრიოდა ოდნავ მოღუნული, რკინის კაუჭების მსგავსი თითებით. ასე გაშეშებული, გაყუჩებული, რომელიღაც, საწამებლად გამოგონილ იარაღს უფრო გავდა, ვიდრე ადამიანის ხელს. კაცს ვერ გადაეწყვიტა, გაქცეულიყო თუ ასე მჯდარიყო, დაეცადა, სანამ ისევ გაახელდა თვალს ზეზეულად მძინარე. კაცი მონუსხულიო იყო, მაინც ვერ წამოდგებოდა, გინდაც გაქცევა გადაეწყვიტა. ამას თვითონაც გრძნობდა. დაძაბული ჯდომისაგან ზურგი დაეღალა, მაგრამ ადგილს მონაცვლებაც არ უცდია სკამზე, უფრო მოსახერხებლად დაჯდომა. პირველად ხედავდა ფეხზე მძინარე კაცს. საერთოდ, ამის მსგავსი არაფერი განეცადა. იჯდა და იცდიდა, როდის-როდის ალექსანდრემ თვალები გაახილა, ამდგრეული, უაზრო.

— შვილს ჩაქეში როგორ ესროლე, რა დაგიშავა? — თქვა ალექსანდრემ.

— ადამიანო... — ამოიხრიალა კაცმა, მაგრამ ალექსანდრემ არ დაიცალა.

— რა დაგიშავა! მახინჯებთან შენ რა ხელი გაქვს! — იყვირა და ახლა ხეს შემოკრა მუშტი, გამეტებით.

ხე კენწეროამდე შეირთოლა. მისი დაბურული წიაღიდან შეშინებული ჩიტი გამოფრინდა, მაგრამ არავის შეუმჩნევია ის. ჩიტის დასანახი თვალი ორივეს დაბრმავებოდა. — ჩვენ მარტო ღმერთთან ვიგვმთ პასუხს, ჩვენი შეღავათი ესაა. — დაუმატა ცოტახანის მერე.

კაცმა უნებურად მონასტერს გახედა ზურგს უკან. მონასტრის თეთრად შეფეთქილი შენობა მიტოვებულს გავდა, უარესად გაუკაცრიელებულიყო, მზემიმდგარი, თვალის მომჭრელად ელავდა. მარტო ჭრიჭინები ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. ხრეშმოყრილ გზაზე კიპაროსის ხეების ჩრდილები იწვნენ ერთმანეთის პიოლეებით, ირიბად, თითქოს გზა მოურწყავთ და ალაგ-ალაგ მიწას ჯერ კიდევ შერჩენია სისველეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამოშაქრე ადამიანო, ალარ შემიძლია. გუშინდელს აქეთ მოვდივარ. — სხვა, ნაღველგარეული ხმით თქვა ალექსანდრემ.

მისმა გამოცვლილმა ხმამ შეაწუხა, თუ ხიფათის გადავლა იგრძნო, კაცი მკვირცხლად წამოხტა სკამიდან. ჩია მოხუცი იყო, შავი სატინის ხალათი ნათხოვარივით ეკიდა გაძვალტყავებულ მხრებზე. ასაკისთვის შეუფერებელი სიხალისით დაიძრა ჭიშკისაკენ.

— ტყეშია-მეთქი, აკი გითხარი, — მილაპარაკობდა გზადაგზა. — აგეეე, იმ ფერდობზე დადის ხოლმე. ახლაც იქ იქნება. — ხელი მიუშვირა დაბალი ტყით ჩამოლურჯებულ მთებს. თითები ისევ უცახცახებდა, მაგრამ ალარ ეშინოდა, ახლა მოულოდნელად გადარჩენილი კაცის მღელვარებას შეეპყრო იგი, რასაც სიცოცხლის მარად დაუცხრომელი წყურვილისა და სიცოცხლის უსასურობის ერთდროული შეგრძნება ბადებს.

მერე ალექსანდრე ალმართში მიქლოშინობდა. უგზოდ, უკარაუდოდ, თითქოს მთავარი ტყეში შეღწევა იყო, სადაც პირველსავე ხის ძირას მარო დაუხვდებოდა. მარო უნდა დახვედროდა, აუცილებლად უნდა ენახა მარო. ერთადერთი მკლავით მთელ ტყეს გადაჩეხავდა და მაინც იპოვიდა. მზით გადაპრიალებულ ბალახზე ფეხი უცურდა, ჯერ წვრილი ბუჩქები ხვდებოდა მხოლოდ. საფეთქლები გადმოცვენაზე ჰქონდა. „მარო ტყეშია, მარო ტყეშიაო“ — უსასრულოდ იმეორებდა ვიღაც უხილავი მის ზურგს უკან, მის წინ, მის გვერდით. ის კი, მიალჯებდა, გაბოროტებული, აღრენილი, გაგულისებული, თითქოს ტყეში დაკარგული საქონლის მოსაძებნად მიდიოდა და არა ქალთან შესახვედრად. მაროზე ბრაზობდა, ამოდენა გზა რომ გამოატარა და ადგილზე არ დაუხვედა, ტყეში დაემალა, უარესად დაუხლართა გზა-კვალი. რა უფლება ჰქონდა მაროს, ადგილზე რომ არ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსვდა, რატომ არ უგრძნო გულმა, ალექსანდრე მასთან რომ მოდიოდა მეზობელი სოფლიდან, თუკი ნაკიმ ცხრა მთის იქით, გადასაკრაგში იგრძნო დედის სიკვდილი? ისა და მარო მახინჯები იყვნენ და გინდაც არ სდომებოდათ, მაინც უნდა ეგრძნოთ და გაეგოთ ერთმანეთისა. მერე მარო დაინახა, შვინდით თავმობმული ვედრო მოჭქონდა და მობარავდა ბილიკს. „ჩემი სისხლი მოაქვს, ჩემი სისხლი და ჩემი მოკვლილი მკლავი“. — გაიხუმრა გუნებაში ღვარძლიანად. „ჰეი!“ — დაუძახა შორიდანვე და გაჩერდა, ფეხებგაფარჩხული, თითქოს გზა გადაუკეტა ნადირს. მარო თანდათან მოახლოვდა, თანდათან გამოიკეთა, გაიზარდა და მოულოდნელად ზრდაშეწყვეტილი, მის წინ გაჩერდა. შვინდით თავმობმული ვედრო ფეხთან დაიდგა.

— უი, ლექსო! მე კი იაგორა მეგონე. იმასავით მოალაჯებდი. — გაიღიმა მარომ.

— იაგორა? — ხმა ჩაეფხრიწა ალექსანდრეს. — აბა, იაგორა? — თითქოს ვერ გაეხსენა. — იაგორას მოგცემ მე შენ. — შეუყვირა და ვედროს ფეი მოუქნია.

სისხლის ზხეფივით იფეთქა გადაყრავებული ვედროდან შვინდმა და ფერდობს გადაესხურა.

— სათითაოდ აკრიფავ, ისემც მე ვიხარო. — მშვიდად უთხრა მარომ.

— უმალ ფეხი გაგისწორდება. — ენა მოუჩლიქა ალექსანდრემ.

ქალის ნაცნობი სუნი სცემდა სახეში, აგიყებდა, აბნევდა, აბრმავებდა. თითქოს მარო აქ არ იყო და თითქოს ნიავს დაჰკრავდა, თითქოს ნიავს წამოიღო საიდანღაც ეს მძაფრი სუნი.

— ისემც მე ვიხარო. — გაიმეორა მარომ.

არა, მარო აქ იყო, მის წინ იდგა, მახინჯი და სასურველი; არა რჩეულთა, არამედ გამორჩეულთა ხვედრი, ვიღაცის საფლავის ფსკერზე ნამუსაჯდილი, ჭრილობის სახვევით ბინძური, ტკივილივით ბრიყვი, მაგრამ მაინც სასურველი და აუცილებელი, აუტანლად სასურველი და აუტანლად აუცილებელი. ალექსანდრემ მაჯა დაუჭირა მაროს.

— ხელი! — იბუტრაბნა მარო. — ხომ არ გინდა, ეგეც მოგაწყვიტო. — უარესად დაუშნოვდა, სახეზე ფართე, ფერფლისფერი ლაქები დაასხდა, ყელკისერზე ხორკლნა დააყარა, მაგრამ მაინც უნდოდა იგი ალექსანდრეს, უშნო რომ იყო, ამიტომ უნდოდა სწორედ.

— რა ფასს იდებ! — შეუღრინა და უარესად მოუჭირა ხელი მაჯაში. — ხამადა ხარ აი, ბებიაშენისაშ.

— ჰი, ჰი, — გაიცინა მარომ, თითქოს პირზე მომდგარი ღორბლის მოსაშორებლად. — რამდენი გყავს ჩემისთანა? მა, რას მომივარდი ტყეში? — ღორბლთან ერთად შეაფრქვია სახეში.

— მარო...

— ხელი-მეთქი!

ალექსანდრემ ხელი ზურგს უკან ამოუტრიალა და ცალმხარეს გაბრეცილი, მკერდზე მიიკუჭლიტა. ახლა ცულით თუ ჩამოათლიდნენ ამ ქალს, თორემ ისე ქაჯიც ვერ გააშვებინებდა ხელს. მარო ხაფანგში ფეხჩაყარდნილი ნადირივით ხტოდა და თავს ნიკაპში სცემდა ალექსანდრეს. ალექსანდრე კბილები ჩაიფრინდა ბუჩქივით თმაში და მომუწული პირით დაეწვა თავზე. მარო მაინც იბრძოდა, ცხელი და ოფლიანი, მაგრამ ისე იყვნენ ერთმანეთზე მიწებებულნი, ჰაერიც ვეღარ გადიოდა მათ შორის. მერე მიწა გამოეცალათ ფეხქვეშ და ღმუილით, ღრენით, კბილთა ღრჭიალით მიგორავდნენ ფერდობზე, სანამ ბუჩქმა არ გააჩერათ. „მთხოვე და ხო... მთხოვე და ხო...“ — ყვიროდა მარო. „აკი გთხოვე, აკი გთხოვ“ — ლუღლუღებდა მაროს თმით პირგამოტენილი ალექსანდრე.

ცოტახნის მერე მარო წამოჯდა, ბალახი გადაქექა, ზემოდან დაგორებული შვინდის მარცვალი ამოიღო, ხელის გულზე შეიწმინდა და პირში ჩაიდო.

ოთარ ჭილაძე

ყოველთვან ჩემთან ყოფილიან....

— ჰი, ჰი. — ჩაიცინა. თან ბალახში აყურებოდა. — რა პატარა წახვედი და რამოდენა დამიბრუნდი.

— წედან მამაშენს ხელი შემოვკარი. — უთხრა ალექსანდრემ.

— დაგიმიწდეს. — უთხრა მარომ და ისევ ბალახს დაუწყო ქექვა.

ქვევით, ძალიან შორს, ყრუდ გუგუნებდა ზარი. ალბათ, მონასტერში რეკავდნენ. ალექსანდრე პირაღმა იწვა, ერთადერთი ხელი გულზე ედო, თითქოს მაროს წინაშე თავს იმართლებდა ანდა ფიცსა სდებდა.

მონასტერს ისე აუარეს გვერდი, იქითკენ არც გაუხედავთ, ფეზიც არ შეუნელებიათ. „თუ გინდა, უთხარი მამაშენსაო“. — ცალუბად უთხრა ალექსანდრემ მაროს. „ვუთხრა? რა ვუთხრა?“ — გაუკვირდა მაროს. ეგ იყო და ეგ. მეტი ადარც მონასტერი უხსენებიათ და ადარც მონასტრის მეკუბოვე. ფიქრობდნენ. სალაპარაკოდ არ ეცალათ. უბრად მიაბიჯებდნენ. წინ ალექსანდრე მიდიოდა, მხარწადებული, ერთადერთ ხელს შოლტივით მიაშხუილებდა ჰაერში. მარო უკან მისდევდა, მშვიდად ადი-ჩადიოდა ალექსანდრეს ფეხით წამიშლილ მტკვერში, რაღაცით წყალსაქაჩ მოწყობილობას გავდა. მიდიოდნენ და ფიქრობდნენ. „ნიკოზე დარდმა და ჩემმა ყურებამ მოკლა დედაჩემიო“. — ფიქრობდა ალექსანდრე. „შემეცოდა და იმიტომ, ისემც მე ვიხაროო“. — ფიქრობდა მარო. თმის ძირები ტკიოდა, მაჯაც უბეჟუოდა, საკუთარი სხეული ეჩოთირებოდა, თითქოს გაუხდელს ძინებიაო, და მაინც ბედნიერი იყო. მიდიოდნენ, მიდიოდნენ, გზა კი არ თავვრდებოდა, თითქოს მბრუნავ კასრზე იდგნენ და მხოლოდ წონასწორობის შესანარჩუნებლად ამოძრაებდნენ ფეხებს. მოაბიჯებდნენ მტკვრში და, მათ დანაბეგაზე გამონთებული ძაღლებივით, ავსა და ღვარძლიან ფიქრებში. მახინჯები იყვნენ, შემთხვევით გაჩენილნი, ანდ, შემთხვევით გადარჩენილნი და არაკინ იმსახურებდა მათგან მადლობას, არც გამჩენი და არც გადამრჩენი. არც ისინი მოდიოდნენ მადლობის საყიდელად. ამას ძაღლებიც გრძნობდნენ. ლოკავ ბეებზე ეხეოდნენ და ყეფითა და ღრენით აუწყებდნენ სოფელს მახინჯების შემოსვლას. ისინი კი მოდიოდნენ, გამომწვეველ, უტიფრად. არც შუადღის სიცხით ჩაყუჩებულ სახლებს აქცევდნენ ყურადღებას და არც წყაროს დარიდან გულუხვად მოთქრიალე ნაკადს. თითქოს მარილა უცხო ქვეყანაში შემოჭრილიყვნენ, უცხო ქვეყანას შესულიყვნენ, სადაც არც სახლი იყო მათთვის სანდო და არც წყალი. ამაყი სიძულვილი ათმენინებდათ წყურვილსაც და დაღლილობასაც, ამაყი სიძულვილი, რომელიც მხოლოდ მახინჯსა და სუსტს უჩნდება ლამაზისა და ძლიერის მიმართ. მოდიოდნენ. მარო და ალექსანდრე მოდიოდა, კოჭლი და ცალხელა, ეშმაკის შექმნილი წუვილი, ღმერთის ჯიბრზე, ქვეყნის გულის გასახეთქად. „ნიკოს გულის გასახეთქად...“ ფიქრობდა ალექსანდრე. რამდენადაც ალექსანდრემ იცის, რამდენადაც ალექსანდრეს შეუტყვია, შემთხვევითი და ხანმოკლე გამოლაპარაკებების ჟამს, ნიკო ერთი პირველთაგანი და დაუძინებელი მტერია სიმახინჯისა, ესე იგი — ალექსანდრესიც, რადგან ალექსანდრე არავიზე ნაკლები მახინჯი არ არის, მაგრამ ნიკო პირში ვერ უბედავს ამის თქმას და საერთო, ქვეყნის დამღუპველ სიმახინჯეს ეომება, ურჩხულს — რომელიც ვითომ მის სამშობლოს შემოხვევია და თავისი ზზამიანი დორბლით ბილწავს მიწასაც, ჰაერსაც, წყალსაც და ცეცხლსაც. მაგრამ ალექსანდრეს უკვე ყელში ამოუვიდა იმისი გადაკრული ლაპარაკი. ვინც სიმახინჯეს ებრძვის, ის ალექსანდრეს მტერიცაა, რადგან ალექსანდრეც მახინჯია და არავითარი შეღავათი არ არის მისთვის, მეფეების სიზეცის ბრალია ეს. თუ გარეგანს დუქანში მოპარული დენთისა. ხოლო, ნიკოს თქმისა არ იყოს, თუკი მთელი ქვეყანა მიისწრაფის სიმახინჯისკენ, თავქუდმოგლეჯილი, როგორც ხალხი სანახაობისკენ, მაშინ მით უარესი ნიკოსთვის, მაშინ ნიკოს აღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაედგომება აქ და სწორედ მოქცეულან, მადლი უქნიათ, ციხეში რომ გამოუწყვედვიათ, რადგან მაინც ვერაფერს მოუხერხებდა ამოდენა სიმახინჯეს თავისი მაღალფარდოვანი ლაპარაკითა და დაშაქრული ლექსებით, რომლებითაც. დიდი-დიდი, ორიოდე ქერქეტ გიმნაზიელ ბოგოს თუ გამოადენს ცრემლს. სიმახინჯე შემთხვევით გაჩენილი ანდა შემთხვევით გადარჩენილი სიცოცხლეა, ბედისწერაა მისი დედამამა და ამიტომაც გარდაუვალიცაა, გაუთვალისწინებელი გარდაუვალობაა. რომლის გათვალისწინება ჩვენ არ გვინდა, არ მოგვწონს და იმიტომ. მაგრამ ჩვენ გვინდა თუ არ გვინდა, მაინც ყოველთვის უდროოდროს გამოგვეცხადება ხოლმე ლოთი ნათესავივით და იმის ნაცვლად, რომ კარი მივუხუროთ, გავეძეგოდ, ვუსაყვედუროთ მაინც, ღიმილით ვუსდგავთ სასმელ-საქმელს, გამოსაჩენ ადგილსა ვსვამთ, რათა უარესი სისულელე არ ჩაიდინოს, უარესად არ მოგვჭრას თავი უცხო და საპატიო სტუმრებთან. სიმახინჯეც ასეა, სიმახინჯისაც ეშინაათ და იმის მაგივრად, რომ მუსრი გაავლონ, ამოქოლონ, ყველა გზა გადაუკეტონ, მოგონილი თანაგრძნობით შესცქერიან, გზას უთმობენ, წინ ატარებენ, ოხრავენ და ვიშვიშებენ, თითქოს ოდნავ მაინც შეუძლიათ იგრძნონ და განიცადონ ის, რასაც მახინჯი გრძნობს და განიცდის. სინამდვილეში, სიმახინჯე ზიზღს, აღშფოთებასა და ძრწოლვას იწვევს მნახველში, რასაც თანაგრძნობის ნიღბით მალავენ. მაგრამ აბა, ერთი ბოდბისხვეს ბაზარშიც გაიარეთ იმ დღეს, როცა ბაზრის მოედანზე ჯამბაზები მახინჯეს ანსახიერებენ! მუცლები ხელით უჭირავთ, ერთმანეთს აწყდებიან, სიცილისგან ცრემლი სდათ, რადგან ვითომ ყრუ, ვითომ მუნჯი, ვითომ კოჭლი, ვითომ კუზიანი და ვითომ ბრუტიანი ჯამბაზები ამასხარავებენ იმას, რისიც მათ ეშინიათ. სიმახინჯეს! ხალხი უცნაურია, ცალცალკე რისიც ეშინიათ, ერთად თავშეყრილნი იმაზე სიცილით კვდებიან. აბა, ნამდვილი ყეენის ჩამოვლისას ჩაეფხუკუნა ვინმეს, თუ ვაკაცი იყო. აქლემზე უკეთესზე მომჯდარ, ვითომ ყეენს კი, რაღას არ ეძახიან, რაღას არ ესვრიან, რადგან ის ვითომაა ტუსული, დახატულია, უძლური ჯავრის ამოსაყრელი. ამიტომაც უყვარს ხალხს ჯამბაზები, ყველაფერს ანიაბრუებენ: სიკვდილსაც, ბოროტებასაც, სიმახინჯესაც, და ამავე დროს წვრთნიან კიდეც ხალხს სიკვდილთან, ბოროტებასთან და სიმახინჯესთან შესახვედრად, როგორც გამოცდილი მეომრები წვრთნიან კაცის კვლაში ახალწვეულებს ნახერხით გატენილი ტომრებითა და ჩამოწერილი, ყაელგასული იარაღით. მაგრამ ჯამბაზებისგან განსხვავებით, მახინჯები არაფერს იგონებენ, რაც აბადიათ, ყველაფერი ნამდვილია, ნაღდია და ხალხს გასაცინებლად კი არ მოსსულან ამ ქვეყანაზე, არამედ — გასაფრთხილებლად, ჭკუის სასწავლებლად. სხვათა შორის, ნიკო მართალს ამბობს, სიმახინჯისკენ მიდრეკილება ადამიანის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა, რადგან სიმახინჯე სილამაზის ხვალინდელი დღეა, უფრო მშვიდი და ხანგრძლივი. სიმახინჯეს დასამალი არაფერი სჭირს და არც აპირებს დამალვას, გინდაც ვიღაცვიღაცეებს მის დანახვაზე გული უღონდებოდეთ. ასე და ამგვარად, ისინი მოდიოდნენ, მარო და ალექსანდრე მოდიოდნენ გახურებულ მტვერში, ნახირის, პურის, დაბინავებული თივისა თუ გამზეურებული ლოგინის სუნით გაყღენთილ შარაზე. ორივეს შიოდა, ორივეს წყუროდა, ორივეს ტყვიასავით დამძიმებოდა თავი და ფეხები, მაგრამ მაინც მოდიოდნენ. ეს მათი გზა იყო, მათი დამწყვილებელი, მათი საერთო ცხოვრებისკენ მიმავალი. „ფერი ფერს და მადლი ღმერთსო“ — ამბობდნენ ალბათ გამოელილ სოფლებში, თუკი საერთოდ შეამჩნიეს და თუკა დაამახსოვრდათ ისინი. მოდიოდნენ, მოდიოდნენ, მოამტვერებდნენ შარას.

ოთარ ჭილაძე
ყოველდღიან ჩემმაგ მკითხველმან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძაღლი ქურდს არ გაეკიდება ამ სიცხეში, მე კი, მივსდევ არხეინად, ისეც მე ვიხარო“ — ფიქრობდა მარო. მერე, შორს, რადაცამ გაიპრიალა შავად და კარგახანს ლიცლიცებდა ის შავი ლაქა უსასრულო, გამოგნებულ სითეთრეში. ახლოს რომ მივიდნენ, ორი ფაეტონი დაინახეს, ორ-ორ ცხენიანი, დოქმნის წინ გაჩერებული. ჯერ ფაეტონები დაინახეს და მერე დუქანი, რადგან დუქანი გზის გადადმა იდგა, ტაფობში, და მისი სახურავი ლამის გზის პირს უთანხმწორდებოდა. მზეზე გაჩერებული ფაეტონები შავად ვარვარებდნენ, ბუღი ასდიოდათ. ცხენებიც გაელახა მზეს, მოწყენილები იდგნენ, რაღაცნაირად მობოშებულნი, თითქოს დიდი ზომის შალითები ჩაუცმეციოთო. დუქნიდან დოლგარმონის ხმა ისმოდა. ალექსანდრეს მწვადის სუნი ეცა და იმავე წუთს დაინახა კიდეკი ის სუნი, მსუყე ოქროსფერი, შიშველი ქალივით მონებებივრე ჰაერის ტალღებში. თვალებში წრეები დატტრიალდა, ალაალყა დაჭრილი ხახვის მაგვარი. ცხენებისთვის შუბლზე წითელი, გაფუყული პონპონები დაეკიდათ, ფაფარშიც წითელი ძაფები ჩაეწნათ. ერთ-ერთი ფაეტონის საფეხურზე პონპონივით წითელი და გაფუყული მიხაკი ეგდო. ფაეტონის კოფოზე ცარიელი, თავზე ჭიქაჩამომხობილი ბთთლი იდგა. მეფაეტონეებს მეორე ფაეტონის უკან ეძინათ, პირდაპირ მიწაზე ეყარნენ ერთმანეთის გვერდით. თავები ეტლის ქვეშ შეეყოთ, ხელისგულის ხელა ჩრდილში, ტანი კი — გარეთ დარჩენოდათ, მზეზე. გაოფლილნი, პირდაღებულნი, სახედაფორაჯებულნი იწვნენ, უზრამაზრები ჩანდნენ კარტუზიანი ქუდებით, ყვითელი ჟილეტებითა და შავი სატინის ფართე, დანაოჭებული შარვლებით. შემაშფოთებელი, დამაეჭვებელი იყო მათი ძილი. დახოცილებივით ეყარნენ. თითქოს სისხლის გუბეკ უნდა ყოფილიყო იქვე სადმე. ცხენებიც ალბათ ამიტომ იდგნენ ასე საცოდავად, პატრონების ძილი ეკრთობოდათ.

— ჭორწილი აქვთ, აი. — მოხედა ალექსანდრემ მაროს.

— ისემც მე ვიხარო. — დაუდასტურა მარომ.

ფაეტონის საფეხურზე დაგდებული მიხაკი აიღო, კბილით გადაუღრღნა გამომშრალი, გაუხეშებული ღერო და თმაში ჩაიმაგრა. ბუჩქივით თმაში აკიაფებულმა ყვავილმა ალექსანდრეს მოულოდნელი სურვილის ურო ჩათხლიშა თავში. გაოგნებული უყურებდა. „ვისზე რა ნაკლებია ვითომ“ — გაიფიქრა და უნებურად ცარიელი ფაეტონები მოათვალიერა.

— მიწას შეგაყრი თვალებში, ისემც მე ვიხარო. — უთხრა მარომ.

— არ ვინდა, ფაეტონით გაგასეირნო? — უთხრა ალექსანდრემ.

— მივეჩვევი. ძვირი დაგიჯდება. — თქვა მარომ. ისიც ფაეტონეს უყურებდა.

— ფაეტონით... ფაეტონში... — ხმა აებლანდა ალექსანდრეს.

— რა მეფაეტონება, კუჭი მიხმება, ადამიანი. — შეუტია მარომ.

— გიხმება და გაგიხმეს. — უცვე გადაუარა სურვილმა ალექსანდრეს.

მერე დუქანში ისხდნენ. მათ მეზობლად თბილისელები ქეიფობდნენ. შვიდნი იყვნენ, ნიკოს ხნისანი, ნიკოსავით ჩაცმულები. ქალი არ ერიათ და ყველაზე ძალიან ეს გაუკვირდა ალექსანდრეს, რადგან სანამ დუქანში შევიდოდა, რამდენჯერმე მოეყარა ქალის სიცილი.

აბრეშუმის არშია,
არც მწყურია, არც მშია,
ერთი ძველი თუმანი მაქვს, —
ვაფრიალებ ქარშია.

მღეროდა თავგადაგდებული მედოლე. მაროს ხორცის ნაჭერი ორივე ხელით ეჭირა და გამალებული ძოძგნიდა, წვენი ნიკაპზე ჩამოსდიოდა. ალექსანდრემ თმიდან ყვავილი ამოუღო, ძუკში მოსრისა და მაგიდის ქვეშ შეაგდო. მაროს ყურადღება არ მიუქცევია, ხორცის ჭამით იყო გართული. ჯერ ისევ შიოდა. ალექსანდრესაც შიოდა, მაგრამ ლუკმა არ გადასდიოდა ყელში, წიწ-

მატს აწვებდა მარილზე და იმას აყოლებდა ღვინოს. ღვინო უცებ და გამაღიზიანებლად ეკიდებოდა. თვალებითა ჭამდა მეზობელ სუფრას, მაგრამ ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ, თავისთვის ქეიფობდნენ. ეფეერთი ძველი თუმაანი მააჯქს, — ხმამ წელავდა მედოლე. დოლი ბაგუნობდა, ღვინოც დოლის ხმით ბაგუნობდა ძარღვებში, საფეთქლებში, ვულში. იატაკი მზის ვეება ნამტვრევებით იყო მოფენილი, ზედ ბუზები დაცოცავდნენ. მუმლივით ფუსფუსებდა მტკერი. ცხელოდა. წარამარა ეზხირებოდა თვალში შავი სერთუკები და თეთრი საყელოები, შუაზე გაყოფილი, ან გვერდზე გადავარცხნილი ქოჩრები, ყურსა ჭრიდა მათი გაუთავებელი: ბატონებო... ბატონებო... მედოლის გაუთავებელი: არშია... არ შშია... ქარშია... „იქნებ ნიკოს ამხანაგები არიან?“ — ფიქრობდა ალექსანდრე. მარო ჭამდა, უშნოდ, შემაწუხებლად აჭყლაპუნებდა პირს. ალექსანდრემ რამდენჯერმე დააპირა, მოოსთვის ხელუკუღმა ეთხლიშა ტუჩებში, მაგრამ თავს იკავებდა. „მე რას მიშლის, როგორც უნდა ისე ჭამოსო“ — ფიქრობდა თავის დასამშვიდებლად, მაგრამ ეს უსიამოო ხმა ნამდვილად უშლიდა, უარესად აღიზიანებდა, თუმცა მთავარი გულისყური მაინც იქითკენ ჰქონდა, „ნიკოს ამხანაგებისკენ“. მათი ლაპარაკი გარკვეული ესმოდა, აზრი კი ვერ გამოქონდა გაგონილიდან. ლაპარაკითაც გავდნენ ნიკოს. შეიძლება, ალექსანდრეს აგიჟებდნენ, შეიძლება, შეამჩნიეს. ალექსანდრე რომ უსმენდათ და აპამპულებდნენ, ქალაქური ონის უკეთებდნენ, ისე უცნაურად ალაგებდნენ ალექსანდრესთვისაც ნაცნობ სიტყვებს. ალექსანდრე კი არა, ქაჯი დაიბნეოდა. არა, ქაჯს რა დაანშეედა. ქაჯებიც ასე ლაპარაკობენ ალბათ, ეს ქაჯების ენაა, ალექსანდრესთანა ტატიებისა და გლეხაუების გასაბრაყვებლად მოგონილი. გგონია, რომ გესმის, მშობლიური ელფერი დაჭკრავს და ამით გიზიდავს, ამითვე გაბნევს, ცნობისწყალილს გიღიზიანებს, თანდათან გითრევს ... ტყუუებს, დედის რძესთან ერთად შეწოვილი სიტყვები გიტრიალებს ყურში და ჯერ არ გეშინია, თამამად მიპყვები, თამამად კი არა, ჯიუტად, ბრაზიანად, რაშია საქმე, გიკვირს კიდეც, შენი სიმთვრალის ანდა შენი სიბრიყვის ბრალი გგონია, მილიონჯერ ნაოქვამი და მილიონჯერ გაგონილი სიტყვები რომ ვედარ დაგიკავშირებია ერთმანეთთან, ვედარც შეშვებიხარ, რადგან უკვე მონუსხული ხარ, უკვე ანკესსა ხარ წამოგებული და თუმცა უკვე გიაზრა ტანმა ხიფათი, ნიშანი მოგცა, მაინც არ უტყუდები თავს, კიდევა გაქვს იმედი, კედევ გჯერა, ანკესი რომ შიშმა მოგალანდა მხოლოდ, ჭიაყელა კი ნამდვილია და მისი ნაცნობი გემო მალე სასიამოვნო ჟრუანტელად დაგვლის ძარღვებში. იგივე გრძნობა აიძულებს გზაზე მიმავალ გლეხს, უკან გამობრუნდეს და დაიხაროს იმ ბრჭყვიალა საგნის ასაღებად, წეღან რომ მოხვდა თვალში, იმიტომ კი არა, ძალიან რომ გავს ის ბრჭყვიალა საგანი ვერცხლის მანეთიანს, არამედ იმიტომ, რომ ძალიან მოუნდა უცებ, ის ბრჭყვიალა საგანი ვერცხლის მანეთიანი აღმოჩნდეს. ისინი კი, ლაპარაკობენენ და ალექსანდრეც ისევ უსმენდა, თუმცა, ცოტა არ იყოს, ნირწამხდარი, თავის შეცდომას მიხვედრილი კაცივით მწარედ და ღვარძლიანად მომღიმარი, გადახდაზე, შურისძიებაზე რომ ფიქრობს უკვე, თუმცა წესიერად არცკი იცის, რაზე ანდა ვისზე უნდა იძოოს შური, რაკი ამ დღეში საკუთარმა სიბრიყვემ ჩააგდო მხოლოდ. დუქანი სკასავით ბზუოდა, მზის ნამტვრევებზე ბუზები დაცოცავდნენ, დოლგარძონის ხმა ჟურჭელს აზრიალებდა, ღვინო უცებ თბებოდა და მდორედ, უსიამოდ ჩადიოდა ყელში. ალექსანდრეს ერთადერთი მკლავი ურსავით ედო მაგიდაზე. გრძნობდა, როგორ ეზრდებოდა თავი, თავი კი არა, უზარმაზარი სათავესო,

---

ოთარ ჭილაძე
ყოველდღიან ჩემმან მკოველლმან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხილავი და მგრძნობიარე კედლებით შეკრული; ამ სათავსოში უთავბოლოდ ჩაყრილიყვნენ ხმები და საგნები, ერთმანეთში არეულიყო ორი ცარიელი ფაეტონი — თავიანთი მეფაეტონეებიანად, დუქნის იატაკი — მზის ნამტვრევებიანად, მტვრიანად, ბუზებიანად, დახლი — დახლდარიანად, დამკვრელები — საკრავებიანად, ხორცის ბაძიგნილი ნაჭერი — პირმოწკლაპუნე მაროიანად და შვიდი ნიკო, შვიდად გაყოფილი, შვიდნაირად გადასხვაფერებული ნიკო. „არშია... არ მშია... ქარშია...“ — გუგუნებდა თავი-სადგომი. სიცხით გასავთებულმა ცხენმა ფლოქვი მძიმედ ჩაჰკრა მტვერში და ალექსანდრეს კეფა ეტკინა. ხელნის ხმეში, გადაბრიალებული თავი შიგნიდან აწვებოდა შუბლზე.

„ბატონებო, ბატონებო“ — ყვიროდა ნიკოს ერთი მეშვიდედი. მეორე ბოთლზე ჩანგლას უკაკუნებდა და ამ უსიამოვნო წკრიალსაც ალექსანდრეს თავი — სადგომი გამოსცემდა. ალექსანდრე იჯდა და უსმენდა, უსმენდა და ითმენდა. არასოდეს განეცადა ამგვარი რამ, გონებრივი, ესმოდა, ხედავდა და მაინც უგრძნობელი, ყრუ და ბრმა რჩებოდა ყველაფრის მიმართ, გასაგნებულიყო, საგნის უძრაობა და გულგრილობა გადასდებოდა, რაც მხოლოდ ადამიანისთვისაა უძრაობა და გულგრილობა, რადგან უნარი არ შესწევს ბოლომდე ჩაწვდეს საგნის ჭეშმარიტ ბუნებას. ადამიანმა ხომ არ იცის და არც აინტერესებს, რას განიცდის მაგიდა, როცა საჭმელად ანდა ქაღალდის სათამაშოდ მიუჯდება ხოლმე; ანდა — საწოლი, რომელზედაც ძილს, სენსა და სიყვარულს ეძლევა. ასევე არ იცოდა არაავინ, რას განიცდიდა იმ წუთას ალექსანდრე და ალბათ ამიტომ არ ერიდებოდნენ მას, როგორც ნებისმიერ საგანს. „ამ გრძნობის დასაცავად, — ამბობდა ნიკოს რომელიღაც მეშვიდედი. — ანდა იმიტომ, რომ არ შეუძლია იატანოს ამ გრძნობის აბუჩად აგდება, ატროფირება, ამპუტაცია, იმპორირება თუ, აღარ ვიცი, როგორ გითხრათ კიდევ, ადამიანი მოიდახნე გამოდის და ცეცხლს ეამბორდებს, რათა იქნებ იმ ცეცხლის შუქზე მაინც დავინახოთ, თუ როგორ ჩაწვნია, ჩახლართვია, ჩაკედომია ეს გრძნობა მთელს მის არსებას, როგორ აუღია თავის თავზე მთავარი სასიცოცხლო ძარღვის ფუნქცია და ამიტომაც, მისი ამოკვეთა, ამოშანთვა თუ ამოგლეჯა, ყოველთვის სავალალო შედეგს იძლევა, თუკი იქამდე, ყოველად გაუმართლებელი მიზეზთა გამო, მთლად არ ჩამპალა და მთლად არ გადაგვარებულა. მართალია, ადამიანი ამგვარი ოპერაციის მერეც ცოცხლობს, ჭამს, სვამს, ძინავს, მოძრაობს, მაგრამ ეს სიცოცხლე კლინიკური სიცოცხლეა უკვე, საზოგადოებისთვის არავითარი სიკეთის მოტანა აღარ შეუძლია, ვინაიდან მისი წონასწორობის ცენტრი მუდმივ მოძრაობაშია და განუწყვეტლივ საჭიროებს დასაყრდენს, გარეშე ძალას; დაუფიქრებლად ეყრდნობა ყველას ხელს, ვისიც არ უნდა იყოს იგი და რაც არ უნდა მიჰქონდეს დახმარების სანაცვლოდ“. ესეც შენ ალექსანდრეეს! გაიგე რაშე? ვერაფერიც ვერ გაიგე და იმიტომაც იმღვერები ასე, ნიკოსთვის ვერ გიპატიებია — იმ დღეს რომ გითხრა, ცალხელობა კი არა, უვიცობაა უბედურებაო. „თქვენ ყოველთვის აზვიადებთ და ყოველთვის, როცა ლაპარაკობთ, ისეთი საზე გადევთ, თითქოს ყველანი, აი, ეს პატიოსანი ცოლ-ქმარიც, თქვენს გაღიზიანებას ცდილობდეს. თქვენგან ნთქვამი ყველაზე უწყინარი სიტყვაც კი, გინებასავით ეღერს, უნებურად ვწითლდები ხოლმე...“ „ევროპაში მიეჩვევთ ალბათ სიმორცხვეს“. „...თქვენი პირიდან ამოსული სიტყვას ვხედავ კიდეც, მის უხეშ შეხებასაც ვგრძნობ. ან გენოსი ხართ ან ჩვეულებრივი თავხედი...“ „ხა, ხა, ხა, ხა... პირად შეურაცხყოფებს ვერიდოთ ბატონებო. ხა, ხა, ხა, ხა...“ „ორივე შემთხვევაში თქვენი მოსმენა სასიამოვნოა, თქვენი უეცარი, თითქმის უმიზეზო აღელვება გადამდებია. რა თქმა უნდა, ამას საწყენად არ

გეუბნებით. ნურც ის გეწყინებათ, რომ თქვენი პატრიოტული ლტკინება პროვინციალობის ბრალია, პროვინციული ხილია, ბაზრის სილამაზე, იქვე, დასლთანვე რომ ჯამ, ნიკაზე რომ ჩამოგდის მისი ტკბილი წვენი და უნებურად წელში გხრის, რათა შარვალიც არ დაისვარო. მაგრამ იმდენად დიდია გემოს ვასინჯვის ცდუნება, ერთი წუთით აბსოლუტური თავისუფლება გეუფლება. არავითარ ყურადღებას ადარ აქცევ ეთიკის ნორმებს, თუმცა უზრდელობაც თავისებური თავისუფლებაა. მეორე წუთას კი, როცა ცდუნება გადავიარეს, ალარ იცი, სად წაიღო იმ ლამაზი ნაყოფის წვენით გაწეპილი ხელები, დგახარ ამდენ ხალხში, სასაცილოდ თითებგაფარჩხული, სანამ ვინმე გაზეთის ნასვეს არ მოგაწოდებს, ანდა, სამადლოდ, გულის ჯიბიდან ცხვირსახოცს არ ამოგიღებს, რაკი შენთვის, შენივე სისულელისა და სულწასულობის გამო, საკუთარი გულისჯიბე მიეწყდომელი გაგხდარა. თქვენთვის ჯერ არ მოუწოდებიათ ცხვირსახოცი, საფულდაკეცილად დაუთოვებული და დაკეცილი? ან იქნება სწორედ ახლა გგჭირდებათ? ღმერთო ჩემო, ვისაც უნდა დაგენიძლავები. რომ ახლა თქვენ ჩემი მოკლეა ვინდათ. ხომ ვინდათ? ესეც ხომ ჩვენი ქართველების თვისებაა — ერთმანეთის დახოცვა? ერთმანეთთანაც ეარ ვაკაცები. მაგრამ თქვენ მაინც ბედნიერი ადამიანი ხართ. თქვენი ცხოვრება, ალბათ, ძალიან საინტერესოა...“ „ძალიან საინტერესოა“. ჰა, რას იტყვი ალექსანდრე? გამოტყდი, ხომ შეგრს ნიკოსი? ხომ გერჩია, შენთვისაც გამოეგზავნა დედას ნორი და თბილი საცვლები? „ისევმც მე ვიხარო“ — თქვა მარომ. „ჰა?“ — წამოიცდა ალექსანდრეს, რადგან ჯერ ისევ იქ იყო, საკუთარი ეგოიცობის ფსკერზე. „შენი მწვადიც მე შეეჭამე“. — თქვა მარომ, მაგრამ ალექსანდრე ალარ უსმენდა „...მართალი ბრძანდებით. წინასწარ ვერაფერით ვერ განვსაზღვრავ ხოლმე, ვის როორ ველაპარაკო. მით უფრო მსოფლიო მოქალაქეს. მაგრამ რაღაი გაწყენინეთ, მარემ იმასაც ვეტყვით, რომ კოსმოპოლიტიზმი სათბურის ხელოვნებაა. შურისა და ავადმყოფური ეინიანობის ნაყოფი. მის შესაქმელად ყველას როდი მოუვა გული. დამერწმუნეთ, სრულებითაც არ მინდოდა თქვენი განაწყენება. ღვინოს რომ ვსვამდე, სიამოვნებით გადღეგრძელებდით... „...ხა, ხა, ხა...“ განაწყენება რა შუაშია. მე პიროვნებისა და სიტყვის თავისუფლების მომხრე გახლავართ და მსოფლიო მოქალაქეობა სრულებითაც არ მიშლის ამაში ხელს. მაგრამ თქვენ როგორი ქართველი ხართ, თუკი ღვინოს არ სვამთ? ნურც თქვენ გეწყინებათ, ვეთაყვა. მე ვიცი, თქვენ რაც გადიზიანებთ, მაგრამ რა გაეწყობა, ასე აეწყო ჩემი ცხოვრება. მე განვთავისუფლდი სამშობლოსაგან, როგორც ცოდვისაგან, და ვაღიარე იდეა, როგორც ღმერთი. ამიტომ, ჩემი სამშობლო მთელი მსოფლიოა. ყველგან შინაურულად ვგრძნობ თავს, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლა ცოტა მეშინია. რასაც ამბობენ, ნახევარი მაინც თუ მართალია... თქვენ არ იტარებთ ხანჯლს?“ „როგორ არა. თუ ძალიან მოხოვთ, დაგაჭერინებთ კიდეც...“ ხა, ხა, ხა, ხა... ბატონებო, ბატონებო... ეს უკვე მეტისმეტია... არ შეშა... არ მშია... ქარშია... ეეეერთი ძვეეეეეი თუუუუმანეიი მა

ჩუენნი, ტუჩაპრუწულნი. მედოლეს ხელი მსუქანი, ბალნანი მტევნები დოლზე გადმოეკიდა, გასაშრობი წინდებიც. „ბაბუცა, ბედდამწვარო ბა-ბუცა“ — მოთქვამდა მარო.

— ეი! — დაუძახა ალექსანდრემ დახლიდარს.

დახლიდარი უხალისოდ წამოიზლაზნა, ფეხები უკან რჩებოდა, უაზრო, ბრიყვული დიმილი უპრიალებდა ტუჩებზე.

— აი, იმათ... ერთ ფუთ ღვინოს მიართმეკ. ნიკოს ამხანაგებს ნიკოს ძმისგან-თქო. — უთხრა ალექსანდრემ.

დახლიდარი გატრიალდა.

— მოიცადე. — დაუძახა ალექსანდრემ. — გაიგე?

— ნიკოს ამხანაგებს ნიკოს ძმისგან. — თქვა დახლიდარმა.

სანამ დუქნიდან გავიდოდნენ, მარო ჯულ მოთქვამდა. მეზობელ სუფრაზეკი დუმილი იყო ჩამოვარდნილი. ალექსანდრე დაძაბული, უთანასწორო ნაბიჯებით მიდიოდა კარისკენ, თითქოს ორმოებს არიდებს ფეხსო. მარიკ უკან მიჰყვა, ტირილ-ტირილით.

მეეტლეებს ისევ ეძინათ, მზე გადახრილიყო და ახლა უფრო მეტი ჩრდილი წამოსდგომოდათ. ცხენებმა გამოხედეს, სევდიანად, გულგრილად. ყველაზე აქეთურა ცხენს თვალში ცერის ხელა ყვითელი წრილი ჰქონდა. ალექსანდრემ ხელი აუქნია. ცხენმა თავი ასწია და კბილები დაკრიჭა, თითქოს გაუცინა. „ადი, ადი-მეთქი“ — ფაეტონისკენ უბიძგა ალექსანდრემ მაროს. მეფაეტონეები რომ წამოცვივდნენ, მტვრის ბუღი ეცათ სახეში, ხოლო მოტაცებულმა ფაეტონმა კარგა შორს გაიელვა შავად, მოსახვევში. „ქორწილია, ქორწილი“ — ყვიროდა ალექსანდრე. „ბაბუცაა... ბედდამწვარო ბაბუცაა“ — მოთქვამდა მარო. ერთ ადგილას დგომით გულგაწყალებული ცხენები დათოხლილები გარბოდნენ, კისერმობრეცილები არიდებდნენ თავებს ბინილა და მტვრიან ქარს. „ეი, დამთხვეულო!“ — ეძახდნენ გზიდან გადასული, გაკვირვებული და შიშნაჭამი გლეხები. გვერდულად მოსდევდნენ გაფაციცებული, გადარეული ძაღლები, თითქოს მოსწრებაზე იყო, თითქოს გულები გაუსკდებოდათ, აღარ დაედგომებოდათ სოფელში, სადმე მაინც კბილს თუ არ გამოაკრავდნენ ამ უზარმაზარსა და უცნაურ არსებას, ოთხი ბორბლითა და რვა ფეხით რომ მოგრიალებდა ქვეყანაზე: ქორწილია... ქორწილია. ბედდამწვარო ბაბუცაააა. ურუქამდე სული არ მოუთქვამთ ცხენებს, არაფერი დაუნახავთ, არაფერს მორიდებიან, ვრიგალივით ბრმად, თავგადაგებულად მიქროდნენ. კრიალითა, სისინითა, ჭყივილითა და პატელითი აწყდებოდნენ აქეთ-იქით ღობეებს ქათმები და ბატები, ღორები და თხები, როგორც ფეხჩაკრული გუბის ტურტლიანი ზზეფები. „თქვენი დედა... თქვენი პატრონის დედა“ — ღრიალებდა ალექსანდრე. მტვერი ბოლქვაბოლქვა ეფინებოდა ქლიავსა და ჭერამს, ხის ძირას დადგმულ აკვანს, აივანზე გადმოფენილ სარეცხსა თუ ვარცლში გაფუებულ ცომს, ორსული დედაკაცის ტიტლიკანა მუცელივით რომ ფეთქავდა. ფაეტონი კი მიქროდა, მიგრიალებდა. ალექსანდრე და მარო მიფრინავდნენ შინისაკენ მოტაცებული ფაეტონით. ეს მათი ქორწილი იყო.

— ფაეტონი მანდ იყოს, არ შემოიყვანო—დაუძახა ალექსანდრემ გიორგას.

ის უკვე კიბესთან იდგა და მაროს ელოდებოდა, უყურებდა, როგორ მობარავდა მაკაბელების ეზოს მისი ერთგული და მახინჯი მეგობარი.

„ჯერ გვეგონა, ნაქელსახარი სახლის დასალაგებლად მოიყვანა, — უყვებოდა მეორე დღეს ქაიხოსრო ზოსიმე მეგდელს. — ასედაც ვუთხარი. რად გინდოდა, ანა და აღათია აქ არ იყვნენმეთქი? ხალხი თუ იყოო, — მკითხა, სიტყვა ბანზე ამიგდო. არა, კი არ ამიგდო, შორიდან დაიწყო პასუხი, შეგვამზადა ვითომ, თავისი ჭკუით, თუმცა იმდროისთვის უკვე მიხდევრილი ვიყავი ყველაფერს, იმან მომახვედრა, ქალმა, მარტო იჯდა ცარიელი სუფრის თავში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სუფრას წიწკნიდა, თვალს გვარიდებდა. მოხედეთ, მოარიგით რამეო, ეძახდა ჩემი სულელი ვაჟი ანასა და აღათიას, ჩემი მეუღლე კეთილი ქალი იყო და არავის აწყენინოთო. ჯერ კიდევ ცაში დაფრინავდა, ჯერ კიდევ იქ იყო.. არ მეგონა, ასე თუ უყვარდა ცოლი. არ მეგონა, საღროოდ თუ შეეძლო პიტრეს სიყვარული. პეტრე კარგად იყოს და მე უკვე ვიცოდი, რასაც იტყოდა ალექსანდრე, სანამ თქმას გაბედავდა. ხალხი როგორ არ იყო, შენს გარდა, მთელი ურუქი აქ ტრიალებდა-მეთქი, სამი ვზობა დაჯდა და აიშალა ხალხი-მეთქი, მარტო ჭურჭლის რეცხვას რომ ვერ აუვედით, პეტრე და გარეგინა მექელეებს ზურგზე ცარცით ნიშანს ადებდნენ-მეთქი. ასე არ იყო? მაინც მამაკაცლობდნენ, ერთმანეთს უშლიდნენ ნიშანს და ისევ ბრუნდებოდნენ სუფრაზე. მესამე ზვობა რომ დავსხოთ, ყველას თეთრად ჰქონდა გადათიხნილი ზურგები. ხოდა, თუ მასეა, ახლა მეოთხე ზვობა დავსვათ ხალხიო, ალექსანდრე მეუბნება, თან იღიმება, კი არ იღიმება, ტუჩებს ჭიმავს. ღიმილი არ მინახავს მაგის სახეზე. დედაჩემის მაგივრი მოგიყვანეთო, ეგ უფრო შეეფერება აქაურობასო, დარდი ნუ გაქვთ, ყოჩაღი ქალია, იოლად არ მოგეკვლევინებათო. გესმის ადამიანო? დედამისი ჯერ არ გაცოდესია საფლავში, ის კი — მაგივრი მოგიყვანეთო. ვინც უნდა, ის მოიყვანოს, რა ჩემი საქმეა, თუნდაც გომბეშო ჩაუწვენია ლოგინში, ჩემი შვილიშვილი არცაა მეტის ღირსი, მაგრამ ერთი-ორი დღე არ უნდა მოეთმინა?"

— წუხელაც სუფრა გქონდათ? — ჰკითხა ზოსიმე მღვდელმა.

— წუხანდელ სუფრას რომ გამოაკლდი, შენ ის გადარდებს, მამაო? — შეუბრუნა კითხვა ქაიხოსრომ.

— შენმა შვილიშვილმა გონჯი ქალი რომ მოიყვანა, შენ ის გიხარია? — შეჰღიმილა ზოსიმე მღვდელმა.

— მიხარიაო?! — შეიცხადა ქაიხოსრომ.

მერე ერთმანეთს უყურებდნენ, თითქოს ორივეს შეეშინდა საუბრის გაგრძელება. ზოსიმე მღვდელი თვალებს აუტუტუნებდა, ღვინოს წრუპავდა და მსუქან, სისხლისფერ ტუჩებს აწკლაპუნებდა. ქაიხოსრომ უყურა, უყურა სახეში მღვდელს და ბოლოს თვითონაც გაეღიმა.

— ხალხი ვინ გყავდათ? ვინ მონახეთ ინ შუალამისას? — ჰკითხა ზოსიმე მღვდელმა.

— ნიკოს ამხანაგები იყვნენ და მეფაიტონეები. **რა ვიცი**, ნიკოს ამხანაგები არიანო. ცალკე მოვიდნენ. ჯერ იმან მოაბრძანა პატარძალი ფაეტონით. ალაგებული სუფრა ხელახლა **გაგაშლევენა**, ხალხი უკვე გზაშია, სირცხვილია, გაინძერით, ნიკოს ამხანაგები არიანო. მერე ისინიც მოვიდნენ. — **თქვა** ქაიხოსრომ.

— მოვიდნენ! — თქვა ალექსანდრემ.

— ეი, ცალხელა, ნიკოს ძმაო! — ყვიროდნენ მთვრალები ალაყაფთან. „თვრამეტი ხელი აქვთ, მე კი — ერთი". გაიფიქრა ალექსანდრემ და წამოდგა. იცოდა, ისინი რომ მოვიდოდნენ. ალბათ, უნდოდა კიდე, ისინი რომ მოსულიყვნენ და იმიტომ გაიჩერა ალაყაფის წინ ფაეტონი. დამალვა არც უფიქრია. რა ჰქონდა დასამალი? დედის სულსა სცა პატივი და საყვარელი შვილის ამხანაგები დაუპატიჟა, როგორც მოახერხა, ისე **დაპატიჟა, ტეტიურად**. თუ რამე ეყარათ თავში, ისინიც მიხვდებოდნენ ამას, **თუ** არა და... „არა, ვერ გაბედავენ, უკვე ეშინიათ ჩემი". — ფიქრობდა ალაყაფისკენ მიმავალი. დაინახეს თუ არა, მომხდურები მაშინვე გაჩუმდნენ. დაბნეული, უხერხული დუმილი ჩამოვარდა ერთბაშად.

— შენ ეი, ეს ცხენები ლატარიაში კი არ მომიგია. — დაუყვირა ერთ-ერთმა მეფაეტონემ.

— გიორგა, გაადე ალაყაფი. — **დაიძახა** ალექსანდრემ, ისე **რომ** თვალი არ მოუშორებია ცხრა კაცით დახუნძლული ფაეტონისთვის.

ოთარ ჭილაძე
ყოველმან ჩემმან მკოფლიელმან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფაიტონეები ტყუპი ძმებივით ისხდნენ კოფოზე, ერთმანეთის გვერდით; ცოდოც იყო მათი დაშორება. თუმცა, მაინცდამაინც არც თვითონ ჩქარობდნენ დაცალკევებას. მეორე ფაეტონი, რომლითაც მარო და ალექსანდრე მოვიდნენ, ჯერ ისევ ცარიელი იდგა. მოსულმა და დამხვდურმა ცხენებმა რამდენჯერმე დაუფრუტუნეს ერთმანეთს: გიცანითო. დაბეგვილი, ნანჯღრევი, ერთმანეთზე ნაჯღიმი შვიდი ნიკო სიცილით, ფერთხვა-ფერთხვითა და ზმორებით გადმოდიოდა ფაეტონიდან. კარგ გუნებაზე იყვნენ, ღვინო ჯერ კიდევ უხიცინებდათ თავში, მათთვის ეს გასართობი თავგადასავალი იყო მხოლოდ, ქეიფისა და დროსტარების აუცილებელი გაგრძელება. რაკი ქალაქიდან გამოსულიყვნენ, ყველაფრიდან სიამოვნების მიღებას ცდილობდნენ და რაკი თვითონ მოცლილები იყვნენ, სხვებიც მოცლილები ეგონათ.

— ბატონო ჩემო, ღვინისთვის მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ თუ გინდათ რომ შეგვერგოს კიდეც, გაგვარკვიეთ, ვინ არის ნიკო. ჩვენ ვერ გავიხსენეთ. ღმერთი-რჯული, ვერ გავიხსენეთ. ღვინო კი დავლიეთ, მაგრამ სინდისმა შეგვაწუხა, სინდისმაც და ღვინომაც. ხომ გაგიგიათ, რაც არ გერგება, არ შეგერგებაო. იქნება შეგეშალათ და უნებურად ჩვენც გვაცდუნეთ? — ამბობდა ერთი.

დანარჩენები იცინოდნენ. ალექსანდრე უკვე გრძნობდა, სისულელე რომ ჩაიდინა, ნიკოს ამხანაგობა დასწამა ვიღაცეებს, თითქოს აუცილებელი იყო, ყველა ნიკოს ჭკუისა ყოფილიყო, ვისაც ქალაქურად ეცვა და ქალაქურად ლაპარაკობდა. საბოდიშოდ გიახადა სამქმე. მეფაეტონეებივით იმათაც თითო მანეთიანს ხომ ვერ აიფარებდა პირზე? გინდაც ცნობოდათ ნიკო, გინდაც ნიკოს ამხანაგები ყოფილიყვნენ, თვითონ რა საერთო ჰქონდა ამ ხალხთან? რამ წამოუარა უცებ? თუმცა კარგად იცოდა, რამაც წამოუარა. იმათმა სიუცხოვემ, იმათმა ამდაუბდა ლაპარაკმა მიიზიდა, როგორც მწერი სინათლემ გააბრიყვა, როგორც მარო იაგორიან და ახლა, საკუთარი სახლის წინ ასვეტილი, ღვარძლიანად გრძნობდა ამას, ახლა ბრაზდებოდა, რადგან შეცდომის გამოსწორებას კი არ ამირებდა, არამედ გაღრმავებას, ბოლომდე უნდოდა ჩაჰყოლოდა, როგორც მარო ჩაყვა იაგორას ბოლომდე ვიღაცის საფლავში.

— ნიკო პატიმარია. ვითომც იმას დაელიოს. — თქვა ალექსანდრემ.

ატყდა და რა ატყდა. დაბნეულმა ალექსანდრემ უნებურად გიორგას მოხედა, ზურგს უკან რომ ედგა ანთებული ჭრაქით ხელში. „გაუმარჯოს ნიკოსა... გაუმარჯოს ყველა პატიმარსა. გაუმარჯოს პატიმრების ძმობასა... ყველანი პატიმრები ვართ!“ — ყვიროდა შვიდი ნიკო.

— ეგ არ გამეგო, შენც ვირის აბანოში ამოგაყოფინებდი თავს. — გადმოსძახა კოფოდან ერთ-ერთმა მეფაეტონემ.

— ცალხელა არ იყო... — ჩაიბურდღუნა მეორემ. ეტყობა, იმისი იყო მოტაცებული ფაეტონი და აქამდე გაოგნებული იმტომ იჯდა, თვალებს არ უჯერებდა, კიდეც რომ ხედავდა თავის ცხენებსა და ფაეტონს.

— ნუ მემუქრები, თუ კაცი ხარ... — მშვიდად უთხრა ალექსანდრემ. ჯერ კიდევ ერეოდა თავს, ჯერ კიდეც სიამოვნებდა შეცდომის ტყვეობაში ყოფნა. — მეც ვიცი, რომ ცალხელა ვარ. — დაამატა უფრო მშვიდად, ღიმილით.

„— ბატონებო, ბატონებო! ნიკოს საღდეგრძელო უნდა დაილიოს, აუცილებლად... გაგვიძეხი მასპინძელო, აქეთ ჯერ ხომ კიდევ საქართველოა... გაუმარჯოს ძმობასა! რა გვაქვს საჩუბარი...“ — ყვიროდა შვიდი ნიკო.

— მობრძანდით რა, — თქვა ალექსანდრემ. — ქელეხიცა მაქვს და ქორწილიც.

„ბაბუცა, გამოსედე ქალო, ნიკოს ამხანაგები მოგვივდნენო“ — ტოროდა აღთია. მუნდირში გამოწყობილი ქაიხოსროს დანახვამ ყველაზე ძლიერად მ-

ფაეტონეები დაბინა. გაბრუნება დაიპირეს, მაგრამ ალექსანდრემ მკლავი ჯობიანი ჩაუდგა კარში. სუფრასთანაც გვერდიგვერდ ისხდნენ, ისხდნენ და არ იცოდნენ, სად წაეღოთ ხელები, ხან მუხლებზე დაიწყობდნენ, ხან მაგიდაზე. ქუდები არ მოუხდიათ, რაღაცნირად გვერდულად ისხდნენ, მოუხერხებლად, ეკუთვნოდნენ და არც ეკუთვნოდნენ სუფრას, ყოველ წუთას წამოწევა უხდებოდათ, რამეს რომ მისწვდენოდნენ, თუმცა პურისა და ყველის მეტი არაფერი გადაუღიათ, მთელი დღე არა ვჭამთო, თავს იმარილებდნენ და თან ერთმანეთს აქილაკავებდნენ დაუნდობლად, ძველ ამბებს უხსენებდნენ, რათა სხვები გაეცინებინათ და სხვების სიცილში მიეჩქმალათ თავიანთი სიმორცხვე და დაბნეულობა. „ამან ერთხელ ცხენზე მეტი შვრია შეჭამა. ცხენს გავჯიბრეთ და აჯობა“. — ამბობდა ერთი. მეორე კი, იდიმებოდა, მაგიდაზე დარჩენილ ხელსა მუშტავდა, ჭუჭყიანი ფრჩხილები რომ დაემალა.

— დედაჩემი გუშინ დავმარხეთ. ეს კი მაროა. აი, დუქანში რომ ტიროდა... დედაჩემს ტიროდა. — თქვა ალექსანდრემ.

ყველამ რაღაცა ჩაიბურტღუნა, სამძიმარისა და თანაგრძნობის გამომხატველი. მარო თავჩაღუნული იჯდა და ისევ სუფრას წიწკნიდა. ყველაზე უცნო ის იყო, სტუმარზეც და მასპინძელზეც. „ეს სად მომიყვანაო“ — ფიქრობდა შეშფოთებული. ვერაფერს ხედავდა უზარმაზარი, ყვითლად აბრიალებული ლამპის მეტს, თითქოს ლამპა მარტო მისთვის მიეშუქებინათ, უკეთესად რომ დაეთვალიერებინათ იგი დანარჩენებს. მერე ღვინომ მაინც თავისი გაიტანა და აალაპარაკა ყალბი სიახლოვით გაბრიყვებული ხალხი. სუფრა ახმაურდა, ამოძრავდა და მარომაც შვებით ამოისუნთქა. დროისა და სივრცის ოკეანეში შემთხვევითა და დროებით დაკავშირებული, დარწმუნებული იყვნენ, ხვალაც მოიკითხავდნენ ერთმანეთს, ხვალაც იგივე აზრი და მომხიბვლელობა შერჩებოდათ სიტყვებს, რომლებსაც ახლა ისეთი გზნებითა და თავმოწონებით წარმოსთქვამდნენ, თითქოს იმ სიტყვებზე იყო დამოკიდებული, თუ მთელი ქვეყნის არა, ერთი ოჯახის ბედი მაინც. „წავიდა, დამთავრდა, ჩვენდა სამწუხაროდ, გენერლების თაობა, ბატონო ქაიხოსრო. ვერ გაგიმართლეთ შვილებმა“ — ამბობდა ნიკოს რომელიღაც მეშვიდედი. „სამაგეროდ, ვეკილების თაობა მოდის, — გაიძახოდა სხვა მეშვიდედი — როცა ხმალი დაჩოლუნგდება, ენამ უნდა გასჭრას“. „ბატონებო, ბატონებო, ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიარო, რომ სრულიად სხვა, რა თქმა უნდა, უარესი წარმოდგენა მქონდა ქართულ სოფელზე. როგორც ირკვევა, ცივილიზაციისთვის საზღვრები არ არსებობს“. „ბატონო ვარლამ, თქვენ ჯერ კიდევ ბევრი არასწორი წარმოდგენა გაქვთ. (მსოფლიო მოქალაქე გახლავთ, ამჟამად გერმანიაში მოღვაწეობს. ასე რომ, ჩვენი საერთო სტუმარია, უფრო სწორედ, საერთო მასპინძელი). მართალი ბრძანეთ, ცივილიზაციისთვის საზღვრები არ არსებობსო, მაგრამ გასახარი და საამაყო არაფერია ამაში, რადგან კაცობრიობის ერთიანობას ერთ ქარგაზე გამოჭრილი ნიფხავი კი არ განაპირობებს, არამედ დიადისკენ ერთნაირი მიდრეკილება, შექმნის მოთხოვნილება და უნარი. საერთო ფეხსადგილში ერთნაირად გაჯირვებულნი ხალხი იყრის თავს და არა — ერთნაირად მოაზროვნენ. ამ პატრიარქალურ ოჯახს გაუმარჯოს“. „აქ მაინც გამანებე თავი, ვეკო“. „ბატონებო, ბატონებო, ოჯახის სადღეგრძელო ისმევა“. „წავიდა, დამთავრდა გენერლების თაობა“. „მე მხოლოდ მაიორი გახლავართ“. „რა მნიშვნელობა აქვს, ბატონო. მე ჩინს კი არ ვგულისხმობ, არამედ — სულს“. „ბარემ ისიცა თქვი შენი მურტალი ენითა, მარილის მაგვრად მიწა რომ ჩამიყარეთ ლობიოში“. „ხე, ხე...

ხა, ხა...“ „ფუი, დასწყევლოს ღმერთმა“. „ესეც დავლიოთ და შაბაშ! თავი უკვე მირატრატებს“. „ნუ გეშინია, მე წავიყვან ფაეტონს“. „ქუდებით რატომ სხედხართ სუფრასთან?“ „წასვლის დრია, თქვენი ჭირიმე“. არავინ აკავებდათ, წასვლა თუ უნდოდათ, ზზა ხსნილი ჰქონდათ, მაგრამ თვითონვე ვერ ახერხებდნენ წასვლას, ვერ ბედავდნენ, თითქოს დიდ დანაშაულს ჩაიდენდნენ, გაანაწყენებდნენ ოჯახს, რომელთანაც არც აქამდე ჰქონდათ რამე საერთო და არც ამის მერე ექნებოდათ. მაგრამ საკუთარი ნალაპარაკევი აბრიყვებდათ, საკუთარი ნალაპარაკევი ბორკილებად დასდებოდათ ხელ-ფეხზე. იმდენი ექოთ და ედიდებინათ ეს ოჯახი, იმდენნაირად გამოთქვათ დუუიწყრობის, სამადგიერო სიკეთის გადახდისა და სამარადისო მეგობრობის პირობა, ახლა მართლა უხერხული იყო, იმდგარიყვნენ და წასულიყვნენ, როგორც ჩვეულებრივ სტუმრებს შეეფერებათ. ერთმანეთს აქეზებდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საბოლოო, გამოსამშვიდობებელი სიტყვის თქმაში და თვითონაც ვეღარ გრძნობდნენ, თავიანთ ჭკუაზე რომ თამაშებდნენ სიტყვები, სიტყვები რომ ბატონობდნენ მათზე და არა ისინი სიტყვებზე. ერთი ნაბიჯიღა აკლდათ სივიქეიდე, რადგან იმ წუთას მართლა სჯეროდათ, კაცობრიობის გაზაფხული კარზე რომ იყო მომდგარი, დროშებითა და გალობით რომ შეეგებებოდა ხალხი სატუსაღოდან გამოსული ნიკოს და ეს ოჯახი კვლავაც რომ დარჩებოდა სიკეთის, სიდარბაისლის, პატიოსნებისა და თავისუფლების ტაძრად. ქათქათა პერანგებსა და შავ სერთუკებში გამოწყობილნი, მერცხლებს გავდნენ და მერცხლებივით ჭიკჭიკებდნენ. ტყუილად იყენენ ვექილები? ვექილი იმისია, თეორი შავად რომ მოგაჩვენოს, შავი კიდევ თეორად. ენა უძალოა, საითაც გინდა იქით შეატრიალებ. ხოდა, ისინიც ატრიალებდნენ, ატრიალებდნენ არღნის სახელურივით. ესაა მათი ხელობა: სიტყვებით ოინბაზობა, კაცის გაბრიყვება. ხარაზმი რაც არ უნდა ცუდი ყოფილიყოს, მაინც ეუფლა, ჩაეცვლება ერთ-ორ თვეს თავს გაგატანინებს; რაც არ უნდა კოჟლი სკამი გაკეთოს დურგალმა, რამეს შეუყენებს და მაინც დაიჯდომება ზედ. ესენი კი, თვითნაირი გრძელი ენებით ჰაერს ჭრიან და კერავენ, არც ტყავი ვირღებათ და არც ფიცარი. რაც მოეპრინაებათ იმის შეაკოწიწებენ ბრიყვი კაცისგან. განავალში რომ იჯდეს ყელამდე, დაჯერებენ — ოქროში ზიხარო; თავგის გაფაჩუნებისაც რომ ეშინოდეს, გმირობას დაადაბალებენ, მაიორის მუნდირი კი გაცვია, მაგრამ, გინდა თუ არა, გენერალი ხარო; ლექსის წერის მეტი რომ არაფერი შეეძლოს, ყუმბარას ასროლინებენ, ხალხისთვის წამებულ რაინდად მონათლავენ და... ციხეში უკრავენ თავს, რადგან თვითონვე დაუდგენენ ვექილებად და ილაქლაქონ, ილაქლაქონ, ილაქლაქონ, სანამ თავფეხიანად არ გაკრეჭენ ხალხისთვის წამებული რაინდის ნათესავებს. ნიკო ციხეში, ისინი კი — დუქანდუქან, ფაეტონებით, დამკვრელებით! კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ იქამდე არაფერი ეტკინოთ, სანამ ამ პურმარილის მეტი კიდევ რამე დასტყუთნ მაკაბელების ოჯახს. ეს პურმარილი ისედაც გაოხრდებოდა, მაინც გადასაყრელი იყო, სამგზის ალაგებული და სამგზის ხელახლა გამოტანილი. ჭამონ და სვან, რამდენიც ჩაეტევათ, ღმერთმა შეარგოთ, მაგრამ ნუ იფიქრებენ, რომ ალექსანდრეკ გაარაყეს, ალექსანდრესაც მოაწონეს თავი და ერთი სიტყვა მაინც დაჯერეს. ალექსანდრემდე ჯერ კიდევ ბევრი უკლიათ, რადგან ალექსანდრემ მუქთად დაადღოთ, ისინი კი, მუქთად საკუთარ დედას არ დაიკავენ. ახლა კი, ადგანენ და წავიდენენ, შეაყოლონ, თორემ, შეიძლება, ვეღარ მოითმინოს ალექსანდრემ და რაც პატივი სცათ, სულ ძმრად აღინოს ცხვირებიდან. ნიკოც ეყოფათ, იმაზედაც მადლობა თქვან, ნიკო რომ ჩაიგდეს ხელში. ჩაიგდეს და ჩაიგდეს, ისიც შეარგოთ ღმერთმა, რადგან ახია ნიკო-

ზე, თვითონ ჩაუვარდათ პირში, თვითონ ისე წაიყვანა საქმე, ამათი დასაყვანელი რომ გამხდარიყო ბოლოს. იმიტომაც შემოჭკრეს ტაში, იმიტომაც იყვირეს, გაუმარჯოს ყველა პატიმარსო, რადგან ნიკოს ვეღარავინ გაგდებინებთ ხელიდან. ნიკო მათია და სანამ ბოლომდე არ გამოსწოვენ სისხლს, სანამ ბროწეულივით არ გამოწურავენ, არ შეეშვებიან და არც უნდა შეეშვან, რადგან ნიკოც იგივეა მათთვის, რაც ობობასთვის — აბლაბუდაში მოხვედრილი ბუზი. როგორც ობობა ოცნებობს, ნეტავ ყველა ბუზი ჩემს ქსელში გაეხვეოდესო, ისე ოცნებობენ ისინიც, რომ ყველანი პატიმრები იყვნენ, რადგან ვიქილისთვის პატიმარი იგივეა, რაც ხარაზისთვის ტყავი, ანდა დურგლისთვის ფიცარი. ახლა კი წავიდნენ, იქეიფეს და ეყოფათ. ახლავე თუ არ წავლენ, მერე შეიძლება, სანანებლად გაუხდეთ საქმე.

— ვექილები! — დაიყვირა ალექსანდრემ და წამოდგა. გაშლილი მკლავი მაგიდაზე ჰქონდა დაბჯენილი, კეტივით.

სამარისებური დუმილი ჩამოვარდა, როგორც წეღან, დუქანში, როცა მარო ტიროდა.

— პირკატა ვვეცი ყველას, — უყვებოდა მეორე დღეს ქაიხოსრო ზოსიმე მღვდელს. — დაიშლეთ, გათავდა ქეიფი, ისიც გეყოფათ, ძმა რომ გამბრიყვეთო. არც კი გაიცლა. არც ჩვენ მოგვცა გაცლების ნება. როგორც მოვიდნენ, ისევე წავლენ, გზა არც აქეთობას უსწავლებია მაგათთვის ვისმესო. თავი მოგვეკრა და ეგაა, რას ატყვის ის პატიოსანი ხალხი, ან რას გვპატიჟებდნენ, ან რას გამოგვლალეს საყრდის გლახებივითაო. არ იტყვიან? ჩვენს ოჯახში წესიერი კაცი არც შემოშვება, მაგრამ ერთი საღამო მაინც მოეთმინა, დედის ხსოვნისთვის მაინც ეცა პატივი. მე რომ მაქეს და მადიდეს, ის ეწყინა, ის ვერ აიტანა. ჩემი სადღეგრძელო რომ დალიეს, ისა და მისი გომბეშო თვალს უშვრებოდნენ ერთმანეთს. რა მოხდა, გინდაც გადამეტებულად შეგაქოს სტუმარმა, გინდაც ჩინი მოეიმატოს?! ეს ხომ ამით არაფერი გაკლდებაო? — ეს ჩემზე, მამაო, ახია, ცხოვრებას ზურგი შეეაქცია და ტალახში დავიწყე თითნა. ტალახიდან ღმერთს რა გამოუვიდა, მე რომ გამომსვლოდა.

— ღმერთს ვინ დაუფასა, შენთვის რომ დაეფასებინათ. — თვალები აეკუქუნა ზოსიმე მღვდელმა.

— ვერ გავიგე და რა ვქნა. მომკალი, თუ გინდა. — გაიღიმა ქაიხოსრომ.

— რა? რა ვერ გაიგე? — გადმოიხარა ზოსიმე მღვდელი.

— რას მაბრალებ. — მაშინვე უპასუხა ქაიხოსრომ და სახეში შეაჩერდა, ჯერ ისევ მომღიმარი, მაგრამ შეწუხებული, დაბნეული, ცნობისმოყვარეობას აყოლილი კაცივით.

— ხოოო, — გაგრძელა ზოსიმე მღვდელმა და ისევ სკამის ზურგს მიესვენა. ღვინით სავსე ჭიქა ორივე ხელით ეჭირა, სათუთად, მოწეწვინი, თითქოს ცოცხალი არსება იყო და ხელი რომ გაეშვა, წუვდოდა, გაუფრინდებოდა. — სხვა რაო? არაფერი უთქვამთ? ჩასხდნენ და წავიდნენ?

— ჩასხდნენ და წავიდნენ. რატომ არ მეტყვი, მამაო, რაში მადანაშაულებ. ხომ უნდა ვიცოდე? — უთხრა ქაიხოსრომ. — ჩასხდნენ და წავიდნენ, — გაგრძელა მაშინვე, თითქოს პასუხისა შეეშინდა, თითქოს იმ წუთას თვითონვე მიხვდა, რაში ადანაშაულებდა ზოსიმე მღვდელი და რაკი თვითონვე მიხვდა, აღარ ჩააცვდა ზედმეტად. — სამასსამოცდახუთი წშინდა გიორგი შეგეწოროთო, გარედან იძახდნენ, სანამ ფაეტონებს მოაბრუნებდნენ. ამან კი, თავისი გომბეშო დედის ოთახში შეათრია, დღეიდან ჩვენ ვიცხოვრებთ აქაო, მე გადმომკა, მე ხომ იმ ოთახის ამოქოლვა მინდოდა? ოთახების მეტი რაა, მაგრამ მაინცდამაინც იქ შეყო ცხვირი, რათა დედის სენიც ჩემს წინააღმდეგ გამოიყენონ, უარესად რომ დამაჯდეს

ოთარ ჭილაძე
ყოველმაან ჩემმაან მკოვნელმაან....

თავზე. რაკი თვითონ დაიმართებს, **სხვებსაც** დასვრის და ამით დამთავრ**დება ყველაფერი.** არ მოიკვნეს, სანამ **არ** დააქცევს **აქაურობას.** თუ არ ვუნდივართ, წავიდეს, გაგვაწბოს თავი. შენ თუ ხევში ვარდები, მე რატომ უნდა გადმოგაყვე, ჰა? მე ეს სახლი ჩემთვის ავიშენე, შენ ხომ იცი, ჩემი ხელით აკეთშენე და ვისაც არ მოსწონს, მიბრძანდეს, ჯანდაბამდე გზა ჭმონია. ისიც მეყოფა, ჩემმა სულელმა შვილმა ქლექ**ანი ქალი** რომ მომიყვანა. კუდაბზიკა იმერელი კი არა, ინგლისის დედოფალი არ მინდა ქლექიანი, ადამიანო. ყველა მე რატომ უნდა ჩამიდგეს კრიჭაში? რატომ უნდა უნდოდეს ყველის ჩემი სიკვდილი, შინაურსაც და გარეულსაც? ვისაც მე არ ვუნდივარ, არც მე მინდა. კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, სულელიც გამომიყვანეს, მტრებით გავავსე სახლი. მე არ ვიცი, შენი ღმერთი რას ფიქრობს, მაგრამ მე ჩემი ჭკუა მაქეს ჯერ. ერთ დღეს აღარ გავიჩერებ არავის, ვისაც ჩემი სიცოცხლე თავისას არ ურჩევნია. მე ეური მივცე, ბური ვაჭამო, ჩავაცვა და დავახურო, იმათ კი, აღარ იცოდნენ, როგორ და რანაირად მომიღონ ბოლო? აააარა, თქვენო უუუწ�-დესობავ. სამავისო კბილები დიდხნის **წინათ მოვიცალე.** მოკლედ, რაღა ბე**რი** გავავრძელო, გავაგდე. წუხელვე გავყარე ორივენი. — უცებ მოსჩრა ქაიხოსრომ.

„გასკდა ნაღველი, გადმოიღვარა, ახლა აღარაფერი ეშველება, — ფიქრობდა ზოსიმე მღვდელი. — წავა, მოვდება ქვეყანას“. მერე დიდხანს დუმდნენ ორივენი. ათასში ერთხელ ღვინოს თუ მოწრუპავდნენ უხალისოდ.

— არ უნდა გაგიშვა. — თქვა ბოლოს ზოსიმე მღვდელმა.

— რას ქვია, არ გამიშვა, გავაგდემეთქი, ადამიანო. — გაბრაზდა ქაიხოსრო.

— ბაბუცას ლოგინივით უნდა დაგიწვა ორივენი.— თქვა ზოსიმე მღვდელმა.

ქაიხოსროს გაკვირვებული სახე დაედო, ისევ ცნობისმოყვარე კაცის მავედრებელი თვალებით მიაჩერდა ზოსიმე მღვდელს, მაგრამ ახლა [illegible] იგო, ხუმრობდა თუ გულწრფელად ლაპარაკობდა იგი. ზოსიმე მღვდელს ნირიც არ შეუცვლია, მშვიდად უსწორებდა მოკუქეულ თვალებს.

„იცის, ყველაფერი იცის, — გაიფიქრა ქაიხოსრომ. — თუმცა არასდროს არ გვილაპარაკია გულახდილად“ გახვერტილი შაურიანის ფასიც აღარ ჰქონდა ზოსიმე მღვდელს, ვინ იცის, რა გზებით შეძენილ ცოდნას, რადგან ქაიხოსრომ იმავე წუთას იგრძნო პირველად, რა უმნიშვნელო იყო მისი საიდუმლო, აზრი დაჰკარგვოდა, როგორც დიდხნის დამარხულ ღვინოს ვერ ეგრძო და სიმაგრე. ახლა გინდაც სამრეკლოდან დაეძახა: მაკაბელი არა ვარო, ან არ დაეჯერებდნენ, ან მხრებს აიჩეჩავდნენ, რადგან მართალი აღარაფერს ნიშნავდა, ოღესღაც ვინ იყო იგი, ან ვინ იქნებოდა, სხვანაირად რომ წარმართულიყო მისი ცხოვრება. ახლა ვინღაც უარი ეთქვა მითვისებულ გვარზე, სხვებს მაინც ვერ დააგიწყებდა. სხვებისთვის მაინც მაკაბელად დარჩებოდა სიკვდილამდეც და სიკვდილის მერეც, რადგან მხოლოდ ამ გვართან დაკავშირებით შეეძლებოდათ მისი გარეგნობის, მისი ჩვევებისა და საერთოდ მისი ცხოვრების გახსენება; წამდელი გვარი კი, თვითონაც აღარ ახსოვდა და გინდაც გაეხსენებინა, ის უფრო უცხო იქნებოდა მისთვის, შეუფერებელი და საჩოთირო, სხვებისთვის კი — ყალბი, გამოგონილი, დამაეჭვებელი, რადგან ადამიანისთვის ნამდვილი ის არის, რასაც ეჩვევა, ყოველდღიურად, თანდათანობით და სამუდამოდ. ქაიხოსროს სიცილი აუვარდა, პირმოკუმული იცინოდა, უხეშად, უსიამოდ. მერე ზოსიმე მღვდელმაც ჩაიკინა ყელში, პირწაქცეული კოკურასავით.

— რაღა ცოდვის მომატება გინდოდა, შე უბედურო. — მოაყოლა უცებ.

— უსამართლოა შენი ღმერთი, მამაო, უსამართლო. — კბილებში გამოსცრა ქაიხოსრომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის სარეცელი

ყოველ ცისმარე
მზე ამიყვანს
ბავშვივით ხელში,
ღამით კი ნამად
დამაბრუნებს
მშიერ მიწაზე.
ასე გრძელდება
იმის მერე,
წამიდან წამით,
რაც ცეცხლისფერი
რაშები და
ზეცა ვიწამე.
რაც რომ ვიკმარე
გრიგალების დრეკადი ძვალი,
ღრმა კაბადონის
მეწამული მკერდი ვიკმარე.
ღამით ვეცემი დაღლილ მიწას
მსუბუქი ნამი,
რომ ამტაცოს
ზეემ ხელებზე
ყოველ ცისმარე.

სევდა სრულიად არ ნიშნავს ფუხილს

გუგების ჩრდილში გათეული უძილო ღამე
აშინებს თვალებს.
აშინებს თვალებს სითამამე და მორიდება.
გროვდება ნამი
და მინორი გაისმის გამის —
გრძნეულთ გუმანი, გამარჯვება და განდიდება.
ბინდ**ით მოს**ილი სიყვარულის ლამაზი ფერი
ალერსს მოითხოვს,
ალერსს მოითხოვს დღე პირველი და განშორების,
ედება სერებს
განსაგმირად მზის შუბის წვერი
და ითხოვს სერი ტკივილების განმეორებას.
მორევის ფსკერზე მოქანცული მსტოვარის სახით
ეცემა წვეთი,
ეცემა **წ**ვეთი და ადგომას ამაოდ ცდილობს,
დაგებულ მახეს,
ქვის არტახებს მდინარე დახევს,
და ნებიერად მიაშურებს ჭალათა ჭილოფს.
გუგ**ების** ჩრდილში **გ**ათ**ე**ული **უ**ძილო ღამე
აშინებს თვალებს.
აშ**ინ**ებს თვალებს სითამამე და მორიდება,
გროვ**დ**ება ნამი
და მ**ინ**ორი **გ**ა**ი**სმ**ი**ს **გ**ამ**ის** —
გრ**ძ**ნ**ე**ულ**თ** **გ**უ**მ**ა**ნ**ი, **გ**ა**მ**ა**რ**ჯ**ვ**ე**ბ**ა **დ**ა **გ**ა**ნ**ღ**ი**დ**ებ**ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მოჭრილი ცაცხვი მძიმედ დაეშვა,
პატარა ეზოს ჩამოხსნეს ფარდა,
მოვარდა ზეცა,
ბაღშეის თვალებში
იდუმალების მცენარეს რგავდა.

და შეკავებულ ცრემლს და ჟრუანტელს
ის ისრუტავდა და იზრდებოდა,
ჩაჰოდიოდა ციდან ნათელი,
ციდან კი არა, უფრო ზემოდან.

ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘ?

(მოტივები „ქართლის ცხოვრებიდან“)

ისევ დავმარცხდი,
მივაშურე ნესტიან სენაკს,
ჩემს სიმყუდროვეს,
ჩემს მოწყენილ და ძველ სადროშოს,
ჩემს ერთგულ და გულგრილ მეგობრებს —
მტვრიან საგნებს და გულჩაბრობილ,
მდუმარე წიგნებს.

ისევ დავმარცხდი,
დამარცხებას ვერ შევურიგდი,
ჩვენი დუელი
ჩემს გამოგონილ ბრძოლის ველზე —
თეთრ ფურცელზე გრძელდება ისევ.
ხელთ მიპყრია ზღაპრული გორდა,
ვკაფავ და ვკაფავ მტერს აურაცხელს
და ერთის ნაცვლად ასი ამოდის.

მე ამ ბრძოლაშიც ყოველდღე მკლავენ
და ნაცარალი გულში მვირს მარად.
მაგრამ დილა-უთენიაზე
ვიღაც მაცოცხლებს,
ვიღაც მაღვიძებს, —
მიბრუნებს ძალას
და მაქმეზებს:
„მიდი, ჰკა მაგას“.
„ბოლო სად არი“?
ვეკითხები ჩემს მფარველ ვარსკვლავს...
ვერ მპასუხობს,
მიმეორებს ძველისძველ კითხვას:
„მინდორთ რო სისხლის ტბა ბრუნავს,
გადასაგდები სად არი?
შიგა წევს გველი წითელი,
თავსა სძრავს, ბოლო სად არი?“

◑

მიდის ზამთარი და იმუქრება,
რომ კიდევ მოვა,
მოვა და მოვა,
რომ ამაოა, თითქოს უქრობი
გაზაფხულის მზე —
ო, ამაოა.

მაგრამ ზამთარი თუ კი გავიდა,
ვის ახსენდება მუქარა ზამთრის?
განმეორდება ისევ თავიდან
შენელებული და ძველი კადრი.
განმეორდება სხვა სიანკარით—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი შეხედვით თითქოს უცვლელი
მთები,
ტყეები
და ნიავქარი
ჯერ არსებული და გარდუცვლელი.

მოაწყდებიან თვალს ტანწერწეტა
ალვის ხეები ქართა მხმობელი,
მიდის ზამთარი...
ასე წვეთწვეთად
მავსებს ნათელი შეუცნობელი.

ზლაპარი უცხო ფრინველისა და ყინულის ქალაქისა

„მაღლა მთას მოსდგა უცხო ფრინველი“

1. ყინულის ქალაქი

შეხედე ქალაქს,
ყინულის ქალაქს, —
ყინულის კაცებს,
ყინულის ქალებს,
გათოშილ ხეებს
და შუშის თვალებს
გაზომილი აქვთ სამზერი სივრცე,
მისჩერებიან სხვადასხვა წერტილს
და გაყინული მზერით ბურღავენ
უთვალავ ჭას,
როგორც სარკმლებს,
რომ გაისედონ დედამიწის
მეორე მხარეს.

და ამ თვალების მილიონი ჭუჭრუტანიდან
ვინ რას შესცქერდა...
ვინ ვის უხმობდა...
ვინ ვის ნატრობდა...
ყვირილი,
შიში,
სიხარული,
აზრი,
სიბრიყვე —
ღია თვალებში ყველაფერი გაყინულია.
არ შრიალებენ ხეივნები გარეუბნისა
და კვიპაროსთა კენწერონი
ნება-ნებაა არ ირწევიან
და ნაცრისფერი საღებავით
დახატულ ზეცას —
მხატვარმა მღვრიე გუბეებიდან
რომ გადახატა,
უზომო მტვერი დასდებია,
მტვერიც,
მტვერიც გაყინულია.

2. უცხო ფრინველი

უცხო ყივილით,
ფრთების გრიალით
ის აღვიძებდა ყინულის ქალაქს,
ყინულის კაცებს,
ყინულის ქალებს,
გათოშილ ხეებს
და შუშის თვალებს.
იჯდა გუმბათზე,
ცისფერი ფრთებით
თითქოს ფარავდა ჩანგრეულ გუმბათს,
გული კი... გული —
ნაუ, ნაუ, ნაუ!
ზარეკზე უფრო ძლიერად რეკდა.
მორბოდა ხალხი,
ვამღღვალ თოვლში მოტყაპუნობდა
და ეებერთელა ყინვის ლოლუებს
შუბებივით ესროდნენ ზეცას,
მორბოდა ხალხი,
და თვალების მილიონი ჭუჭრუტანიდან
მოჩანდა მხოლოდ:
უცხო ფრინველი,
გარინდებული უმზერდა ზეცას,
შეღამებისას უმზერდა დიდხანს,
„მოუკ სინათლე უმეცართა“,
რეკავდა გული,
ოდეს იქუხა ყინულის თოფმა,
ოდეს იწივლა ყინულის ტყვიამ,
ერთმა კი არა
მილიონმა თოფმა იქუხა
და უცხო ფრინველს მოეჩვენა:
ღამე, რომელიც გაღვიძებულ
ქალაქს შთანთქავდა,
ამოდიოდა,
შეუმჩნევლად ამოდიოდა
მისი თვალების ხიღრმეებიდან.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲠᲐᲛᲙᲘᲗᲮᲔ ᲭᲘᲠᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

ბახვა ბახია შემთხვევით გავიცანი მეგობრობის მატარებელში, ვრცელი ვაკეები და დიდრონი ქალაქები რომ მოგვატარა ერთად. მეზობელ კუპეში დაედო ბინა და უმალვე შემოგვეკედლა ოჯახის წევრივით. მარტო გაბღინძული ტიკპორას ეშმი როდი ეძალებოდა ჩვენკენ. სხვა რაღაცაც, თუნდაც კაცთმოყვარეობის გულს ქავილს დავარქმევთ. თამამად შემოვიდოდა, სიხარულს შემოაფრქვევდა, შინაურულად ჩაგვიჯდებოდა და ხალისიან საუბარში შეგვიყოლიებდა.

მასპინძლობის ნამუსი არ გვასვენებდა. გასასტუმრებელი უხვად გვქონდა. თვალის ჩაკვრით ვანიშნებდით ერთერთს. ხორაგეულს ამოვალაგებდით, მაგიდაზე დავახავებდით, სარკმლის ძირში რომ წამოშვერილიყო, გაშინაურებულ სტუმარს მივიპატიჟებდით. საპატიო ადგილს მივთავაზებდით, პურს გავტეხდით, ბომცრო ჭიქებით შევუყვე-

ბოდით, ყველანი შევჭიკჭიკდებოდით, უფრო მეტად კი სტუმარი, იგი ისედაც ატაცებული ბიჭი ჩანდა და ბორული მწვანის გამოწრუპვის მერე ხომ ხალისად გადაიქცეოდა. სიტყვის ხვიმრას მოუშვებდა, მოუწყენელი საუბარი სჩვეოდა, სათქმელს სამო ფერს მისცემდა, საღიმილოსა და სასაცილოსაც ეშირ-ხშირად გაურევდა, მერე და მერე პოეზიის სიყვარული მოეძალებოდა, აკი ვეღარ გაიმაგრებდა და წამობირქვავებული კოკასავით გადმოღვრიდა გულიდან. უმალვე მივუხვდებოდით, სალექსოდ რომ აცმუკდებოდა და დროულად წავამეცლებოდით:

— ბახვა ბატონო, ლექსი მოგვწყურდა, ლექსი!

— ლექსი, ჰმ! თქვენ ფული არ მომკითხოთ, თორემ ლექსი რამდენიც გნებავთ! რომელი დავიწყო!

— რომელიც თქვენ გაგეხარდებათ. ბახვა ბახიას ყველა ლექსი უხაროდა.

— გელოდებით, ბახვა ბატონო!

ლექსის ტრფიალი მაღლა აიღერებდა თმამობერილ თავსა, ჭროღა თვალებს მიაშტერებდა ჭერსა, ეტყობოდა სათქმელს არჩევდა გულში, მესაიდუმლე შემლოცველივით გაუგებრად ააცმაცუნებდა დანაზებულ ტუჩებსა, თავს აღარ ჩამოიღერებდა, თვალებს განაბავდა, მარცხნა ხელს გულზე დაიდებდა და მშვიდი ხმით ამოიტურნუღუნებდა:

„ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა!..“

შესავალს ეგრე ჩაანარნარებდა, მერე თითქოს ბექობზზე შეხტაო, უცებ გამოსცვლიდა სავალს და მოულოდნელად დაიტეტებდა:

„დაუკარით, რომ ქველ ხანჯალს
ეღდა ეცეს...“

ასე ხმამაღლა ჩაუყვებოდა, თითქოს ვიღაცას ემუქრებაო, ხან გამეტებით იქნევდა მუშტებს, ხან კბილებსაც დაკარაჭუნებდა, ალაგ-ალაგ კიდევ უფრო შეხტუნებდა სათქმელს. ქამი-ქამ ისევ დაიხასხასებდა, უფრორე სიტყვა „საქართველოს“ მიეცოყვარულებოდა. მეტადრე შუაგულ ლექსში მოიცვლებოდა ძალას და მთელი ხმით დაგვეფიცებოდა:

„დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!“

ეგრე ვრგვინვით ჩაუყვებოდა, მერე უცებ ჩაქრებოდა, კვლავ განაბავდა თვალებს და გულს დაეწურავდა ბოლო სტრიქონებს:

„ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული,
თამარ დედოფლის დარბაზივით!“

სიამითა და შვებით ამოისუნთქავდა, ისევ დაგვიბრუნდებოდა ცაში ნაფრენ-ნაქროლი, დაღლილსა და ცხელ თვალებში ღიმილს აიცმაცმებდა და სათითაოდ შემოგვაცქერდებოდა.

ჩვენც, რა თქმა უნდა, აღტაცების ტაშითა და საფერო სიტყვებით დავემადლიერებოდით.

— მაგ „სალაღობოთი“ ხომ ჭეშმარიტად გვალაღე, ბატონო ბახვა, მაგრამ თქვენი საკუთარი ლექსითაც გვინდოდა გაგვეხარა! — მოკრძალებით შევთხოვდით.

— საკუთარი... ჰმ!.. ჩემი ლექსი რა სუფრაზე მოსატანია, მით უმეტეს, ლადოს მერე! — ისეთი მოკუჟუნებით შემოგვხედავდა, რომ კიდევ ითხოვდა ხვეწნას.

— რას ამბობ, ბევრით არ ჩამოუვარდება, თქვენსას მაინც სხვა ეშხი აქვს!— ვაიაფებდით სათქმელს.

ბახვა ბახიაზ შეიფერებდა.

— მოდი, ერთი, გვასიამოვნე! — კვლავ შევემუდარებოდით.

ლექსის ტრფიალი განგებ შეჯოჯმანდებოდა.

— ძალიან გთხოვთ, ბატონო ბახვა!

გიორგი ჩორგუაშვილი
არამკითხი ჭირისუფალი

— რაკი აღარ მეშვებით, ვიტყვი რაღაცას. — თავმდაბლის კილოთი მოგვიგებდა.

— ბრძანეთ, ბრძანეთ! — და გავისუსებოდით.

ბახვა ბახია კვლავ გამოგვეთიშებოდა, საწოლის საზურგეს გაერთხმოდა, წამწამებს ჩამოიფხატავდა, თვალებზე ხელს აიფარებდა; ეტყობოდა თავის პოეტურ სამყაროში ჩაიძირებოდა, ისევ ამოიყვინთებოდა, სათქმელიც მოეკურებოდა და შეორთოლებულ-შეკუკულებული, თვალგანაბულივე დაიწყებდა:

ჩემს საქართველოს!

როგორც მარგალიტის **გული**,
ბრწყინავ დედამიწის თვალად.
სიყვარულსა მალვა უნდა...
მე **კი** ამას ვერა ვმალავ!
გულზე თბილო, სულზე ტკბილო,
გენაცვალე ალალ **გულში**!
მე ვერავინ შემიცილოს
შენი მთების სიყვარულში!
ვით **გენუკვი**, ღმერთმა იცის...
აღარ **დავალ** საბა ობლად...
გიგენდი **შენი** ლამაზ მიწის,
შენი ზეცის საგალობლად.
მე ნუ დამცემს მტრის ლახვარი,
ნურც სიკვდილი, უსვიო, კრული.
ისევ მკლავდეს **შენი** მძლავრი,
და უსაზღვრო სიყვარული!..“

შვილს ალერსივით **აამებდა ყოველი** სიტყვის მოყურვა **გულიდან**.

დიახაც საკუთარი მონაგარი ბავშვივით შეპყვარებოდა თავისი ლექსნი, რომელნიც უკლებლივ გაგვაცნო მოგზაურობისას. ერთხელ კი არა, რამოდენიმეჯერ წაგვიკითხა, ჩვენ, რასაკვირველია, თითო-ოროლა სტრიქონის ვარდა ვერ ვიმახსოვრებდით და მორიდებით ვკითხულობდით, სად იყო დაბეჭდილი, რათა ხელი მიგვწვდომოდა და ჩვენს ნებაზე წაკითხვისა და დატკბობის ბედნიერება მოგვციმოდა.

— რა ვიცი, რიგიანად არც მახსოვს, სად დავიბეჭდე! — ისე მსუბუქად მოგვიგებდა, თითქოს **გული** ჰქონდა მოყიარეული ამდენი **ბეჭდვითა და უკვე** აღარაფრად მიაჩნდა **თავისი** მარგალიტების გამობრწყინება, — მაგობაში ფრიად დაუდევარი გახლავართ. აი, ეს გამომყოლია შემთხვევით. — და გულის ჯიბიდან ამოიღებდა „სოფლის ცხოვრების“ **მეოთხე** გვერდის ამონაჭერს, სლკინა ქაღალდში რომ შეენახა საგანგებოდ. ამონაჭერში დაბეჭდილი იყო მისი სამი ციკნა ლექსი, პაწაივე შესავალი წერილით, რომლის თავკუთხიდანაც შემოგცინებდათ გასაშლელი ყვავილივით ნაზად თავდახრილი ავტორი.

ხელიდან ხელში გადადიოდა ლექსებიანი ნაჭერი გაზეთის და მისი ავტორი კმაყოფილებით შემოგვციცინებდა. გული ვეღარ მოუთმენდა და მოკრძალებით შეგვეკითხებოდა:

— მოგწონთ, მეგობრებო?

— რას ამბობ!

— კარგია!

— მშვენიერია!

— საუკეთო ლექსებია! — ერთბაშად მივაყრიდით.

— არც ისე! — იმგვარი კილოთი იტყოდა, ვითომ არაფრად მიაჩნდა ისინი და მათზე უკეთესებს იგულებდა.

— სხვებს სად ვიხილავთ, ბატონო ბახვა?

— სხვებს? — შეყოვნდებოდა, — **წიგნში...**

— **წიგნში?!**

— როდის გამოვიდა? — თვალებს გავიფართოვებდით.

— ჯერ არ დაბეჭდილა! — უღონოდ იტყოდა, — მიტანილი მაქვს გამომცემლობაში...

— **სასიამოვნოა!**

— **მალე იქნება?**

— რა ვიცი... მე, მართალი გითხრათ, ჯერ არცა ვფიქრობდი... ზოგიერთ ქერქეტა კალმოსანივით სულმოსწრაფებული არ გახლავართ, ცინგლივით რომ იოლად მოიხოცავენ ლექსებს გულიდან **და მაშინვე წიგნისაკენ** გაურბიან **ჭუა-**გონება... მე მწამს, რომ დიდ პოეზიას დიდხანს უნდა გულისა და გონების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუღილში ხარშვა... — დაბრძენებულად **შეიქმუხნიდა** შუბლს.

პირდაღებულნი შეეცქეროდნენ.

— ჰო, იმას **მოგახსენებდით, მე ჯერ** არა **ვფიქრობდი-მეთქი, მეგობრები ალარ მომეშვნენ...** ძლივს **დამწერეს პირჯვარი** კრებულის **შედგენასა** და **გამომცემლობაში** მიტანაზე... **დაეგდე და** ალარც **მიმიკითხებია...** დევნა **უნდა ყველაფერს...**

— რახან ასეა, სდიე, ბატონო ბახვა!

— **მე, ჩემო** მეგობრებო, **არაფერი მწამს** იმათი, ვინც ყოველდღე **დაწყალებენ** რედაქციიდან **რედაქციაში, გამომცემლობიდან** გამომცემლობაში. **ამოდ** იქანცავენ **გონებასაც, გულსაც. ნერვებსაც. საკვირველია, როდისღა ჭმნიან.** გაცილებით **მირჩევნია** ის **საღეკნო** დრო **თვითონ ნაწარმოების** შექმნას **მოვახმარო. მთავარია** შეიქმნას...

— **სწორი ბრძანებაა,** მაგრამ **დაბეჭდვაც** რომ **აუცილებელია?! თუ** არ **მისდიე,** ძალიან **დაგიგვიანებენ,** ან **სულაც...**

— **დაგვიანდეს, რა ვუყოთ! ჭეშმარიტი ქმნილებანი** ვგიან **იკვლევენ** ბ**ზას!**

— **უფრო** დაიბრძენებდა ხახეს.

თავის ფიქრთა **სამყაროში** მეტად **შეყოლილებას** ალარ **მოისურვებდა, უცებ** გამოიცვლებოდა, **კვლავ** თავისებურად ახალისდებოდა **და** თვითონვე **გაგვახსენებდა:**

— **მზის** სხივი, **მეგობრებო, მზის** სხივი!

„მზის სხივში“ **გორულ** მწვანეს **გულისხმობდა.**

შეავსებდით და **მისივე** ს**ადღეგრძელოს** მივაყოლებდით.

თვალებგაბრწყინებული ბახვა **სიამოვნებით** ისმენდა **დამსახურებულ ქებას** და **დიდ** მადლობას **და** პატარა **ლექ**ს**ს** მაინც **შემოვგზ**ॆ**ნრავდა, უფრორე საკუთარს.**

რაკი შეზარხ**ოშდებოდა, ლაპარაკს** ხომ **არავის** გვაცდიდა **და** სადღეგრძ**ელოებსაც** დაეპატრონებოდა.

— **ერთი** სადღეგრძელო **მათქმევინეთ,**

მეგობრებო, **მხოლოდ ერთი! — ლაკად** ა**ოქნევდა** თითაშვერილ **ხელსა.**

— ბრძანეთ, **ბატონო** ბახვა, ბრძანეთ! — თამადაც **მოეწ**ॆ**წ**ॆ**ბოდა.**

— ლექსის **სადღეგრძ**ॆ**ლო** იყოს! პოეზიას **გაუმარჯოს! წარმოიდგინეთ,** რა **იქნებოდა ჩვენი** ცხოვრება **სიმღერისა** და **ლექსის** გარეშე!.. — **და** გაგრძ**ელებდა.**

საამოდ ჩაგვშრიალებდა ყურში მისი **სურნელოვანი სიტყვები. ლექსის** მ**ოლოდინი** ვ**ვ**ॆ**ონდა** და **აკი** არც **გაგვიმტყუნებდა. ამჯერად** ბ**ალაკ**ॆ**ონის** ბ**ადა**ॆ**ხვ**ॆ**ოდა** ხ**ელსა.**

— „**სული** ბ**ვ**ॆ**ონდეს** ბ**უსპეტაკეს** თ**ოვლისა!**“ — **თვალებგანაბ**ॆ**ვ**ॆ**ით** ბ**ა**ॆ**ნ**ॆ**ყ**ॆ**ბდა** ბ**ა:**

„**პოეზია** ბ**უპირველეს ყოვლისა!**“ — **ასევე** ბ**ათანგული** ბ**ა**ॆ**ბ**ॆ**ოლოვ**ॆ**ბდა.**

ჩვენს ბ**ულსაც** ბ**ასტ**ॆ**ბ**ॆ**ბდა** ბ**ა**ॆ**ვ**ॆ**ს** ბ**შეჩვეულ** ბ**უზას.**

— **ერთი** ბ**ადღეგრძ**ॆ**ლო** ბ**კ**ॆ**ოდ**ॆ**ვ, ბ**ეგ**ॆ**ობ**ॆ**რებ**ॆ**, ბ**ხ**ॆ**ოლ**ॆ**ოდ** ბ**ერთი! — ბ**ॆ**ვ**ॆ**ლ**ॆ**ბ**ॆ**ა**

ბॆ**ვ**ॆ**ა**ॆ**ბ**ॆ**ა** ბ**ა**ॆ**ბ**ॆ**ა**ॆ**ბ**ॆ**ა**ॆ**ბ**ॆ

სიმართლეს. აი, სწორედ სიმართლეს გაუმარჯოს! გულმართალ კაცს გაუმარჯოს! მე ისევე ძალუმად მიყვარს **სიმართლე და** მართალი კაცი, ვითარცა სამშობლო და პოეზია... — ამ სადღეგრძელოზეც დაითაფლავდა ენას.

ჩვენც ბოლომდე გამოგვაცლევენიდა.

— ეხლა თქვენ განაგრძეთ, მეტს აღარ შეგაწუხებთ, იქნებ დამძრახოთ კიდეც, **ჩემო საყვარელო** მეგობრებო, მაგრამ **ეგეთი ჩვეულება** მაქვს, სადაც უნდა ვიყო, ეს **სამი** სადღეგრძელო თუ არა ვთქვი, **იმ ქეიფს** ქეიფად **არ** ჩავთვლი. ეს სამი **დიდი** გრძნობა დაძრული ჩემს დაუოკებელ სულში და უღვთოდ მაწვალებს! — **ისეთი** აღტყინებით ამბობდა, **არ** შეიძლებოდა, არ დაგვეჯერებინა.

იმ ბედნიერ მოგზაურობაში გულის სარქველიც **აგვიხადა** და ჭკუისაც. თვალწინ **გადაგვიშალა** მთელი თავისი სულიერი **თუ გონ**ებრივი ავლა-დიდება. თითქმის **ყველაფერი** შევიტყვეთ, მათ შორის **ის ფრიად** გასაიდუმლოებული ამბავიც, **სიყვარულით** შეუღლებულ ცოლს **რომ გამოჰქცეოდა** და სამი წლის ბიუნუაზეც **აეყარა ჯიგარი.** მაგრამ იმის დადგენა **გაგვიძნელდა,** თუ სად მოუშობდა. არც **თვითონ** ამოუშვია პირიდან და ჩვენს **შემოვლითს შეკითხვებსაც** თავს **არიდებდა.** ის აზრიღა გამოვიტანეთ, რომ საიდუმლო სამსახური ექნებაო, აღარც ჩავციბინავართ და ცოტა არ იყოს, ვფრთხილობდით კიდეც, ემანდ ისეთი არაფერი წამოგვეყარანტალებინა, **რომ** ყურები **გაგვწითლებოდა. ბოლოს** კი ისევ ღვინომ **გამოტეხა, რომ თავის** ნებაზე ლაღობდა.

— ჭკვიანი შემოქმედი, საერთოდ, არც უნდა მუშობდეს. ის უნდა იჯდეს და ჰქმნიდეს! — კვლავ დაიბრძენებდა შუბლსა.

— აბა, რამ უნდა აცხოვროს?!

— თავისივე ნიჭმა...

— ვიდრე ნიჭს გაისარგებლიანებდეს?!

— ცხოვრება მსუყეა, მშიერს არ და**ტოვებს.**

— არა, მაინც რითი არსებობთ?

— ვინაცვალე ჩემს კალამს! — ამ ყოფილებით შემოგვხედოდა.

— განა იმდენი ლექსები გეწერებათ, **რომ...**

— მარტო ლექსების ამარა არ გახლავართ, მეგობრებო, ჟურნალისტობასაც ვეწევი. — გაგვაწყვეტინებდა, — ჩვენს პრესაში ზშირად ქვეყნდება ჩემი წერილები, ნარკვევები, ფელეტონები, მინიატურები.

„ბაბეა ბახია“ — მხოლოდ გულში გავივლებდით და მხრების აჩეჩვით გადავყურებდით ერთურთს, ასეთ გვარსახელს არ წასწყდომია ჩვენი თვალი და ყური, მაგრამ ენა დავიდუმეთ, ალბათ, უყურადღებობის გამო აღარ გვახსოვსო. **ამ აზრთა ფხოჭიალში** თვითონვე წამოგვაშველებდა, **რომ** თავის ნაშ-დვილ გვარს ეშვიათად აწერდა. მასალას აქვეყნებდა ფსევდონიმებით, **რაც** უმთავრესად თავისი გვარიდან და სახელიდან იყო წარმოებული: „ახია“, „დახია“, „რახეა“, „ბახ-ბახ“, „ვახ-ვახ“, „იაია“ **და** მისთანანი.

— **რომელ** გაზეთებში **იბეჭდებით,** ბატონო ბახვა? — **უფრო** მოვეკრძალენით.

— **ყველა** რედაქციის **კარი ჩემთვის** ღიაა, **მაგრამ „ნაანგისაკენ“ უფრო** მიმიწევს **გული.**

თვალები გავიფართოვეთ.

— თქვენთვისაც კარგად არის **ცნ**ობილი, რომ კალამზე მძლავრი იარაღი ჯერ არ გამოუგონია კაცობრიობას, **მაგრამ** სატირა და **იუმორი** სულ სხვაა. **სიცილი ატომზე უძლიერესია,** და დიდ **მადლობას** ეწირავ ორსთა **გამრიგეს,** რომ მეც მიწილადა ეს ღვთიური ნიჭი.

უფრო გაკვირვებით დავაღეთ პირი.

— მე სულ სხვა ყაიდის კალმოსანი ვარ... მძულს თვითმარქვია მეფელეტონეები, წვრილმან რამეზე **რომ** აიქავებენ **ენას** იაფფასიანი ტაკიმასხარასავით... **მე** მხოლოდ მაშინ მოვკიდებ კალამს... **როცა** დიდი სათქმელი **მომეძალება.** და დავწერ მართალ უბედურად... ქვას ქვაზე აღარ **დავტოვებ...** — თავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც თრთოდა და დამჯიღებელ ხელებსაც ათამთამებდა.

ეს ტანმომცრო კაცი უფრო და უფრო გვეზრდებოდა თვალში და, ცოტა არ იყოს, შიშმაც გაგვკრა. კეთილი და სამართლიანი კი სჩანს, ჩვენც გვემეგობრება და გვესაყვარულება. მაგრამ რა იცი, რა თვალით შემოგხედავს ხვალ თუ ზეგ... ის „ხვალეც“ და „ზეგაც“ კეთილად გაგვითენდა. ბატონნ ბახვა ლექსებად, სიმღერებად, სიხარულად და სიყვარულად დაგვეღვარა, უფრო და უფრო მოგვეკრო გულზე და მეგობრობის მატარებელს ვემადლიერებოდით, რომ ასეთი უნიკალური კაცი გაგვაცნო...

დაშორების სინანულმა აგვიჩუყა გული და დავშორდით, ისიც არ დაგვკარგოდა, როგორც სხვა უამრავი გაცნობილი მგზავრი.

მაგრამ ბახვა ბახია ფიცევერცხლნაპამი დავშორდა და სავსე ჭიქაზე დფიცებით აღგვიქვა, რომ ვიღრე პირში სული მიდგას, მე თქვენ არ დაგკარგავთო.

...და არც წაუქცევია სიტყვა.

კვირის სწორზეევე დამიკრა თავი. შორიდანვე გამოქანდა, თახთახით გადამეხვია, ძმასავით გადამკოცნა, სიყვარულით მომიკითხა, თამამად შემიღვა ჩემს სახლში. მე არც კი გამსარჯა, თვითონვე გაეცნო დიდსაც და პატარასაც, ღიმილად იქცა, ახლო ნათესავივით მოეკიგრა, უფრო ჩემს შვილოკოებს მიუტკბა, დაუტოლდა. მათსავით მოიჩლიქა ენა. იმათი ჭკუისა გახდა. ყმაწვილურად აუმღერდა და აუცეკვდა. რა გართობა, რა ლექსები, რა ზღაპრები! იმ დღისთვე დაუძმაკაცდა და ორიოდე ჩამოსვლაზე ისე შეაყვარა თავი, რომ ერთთავად „ბახვა ბიძია“ ეკერათ პირზე.

„ბახვა ბიძიამ მომიტანა ეს მთვარემავალი!“

„ბახვა ბიძიამ მასწავლა „ჩიტუნია“.

„ბახვა ბიძია თვითონაც იგონებს ლექსებს!“ — ხშირად გაიგონებდით ჩემს ოჯახში.

უფროს ვაჟს ორსტროფიანი ლექსიც მოუძღვნა, დაეზეპირებინა კიდეც და სიხარულით ცას მისწია.

„ბახვა ბიძია რატომ არ მოდის““ — ტუჩს აიმჩვირებდნენ, როცა შეაგვიანებდა ჩამოსვლას.

მადლობა ღმერთს, ნახვის ნატრულს არა ხდიდა, და სიხარულს არ ულევდა ჩემს ბიჭებს.

პატარები რა გავამტყუნო, დიდებსაც მოგვეწარტეზოდა ბახვას მობრძანება.

„გულმისავალი ბიჭია, — წრფელად მეტყოდა ხოლმე მეუღლე, — ადამიანის მოყვარული, ხალისით და სიკეთით სავსე!“

„მე, რა, მაკლია სიკეთე?!“ — გულზე წყენა გამკრავდა.

„არა, ძვირფასო, შენ ვინ შეგედრება, — თავს მომიქონავდა მოგვერგვინე, — მაგრამ ბატონ ბახვას სულ სხვა სიცოცხლე და მარიფათი აქვს. რაღაცა ცინცხალა და პირვარდა ბიჭია და ადვილად მიდის ადამიანის გულამდე!“

მეზობლებშიც ერთთავად მის ქებაში იყო, ასეთი კარგი მეგობარი შეიძინა ჩემმა ქმარმა.

ცოტა არ იყოს, ეჭვი გამეხილებოდა გულში, დარწმუნებული რომ არა ვყოფილიყავი მეუღლის ერთგულებასა და ახალი მეგობრის სიალალმართლეში. ის ოდნავ ჭიატა ეჭვიც იმწამსვე გამიქრებოდა და მეც ფრთები მესხმოდა ბახვა ბახიას შეკეთებისას, რამეთუ გონიერი ანდაზა ამბობს: მითხარ, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარო.

დიახ, ყველას გვიხაროდა ბახვა ბახიას მობრძანება და არც გვაკლებდა ნახვას.

პირველ ხანებში მარტოკა მოგვადგებოდა ხოლმე კარსა, მერე და მერე ამხანაგ-მეგობრებიც მოგვიჩვია, უმთავრესად მოლექსენი, ახალი მიფიცხებული რომ ჰქონდათ გული პოეზიის სახ-

გიორგი ხორგუაშვილი
არამაერთხი ჟირისფალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილზე. შემოუსხდებოდნენ გაშლილ სუფრას და სიხარულის ალმური ასდიოდა იქაურობას, ჩამოადგებოდნენ ლექსის ჯიბრსა და საკუთარი ნაოდგილარების ვარხალალოთი მიხდიდნენ სახლის ჭერსა.

ბუნების წიაღში გავლასაც მოიწყურვებდა და მეც არ დავტოვებდი გულნაკლულსა. როგორ სიამოვნებდა, როგორ გაიხარებდა! თოთო ბავშვივით ათახთახდებოდა სიხარულისაგან, მწვანიანზე სიარული და თუნდაც გაგორება-განებივრებაც ერთ სიცოცხლედ უღირდა, ფეხთ გაიძრობდა, ნამიან ლორთქოზე დაბიჯებდა და სიმღერით იტყოდა: „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი თუ არ გავიარ, რაა მამული!“ წინაპართა ნახელავის ხილვისას ხომ სულის ზეიმი ედგა. ლოცად მიაპყრობდა ცხელ თვალებს და უცნობი დიდოსტატების აჩრდილებს გაეჩურჩულებოდა: მე თქვენი ნიჭი და თავმდაბლობა მოიცებს, ჩემო სულიერნო ნათესავნო. როგორ შეჰქმენით ასეთი უკვდავი და უმშვენიერესი ქმნილებანი და რატომ არსად გააცნადეთ თქვენი ვინაობა, რომ ეგება ლექსით მაინც მეთქვა მადლობა.

მერე ზეცისკენ აღაპყრობდა ხელებს და ქადაგივით წამოიძახებდა: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, სიზმარშიც ამას ვდუდუნებ!“ და იქვე, მდელოზე გაშლილ სუფრისკენ **გაექცეოდა** თვალი, ჩვენც მარჯვედ მივაგებებდით გალიცლიცებულ ყანწსა და...

მამაჩემთანაც მამეჭ**ვდა,** **იმასაც** მალე შეუშვილდა. **მამის სულს** ეფიცებოდა, რომ მშობელივით შეჰყვარებოდა. ამ ფიცევით ამოთქმულ სიტყვას მარანში უფრო მეტ ეშხს მისცემდა. ჩემი ხელით მიყვარს ქვევრის ახდაო და მაგ გულვასაც იმცხრალებდა. კიდობანშიც თამამად ჩაპყოფდა ხელსა, მწნილის ქილაშიც, ხილეულსაც ოჯახის წევრივით დაუკითხავად წამოუთაროვებდა.

„შენნაირი გამრჯე და პოეტური კაცი მიყვარსო!“ — და საალერსოდ გადახვევდა ხელსა.

მამაჩემს „პოეტური კაცობა“ ბინდბუნდად წარმოედგინა, **ისე კი** ასრი მიჰქონდა, რომ რაღაც კეთილს ეფიცებოდა და იგიც დამადლიერებინ უღიმოდა.

ნარკვევის დაწერასაც ჰპირდებოდა, მთელ ქვეყანას უნდა მოვფინო შენი სიკაკაცის ამბავი.

გულქართლი მამაჩემი უიმპირობოდაც გაუშლიდა გულსა და ჩემი ეშხით იმასაც საკუთარი ნაშიერივით ეჯიგრებოდა.

დიახ, მამაჩემთანაც მალ-მალე მიდიოდა. თუ ნახვას დაუგვიანებდა, დამნაშავეესავით ბოდიშობდა და იპირებოდა, რომ მომავალში გამოასწორებდა თავის „შეცდომას“ და არც ამჯერად წაქცევდა სიტყვას.

თვით დედაქალაქშიც ხშირად ვხედებოდით ერთურთს. **ისე არ ჩავიდოდი,** რომ არ შემომყოროდა, რა დროც უნდა ყოფილიყო და სადაც უნდა გამეარა, უმთავრესად კი რედაქციესა და გამომცემლობების წინ იდგა ხოლმე. გუნებაში გავიფლბდი: „როდისღა მუშაობს და ჰქმნის ეს დალოცვილი. თუ ღამე დაფრინავს პოეზიის სამყაროში, ძილი ხომ მაინც უნდა ამ მამაცსონებულსა“. მაგრამ ამდენ ფიქრს როგორ მაცლიდა, ღიმილით მომიახლოვდებოდა და სასალმე ხელთან ერთად ულაკაშებიან ტუჩებსაც მოიმარჯვებდა. გულიანად მომიკითხავდა მეც, ცოლ-შვილსაც, მშობლებსაც, ნაცნობებსაც და უცნობებსაც, უმალვე ამედიენებოდა, საუბარს გამიბამდა, გამეპატიჟებოდა და მანამდე არ მომეშვებოდა, ვიდრე „თითო ჭიქაზე“ მაინც არ დამიყოლიებდა.

— ეჰ, მოუცლელობას რა ეუთხრა, თორემ სახლში წავიდოდით. ჩემს ახალ ცოლსაც გაგაცნობდი და ტკბილადაც ვიქუაქუაებდით.

— არა უშავს, სხვა დროს გავიცნობთ! — ვეიმედებდი. მაგრამ ეს ბედნიერი დღე არასოდეს დაგვდგომია.

აქაურ რესტორანში პური არ იქმეკაო, რატომღაც მაძულებდა და ლუდხანისაკენ გამიძღვებოდა. ზეზეურად ჩამოვეფსატებოდით. კნაჭა, მარმარილოსთვიან მაგიდას და კათხა ლუდსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თითო ღერ სოსისზე ვეფიცებოდით ერთურთს ძმობასა და მეგობრობას.

— როდის აპირებ ჩამოსვლას?

საკარაუდო დროს ვეტყოდი.

იგი თავს დაარხევდა, მაგრძნობინებდა, რომ რაღაცა ედო გულში. ამას არ დასჯერდებოდა და დიდი წადილით მეტყოდა:

— ერთი, შენი ბავშვები და მეუღლე გამოატარე როდისმე!

მეც ყასიდად შევპირდებოდი.

— ძალიან გეხვეწები!

თავს დავუქნევდი.

●

იმჟამად „მერნის“ საგამოფენო დარბაზში გადაეყარე. დიევანზე ჩამომჯდარიყო და, ეტყობოდა, მოცლილ თანამზრახველებში დაეგდო განი. რაღაცას ელაპარაკებოდა ხელებგაშლილი.

— ოჰ, შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს! — მათდა მოულოდნელად წამომაწია და ფიცხლად წამოხტა. სათითაოდ გამაცნო იქ მყოფნი.

ჩემი მეგობრები არიანო,. სულ პოეტი ბიჭებია, აბა, უბრალო ადამიანებთან კი არა მაქვს საქმეო, ირიბად დააყოლა.

მეც წარმადგინა.

— ეს ვინ არის, იცით?..

პოეტმა ბიჭებმა თვალები გაიფარეოოვეს.

— ადგილზე გაგაცნობთ! — ჰპირდებოდა და მჯეროდა, რომ არც ამჯერად უდალატებდა ნათქვამს.

კვლავინდებურად მომიკითხა.

მეც არ დავუჯრჩი ვალში.

— აი, ახლაც ველაპარაკებოდი შენზე, როგორ მინდოდა შენი ნახვა და კაი დროს მოხვედი კიდეც. ნეტავი სულ ასე ამიცხადდებოდეს ნატვრა!

უსმოდ შევციცინებდი.

— მართალია, ბიჭო? — მწუხარების გამზიარებელივით მოიღრუბლა სახე.

ასეთ უშესავლო შეკითხვას ჩვენში ჭირისუფალს აძლევენ ხოლმე მისამძიმრების წინ და გული შემოქანდა.

●

ყრმობისიე ვაკის სოფლად ითქმის: ვახუშტისა არ იყოს, ისიც ვენახოვანი და ხილიანია. ციხე-კოშკებით დამშვენებული, ძირძველი, ჭირნახული, ქართლის ცხოვრების ქარ-ცეცხლში გამოტარებული, ფერფლნაბნევი და ფერნაცვალი. უწინაც სახლობდნენ „კაცნი მხნენი და მებრძოლნი, მართალნი გულითა, არამედ მპარავნი“.

ერთი ცხენის გაპენების მერე ტყიანეთი იწყება, საკმაოდ მოზრდილი ქედი. ჯერ ნელ-ნელა მაღლდება, მერე უცებ კოკლავდება, რის გამიც „კოკოლა ქედი“ შეურქმევიათ. ისიც საამო სანახავი.

უწინ აყრილი ტყე ყოფილა „კოკოლა ქედზე“, ახლა კი სიქარნელ მორეულა. ის დაკორომებული ადგილებიც შეთხელებულა. იმ ტყიანი ღელისათვის კი, ხატის ტყედ რომ მონათლულა, ნირი ვერ უცვლევინებიათ. ხატის ტყეში ხის მოჭრა ხვთის წყრომად მიუჩნევიათ და კაცის კვლასავით დიდ ცოდვად ჩაუთვლიათ. ვიღრე თავისით არ მოიღვედა წუთისოფელს, კაცისშვილს ხელი არ დაუკარებია ფესვიანი მსუნთქავისათვის.

თუ ვინმეს ნაკაბი მოუღერებია ცოცხალი ხატისათვის, ურწმუნოდ და უსინდისოდ შეურაცხია სოფელს.

მაღალი ღმერთი გასწყრომიათ.

წმინდა სამსონი განრისხებიათ.

წმინდა სამსონის სახელი პატარა ეკლესიისათვის დაუნათლიათ, იმ ტყიან ღელეს რომ შეჰყუეკია.

სამსონი აქაური ძეხოცელი ყოფილა, ძალგულოვანი და ტანმშვენიერი. ურჯულო მომხვდურთა ურდო გაუნადგურებია და ერისთვის თავდადებულს პატივსაცემად პატარა ეკლესია აუგიათ.

ეკლესიის დაბადების თარიღიდ მერე საუკუნეს მიიჩნევენ. იგი უშენებიათ თლილი ქვითა და ქვიშა-კირიანი მჭი-

---

გიორგი ხორგუაშვილი
პრამკითხე ჭირისუფალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით. ისიც თვალმოსატაცად მოუჩუქურთმებიათ გარეედან, თვალსაამოდ მოუხატავთ შიგნითაც.

ამ ეკლესიასაც დიდი დავი-დარაბა გადახდენია. აქამდეც მოუღწევია კოჭლი თემური სისხლიან ტორსა, სხვა გულბორტ მომხვდურსაც, შიგნითაც და გარეთაც აუოხრებიათ.

ის ხატი კი უვნებელი გადარჩენილა. შიშიანობის დროს გადაუმალავთ, მშვიდობიანობისას კი თავის ადგილს დაუუდგებიათ, ულოცია, მოსწიწყებიან.

მერე სოფელი გასწყრომია ღმერთსა, აღარც წმინდა სამსონი უწამიათ, აღარც მისი ხატი, მაგრამ მაინც მოჰკრძალებიან ერთსაც და მეორესაც. მაინც არ განელებიათ ხატის ტყის სიყვარული. ტყის სატკივარი თავიანთ ტკივილად მიუჩნევიათ. თუ ვინმე უღვთო ნაჯახიანი გამოსჩენია, ვიწრო თვალით შეუხედავთ. სოფლისაგან მოძულებას კი ყველა მორიდებია.

ხატის ტყეში დღესაც მხნედ დგას წმინდა სამსონის ეკლესია და ახლა უფრო გამრავლებია მრევლი.

წმინდა სამსონის ეკლესიის ძირში კამკამა წყარო ჩქეფდა.

წყარო ჭროლა ქვიშნარში მოედინებოდა, თვალნათლივ ჩანდა, თუ როგორ იბადებოდა იგი, ალაგ-ალაგ ამოშიშნებდა, თან კრიალა კენჭები ამოჭქონდა და მსუბუქ-მსუბუქად ათამაშებდა. მათი მშვიდი მოძრაობის გამო შეგუბებული წყაროს ქალწულის ღიმილივით გადასდიოდა წყნარი ტალღები. გარშემო შემოერიგებინათ ბრტყელ-ბრტყელი ლოდები, რომლის დარანებში მოძვრებოდა ეს კამკამა წყალი და მერე ჩაჩხრიალებდა ხავსმოკიდებულ გიჯაში, ნიადაგ რომ ლიცლიცებდა, ივსებოდა და იცლებოდა.

წყაროს თავზე ვეება მუხა იდგა, ფესვღონიერი, ტანმკვრივი, მკლადაკუნთული, ფოთოლხშირი.

მუხის ძირში ლორთქო ბალახი ხასხასებდა.

როცა ქვევით, დავაკებაზე ისეთი ბუღი ტრიალებდა, რომ მზეზე კვერცხი შეიწვოდა, წყაროს თავზე გრილი ნიავი დაჩურჩულებდა. მიხვიდოდით და „გაბარებდით. საყელოს მოიღებდით. ორივე მუჭით ბარაქიანად შეისხურებდით სტყვასავით ცივ წყალსა, მერე დასალევად დაეხარბებოდით, მასზე დაწაფება ერთ სიცოცხლედ ღირდა, წყურვილს მოგიკლავდათ. გულს გაგიგრილებდათ, გაგამსუბუქებდათ, გაგალაღებდათ, ღიმილით წამოდგებოდით, ხასხასა ბალახზე დაადიჯებდით, მუხის ძირში ჩამოჯდებოდით, სიყვარულით მიმომზირავდით თავად ხატის ტყეს, დაბლა დაცემულ მწვანე ვაკეს და კიდევ უფრო მოგენატრებოდათ სიცოცხლე.

წყაროსთვისაც და მუხისთვისაც თამარ მეფის სახელი დაურქმევიათ.

„თამარის წყარო“.

„მეფის წყარო“.

„თამარ მეფის მუხა“. — ითქმოდა ნიადავ. ითქმოდა სიყვარულითა და პატივისცემით.

მრავალ ლეგენდას გეტყვიან ამ წყაროზე. ერთი მათგანი მოგვითხრობს:

თამარ მეფეს მონატრებია ხატის ტყე.

უნებებია და წაბრძანებულა.

წყალი სანელი დაუნთია წმინდა სამსონის ეკლესიაში, მამულისათვის თავშეწირულთა სახელზე ულოცია.

მხლებლებს გამოსცალკევებია და მარტოკას უნებებია ეკლესიის მიდამოებში სეირნობა.

უმშვენიერესი სანახაობის მზერით და ფრინველთა გალობით დამტკბარა.

უწყაროდ ვერ გაუძლია.

მობრძანებულა, ცინცხალა წყალი შეუსხურებია პირიმზისა სახეზე და გულიც გაუგრილებია.

ღიმილა წყალს ჩაჰკვირვებია, ოქროსყდიანი წიგნი მოსჩენებია. წიგნის სახელიც გამოჰკვეთია, „ეფეხისტყაოსანი“. ყდიდან რუსთაველის სახე ამოლანდვია, მაღლა-მაღლა ამოსტიტიტვებია ხან მღიმარი და ხან მოღრუბლული შოთა. თამარს მისი მზერისთვის ვერ გაუძლია, წამწამები დაუხამხამებია და სწორედ მაშინ ჩაძირვია ის ოქროსყდი-

ანი წიგნიც და იქიდან გამომზირალი რუსთაველიც. ჩასძირვია და მალე მთლად დაჭკარგვია. შეშფოთებით ჩასძინებია, მაგრამ ვეღარა და ვეღარ დაუნანდია. გულდაწყვეტილი წამომდგარა. თვალცრემლიანს მიმოუხედია, მხოლოდ ახლა მოუკრავს თვალი მოყმისათვის, ტარიელის მსგავსად რომ ჩამომჯდარიყო მუხის ძირში და უკიდეგანო სივრცისათვის შეურთავია ფიქრი თუ ოცნება. ის მოყმე შოთა რუსთაველი ყოფილა, ადრევე რომ გამომარტოვებია ამალასაც და დედოფალსაც.

თამარი ფეხაკრეფით მიახლებია. ციდან ჩამოფრენილი ანგელოზივით გამოსცხადებია, ნარნარა ღიმილი გადაუვლია სახეზე და სირინოზის ხმით მიუმართავს:

„ღმერთს ხომ არ ესაუბრებით, ბატონო შოთა!

უამესი ხმა რომ ჩასმენია, მგოსანს მიუტოვებია უსასრულო სამყარო, ისევ მიწაზე დასხეულებულა, ფიცხლად წამოსდგომია ფეხზე, მდაბლად დაუხრია თავი და მოკრძალებით მიუგია:

„დიახ, ღმერთს ველაპარაკები, მზემდე ამაღლებულ ღმერთს!..“

თამარს გამოუცვლია პოეტის პასუხი და გულისთქმას დაჰყოლია.

„ლოცვას ხომ არ აპირებდი იმ ღმერთის წინაშე, მზემდე რომ აგიმაღლებია?!“

„ლოცვაც არ დავაკელი, დიდ ეტრატზე დავეწერე, გულიც ზედ დავაწერე, ისე მივართვი, მაგრამ მაღალმა ღმერთმა არ ისმინა ჩემი ლოცვა-ვედრება!“

თამარს გაპასუხება გასძნელებია, ღრმად ამოუსუნთქია, დაბლა დაუპრეხია ის გრძელი წამწამები, ეგრე გათანგული მდგარა ერთხანს, მერე დინჯი მზერა მიმოუვლია და:

„ვინ იცის, მუზა დაგტრიალებდა თავსა და...“

„დიდი ხანია უმშვენიერესი მუზა დამტრიალებს თავს...“

„და დაგიფრთხე?!“

„არა, იგი აქ არის, მე მას ვუმზერ“ — და ცხელი თვალებით მიუხედავს.

„აქაც ხომ არ გაგალექსვინა გულიდ?!“ — თბილი ღიმილი გადაუვლია სახეზე.

„არც აქ მომასვენა, ვიდრე ერთი ამოსუნთქვა ლექსი არ ამომთქმევინა“.

„იმედი მაქვს, მაგალ მოსმენას მაინც მაღირსებ!“

„თუ თქვენი სიმაღლე ინებებდა, ახლავე ვიტყოდი“.

პატარა ქალის გული ითხოვდა. ახლავე ებრძანებინა დიდ მგოსანს!“

რუსთაველსაც არ დაუფიენებია.

თამარი შეუჭერფოლებია ცხელი გულიდან ამოხეთქილ ლექსს.

იმ შეფარვით ნათქვამშიც ამოუცვნია თავისი თავიც, შეუწვდომელ ღმერთად რომ დაუსახია. იმ ღმერთის შემთზველიც, მუხლმოდრეკილ მლოცველად რომ ჰქცევია, ცრემლში ამოვლებული სინანულიც, საიმქვეყნოდ მაინც ასახდენელი ოცნებაც. ამოუცვნია და სახეზე მიუშეტვია ალი ალი მზერა. ცრემლმოყრილი თვალებში ჩაეინებია, უფრო ღრმად ჩაჰყოლია, იმ სიღრმეშიც ამოლანდვია თავისი სახე, ცრემლი მოსცალებია, ეგრეთვე შეუმაგრებია, გადმოხეთქვია და მგოსნის წინ დაუღვრია. იმ ნაცრემლ ადგილას წყარო ამოფეთქილა, ჯერ ეგრე ურაკრაკია. მერე მიწაში გაუჩინარებულა, ქვეშ-ქვეშ ვალია, სიყვარულის წყარო უპოვია. იმას შერთვია, ერთ წყაროდ ქცეულა და მას მერე ასე ღონივრად სჩქეფს.

მას შემდეგ შეერქმევიათ თამარ-დედოფლის წყარო.

ამის გარდა რითი აღარ შეუმარადიულებენ ერთურთს თამარსა და წყაროს სახელს.

თამარ მეფემ ამ წყაროსთან დიდი კრება ჩაატარაო.

დიდმა თამარმა იმ წყაროსთან ლაშქარი დალოცაო.

მეფეთა მეფემ თურქეთის სულთანს აქ აალოკინა თავის ფეხის მტეკრეიო.

ზოგი ამასაც ამბობს, თითქოს თამარ

გიორგი ხორგუაშვილი
არამაკითხი ჰრიისუფალი

მეფის ოქროს კუბი ამ წყაროს მადამოში უნდა ამალებოდესო.

ეს წყაროც გაღმერთებიათ, წმინდა ადგილად უქცევიათ. მის დასაწყაებლად დაჩოქება ღმერთის წინაშე მუხლის მოდრეკადაც მიუჩნევიათ, წინაპარებისადმი მოწიწების ნიშნადაც. ბევრი მორწმუნე პირჯვრის წერითაც კი დასწაფება.

წყაროს გვერდით რუხი კლდე ჩამობრეცილა, ნიადაგ რომ სისველე ეყენება. პიტალოზე ნაფეხურივით ეტყობა ჩაღრმავებული ადგილი. ადამიანის ფეხის ტერფის ტოლია, სწორედ მისი მსგავსი, თითქოს ვისმეს ტალახში დაუდგამსო ფეხი, მერე გამშრალა, გამხმარა, გაქვავებული და ეგრე დარჩენილაო.

წმინდა გიორგის ნაფეხურიაო, იტყვიან ერთნი.

არა, თამარ მეფის ნატერფალიაო, შეუსწორებენ მეორენი. მეფეთ-მეფეს ციდან ჩამოსმია რეკვა, დაუკრავს შიშველი ფეხი და ზეკაში გაფრენილა ღმერთებთან სალაპარაკოდ.

ვისი ნატერფალიც უნდა იყოს, ისიც წმინდა ადგილად ჩაუთვლიათ, იქაც დაუნთიათ სანთლები და ულოცია. ახლაც ეტყობა ნასანთლარები: ჩაყვითლებულ-ჩაშავებულნი.

ის მუხაც გაღმერთებული ჰყოლიათ, იმის ძირში დაუნთიათ სანთლები და ულოცია, მის ძირში ხატიც ყოფილა დაყუდებული უხსოვარი დროიდან. ახლა კი აღარ ინილვების. ამბობენ, ხატი თანდათან შეუხორცებია მუხას და მერე მთლად გაუჩინარებიაო.

ერთი სიტყვით, თავიდანვე წმინდა ადგილებად მიუჩნევიათ სამსონის ეკლესიაც, თამარის წყაროც, მუხაც. დიუსაც და პატარასაც შეჰყვარებიათ, გულის სალიფებლად და გუნების გასამზიანებლად მარტო ახლოსახლო სოფლებიდან კი არა, მორეთიდანაც მოსულან. თავგამოდებულ მასპინძლებს ამოუყვანიათ სათაყვანებელი სტუმრები, შინაურნიც და უცხონიც.

მობრძანებულან და გაუხარიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა მოიტაცეს?! — გაოცებით შემომაშტერდა ბახვა ბახია

— ვინა, ბიბო?! — მიკვირდა.

— თამარის წყაროო!

— ჰო, მართლა მოიტაცეს... — ხმაჩაქრობით მიეუგე.

— უყურე იმათ! შეცხადებით გაიქნია თავი და უბოდიშოდ გადაუტურთხა.

ბიბები პირდაღებულნი მისჩერებოდნენ.

— თამარ მეფის წყაროო ხომ გაგიგონიათ? — გამომცდელად მიხედა ამფსონებს.

— ჰო, მერე?

— ვიღაც სულელი გამოსჩენია, მოუტაცია და სოფელში წაუყვანია.

— ვაახ!

— მართლა?!

— რას ამბობ?! — ჰკვირობდნენ ბიბები.

— რა ჰქვია, რა გვარისაა ის დარტყმული თავჯდომარე? — ისევე მომიბრუნდა ბახვა.

— დომენტი ღარიბაშვილი.

— ხომ ნაღდი ქართველიაო?!

— რას ამბობ, ვერავინ მოასწრებს საქართველოს სადღეგრძელოს.

— რა განათლება აქვს?

— უმაღლესი, აგრონომია.

— ჰკუა აქვს?

— დიდი. გონიერი კაცის სახელი აქვს გავარდნილი.

— თუ ნამდვილად ასეა, მაგას არ ეზამდა.

— ეგრეა და...

— მერე შენ რას აკეთებდი, ვეღარ ატეხე განგაში?

უნებურად გამეცინა.

— სანამ თონე ცხელია, მოდი, ერთი მაგარი ფელეტონი დაწერე! „ლუბოი“ გაზეთი დაგიბეჭდავს. მე თვითონ მოგიყვები, სადაც გინდა. თუ გული გაგიწევს „ნიანგის“ გზას გაგიმწვანებ. იქაც სულ ჩემი ძმაკაცები სხედან. იმ ერთ ვიგინდარას კი აწყენინებ, სამაგიეროდ მთელი საზოგადოების თვალში ამაღლდები.

— ეხლა გინდა დაწერე და გინდა არა, რაღა ეშველება!

— როგორ თუ რაღა ეშველება... ამ შენ „ქებულ“ თავმჯდომარეს სულ ცხვირით გადაათხრევინებენ იქაურობას, წყაროს ძარღვს აპოვნინებენ და თავისივე ხელით ამოაშვებინებენ ქვეყ ადგილას.

მე მაინც უკან მედგა ფეხი.

ბოლოს შემპირდა, უსათუოდ ამოვალო, ჩემი თვალით ვნახავო.

არც ამჯერად გადასულა პირსა.

სამოიოდე დღის მერე კარს მომადგა თანმხლები მელექსეებით. ერთს ჭიჭიკო ერქვა, მეორეს აჩიკო. შინ კი შემოვიდნენ ერთი ფეზით. ბახვამ მაშინაც ვაძახარა ოჯახი, სათითაოდ გადამიკოცნა შვილებიც, ცოლიც, „ჩემო რძალოს“ რომ ეძახდა, გულთბილად მიმოიკითხა. ბიჭებს წაეთამაშა-წაეხუმრა კიდეც. სიამაყით გაიკნო თანმხლები ჩემიანები. ოჯახის წევრივით შინაურობდა, მაგრამ დარჩენაზე ხელები გაატატანა, ჯერ საქმე და მერე სასმისი. საღამოზე უსათუოდ შემოგვლითო. მაჩქარებდნენ. დავფაცურდი. რაც შინ მომიხერხდა იქვე ჩავალგე, ზოგ რამეზე რესტორანში გამიმართეს ხელი და ჩვენი სამყოფი დასალოცავ-შესატანებელით გავუდექით ხატის ტყის გზას.

თავისი თვალით ნახა „სატკივარი“ (ბახიას გამოთქმაა) და გული შეუღონდა.

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები!— ორივე ხელი გამეტეპით შემოორტყა თავში ელნადაცემი ჭირისუფალივით და ცხარე ცრემლები დაადენთა დამშრალ ადგილას, სადაც უწინ ცივი წყაარო ჩქეფდა.

თანმხლები მელექსეებიც დამწუხრებულნი სდუმდნენ.

ის ბარაქიანი და ცივ-ცივი წყაარო პირწმინდად დაკარგულიყო, ცრემლივითა სწვეთავდა მუხის ფესვების ძირში, ის გაუაქუაქებული ქვიშრობი მზეს დაეშაშრა და ობი მოჰკიდებოდა, ის ლიცლიცა ბეჭაც მთლად დაშრეტილიყო, დაფშალულიყო და შმორის სუნი ავარდნოდა.

აღმა შეაყოლეს მზერა.

— საწყალი მუხა როგორ დაუობლებია! — მრავლისმეტყველად დაარხია თავი ბახვა ბახიამ.

თანმხლებნი თანაგრძნობით მისჩერებოდნენ.

— ნწუ, ნწუ, ნწუ! დახედეთ, კარგად დახედეთ თავხედობის და გულბილწობის ნაყოფს. ჭკუთმყოფელი კაცი ამას იზამდა?! თავს როგორღა ყოფს გარეთ! სირცხვილით როგორღა დადის ამ წმინდა მიწაზე! — ხელების გაფარჩხვითა და სავსავით ამბობდა გულმოსული ბახვა.

— პირიქით, უფრო თამამად დაადაბიჯებს დედამიწაზე, სიკეთით დამძიმებულ და მადლმსილ კაცს რომ შეშვენის...

— გასკდი დედამიწავ და თან ჩამბალე, რომ აღარ ვიხილო უგუნურობის ნაყოფი! — ინატრა ბახვამ.

— ეეჰ! — ამოიოხრა ჭიჭიკომ.

— ვაი, ვაი! — შეუბანა აჩიკომ.

— ჩამოიქეცი, ცაო, ჩამოიქეცი, უსამართლობა და ბოროტება დაუსჯელად პარპაშობს ამ ცოდვილიან ქვეყანაზე!.. — ახლა მაღლა აღაპყრო ხელები ბახიამ.

მელექსეებს ბურთები გაჩიოდათ ყელში.

— კი, მაგრამ როგორ მოხდა ყოველივე ეს? — ძარღვები დაებერა ბახვას.

— არ ვიცი-მეთქი.

ბახვა ბახია სახეშეშლილი მომჩერებოდა.

— აი ამ ჭანჭრობის შეიმაც, — ხელიც გავუშვირე. — პატარა ფლატის ძირში, ამოჩქეფდა წყაარო, ასეთივე ცივი, მაგრამ პატარა. იქ გაუკეთებიათ ღრმა საწრეტი, მსხვილი მილები ჩაუყრიათ და სოფლისაკენ უქმნიათ პირი,

გიორგი ხოროგუაშვილი
ალაბაქიოსი ბერიასუფალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურეტში წყალს უმძლავრია. თურმე, ნუ იტყვი, თამარ მეფის წყაროს ძარღვი გაუჭრიათო, უთქრიალია და იქ ამოფეთქილა, იმ ღრმულ საწრეტში. აქ კი, ხომ ხედავთ...

— მერე არ იცოდნენ, რომ ეს შედეგი მოჰყვებოდა?

— თქმა მიჭირს. დომენტი ღარიბაშვილი შეცხადებით იჩენს მხრებსა, მე ხომ არ დამესიზმრებოდაო. მელიორატორსაც აგრე ადასტურებენებს.

— მერე უჯერებ შენცა?

— ყველას აჯერებს და ჩვენც უნდა დავიჯეროთ.

— ხალხი რას ამბობს, ხალხი?

— ხალხს ვინ რასა ჰკითხავს! — უცებ წამოიძახა ჭიჭიკომ.

აჩიკომ შეუბღვირა.

— აქა-იქა ჩურჩულებენ, თითქოს განზრახ ჩაედინოს სოფლის თავაკაცს.

— ნაღდად აგრეა! — შეჰყვირა ბახიამ.

— ღმერთო, შეგვცოდე და იმასაც ამბობენ, თითქო ამ მუხასაც დაუკრაჭუნა კბილები და წმინდა სამსონის ეკლესიასაც ქადილით შებღვერაო.

— ეგეც ასპროცენტიანი სინამდვილე იქნება! — ყველას დასწრო ბახვამ.

— სიკვდილმა შვილი მომიკლა და მჯერა იმისგანაო. — კვერი დაუკრა აჩიკომ.

— რომელმა ხატმა გადარია?! — იკითხა ჭიჭიკომ.

— თვითონ იმან, წმინდა სამსონის ხატმა! — მივუგე.

სამივე მელექსე გოიცებით მომშტერებოდა.

— ის ოხერი ხატის ტყე გვლუპავსო, სიმთვრალეში წამოსცდენია დომენტი ღარიბაშვილს, დღე არ გავა, რომ არ დამირეკონ, სპპატიო სტუმრები მოდიან და, აბა შენ იციო. სტუმრები არა და არ ილევიან, გასასტუმრებელი კი... ზოვა კოვზით დაილიაო, რომ აღარც თამარის წყარო იქნება, აღარც ის მუხა, აღარც ის ეკლესია, მთელი ხატის ტყე რომ გავერანდება, მერე ვიღას გამომიგზავნანო...

— მართლა ეგრე უთქვამს, კაცო? — აკი გითხართო, აქა-იქა ჩურჩულებენ-მეთქი.

— კვამლი უცეცხლოდ არ იქნება!

— უყურე, ერთი, მაგას, რა ვირეშმაკა ყოფილა!

— უკუღმართ კაცს რაღა არ მოუვა თავში! — გულზე ცეცხლს იკიდებდნენ თვალანთებული მელექსენი.

— არა მგონია, მაგდენი გაებედოს!

— მათ დასამშვიდებლად უფრო ვთქვი.

— რაც გაბედა, ეგეც დიდი ლაქაა ჩვენი ერისთვის! — თქვა ჭიჭიკომ.

— წარუხოცელი ლაქა, წარუხოცელი! — მიუსაფანელა აჩიკომ.

— ამას არ ვაპატიებ არავითარ შემთხვევაში ის თქვენს თემურლენგა თავმჯდომარეს! — იქადნიდა ბახვა ბახია.

— არამც და არამც! — უბანებდნენ ჭიჭიკო და აჩიკო.

გული მოიოხეს წყაროს მომტაცებლის ლანძღვა-გინებით.

მზესაც გადაეთვალებინა.

— არ მოგშივდათ, ხალხო? — თავს წამოგვადგა ზოფერი ფარუზა, რომელიც ჩვენი იქ ბორიალის ბოლოს ცოტა მოშორებით წამოწოლილიყო და გვარიანად გამოეძინა.

სტუმრებმა ერთმანეთს შეხედეს.

— მოვიტანო? — მომხედა ფირუზამ.

თავი დავუქნიე.

მუხის ძირში გავაშლეთ პატარა სუფრა, შემოვუმწკრივდით და მადიანად შევექეცით.

თამადად ბახვა ბახია ვაკურთხეთ.

დიდი ხეფწა-მუდარა არ დასჭირებია.

— ეჰ, დიდი მადლობელი ვარ, მეგობრებო, მაგრამ მეც არ ვიცი, რითი დავიწყო! — თავს აქნევდა სახედაღრუბლული თამადა.

— ამ წყაროს შესანდობარისა თქვი! — ნაღვლიანად იხუმრა აჩიკომ.

— ეგ პოეტური თქმაა, მაგრამ არ გამაგონოთ! დიახ. წყაროს სადღერგძელო იყოს, მაგრამ შენდობითა და საოდამობით კი არა, პირიქით, თამარ მეფის წყაროს გაუმარჯოს, როგორც ცოცხალს,

უკვდავს და მარადიულს! — მერე და მერე უფრო დააეშვა სადღეგრძელო, სულმოუთქმელად გადაყლურტუა, — ესე დაიცალოს დომენტი ჭაუაღარიბაშვილის (ასე გადააკეთა თავმჯდომარის გვარი) თავიც, ჯანიც, სიცოცხლეც, ოჯახიც! — და ერთხელ კიდევ დაიცალა ამოპირქვავებული ჭიქა.

— ამინ! — შეეუბანეთ და ჩვენც დავიქნიეთ დაცლილი სასმისები.

ყველა ჭიქის დაცლის მერე ეგრე იწყეველბოდა თამადა და ჩვენც უკლებლივ გვამეორებინებდა.

დასაწყისში ნაღვლიანი იერი დაჰკრავდა ჩვენს „პატარა პურისჭამას". თითქოს ჭირის სუფრას ვუსხედით. ეგრე ჩამოგვეშვა ცხვირები. მაგრამ მერე და მერე, უდარდელი ბახუსი რომ თანდადან შემოგვიძმაკაცდა, გულებში სისარული შემოგვაპარა, მოგვეძმაკვრა, თვალები გაგვიცისკროვნა, შუბლები გაგვითენა, ენა აგვიჩიჩქიკა.

სტუმრები უფრო ლაღობდნენ, სიყვარულით უდნებოდათ გული, ერთურთს არ აცდიდნენ ხალისიან ლაპარაკს. შიგადაშიგ ლექსებიც შემოურიეს, ჯერ სხვათა მარგალიტები გამოაბრწყინეს, მერე საკუთარი მონაგარით იცხრობდნენ გულისა თუ ენის ქავილს. უფრო და უფრო მოეძალათ შაირის ენი, გამართეს ლექსის ჯირითი და დოღის ცხენებივით იოფლებდნენ.

სიმღერაც კარგი სცოდნიათ, იმითაც დაიშაქრეს ყელი. ი

ლში რომ უყვარდა, სულ სხვა ეშხითა და სილამაზით ჩამოატარა.

— ლექსის.

— მამულის.

— და მართალი კაცის სადღეგრძელოები.

ეს სამი მცნება, სამია, სამება არის ჩემი ცხოვრების დედაზრიო, უმშვენიერესი, უუკვდავესი, და უძლეველი სამიაო, ერთხელ კიდევ აგვიხადა გულის სარქველი, წარბები შეიკამარაცა, თვალები მოიყუჟუნა და დაბალი, თბილი ხმით წამოიწყო: „სამაია სამთაგანა“. ჩვენც აგვიყოლია და ეგრე ნარნარად გვალივლივებინა გული.

ეს სამაია, სამთაგანა, სამი სახარება თუ სამება გვირვანად დაადგა ჩვენს სუფრასაც, სულსაც და გულსაც.

ყველაფერს თამარ მეფის წყაროთი იწყებდა და ამთავრებდა.

ყამი-ყამად გამოგვეთიშებოდა ხოლმე და სულ სხვა სამყაროში დაპქროდა.

მოფლოდნელად მიგვატოვა, მაღლა აიბრუნა სახე. ყანყარატო აიჭიმა, თვალები მოიბლიტა, ჯერ გაინაბა, მერე მლოცავივით აიცმაცუნა ტუჩები, მეორდზე დაიდო გაფარჩხული ხელი და შეწუხებულივით ამოითქვა უღონოდ:

„წყაროო!“

ჩვენ გავინაბეთ.

ფირუზა კი შეფიქრიანდა და გაგვიწყრა:

— რაღას მისჩერებიხართ, ვერა ხედავთ, კაცს გული უფრედება და წყალსა თხოულობს?! — და წამოიწია.

— სსს! — პირზე ხელი დაუფარა აჩიკომ.

— ბახვამ სამღერავით გადმოხედა მოვიწყრილებული თვალებით და კვლავ ყრუ განცდით ამოთქვა: „წყაროო!“ მერე ნაციებივით შეიყოყინა და დაბალი, მთრთოლვარე ხმით დაიწყო:

„წყაროო, წყაროო, ჩემი წყაროო,
სილამაზის წამალ-წყაროო,
სიყვარულის ცრემლო, ღვარო,
სულდამტკბარო, გულგამხარო,
ულეველო, მშფოთო, ცხარო,
მარგალიტო, ალმას-თვალო,
თამარ მეფის ნატუჩარო,
რუსთაველის თვალს ცვარო,
სულის რითმაგ, გულის ბწკარო!
შენი სიხარულით ვხარობ,
შენი ცრემლი მეცა მცვივა..
წყაროო, სიყვარულის წყაროო,
ეგ ტკივილი მეცა მტკივა!
შენი კვნესაი მეცა ვვნესენ,
შენი ძახვა მეც შემაძახვენ.
გულზე მომდეს მეც ანკვენი,
როს ღიმილი დაგიმარხეს...
თემურ-ლენგმა ვერ აგიღო,
თარეშობდა რა ამ არეს,
შაჰ-აბასმა ვერა გიყო
და ისევ ჩვენ ვასამრთლებთ!..
მიკვირს, მეტი რად არ ხდება,
მტერთან რად ვართ ბარი-ბარში...
როცა ჭკუა ეკითხება
მართლაც ჭკუღარიბაშვილს.
ეჰ, სათქმელი ბევრი რამ მაქვს,
მაგრამ წყლით მაქვს სავსე პირი,
სატკივარი გულით დამაქვს;
და უცრემლოდ შენზე ეტირი.
„მეტად მწარედ გული მტკივა,
მოყრილოლებს და ტანში მზარავს.
ჩემი ცოდვა მისცემია
შენს ამოშრეულს, ამომაზარავს!“

დიახ, დაბლა თითქმის ჩურჩულით დაიწყო. თანდათან აუწია და ბოლოს ისე დაიგრგვინა, თითქოს ცა ჩამოქცევას აპირებსო.

დაამთავრა და გულზე მოეშვა. შვებით ამოისუნთქა დაღლილ-დაქანცულმა.

ტაშის ტყლაშუნით დავაჯილდოვეთ.

— გენიალურია!

— გადასარევია! — ხელების შეთამაშებით ამბობდნენ თანამგოსნები.

— ეგეც შენი გამოგონილია?! — ჰკვირობდა ფირუზა, — მალადეც, ძმაო!

თამადამ ქეიფი გაგვიგრძელა.

კვლავ მიგვატოვებდა ხოლმე უპატრონოდ.

ანაზდად გადაიხლართა მკლავები, მკერდს ქვემოდან მოიბჯინა, ცას მიაჩერდა და თავისებურად აიცმაცუნა ტუჩები.

— ლექსით გაგვახარებს! — წამომჩურჩულა ფირუზამ.

სამივემ ერთბაშად შევუბდვირეთ და შოფერიც გაისუსა.

ბახვა ბახიამ კი ჩვენი გუმანის საწინააღმდეგოდ წამოიძახა:

ფელეტონის სიუჟეტი უკვე მზადა მაქვს, მეგობრებო! — და აღტაცებით მოგვიყვა.

— ჯერ დაუწერელი ფელეტონი იმით იწყებოდა, ვითომ ყრმობისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე — დომენტი ღარიბაშვილი თამარ მეფის ანრდილს ენამაღვებოდა მისი სახელობის წყაროს ერთი დაწფეებით დაშრობის თაობაზე.

სათაურადაც მრავალი ვარიანტი შეერჩია: „სანამლეო“, „უთავო თავმჯდომარე“, „ღარიბაშვილის ჭკუის სიღარიბე“, „მტერზე უარესი მოყვარე“, „საშიში ჯადოსანი“.

— რომელი აჯობებს, ბიჭებო! — სათითაოდ შემოკვეხედა.

— ყველა კარგია.

ბახვამ ქმაყოფილებით ჩაახველა.

— ლექსად აპირებთ თუ პროზად?— შეეკითხა ბიჭიკო.

— ორივენაირად დავწერ, რომელიც აჯობებს, იმას დაბეჭდავ, ან შეიძლება, ორივე გამოვაქვეყნო.

— ლექსად აჯობებს. ლექსად.

— მეც ეგრე ფიქრობ. ისეთი ლექსი უნდა აეწყოს, რომ ქვეყანამ დაიზეპიროს.

—სიმღერასაც შეჰქმნიან! — წაამეცალა აჩიკომ.

— ეგ ისეთი თემაა, ხალხი უმალვე აიტაცებს.

— შენ კი გენაცვალე, — წამოხტა ფირუზა, — ოღონდ იმ თავმჯდომარის ჯავრი ამომყარე და ერთ კაი მაღარიჩსაც ვკისრულობ! ჰოი, მაგან რომ ნიშადური ამომისვა... —ჭყერდზე ხელს იბაგუნებდა.

წამოვიშალენით, ბარბაცით გავემართეთ მანქანისაკენ.

წინ ბახვა ბახია გამოიჭიმა და დავიძარით. სიმღერ-სიმღერით მივქროდით სოფლისაკენ.

— საით? — იკითხა ზოფერმა, გზაგასაყარს რომ მივდექით.

— ყრმობისისაკენ! — ბრძანა ბახვამ, მანქანა იქით დაიგეზა.

— ერთი ვნახოთ, რა სიფათის კაცია. ის ჭკუაღარიბაშვილი! — თავს აქნევდა ბახვა.

ბედად სოფელში არ დაგვხვდა თავმჯდომარე, თათბირზე ყოფილიყო წასული.

— სულ ერთია, მერე მაინც ამოვალ! — იპირებდა ბახვა ბახია.

თანმხლეს მელექსეებთან ერთად თბილისისაკენ ჰქნა პირი და თან გაიყოლა ბოლმა და ქადილი.

●

ათიოდე დღის შემდეგ კვლავ თბილისში შევხვდი ბახვა ბახიას. ჩვეული ღიმილით მოშესალმა და:

— უშენოდ ვიყავი შენს სამფლობელოში.

— ჰოო? — გამიკვირდა.

— კი, მივლინებით!..

— კეთილ!..

— შენს შეწუხებას მოვერიდე და პირდაპირ ყრმობისში წავედი.

— ნახე თავმჯდომარე?

— ვნახე. — შემომციცინა.

თავი დავარხიე.

— კაი კაცი ყოფილა, ძმაო!

— ჰმ! დასაცინი?!

— დასაცინი რა აქვს, ნეტავი, ბევრი გვყავდეს მაგნაირი ქართველი! ვერ გამომეცნო ბახვას ნათქვამი.

— მე ძალიან ქმაყოფილი ვარ მისი გაცნობით... აი, რა არის საქმეში ჩაუხედაობა, შენი თქმით, ქვეყნის დამაქცეველი და ერის მოღალატე მეგონა. სინამდვილეში კი სოფლის აშენებელი და დიდად მოწყალმართე გამოდგა. არ უნდა აჩქარდეს კაცი და ნაადრევი დასკვნა არ უნდა გამოიტანოს... რას ერჩი, ძმაო, ხალხისათვის მზრუნავს კაცი. ის წყარო, თამარ მეფისა იყო თუ შოთა რუსთაველისა, მართლა თვითონ ხომ არ დაუხვრეპია, სოფელს გამოუყვანა...

გაოცებული შევცქეროდი.

გიორგი ხორავაშვილი
აბაშიძეთა მიჯაჭვული

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაა, შენ წინააღმდეგი ხარ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვისა?! — საეჭვოდ შემომხედა.

— ჰმ!

— არ გაეყვანა წყალი, არ იყო საჭიროო?

— ან აქამდე რაღას უცდიდა, ყველა კრებაზე მაგასა ჩიოდნენ, სასმელ წყალი არა გვექვსო, მაგრამ რაღა ამ წყაროს ეძგერა, ცოტაა ამ ხეობაში? მაგაზე ცივი და უხვი წყაროები გამოსდის იმ ვეება მთას.

— იმან ეგ ამჯობინა, კაცია და გუნებაო.

— მეც ეგ კაცობი და გუნებობა მანაღვლებს...

— გამარჯვებულებს არ ასამართლებენ.

— ფელტონი, ალბათ, დაწერე და დახე კიდეც.

— ფელტონი კი არა, პირიქით, ერთი კარგი ნარკვევი მინდა დავწერო.

— ჭკუაღარიბაშვილზე?

— ჭკუაღარიბაშვილი კი არა, ჭკუამდიდრიშვილად უნდა გადავუკეთოთ გვარი.

გამეცინა.

ადვილად მივუხვდი, რამაც გადაუტრიალა ჭკუა ბახვა ბახიას. მისნაირიც ბევრი უთამაშნია თავის დაკრულზე დომენტი ღარიბაშვილს და მასზე დიდი, მძიმე და ბრძნობას დაჩემებული ადამიანებიც...

●

ჩემს სიავკაცეს ვიტყვი, იმ დღიდანვე ამოვირეცხე გულიდან ბახვა ბახიას სიყვარული. სულ იმას ვნატრობდი, ჩემს თვალებს აღარ დაენახა, მაგრამ ვერიდებოდი ღოლოსა, დამიხვდა სოფლის ბოლოსაო. ერთი თვის მერე შემომეყარა წინ და სალმის მაგიერ ამ შემეკითხა:

— მართლა მოხსნეს დომენტი ღარიბაშვილი?!

თავი დავუქნიე.

— ნწუ, ნწუ, ნწუ!

— გენანება?!

— თავმჯდომარე კი არა, კაცო, ჩემი ნარკვევი მენანება. განა ცოტა ხანს ვეწვალე, მთელი თვეა მაგის მეტი არა გამიკეთებია რა, იცი, რა ოფლი ვიწურე?! მინდოდა კარგი გამოსულიყო. თანაც იცოდა, რომ ვწერდი, ხან თვითონ ჩამოდიოდა, ხან სხვებს მიგზავნიდა, ახალ-ახალი მასალა ჩამოჰქონდათ... მართლა ხოშიანი რამე გამოვიდა. კარგი ნოველასავით აკეთხება. ნუთუ წყალში უნდა გადამეყაროს ამდენი შრომა?!

— თავმჯდომარე თუ მოხსნეს, სოფელი ხომ იქ არის?!

— სოფელი სად გაიქცეოდა, მაგრამ ხალხზე გაკვრითა მაქვს ნათქვამი, მთელი იმნელა ნარკვევი სულ დომენტი ღარიბაშვილზეა. ის არის მთავარი და თითქმის ერთადერთი გმირი... თავმჯდომარის პრიზშიდან არის დანახული ახალი სოფელი. ახალი ცხოვრება... რა მეშველება, ჰა?!

— ის მოხსნეს, მაგრამ უთავმჯდომარედ ხომ არ იქნება იმნელი კოლექტივი.

— ჰო, მერე?! — თვალები გაიფართოვა.

— ჰოდა, გვარი და სახელი გამოცვალე! — თან გამეცინა.

— უჰ, ეგ რა კარგი მითხარი! — აღტაცებით წამოიძახა. ახალი თავმჯდომარის გვარი და სახელი მკითხა და სიხარულით ჩაწერა უბის წიგნაკში. — წავიდეთ, თითო ლუდი დაგველიან!

— არა! მეჩქარება, დიდი მადლობა! — ვუთხარი და ჩქარ-ჩქარა გამოვემშვიდობე.

ირაკლი ციბროშვილი
ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბინდული სათიბი

მამის ხსოვნას

სადღაა შუქის სამოსახლო.
სამოსი წამის
გაძარცულია.
დაცრემლილი სათიბი ღამით
გადაიარე გათიბული დროის ცელითა.
ნისლის ცომცომი
წაიყოლე იმ ველებიდან.
ქარი ტიალი
და ბალახი ბიბინებს ბორცვზე.
მიინაწილე
ახოებთან ფშვინვა მამულის —
იმ ახოებთან
ცაგახსნილი ფიქრით მიმელი...
ჟამს წაუშლია სახნავები,
შორს მოქუფრული
მოდის ეული საფლავისკენ ყინვის უფსკრული.
აკა — ზმანება:
გადადიხარ ბილიკზე წალდით
ქვესკნელის მხრებზე დუმილია
და ბინდი ბარდნის.
დაქუფრულია სათიბები.
ნუგეშს ცხონების
ინახავ ალბათ... მარადიულ ბნელს ეოძები.

●

ამ გაზაფხულმაც ისევ თავისი
მზის და სიცოცხლის დაიწყო ძებნა
და მთა და ბარის ხმა უკმარისი
გაინაწილეს თოვლ-წყალთა გზებმა...
ამ გაზაფხულმაც — გულმა ნაკლულმა
მიმცა პატარა შუქს და ნუგეშინს
და დედამიწის ნამი მაპკურა
აფართხალებულს მთების უბეში...
ამ გაზაფხულსაც იქით და აქეთ
მე ჩვეულებრივ გაზაფხულს ვარქმევ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის მომნახავს
ღვთაების თვალი
ის სასწაული მოვა ,როდისღა!..

ველზე ვარ უკვე...
ჟამი იჩქარის
და მიწიერი გიხმობ ოღითგან.

როდის ვიხილავ
ფერმიმკრთალ ჭერქვეშ
შუქს. სად იცინის დღეთა ბისანი!

შორს ჩურჩულებენ
ციური სხივნი.
შორით მოდიან ნისლნი ცისანი.

კართანის კლდესთან ნათქვამი

მიჩრდილულია კართანის
თვალშეუვლები ფრიალო...
მერდინო მრისხანებისა,
ნისლო, შე ოხერ-ტიალო.
ავდარს პირდები სიმწვანეს,
ავდარს პირდები წყაროთა,

ავდარს პირდები ყოილთა
გულლადთა... სამწუხაროთა
ლაღობ.. არცარას ღონდებ.
ჟამის ლოცვითა, წყევლითა.
და მთის კერაზე მღერიხარ.
ფრიალოებით შენითა.

ძველი ჩანახატი

ვიღაც გამღელმა ჩიტი მოკლა,
დადუმდა ველი,
ფრთოსნის თვალთაგან
გადმოცვივდა წამები ბნელი.

მიწყდა სამსრობა,
მამაჩემი ყანასა მკიდა,
სოფლის ბავშვები
ვკრეფდით თავთავებს.
უცებ იძალა სიბრალულმა,
იძალა ბინდმა
და ჭრელი ჩიტი
ყანის პირას დავასაფლავეთ.

ნასოფლარი

ამ ნანგრევების დუმილში
მეფარებულა ღამის ალქაჯი.
ძუადღის რტოებს
მოწყენილი ნისლი ჰკიდია,
სძინავს ქვეყანას.

თავისი გზით ჩქარობენ ჩრდილნი.
დიდიხანია
ვსახლობ ამ ქვებთან
და მივაბიჯებ
მკედარი სოფლის ბნელ კუნჭულებზე

ხვთისო წიკლაური
ეროვნული ბიბლიოთეკა

მთების, გაზაფხულის გახსენება

იქ საზეიმო სამოსით
ტყემლებს მაისი რთავდა,
მათი ქათქათა ყვავილის
ნათელი ადგა მთათა.
ტიროდნენ თოვლის ზვავები
იმ დამარცხებულ ზამთარს,
იმეორებდნენ სევები,
რაც დასცდებოდა წყალთა.
კოცნიდნენ ჯიხვთა ჯოგები
მთების მადლიან კალთას.
ღრეობა...
იყო წკრიალი
დიდი ფანდურის ლართა,
ვმღეროდით, ერთად ვმღეროდით
შაირს მერცხალის ნათქვამს...
ჭრელი და ჭრელი ქეღები,
ჭრელი ქათიბი ქალთა.
ქვეყანა იმედიანი
და მიმზიდველი ჩანდა.
ხან დარში მივბიჯებდით,
ხან მივარღვევდით ავდარს...
რაც იყო, ისე წავიდა
ლამაზ ზმანებას გავდა.

მდინარე ლემხი

მდინარე ლემხი მთათუშეთის
ჭიუხებში მოედინება,
იგი ტიბულის ზვიადი
მყინვარებიდან იღებს სათავეს

საუბრობს ბაცბურ ენაზე ლემხი
და მთების პირმშოს მოუღლელ ხმაში
მე ცხადად ვისმენ ქარაფზე შეხლილ
ფოლადის ზრიალს — ამაყს და საშიშს.
მისი კლდოვანი გზები, დამრეცი,
ელავს ბრძოლით და ბასრი დანებით
და გამუდმებით ისმის:
„დაველეწოთ!“
„მოვსრავთ!“
„ავჩეხოთ!“
„დროა დამნებდი“!..

ვებღაუჭებით დღემს ქურდივით, —
როდემდი შესძლონ ჩვენმა მაჯებმა,
გულს აჯაფოებს ბრძოლა მუდმივი, —
ტორტმანი,
მარცხი და გამარჯვება.
მაგრამ ცხოვრება მთელი ავ-კარგით
მიაქრის
და მხედრებს ცელიან მხედრები,
ხვალ სხვებს ეკუთვნის, დღეს რაც
დავკარგეთ
განშორებებით და შეხვედრებით.
ხოლო ამ ქვეყნად ლემხი, ალმასი,
ბრწყინავს,
კისკასობს ბუნების ნებით.
მარადისობის ამ სილამაზეს
მუდმივ დარაჯად უდგანან მთები.

თოვლი

თოვს, —
თავის სიტყვას ამბობს ზამთარი,
თეთრი დუმილით ივსება ყოველი.
ათასნაირი გზებით ნატარი
მიწაზე წვება დაღლილი თოვლი.
თოვს
და წკრიალებს სიცივის სიმი,
მომართულია ციური ჩანგი;
თოვს
და ზამთარი მაისის წვიმის
სიმდერას თოვლის ენაზე თარგმნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ბაზაძე

პატარა თოჯინას გალადა

ორივე პეშვი წყლითა მაქვს სავსე,
ერთ წყურვილს ჰყოფნის ორიოდ პეშვი
და წყვილი ცრემლიც, მომწყდარი თვალზე,
ხსოვნას სინათლეს გაურეკს ფერში.

ხსოვნას სჭირდება ნათელი ცრემლი,
დათხეულ სისხლსაც სჭირდება ცრემლი,
განშორებასაც სჭირდება ცრემლი,
ისე ვით ყანას სჭირდება წვიმა.

ისე ვით მშობელს სჭირდება შვილი,
ისე ვით ჰაერს სჭირდება სივრცე,
ისე ვით ბაგეს სჭირდება კოცნა,
ისე ვით სიკვდილს ვჭირდებით ყველა.

ისე — ვით ჩემს წინ დასკუპულს მუხლით
უნდა თოჯინას ცრემლი და შვილი,
უნდა სიმღერა, უნდა წუხილი
და საკუთარი პატარა ჩრდილი.

უნდა თოჯინას ტირილი უნდა
და ხმამაღალი სიცილი უნდა,
უნდა თოჯინას ტკიოდეს გულთან
ან თვითონ გულში ტკიოდეს უნდა.

ბელა ახმადულინას

რამდენი რამე უნდა თოჯინას,
ახალი კაბა და მანტო ნატის,
თვალები მისი სავსეა ნატვრით,
ღიმილი მისი სავსეა დარდით.

მზეა: მარაო უნდა თოჯინას,
წვიმაა: ქოლგა და თბილი ბოტი,
ყვავილის სუნი. მზეში მოჭრილი
დამძიმებული ალუბლის ტოტი.

უნდა მაისის ნაზბეწვა თქორით,
ფართოდ გააღოს ლურჯი გუგებით
ცხოვრობს თოჯინა, ცხოვრობს და
ცხოვრობს
სურვილით, ნატვრით და შეგუებით.

უნდა თოჯინას ჰქონდეს წარსული
და საკუთარი ტვირთვით ცოდვაც
და ბალახებში ქალური ბოდვით
იწვეს ზაფხულის მზით დაკაწრული.

უნდა თოჯინას — იფიქროს ფიქრით.
მაღლა ასვლა და დაშვებაც დაბლა
უნდა თოჯინას... მე ვხუმრობ აღბათ, —
ეს მე მსურს თორემ... მოითმენს იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკორთა

პაპის პაპათა გენიის ქებად
და ძეგლად დროთა დიდთა დიდგორთა,
დიდი ჭიდილის, ვნებათა გზნებად
ცად გაფრენილა ძეგლი—იკორთა...

ჰოი, სამშობლოვ,
შენს წმინდა მიწას
ვინ არ ჯიჯგნიდა,
ვინ არ იყოფდა...
ცერზე დგებოდა მაღალი ფიცი, —
იქ — ბახტრიონი!
აქეთ — იკორთა!..

და იდგნენ ასე — მამულის ფარად,
მოვარდნილ წარღვნის გადამკეტარად,
ბევრი იკორთა, ბევრი საფარა,
ბევრი ხერთვისი, ბევრი კვეტარა!

... ამდენ ლელმაში, ამდენ დელგმაში,
ისრის ზუზუნში,
ცეცხლში,
ღადარში, —
რვაას წელს — რვაჯერ ათას ნგრევაში
როგორ გასძელი, როგორ გადარჩი?
... ხედავ ახდენას ძველთა ზღაპართა
და გიხარია, ციხვე ბებერო, —
მოვედით, რათა მამა-პაპათა
ვთქვათ ნახელავის სამადლობელო...
ნატრულო, რაიც არასდროს გქონდა,
შენ სხვა ვერავინ გებატონება! —
ცად გაფრენილო ძეგლო იკორთავ, —
დღეს ჩვენი ხელი გებატონება.

პალოვებზე დაბმული თვითმფრინავები

მოთხრობა

დიდმა სამამულო ომმა ჯარის ნაწილში მომისწრო. უფრო ადრე სხვა ადგილას მომისწრებდა, რომ სამხედრო ნაწილს საავიაციო სასწავლებელში არ გამოვეგზავნე დასავლეთ უკრაინიდან... პირველ ორ თვეს ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მერე კი, მეცადინეობა ძალზე ვვიმძიმდა, რადგან ისე დღე არ გავიდოდა, ფაშისტებს ერთი-ორჯერ მაინც არ დაებომბათ ჩვენი სამოსწავლო ტერიტორია.

ერთხელაც ავიკარით გუდანაბადი და შვად დღეში შვიდმა ეშელონმა შუა აზიის სტეპებისკენ აიღო გეზი. მე ეშელონის ბოლო ვაგონში მოვხვდი და ბომბარდირების უკანასკნელი საშინელებაც სწორედ მე ვიგემე გამგზავრების წინ. ბომბი უკანა ტამბურს დაეცა და ცეცხლის ჭანგებში მომწყვდეული ვაგონი ასანთის კოლოფივით აიტაცა ჰაერში... კიდევ კარგი, შიგ სკამების, კარადებისა და სანოვაგის გარდა სხვა არა იყო რა... ალბათ მეტყვით, თქვენც ხომ იმ ვაგონში იყავითო... დიახ, ვიყავი, მხოლოდ ვაგონის ღია დარაბული კარებში ვიდექი და... მეტი აღარაფერი მახსოვს...

გონზე, მორიგ სადგურს რომ ვუახლოვდებოდით, მაშინ მოვედი... ბიჭები ხარხარებდნენ: გაუმარჯოს მზიურ საქართველოს პრიმუსს, ეს რა კარგი აკრობატობა სცოდნიაო... ჰაერის ტალღას მართლაც აკრობატივით ვეტრიალებინე ორმოციოდე მეტრის მანძილზე... მაგისი აკრობატობა მაშინ გენახათ, — ჩაერთო საუბარში პირველი რანგის ინჟინერ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლისტმანი, — ის დარაბული კარები დაჭეტოდაო... ლისტმანის სიტყვა მესამე რანგის ინჟინერ-მაიორმა იაკოვჩენკომ დაგვირგვინა: დაჭეტოდ და, ბურვაკივით შეიწყვებოდაო კიდეც... იაკოვჩენკოს ნათქვამი სულაც არ მწყენია და ბიჭების აღვირაფყვეტილ ხარხარს ჩემი დაზამთრებული ხმაც შეუერთდა...

განსაცდელი დიდსა და პატარას ერთნაირად აშინაურებს ერთმანეთთან სამხედრო სამსახურში. ჩვენც ნამდვილად ასე ვგრძნობდით თავს, მით უმეტეს, ომის პერიოდში... და, როცა მესამე რანგის ინჟინერ-მაიორმა შებოლილი ძეხვის სიფრიფანა ნაჭერი და ასი გრამი რუსული არაყი გამომიწოდა ტოლჩით, უცბად ისეთი ძალა ვიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძენა, ზეზე წამოვდექ იმ წამში. მას არყის ნაცვლად ოუნლაც შხამი მოეწოდებინა, მაინც დავლევდი... განა ტყუილად ვწერდი მაშინდელ ჩემს დღიურებში მის შესახებ:

„იაკოვჩენკოს ჯიხტყავიანი ადამიანის გულისხმიერება აქვს, ცივილიზაციის ცივი ყინული ვერ უსუსხავს მკვეთრად გამოკვეთილ შუბლს. უმაღლესი კულტურა და უმაღლესი პირველყოფილობა! — აი რა მიტაცებს მასში... იგი გარეგნულადაც წარმოსადეგია: მაღალი, ქერა, ჯმუხი, ქორისთვალება... მინდა მივამგვანო რომელიმე უშიას, რომელიმე ხევსურს ხმიკეურთა გვარიდან“.

მიჰქროდა ჩვენი ეშელონი და მიხაროდა, რომ ერთად ვიყავით, ერთად ვსაუბრობდით, ერთად ეხუმრობდით საავიაციო სასწავლებლის მაღალტალანიანი სამხედრო მასწავლებლები და ახალბედა კურსანტები... მიხაროდა და, ჩემს ცნობიერებაში რატომდაც ოთხსტრიქონიანი ჩვენებური ხალხური ლექსის **ოთხი** ისარი წოდა: „ზეცად დაიკრა ნაღარა: სამკვდრეთი აიყარა, სამასსამოცდაოთხი დღე სრულ ერთად მაიყაროს...“ მინდოდა ჩვენი „სუფრულის“ ეს პატარა სასიმღერო ტექსტი რუსებისათვის მეთარგმნა, მაგრამ მისმა ბურუსიანმა სიღიადემ ფარ-ხმალი დამაყრევინა და ერთად თავმოყრის მხოლოდ კეთილშობილური ბენეფუსობილება შემინარჩუნა...

მიჰქროდა ჩვენი ეშელონი, ხან არც მიჰქროდა, მიიზლაზნებოდა თვალშუდგამ სივრცეებში, ან კიდევ საათობით იდგა რომელიმე მიჩუმათებულ სადგურში... კუბიშევი, სამარა, ორენბურგი, მდინარე ურალი თავისი მოცისფრო ტრამალებით, მდინარე ემბა, ქალაქი ემბა... ემბის იქით სივრცემ ფერი იცვალა, დენა დაიწყო ყაზახეთის ტაშრიოვანმა მიწამ, ქვიშას სიყვითლე მიემატა, წყალს — სიმწვანე და გამოჩნდა კიდეც აყალოსაგან ნაგები პატარა ქალაქი, რომელმაც დიდი სიყვარულითა და გულისხმიერებით მიგვიღო. ეს იყო თეთრად შეფეთქილი კედლებითა და ბალავანებით მთვარიან ღამეში იგი სოფლად ჰგავდა სიცივის მომგვრელ ალმიერ პეიზაჟს, დღისით კი, პირიქით, ამქვეყნური მზურვალეს დამღეთ იყო დაღდასმული. ეს განსაკუთრებით ვიგრძენით მაშინ, როცა ორი დღის ნაჯაფარი კურსანტები სიცხისაგან გაოგნებულ ქალაქის ბაზარს მივადექით.

დასას დანატრებული მოგრძო მუხანესვები და ჭრელი უზბამბაზარი საზამთროები თითქოს ჩვენს ბოლოდანში იყვნენო, ერთმანეთზე აკოკოლავებულნი ხან ერთგან მოზვავდებოდნენ და ხან მეორეგან... დანამომარჯვებულებს მორჩილად მოგვდევდნენ ხელში და მარჯნისა და ქარვის ფერებით ივსებოდა მთელი ბაზარი...

ოქტომბრის ბოლო იყო და მაინც ცხელოდა. ამ დროს ჩვენშიც ცხელა ხოლმე, მხოლოდ იმდენად მზისაგან არა, როგორც ღვინისაგან. აკი ოქტომბერს „ღვინობისთვეს“ უძახიან კიდეც ჩვენში. დიახ, ოქტომბრის ბოლო იყო და მაინც ცხელოდა ამ ქალაქში, ცხადია, იმდენად ღვინისაგან არა, რამდენადაც მზისაგან... დაბანაკების ორომტრიალისა და აეროდრომის პირწმინდად მოშანდაკების შემდეგ ნებადართულები ვიყავით უფროსთაგან — ის დღე სურვილისამებრ გაგვეტარებინა, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობდით, სურვილის საზღვარს არ გადავსულიყავით, განსაკუთრებით მე, უკრაინელი ხალბუტაკ და ერევნელი მელქონიანი, რადგან პირველი რანგის ინჟინერ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლიტმანი დაუძლეველი სამიანების გამო ოდესმე მაინც დაგვაყვედრებდა იმდღეანდელ მხიარულებას. მას უდავოდ კვერს დაუკრავდა ოცმეთაური ორლოვიც...

ის დღე მართლაც კარგად გავატა-

ფალავა აბიესლაფეილი
ალალიაგზე დაბადული თვითმფრინავები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ. ბაზრიდან თითო დუთმა ნესვი **და** თითო ჭიაშემხმარი საზამთროც გა-ვიყოლიეთ ყაზარმაში. ყელიანი გოგ-**რის** სარძეკვეთი არც ყაზახური კუმისი დაგვვიწყებია. ას-ასი გრამი არაყი კი-დევე თავად უფროსებმა შემოგვთავა-ზეს. საყვედურისა გვეშინოდა და საყ-ვედური ვიღას უნდა ეთქვა, ყველანი ერთად ვზეიმობდით დიდი ოქტომბრის დღესასწაულსა და ამ ქალაქში და-ბანაკების პირველ დღეებს... ლექსების თქმითაც კარგად მოვიოხეთ გული: ხა-ლაბუტკამ უკრაინულად, მელქოიანმა სომხურად, მე კიდევ ქართულად. მე-სამე რანგის ინჟინერ-მაიორმა იაკოვ-ჩენკომ ტაში არ მოგვკალო. წარმოიდ-გინეთ, ტაში ლიხტმანნაც გაიმეტა, თუ-მცა ტაშს პატარა ისარიც დაადევნა: „აფსუს, რა ტალანტები იღუპებიანო“ უდაბნოში...

დაიწყო ნოემბრის ბურუსიანი ამინ-დები. რკინის პალოებზე დამბეული „ილ-2“-ის მარკის თვითმფრინავები თითქოს მიწაზე კი არა, არქტიკის მო-პირქუშებულ ცაში მოქცეულიყვნენ, ისე რიალებდნენ სილუეტებად ქცეუ-ლები. ბურუსმა პირველი სუსხიც მოი-ყოლა და შვიდი-რვა საათით ყაზარმის თბილი ოთახების მიტოვება, ცოტა არ იყოს, გვიძნელდებოდა, მაგრამ რას ვი-ზამდით, სალექციო კაბინეტების ხელ-საწყოებით დაკომპლექტებამდე პრაქ-ტიკულ მეცადინეობას უნდა დაეძალე-ბოდით. ოცმეთაურსაც სწორედ ეს უნ-დოდა. იგი გულში ზეიმობდა, რომ მეტწილად მის განკარგულებაში ვიქ-ნებოდით და ავიატექნიკოსის რთულ ხელოვნებას მთელი სისრულით გამო-ამჟღავნებდა ჩვენს წინაშე, თანაც გულს იჯერებდა შენიშვნების მოცემით, საყვედურების გამოცხადებით...

ექვს ნოემბერს, ეს იგი, ოქტომბრის ზეიმის წინა დღეს, ორლოვის მასწავ-ლებლობამ ზენიტს მიაღწია როგორც ახსნა-განმარტებების, ისე დროის **უდა-ნაკარგოდ** გამოყენების მიხედვითაც. უდანაკარგოდ კი არა, მგონი ორმოც-ციოდე წუთით გადავაჭარბეთ კიდეც პრაქტიკული მეცადინეობისათვის. **ბევ-**კუთვნილ დროს... ამაზე ოცმეთაურსაც სიცილით გვითხრა: დროსტარება და დასვენება ხვალაც გეყოფათო. ისე, ხელჩასაჭიდი საყვედური მაინდამაინც არავის დაგვიმსახურებია მაშინ, თუ მზედველობაში არ მივიღებთ ხალა-ბუტკას ერთ ამოოხვრაზე ორლოვის მიერ გაცემულ პასუხს: «Ты что, баба или мужчина?!.»

იმ დღეს, ორლოვმა, რიგრიგობით, ვინ იცის, ვიღა არ ჩასვა მოტორის ასა-მუშავებლად თვითმფრინავის კაბინაში. მე კი უკრაინელ ხალაბუტკასთან ერ-თად მაიძულებდა თვითმფრინავის ხან ერთ, ხან მეორე ფრთაზე გადავწოლი-ლიყავი, რომ საამორტიზაციო მოწყო-ბილობას ნამეტანი არ ებუქნავა... ჰოდა. ამგვარი დავალების ბოლო შესრულე-ბის დროს ერევნელმა მელქოიანმა ისე მძლავრად აამუშავა მოტორი, რომ პროპელერის გრიგალისებურმა ქარმა ოცეოდე ნაბიჯის იქით გადამტყორცნა ფრთასმოწყვეტილი. მიწაზე რომ და-ვეცი, უკრაინელ ხალაბუტკას ხმა ჩამ-წვდა ყურში: ნუ გეშინია, ნუ გეშინიაო. თვალი შევავლე ბინდ-ბუნდად, ისიც მოსაწყვეტ ფოთოლივით ცახცახებდა თვითმფრინავის მეორე ფრთაზე.

იმ დამეს ორმოც გრადუსზე ამიგარ-და სიცხე. ვბოდავდი, ვიღაც-ვიღაცეებს ვედავებოდი, ვემუქრებოდი, მემუქრე-ბოდნენ. დილას ბედმა გადმომხედა და კარგად გავხდი. უფროსებს არც შე-უტყობიათ ჩემი ავადმყოფობა. ის კი არა, საშვიდნოემბრო აღლუმზედაც გა-ვედი ბიჭებთან ერთად. სადილობისას ასმა გრამმა ხომ მთლად მომარჩინა და მომარჩინა. ისე გავთამამდი, იაკოვჩენ-კოს დახმარებით ქალაქში გასვლის ნე-ბართვაც კი ავიღე სამი თუ ოთხი სა-ათით, წავალ, ქალაქს დავათვალიერებ-მეთქი.

გულმა ჯერ ქალაქგარეთ გამიწია... მზე ახალი ჩასული იყო და საფანტე-ვით მიმოფანტულ ბუჩქნარებს იდუმა-ლების უცნაური იერი მიეცათ ნახორ-შაკევ ტრამალებისათვის. ფიქრში წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულს იმდენი მევლო, სირდარიასთან მივსულიყავი. მზერა მდინარის იქით გადავიტანე... შორს, დაისის შუქში კანდიმის ფესვებით შეკრული ბარხანები პაწაწინა ვულკანებივით იკვამლებოდნენ... უცბად იმ ბარხანებშორის უზარმაზარი ორკუზიანი აქლემი გამოიკვეთა შავად. წინ ადამიანის ჩია ლანდი მოუძღოდა.

აქლემს გარდიგარდმო იელისფერი კუბო ჰქონდა გადებული და მუცელზე თოკებამოჭერილს თვალებიც იელისფრად უელავდა. იგი ისე დაბეჯითებით მოაბიჯებდა სირდარიისაკენ, რომ მისი ეკვნების წკარუნიც კი მესმოდა ხანგამოშვებით. ეკვნების წკარუნს თითქოს იმ ჩია კაცის ჩიფჩიფიც უერთდებოდა: აბა, რა გეგონათ, რომ გამორბოდით შენა და შენი ამხანაგები, შენა და შენი მასწავლებლები. სწავლა თუ გინდოდათ, თავის დროზე გესწავლათ, ახლა ომია! გეგონათ, საკვდილის აჩრდილს უდანაში დაამალებდითო?! და გამახსენდა გალავანში მოქცეული ქალაქი რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩებითა და ქუჩაბანდებით, ფიცრული ტროტუარებითა და წითელგაურიანი სასწავლო კორპუსებით. გამახსენდა ლიხტმანისა და იაკოვჩენკოს ლექციები...

— თუ საავიაციო სასწავლებლის კურსანტმა კარგად იცის „შეკუმშვის ხარისხის, ანუ საფეხურის“ რაობა და მნიშვნელობა, — გვითხრა იაკოვჩენკომ ერთხელ, — ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ჰიმალაის მწვერვალზე დგას. თუ არ იცის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კისერზე ლოდი აქვს ჩამოკიდებულიო... ამის შემდეგ მან მართლაც დახატა დაფაზე ჰიმალაის მწვერვალი და „შეკუმშვის საფეხური“ დაუწერა. გამოიძახა უკრაინელი ხალაბუტკა, რომელმაც ვერ განმარტა ნახატის რაობა და მნიშვნელობა. მაშინ იაკოვჩენკომ ჰიმალაის მწვერვალიდან გრძელი ისარი დაუშვა დაბლა წარწერით — „ხალაბუტკა“, ესე იგი, უფსკრულისაკენ არისო შენი გზა...

იმ დღეს ალბათ მეც ხალაბუტკის ბედი მომელოდა, მაგრამ რადიომ საჰაერო გაგაფრენა გამოაცხადა. ბნელი ღამე იყო და მაინც ქელმიწურებსა და ტრანშეებში ჩავიმალენით, ზოგმა ტყეს მისცა თავი. ისმოდა თვითმფრინავების შორი სიმაღლისეული გუგუნი. მალე ჩვენმა საზენიტო არტილერიამ ურაგანული ცეცხლი გახსნა, ზეცა ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე ელავდა...

ამ მოგონებას, აბა, როდემდის შევრჩებოდი, თვალწინ ისევ ის კუბოიანი აქლემი და იმ ჩია კაცის ლანდი დამიდგა. ხოხის ქვასავით მაგარი გული უნდა ჰქონოდა ამგვარი სურათის შემხედვარეს, ალბათ მჭონდა კიდევაც, თორემ საკუთარ კითხვაზე: „მირაჟიაო?!“ — მევე არ გავცემდი პასუხს: დიახ, მირაჟია-მეთქი!..

ქალაქისკენ რომ შემოვტრიალდი, უკვე სინათლეები ჩახჩახებდნენ... სირდარიასთან დიდხანს აღარ გავჩერებულვარ... მალე მთვარემაც ამოანათა ჰორიზონტიდან და ორი კელეტარა ალვისხე შემიძღვა ალიზით ნაგებ ქალაქში...

თარებისა და ბაიათების ხმამ ერთსართულიან თეთრ შენობასთან მიმიყვანა. იგი რესტორანი „სირ-დარია“ აღმოჩნდა. ჯადოშეკრულივით გავჩერდი მის წინ. ვეღარც შევდიოდი, ვეღარც ვშორდებოდი. შეესულიყავი, ხათაბალას გადავეყრებოდი, წავსულიყავი და დაგვიანებულს საყვედური მაინც არ ამცდებოდა უფროსებისაგან...

გამგიგია: ბელტი ტიროდა, წვიმა რო მოვიდეს, იმ ქვას რა ეშველებაო. მეც ასე დამემართა, განსაცდელში მე ვიგდებდი თავსა და თანაკურსელ ხალაბუტკაზე კი ვფიქრობდი. გახსენებაზე, ნეტავ ისიც იქა მყოლოდა მართლა, რაც მოხდებოდა, მოხდებოდა...

სუფთა ჰაერზე უგზო-უკვლოდ ნა-

ზალვა აბიესულაშვილი

კალიეთზე დაგდული თვითმფრინავები

ხეტიალევს შიმშილმაც შემომიტია. ერთა გზა არ იყო, უნდა შევსულიყავი. ჯიბეში თბილისიდან გამოგზავნილი ოცდახუთმანეთიანი მედო, მეც მეყოფოდა და სხვასაც, თუკი შემხვდებოდა ვინმე... ყოყმანი რაღას ერჩვა, დავდექ თავი და შევაბიჯე... ნატვრა სულ სხვანაირად ამიხდა: ხალაბუტკას მაგივრად პირველი რანგის ინჟინერ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლიტტმანი გამოჩნდა რესტორანში...

ვიფიქრე, ჩვენებური „ნაფარეული“ თუ დამიფარავს-მეთქი და ვიწროთვალებიან ოფიციანტ ქალს სამი ლიტრა დავადგმევინე მაგიდაზე. თუმცა რა მეჩქარებოდა, ამხანაგებთან საუბარში გართული, ვინ იცის, როდის შემამჩნევდა კუთხეში მჯდომს. მაინც ასე სჯობდა, შემამჩნევდა თუ არ შემამჩნევდა, უშმელ-უსმელი ხომ არ ვიჯდებოდი გა'ბლილ სუფრასთან...

მესამე ჭიქაზე ცა ქუდად აღარ მიმაჩნდა ნატაშირალ ბიჭს. წითელი ღვინო ალბათ სისხლს სისხლად შეემატა სახელდახელოდ... და სწორედ ამ დროს გამოანათა კიდეც ჩემსკენ ლიტტმანის ოქროს კბილმა, მაგრამ მე მის იერიფულ გამოხედვაზე უფრო შევკრთი. რამდენიმე წამიც და ის უკვე აქეთკენ მოიჩქაროდა.

სიჩქარე ჩემი გენახათ, ჭიქაგაწვდილი რომ წამოვდექ შესაგებებლად. მან ზედაც არ შემომხედა, თურე სხვასთან ჩქარობდა, სხვას უყურებდა. მოვტყუდი, ძალად მივიქცე მისი ყურადღება, ვგდებულიყავი ჩემთვის ჩემს მაგიდასთან... «О, сын солнечной Грузии, на конец-то встретились мы с вами!» — დაიჯახუნა პირველი რანგის ინჟინერ-პოლკოვნიკმა და შეთავაზებული „ნაფარეული“ არაყივით გადაჰკრა, მერე ვიღაც მანდილოსანს რაღაც წასჩურჩულა ყურში და მალე ჩემს მასპინძლობასაც საშველი დაადგა...

ნამეტანი სითამამე რომ შემატყო, ღიღინ-ღიღინით წამოიწყო ლიტტმანმა:

— ყმაწვილო, ამ ომიანობის დროს თქვენთვის სამხედრო დისციპლინაც სამხედრო რეჟიმი არ არსებობს?!.

— არსებობს! — მივუგე მყისვე.

— მაშ აქ რა გინდათ?

— შემთხვევით მოვხვდი... უნდა მაპატიოთ...

— იქნებ საავიაციო სასწავლებელშიც შემთხვევით მოხვდით...

— არა! სამხედრო ნაწილმა გამომგზავნა დასავლეთ უკრაინიდან.

— ალბათ თქვენი პოლკის, თქვენი დივიზიის ბიჭები ცოცხლები აღარც არიან, ფაშისტების პირველ დარტყმას ისინი მიიღებდნენ... მოდი, მათი მოგონებისა დავლიოთ...

მეც ეს მინდოდა, მორიდებულად მივუწკარუნე ჭიქა და თითქმის ერთდროულად გამოვცალეთ ორთავემ...

— გახსოვთ, ერთხელ, — ახლა მე დავასწარი სიტყვა, — მოტორის კონსტრუქციაში ღუკარეგის გამოცდას ვაბარებდი, მეგონა დამეხმარებოდით, თქვენ კი პირიქით, ასე უთხარით იმას: სისხლი გაუშრე, სისხლი, უფრო კარგად შეუძლიათ მეცადინეობა.

— აბა, პატივი ეცით და ხუთიანი დაუწერეთო, ხომ არ ვეტყოდი... დაიხსომე, საავიაციო საქმეს ზერელე ცოდნა არ უყვარს, გეთაყვა... ამ წითელ ღვინოს იმიტომ ეტანებით, დამშრალი სისხლი აღიდგინოთ?!.

მისმა ირონიამ ჯადოშეკრულს დამამგვანა ერთხანს. უხერხულობა რომ შემატყო, საუბარში ისევ თვითონ ჩამითრია:

— თქვენისთანებს ქოჩორზე ხელი თუ არ გადაუსვა კაცმა, ისე არაფერი გამოდის...

ქერა, გაქუცულ წარბ-წამწამებსა და თმამეთხელებულ თავზე რომ შეეავლე თვალი, უპირატესობაში დაიმედებულმა გამომწვევად მიმართე:

— თქვენ ძალიან მოგწონთ ჩემი ქოჩორი, ალბათ გშურთ კიდევაც...

— სრულიადაც არა, უკუღმა დარგულ ხესაც კი თქვენზე კარგი ქოჩორი

აქვს. ისე რომ, გირჩევნიათ დროზე გადაკიჩიჭოთ, მით უმეტეს, სამხედრო წესიც ამას მოითხოვს. აქაოდა შუა აზიაში ვართო, ყველაფერში თვითნებობასა და სიზარმაცეს ნუკი გამოიჩენთ...

აქაც დამარცხებულად ვიგრძენი თავი და ვიწროთვალებიან ოფიციანტ ქალს ვთხოვე, ერთი ლიტრა „ნაფარეული“ კიდევ მოეტანა. ლიხტმანს ამაზე განგაში არ აუტეხავს და დამშვიდებულად განაგრძო:

— სულეიმან სტალსკის უთქვამს: სიჭაბუკე ველური ცხენიაო... მართალია, ვეთანხმები, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმულებებს, ანდაზებსა და აფორიზ-
მებს იწერდით უბის წიგნაკში, ან
მტკივნის პირას საგაზაფხულო სტრო-
ქონებს თხზავდეთ ფიქრში წასული,
მაგრამ ეს ოხერი ომი მაინც ომია და
ჩვენც მეომრები უნდა გვერქვას... მო-
დი, ამ უკანასკნელი ჭიქით ჩვენ გაგვი-
მარჯოს, თუნდაც იმიტომ, რომ ასე
ახლოს გავიცანით დღეს ერთმანეთი!..

ოცეულში ხელცარიელი არ მივსულ-
ვარ. ორლოვიც იქ დამხვდა, ცოლ-შვილ-
ში აღარ წასულიყო. ჯერ იუცხოვა ჩემი
ქცევა, მერე კი, როცა ლიტმანის „მო-
კითხვა" გადავეცი, შუბლი გაიხსნა.
ბიჭებსაც ეს უნდოდათ, გამხიარულდ-
ნენ, გული იჯერეს პურ-მარილით. უკ-
რაინელი ხალაბუტკა და ერევნელი
მელქოდიანი სულ ჩემს ლოცვაში, სულ
ჩემს ქებაში იყვნენ.

ორლოვმა უცბად მოიწყინა. ვკითხე,
რა მოგვიდა, ჩემგან ხომ არაფერი
გეწყინა-მეთქი. პასუხს არ დაველოდე
და აღვუთქვი, ყაზარმიდან შორს აღარ-
სად წავიდოდი, შინაური კურდღელი-
ვით მუდამ ეზოში ვიტრიალებდი.

— შენისთანა კურდღლებს უდაბ-
ნოს ქვეშა თათებსა სწვავს, შორს მარ-
ოლაც ვერ წამიხვალ, მაგრამ სხვები
წაგიყვანენ სამოსან კურსანტებთან ერ-
თად. მე კი შეუჩვეველ ჭირს შეჩვეუ-
ლი ჭირი მერჩივნა, — თქვა გაბზარუ-
ლი ხმით ოცმეთაურმა.

— თითო-ოროლა ოთხიანი ჩვენს
ოცეულში თითქმის ყველას მოეპოვე-
ბა, ნუ გეშინია, ხელს არ გვახლებენ.
ვეფხვებსა ჰგვანან ჩვენი ბიჭები, სხვა-
გან რა უნდათ, აქ არის მათი სამყო-
ფელო..

ამ სიტყვებზე ორლოვმა მგლის ყუ-
რი გამოიბა, არ ვიცი, ვერ გაიგონა, თუ
არ უნდოდა გაეგონა. ამიტომ ხელმე-
ორედ შევთავაზე ერთხელ ნათქვამი...

— მათ ვეფხვობაზე რა მოგახსენოთ,
მთვარის შუქზე ხანდახან კატაც ვეფხ-
ვად მოსჩანს ხოლმე, — ძლივს წამო-
იწყო ორლოვმა, — მაგრამ ისე, კარგი
ბიჭები არიან მაინც. თითო-ოროლა
ოთხიანთან თითო-ოროლა ხუთიანიც
რომ გამოჰყოლოდათ, მათ ირბაზს
ძაღლი არ დაპკუფდა...

— ვერც ეხლა დაპკუფს! — მივუგე
ცოტა უკმეხად.

ორლოვი კიდოს მიმიხვდა:

— როგორც ვხედავ, ჩვენი თხები
ერთად ვერ იბალახებენ, ძმაო...

— ვერ იბალახებენ და არც არი სა-
ჭირო... ჩვენ აქ მწყეგმსებად კი არ მოვ-
სულვართ, რკინის პალოებზე დაბმულ
თვითმფრინავებთან გვაქვს საქმე...

— თვითმფრინავები თქვენნი ხართ
სწორედ, მხოლოდ დაბმული კი არა,
აშვებული თვითმფრინავები, რომ ხან
სად ამოჰყოფთ ხოლმე თავს და ხან
სად... სწავლას კი გულის დადება უნ-
და, აქეთ-იქით ფრენა კი არა...

ბიჭები უკვე ღრმა ძილში იყვნენ.
მთვარესაც კარგად გაემინდვრა ცის თა-
ვანზე. უდაბნოებიდან წამოსულ დუ-
ბილს კოსმიური იდუმალებით აევსო
ქალაქის შემოგარენი... ბოლოს მე
და ორლოვი № 1 საგუშაგოსთან შევ-
ჩერდით სასაუბროდ. შაშხანის ხიშტი
მთვარეს ზედ გუშაგის მარჯვენა სა-
ფეთქელთან აენთო. ისეთი შთაბეჭდი-
ლება იქმნებოდა, თითქოს გუშაგთან
ერთად ხიშტიც ჩვენ გვისმენდა...

— ისე გამოდის, ყველას ჩვენი მო-
შორება სდომებიათ... მაშ ლიტმანმა
რატომ არაფერი მითხრა ამის შესა-
ხებ? — ვკითხე ოდნავ ხმაშეცვლილმა
ორლოვს.

— ლიტმანი როგორ ვეტყოდა, სამი
დღეა შტაბში არ ყოფილა... კარგი,
გვეყოფა, ჩვენც წავიდეთ ბარემ. მე
ცოლ-შვილს მივხედავ სახლში, შენ ყა-
ზარმაში ადი. ბიჭებს თავი არ დაანებ-
ო, კიდევ არ გაჰკრა საათმე...

გუშაგის ხიშტივით ახლა მე ავენთე:

— ამხანაგო, ოცმეთაურო, ცუდად
გიცვნიავრთ ძალიან!..

— ღამშვიდდი ვეთაყვა, მე ყველას
კარგად გიცნობთ... ისე, მგელკაცად
ნუ ჩამთვლით, არავის ვუპირებ შეჭ-
მას... აბა, კარგად იყავით, ღამე მშვი-
დობისა!..

— ძილი ნებისა! — მივაძახე გულცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად და ბეჭებთან ასასვლელად ყაზარმისაკენ შეეტრიალდი. ჩემი და ოცმეთაურის განშორებით თითქოს ის ღამეც ორად გაიყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეცა და ისიც ერთსა და იმავე გამჩენს ვეეედრებოდით. აკი კვალდაკვალ ჩვენებური ანდაზაც ამედევნა: „ორივე ღმერთს ევედრება: კურდღელიც და მწევარიცა, გამქცევიც და მდევარიცა...“

იმ ღამეს. დიდხანს არ დამეძინა. ახლა სირ-დარიის მხრიდან გარმონის ხმამაც მოაღწია და შუა აზიის სტეპების უსასრულობაში ჩემი სევდაც გარმონივით იწელებოდა. ვგრძნობდი, თუ როგორ ძლიერ მყვარებოდა იქაურობა და აქედან მოსალოდნელი გამგზავრება წინასწარ მიმძიმდა...

ორლოვის ნათქვამი მალე გამართლდა.

ადრე გაზაფხულზე, ცხრაასორმოცდაორ წელს, როცა აყლაყუდა აქლემებს ჯერ კიდევ ნაბდის ნაფლეთებივით ეკიდათ სხეულზე ძველი ბეწვი, ზოგიერთები მართლაც სამუდამოდ დავემშვიდობეთ შუა აზიის იმ პატარა ქალაქს, სადაც რკინის პალოებზე დაბმული ჩვენი საყვარელი სამოსწავლო თვითმფრინავები დავტოვეთ...

1942 წლის მაისის შუა რიცხვებში ჩვენი ეშელონი ქალაქ მიჩურინსკს უახლოვდებოდა უკვე...

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ულოცავს მწერალ შალვა ამისულაშვილს 60 წლისთავს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და წარმატებას შემოქმედებით ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იანის რიფოსი

მთვარის სონატა

გაზაფხულის ღამეა. ძველებური სახლის დიდ ოთახში ხანშიშესული შაოსანი ქალი ჭაბუკს ესაუბრება. ოთახში ბნელა. ორთავ სარკმლიდან მთვარის დაუნდობელი შუქი იღვრება. დამავიწყდა მეთქვა, ამ ქალს გამოქვეყნებული აქვს არცთუ ურიგო, რელიგიური გზნებით აღსავსე ლექსების ორი თუ სამი კრებული.

და აი, თალხით მოსილი ქალი ჭაბუკს მიმართავს:

ნება მომეცი შენთან ყოფნისა.
რა დიდებული მთვარეა ცაზე!
მანათობელი მოწყალეა — შენ ვერ შეამჩნევ
ჩემს ჭაღარას — მთვარის შუქზე
ჩემი თმა ისევ ოქროსფერად გამობრწყინდება.
შენ ვერ შეამჩნევ...
მომეცი ნება შენთან ყოფნისა.

მთვარის სხივები აგრძელებენ ბინაში ჩრდილებს.
გადასწვევენ უხილავი ხელები ფარდებს.
და მტვრით დაფარულ როიალზე მკრთალი თითები
სწერენ სიტყვებს, დავიწყებულს დიდი ხნის წინათ.
აღარ მსურს მათი გაგონება. ნურაფერს იტყვი.

ნება მომეცი შენთან ყოფნისა,
ნება მომეცი ჩაგაცილო მცირე მანძილზე.
კედლამდე მოგყვე, რომლის შემდეგ
ქარხანაა, მგონი, აგურის,
მოსახვევამდე — საიდანაც ქალაქი მოჩანს,
მთელი ქალაქი, ქვის ქალაქი და ქალაქი ჰაეროვანი,
შეფეთქილი მთვარის სხივებით.
ქალაქი უცხო, განზე გამდგარი,
უსხეულო და ხელშესახები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანაც თითქო მოგონილი ვიდაცის მიერ.
დიახ, იმდენად გამოგონილი, რომ ბოლო-ბოლო
შეგიძლია ეაიკერო:
შენ არსებობ ამ სამყაროში
ან ამ ქვეყნად არ არსებულხარ,
არ არსებულხარ არასოდეს
და არ ყოფილა, არ ყოფილა
სულაც დრო-ჟამი.
არც ძალი მისი არსებულა — დამანგრეველი.

ნება მომეცი შენთან ყოფნისა.
ჩამოვსხდეთ ლოდზე, სადმე,
თუნდაც იმ ბორცვის თხემზე.
იქ გაზაფხულის ქარი დაკქრის თავისუფალი
და შესაძლოა მოგვაჩვენოს,
რომ ჩვენც მივფრინავთ.
არც იშვიათად, ახლაც კი, ხშირად,
როცა მესმის შარიშური ჩემი კაბისა.
მომეყურება დონიერი ფრთების შუვილი...
და როცა მათრობს იმ უხილავი ფრთების ქარი,
მე ვგრძნობ. როგორ იძაბება
ჩემი მკერდი, მხრები, ხელები
და როს მომწყვდეულს ლურჯი ქარის ძლიერ მკლავებში
მესმის სიმაღლის დაჭიმული სიმების ჟღერა,
მე აღარ მახსოვს, დღეს დავიწყე
თუ გასრულდა გზა ცხოვრებისა,—
მავიწყდება ჩემი ჭაღარა.
(და იმას ვწუხვარ, გული რომ არ დაუთოვია).
ნება მომეცი შენთან ყოფნისა.
სიყვარულისკენ, ვიცი, მარტო მიეშურება,
მარტო უნდა შეხვდეს დიდებას
ყველა ჩვენგანი
და ხიკვდილსაც მარტოდმარტო უნდა დაუხვდეს.
მე განვიცადე ყოველივე. დე, ასე იყოს.
ნება მომეცი შენთან ყოფნისა.

დაწყვეტილია ეს სახლ-კარი.
მეშინია აქაურობის,
ძველზე ძველი ნაშენებია.
ლურსმანს აღარ იჭერს კედელი.
სურათები ძირს მოცვივიან,
ითქოს უფსკრულში ჩაენარცხნენო.
ბოთქში უხმოდ ჩამოდის და
იატაკზეც უხმოდ ეცემა.
ისე ვით ქუდი გარდაცვლილის,
ბნელ წინკარში საკიდრიდან ჩამოვარდნილი,
ჩრჩილის შეჭმული ვით ხელთათმანი.
სინუმის მუხლზე დაცურებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან მთვარის სხივი, ძველ, გამოხვრეტილ
სავარძელზე გადაფრქვეული.
იყო დრო, მასაც სიჭაბუკის მზე დანათოდა.
იმ პორტრეტზე გამოხატულს როდი გგულისხმობ,
შენ რომ ეჭვის თვალით უმზერდი.
მე სავარძელზე მოგახსენებ.
ჩაეფლობოდი შიგ და შეგეძლო
თვალდახუჭულს საათობით გეოცნება
განა სულერთი არ არის რაზე?
ქვიშით მოგებულ ზღვის ნაპირზე, რომელიც სავსე
მთვარის ნათელით გაბრწყინებულა
(და ბრწყინავს უფრო, ვიდრე ჩემი ფეხსაცმელი
ყმაწვილქალობის დროინდელი, რომელიც მუდამ,
თვეში ერთხელ, დამაქეს მწმენდავთან).
ან შორეული ნავის აფრაზე,
თვისივე სუნთქვა რომ უნანავებს
და თანდათან თვალს ეკარგება.
სამკუთხედია აფრა. იცი, ალბათ გინახავს,
ვით ცხვირსახოცი,
მხოლოდ ორად გაკეცილი, დიაგონალზე —
ამ ცხვირსახოცში არაფერია გახვეული,
არც რაიმეს იმალავს იგი,
არც გაშლის ვინმე,
არ დაიქნევს — განშორებისას.
მუდამ მიყვარდა ცხვირსახოცები.
იმიტომ არა, რომ შიგ რამეს გამოვახვევდი,
თესლს ყვავილისას.
ან ნამავალი მზის სხივებში ამოვლებული
გვირილების ლამაზ თაიგულს.
არ მდომებია ბოლოები გამომენასკვა
და ქუდივით დამეხურა.
როგორც სჩადიან აგერ იმ ტყეში მომუშავენი;
არ გამიშლია არც თვალების ამოსაწმენდად —
მხედველობა ასლაც კარგი მაქვს —
დიახ. სათვალე არასოდეს დამჭირვებია.
ცხვირსახოცები — ახირება თუ იყო ჩემი.
ახლა ავიღებ ერთ ცხვირსახოცს.
გავკეცავ ოთხად, რვად, თექვსმეტად.
რომ რაღაც მაინც გააკეთონ ჩემმა თითებმა
და უცაბედად გამახსენდება
მუსიკის ტაქტს როგორ ვითვლიდი, როცა ვსწავლობდი,
გამახსენდება თეთრი საყელო.
და ქერა თმის დიდი ნაწნავი
ლურჯწინსაფრიან გოგონასი...
რვა, თექვსმეტი, ოცდათორმეტი...
ჩემს პატარა მეგობართან ხელჩაკიდული
(ის პატარა მეგობარი ატმის ხე იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხივები ესხა ვარდისფერადი, ისე ჰყვაოდა).
მაპატე. ეს სიტყვები, ალბათ, ცუდი ჩვეულებაა.
რვა. თქვენსმეტი, ოცდათორმეტი...
ხოლო ჩემს მშობლებს, ჩემს დედ-მამას
ყოველთვის სწამდათ, რომ ნიჭი მქონდა მომადლებული —
მუსიკოსად უნდა მევარგა,
ჰო... სავარძელზე გეუბნებოდი, ძველ სავარძელზე
ჩაჟანგებულ ზამბარებს და თივას ხომ ხედავ,
სულ ვაპირებ ხელოსანთან ამის წაღებას.
მაგრამ სად არის დრო, ან ფული, ანდა ხალისი.
რომ იყოს კიდეც. რითი დავიწყო?
გადავაფარე ძველ სავარძელს თეთრი ზეწარი.
მაგრამ შემზარა,
ვით ხუდარამ მთვარის შუქით განათებულმა.

ამ სავარძელში რამდენი მჯდარა
ისინიც ისე, როგორც მე და შენ
ბედნიერებას მიელტვოდნენ ჩუმი ოცნებით,
ახლა კი სძინავთ მიწის წიაღში
და არ აწუხებთ არც წვიმა და არც მთვარის შუქი.
მომეცი ნება შენთან ყოფნისა.

მერე შენ წახვალ, დაეშვები თავქვე დაღმართზე,
მე კი უკან გამოვბრუნდები,
და სამუდამოდ მემახსოვრება,
როგორ შემეხო, ოდნავ. სულ ოდნავ
კალთა შენი სამოსელისა; აი, აქ, მარცხნივ...
მემახსოვრება ამ პატარა სარკმელთა შუქის სწორკუთხედები,
ეს თეთრი კვამლიც მანათობლის თავს წამომდგარი,
ისე ვით გუნდი ვერცხლისფერი ფრინველებისა.
არ მეშინია ამ სიტყვების თქმის, რადგანაც წინათ
გაზაფხულის მრავალი ღამე უზენაესთან საუბარში გამილევია.
მიხილავს ღმერთი მთვარიანში
მკრთალი სხივებით ნათელმოსილი
მე, ჭაბუკები მშვენიერნი, ვიდრე შენა ხარ,
უფლისთვის მსხვერპლად მიმიტანია.
მე — უკარება, თეთრი, ანუ უსპეტაკესი
საკუთარ ცეცხლის ალზე ვიწვოდი, —
გაზაფხულის მთვარის თმთარ ალზე
მამაკაცთა ხარბი მზერა,
ათრთოლებული ხიბლისაგან მზეჭაბუკები
ცეცხლს მიკიდებდნენ და სხეულს ჩემსას
გარს ალყა ერტყა
მზემოკიდებულ ულამაზეს მამაკაცების...
მე კი თავი ისე მეჭირა
თითქოს სულაც ვერა ვხედავდი
ძლიერსა და მოკნეილ სხეულებს,
გაკაჟებულს ნიჩბოსნობით, ცურვით, ფეხბურთით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი თვალი, მუხლი, ბაგე, მკერდი, მხარ-ბეჭი...
(ო, ღმერთო ჩემო, მე მართლაც რომ ვერას ვხედავდი).

იცი, ზოგჯერ აღტაცებულს
დაგავიწყდება საგანი შენი აღტაცებისა,
აღფრთოვანება შეგრჩება მსოლოდ.
როგორ ბრწყინავენ ეს თვალები!
და მე ვმაღლდები უარყოფილი ვარსკვლავების
კრებულსა ზედა.

მე გარემოცულს, შინაგანად გაწამებულს
სხვა გზა არ მქონდა,
უნდა მევლო აღმა, სულ აღმა.
ან კიდევ, — თავქვე, ესეც არ კმარა.
მომეცი ნება შენთან ყოფნისა.
ვიცი ჩემი დრო წასულია,
მაგრამ მაინც მომეცი ნება,
მე ხომ რამდენი წელიწადია,
რამდენი დღეა, რამდენი ღამე
და რამდენი მოგიზგიზე კიდევ შუადღე,
რაც მარტოდ დავრჩი.
ქედმოუხრელი, მარტოსული, თეორი, უბიწო,
მე საქორწინო სარეცელზეც უბიწო ვიწევ.
მე საქორწინო სარეცელზეც მარტო ვიყავი
და ღვთის მუსლებზე, ღვთის კალთაში
ვქმნიდი ლექსებს, ვითარცა ლოცვებს,
ლექსებს, რომლებიც ოქროთია ამოკვეთილი მარმარილოზე
და რომლებიც გაძლებენ მეტსანს,
ვიდრე — მე და შენ.
გაუძლებენ წლებს გადაუთვლელს,
მაგრამ ესეც არაფერია.
ნება მომეცი შენთან ყოფნისა.

ეს სახლი ვეღარ გამიძლებს, ვერ...
მე აღარ ძალმიძს აწი ზურგით მაგისი თრევა,
სულ თვალ-ყური უნდა გვეჭიროს.
უნდა ფხიზლობდე.
ყოველ წუთას მზად უნდა იყო,
კედელს უნდა შევუყენო დიდი ბუფეტი,
ბუფეტს უნდა შევუყენო ძველი მაგიდა,
მაგიდას უნდა შევუყენო სკამი, სკამები,
სოლო სკამებს — ჩემივ ხელები,
კოჭს მხარი უნდა მივაშველო, ჩამოიწია,
ცივია ჩემი როიალი, —
დალურსმული შავი საცხედრე,
ვეღარ ვხედავ ხელის შეხებას.
სულ თვალ-ყური უნდა მეჭიროს,
უნდა ვფხიზლობდე, ყოველ წუთას უნდა მზად ვიყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სახლი **თავზე** არ ჩამომექცეს,
რომ მე თვითონაც **არ** წავიქცე,
მე მეტი აღარ შემიძლია,
ნება მომეცი შენთან ყოფნისა.

აქ რამდენი მკვდარი ცხოვრობს,
ეს სახლი, მაინც არ აპირებს სიკვდილს,
არ **უნდა.**
გაჯიქებულა — მისსავე მკვდრებთან
ერთად **სურს** ყოფნა,
სურს მკვდრებითვე რომ **უდგას** **სული** —
იცხოვროს თვისი სიკვდილისვე გარდუვალობით, —
უცქიროს ცხედრებს, დამპალ კედლებზე
და **უფრო** დამპალ საწოლებზე ჩამწკრივებულებს.
ნება მომეცი შენთან **ყოფნისა.**

ფრთხილად **დავდივარ,** **ძალიან** **ფრთხილად**
სულ ერთია ფეხშიშველი **ვაბიჯებ** **თუ** მაცვია რამე—
რაღაც მაინც მუდამ **ჭრიალებს,** **მუდამ** იმსხვრევა,
სარკე ან შუშა.
აქ ვიღაც **დადის,** ვიღაც **დადის,**
აშკარად **მესმის,**
ქუჩაში, ალბათ, **ნაბიჯის** **ხმას** **ვერ** **გაიგონებ,**
ხომ **ამბობს** **ხალხი** —
მონანიებას **ხის** ფეხსაცმელი აცვიაო.
თუ **უცაბედად** **შემობრუნდები,**
მტვრით დაფარული სარკეები **შეგეფეთება,**
მტვრის აპკის მიღმა,
წვრილად **დამსკდარი** **სარკისპირს** **უკან**
დაინახავ **საკუთარ** **სახეს,**
რომელიც **გსურდა,** ოცნებით **გსურდა**
(მთელი სიცოცხლე!)
შეგრჩენოდა **მრთელი** **და** **წმინდა.**
ტუჩი ჭიქისა **მთვარის** **შუქზე** ისე **ანათებს,**
ვით ალესილი **ხამართებელი,**
ვინ **შეახებს** **იმ** **ჭიქას** **ბაგეს?**
წყურვილითაც **რომ** **ვიხრჩობოდე,** მაინც **არ** **დავლევ**
გესმის, **რას** **ვამბობ?**
მე კიდევ **ძალმიძს** **შედარება.** სიტყვის **შერჩევა.**
ეს **არის** — მთელი ცხოვრებიდან, რაც ხელთ **შემომრჩა,**
ეს **უნარია,** **რომ** **მარწმუნებს**
ჯერ **ცოცხალი** **ვარ,**
ნება **მომეცი** **შენთან** **ყოფნისა.**

ჭამი-ჭამ **მწუხრზე** **მეჩვენება,**
რომ **ფანჯარასთან** **მოვიდა** **ვიღაც,**
მოიყვანა **ბებერი** **დათვი,**
რომელსაც **ბეწვზე** **აჭკრობია** **ბზე** **და** **ეკლები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბორიალობს დათვი იქვე,
და ბდღვირს აყენებს.
აიზიდება **მტვრის ვული, რუხი ღრუბელი**
და სიბნელეში **განიბნევა უგზო-უკვალოდ.**
ხოლო ბავშვები, უკვე ყველანი
ვახშმადა სხედან, სათამაშოდ აღარ გამოვლენ,
თუმცა კი ესმით დათვის ბურდღუნი.
დაამბტებს ქუჩაში იგი, **დინჯად** ირჯება,
ბოლთასა სცემს უაზროდ და მიზნის გარეშე.
დამძიმებია ტანი **და** უკვე
ვეღარცა ცეკვავს,
ვერც უკანა თათებზე დგება.
ბავშვების გულის გასახარად
და მოცლილთა თვალის სეირად
აღარ ახურავს მაქმანებით **შემკული** ქუდი.
თუ კი სურს რამე — **უნდა** მხოლოდ შარაზე **გაწვეს**
და ხალხმა, სეირს დახარბებულმა, ფეხით **გათელოს.**
ეს იქნება **გასართობი** უკანასკნელი.
ის გამოაჩენს საშინელ ძალას, **უარის** ძალას,
უარს ეტყვის მორჩილებაზე ადამიანებს,
უარს იტყვის ტუჩში **გაყრილ** რკალზე **და** მეტად
აღარ ისურვებს **მორჩილ** ეყოს **ტანჯვას,** ცხოვრებას,
და სიკვდილთან **განუყრელად** დაკავშირებულს
ძალა ეყოფა **წინ** აღუდგეს **თავად** სიკვდილსაც.
გრძელი გზა **განვლო** ცხოვრებისა.
ბრძენია ახლა
და ამაღლდა **მონობაზე** ცოდნით **და** საქმით,
ვაგრამ ვინ **შესძლო** ამ თამაშის **დაბოლოება?**
ადგება **დათვი.** მიდის, **მიდის,**
მორჩილად მისდევს **ჯაჭვს** ყელზე **შებმულს**
ტუჩში **გაყრილ** რკალსაც ნებდება
და **გაგლეჯილი** იმისი **ტუჩი**
უღიმის ბავშვებს,
უზაკველ **და** **მშვენიერ** ბავშვებს,
შაურიანებს რომ ესვრიან **პატრონს** **წინ** მავალს.
მადლობას **უხდის** **დათვი** **მორბედთ,** —
დათვებმა **მხოლოდ** **მადლობის** **თქმა** **იციან** **ოდით,** —
ეურაფეური **ისწავლეს** **მეტი.**
ბოლოდ **ნება** **შენთან** **ყოფნისა.**

ეს სახლი **მახრჩობს,** **სამზარეულო** — **განსაკუთრებით.**
მეჩვენება ოკეანის ფსკერზე ვარ **თითქოს.**
ბრწყინავს **საყავე,** ვით **ზღაპრული** **თევზის** **თვალები,**
ვით **მედუზები,** **ირხევიან** **წყნარად** **თეფშები.**
ნიჟარები **და** **წყალმცენარენი**
მეხლართებიან **თმაში** **და** **უკვე**
ღონე **აღარ** **მაქვს** **მოვიცილო,**
ძალა **არ** **მყოფნის,** **ამოვიდე** **წყლის** **ზედაპირზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უფრო, უფრო ღრმად ვიძირები,
თანაც ჰაერის ბუშტებს ვხედავ,
ზევით, ზევით მიისწრაფიან,
თვალს ვაყოლებ და გართობას ვცდილობ.
ნეტა ვიცოდე რას იტყვის იგი,
ვინაც ამ ბუშტებს დაინახავს.
რას იფიქრებს, რას წარმოიდგენს?
დამხრჩვალაო ვიღაც თუ მყვინთავს
ოკეანის ფსკერის ცოდნა მონდომებია?
მოხდება ხოლმე, რომ უფსკრულში სასოწარკვეთის
იპოვნის კაცი ზღაპრულ მარგალიტს,
მშვენიერ მარჯანს.
და ოდესღაც ჩაძირულ გემთა განძს — აღურაცხელს.
და სწორედ მაშინ შეხვდებიან ერთმანეთს დრონი.
ეს გაპლავთ თითქმის უკვდავების დადასტურება,
ეს ამოსუნთქვის სიშულეებაა
და ანარეკლი მარადისობის.
რეგორც ამბობენ.
ბედნიერებაც არის, თრობაც და აღტაცებაც.
ო, ეს მარჯნები. საფირონი და მარგალიტი,
მაგრამ მათი გაჩუქება არ შეიძლება.
მე მაინც ვჩუქნი, თუმც არ ვიცი
შეუძლია კი ვინმეს მათი მისაკუთრება,
მე მაინც ვჩუქნი.
ნება მომეცი შენთან ყოფნისა.

აი, ახლავე დავბრუნდები.
წამოსასხამს მოვიტან მხოლოდ,
ასეთ ამინდში... სიფრთხილეს თავი არა სტკივა,
ღამე ჰაერი ნოტიოა, თანაც ეს მთვარე...
არა გგონია, რომ უფრო ცივა,
როცა ცაზე მთვარე ანათებს?
ხომ შეიძლება, შეგიბნიო პერანგზე ღილი...
ო, რა ფართე მკერდი გქონია...
მთვარე... მთვარე როგორ ანათებს...
ჰო, სავარძელზე გეუბნებოდი...
ჰო, მართლა, როცა მაგიდიდან ფინჯანს ავიღებ.
ფინჯანქვეშ მოჩანს დუმილის ხვრელი.
მე მაშინათვე ხელს ვაფარებ, რომ არ დაკარგდეს...
ფინჯანს ისევ ადგილზე დავდგამ....
აი ეს ზთვარეც ხვრელი არის,
ხვრელი სანყაროს თავისქალისა,
ნუ ზიყურებ,
ნუ ზიყურებ, გემუდარები,
რაღაცა ძალა გეზიდება, ნუ, ნუ მიცქერი,
ნუ დაეცემი! ახლა ცოტა თავბრუ გეხვევა.
ოდნავ და ტკბილად... დაეცემი!
ამ მარმარილოს მთვარის ჭაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შფოთვენ ლანდები. ბორგავენ ფრთები
და აქეთ-იქით ეხეთქება **კედელს** კივილი —
შენ რა არ გესმის?
როცა ეცემი, დაუსრულებლად მიეჭანები,
აღმაფრენაც ხომ უძიროა.
მარმარის ქანდაკს გაუშლია მრისხანე ფრთები.
უძიროა, დიახ, **უძირო, გულქვა** სიკეთე დუმილისა.
სხივთ ანარეკლი **ცახცახებს** იქ, გაღმა ნაპირზე,
თითქოს გარწევდეს **ნება-ნება** ისევ ის ტალღა
სუნთქვა ზღვაურის...
ო, რა ტკბილია, რა საამო ეს თავბრუსხვევა...
ფრთხილად, ო, ფრთხილად, დაეცემი!
ნუ მიეკერ აგრე,
ჩემი ხვედრია — ყოყმანი მუდამ.
ო, დიდებული ეს თავბრუსხვევა!
ყოველ საღამოს მეორდება ისევ იგივე.
თავი მტკივა და ყოველივე კარუსელივით ტრიალებს თვალწინ...
ხშირად დავდივარ აფთიაქში — წამალს **ვყიდულობ.**
ხანდისხან, როცა მეზარება. —
ეზივარ და ვითმენ თავის ტკივილს
ან ყავას ვხარშავ და ფიქრებით გაბრუებული
ორ ფინჯანს ვავსებ.
რისთვის? მეორეს ვიღა დალევს?
არ გეცინება? ფანჯრის რაფაზე
დიდხანს დგას და ცივდება ყავა,
ბშირად იმასაც მე შევექცევი
და აფთიაქის მწვანე ფარანს თვალს **არ** ვაცილებ...
ის ফარანი **უკვე** ჩავლილი მატარებლის კუდი მგონია, —
იმ მატარებლის, მე **რომ** წამიყვანს,
იმ მატარებლის, **რომ** წაიღებს ჩემს ცხვირსახოცებს,
ჩემს გაცვეთილ ფეხსაცმელებსაც,
ძველ შავ ჩანთას და კრებულებსაც ჩემი ლექსების.
ჩემოდნებს კი აქ დავტოვებ — **რად** დამჭირდება?
მომეცი ნება შენთან ყოფნისა.

მიდიხარ უკვე? კარგი, წადი, ღამე მშვიდობის,
მე აქ **დავრჩები,**
მეც მალე წავალ, **გმადლობ დიდად,**
ოდესმე მაინც ხომ უნდა **დავთმო** ეს **მკვდარი** სახლი,
ოდესმე ხომ **უნდა** წავიდე.
მინდა ქალაქიც ვნახო, არა, მთვარე, **აღარა...**
ქალაქი ხელებდაკოჭრილი,
ქალაქი შრომის,
ბრძოლის ქალაქი,
ის ქალაქი, პურს და შეკრულ მუშტს რომ იფიცებს.
სულმოკლეობა ჩვენი მსურს ვნახო,
ჩვენი ცოდვები და სიძულვილი ერთმანეთისა.
ამაოება, უმეცრება, ჩვენი სიხარბე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი სიბერე მინდა ვისიღლო.
მსურს გაგონება წვიმის ხმაურის,
ქალაქის მძიმე ნაბიჯთა ხმისა.
არა, შენი ფეხის ხმის, — არა,
არცა უფლისა. — და არცა ჩემი.
ღამე მშვიდობის.

ოთახში ჩამობნელდა. ჩანს მთვარეს ღრუბელი წაეფარა. უეცრად ნაცნობი მუსიკალური ფრაზა გაისმა, — თითქოს ვიღაცამ იქვე ახლოს, კაფეში მჯდარმა, რადიოს აუწია. ანაზდად მივხვდი, მთელ ამ სცენას თან სდევდა „მთვარის სონატის“ ჰანგი. ალბათ, ჭაბუკი საცაა დაღმართს ჩაათავებს და მის ლამაზად მოყვანილ ბაგეს ღიმილი ადგას. ეს ღიმილი ირონიულიც არის და თანაც შემბრალეცაა — თუმცა ჭაბუკი ახლა შვებას გრძნობს. წმინდა ნიკოლოზის ტაძართან, ვიდრე მარმარილოს კიბეებზე დაეშვებოდეს, ერთს გულიანად გაიცინებს, აქ, მთვარიანში, ეს სიცილი უადგილოდ არ ყღერდება. მერე ჭაბუკი ცოტას დაიცდის, ერთხანს უსიტყვოდ მდგარი მოიღრუბლება და იტყვის: „დადგა აღსასრული მთელი ეპოქისა“. მშვიდად გადაიხსნის პერანგის საყელოს და გზას გაგრძელებს.

ნეტავ თუ დასთმო მკვდარი სახლი შაოსანმა ქალმა? არ ვიცი.

ოთახის კუთხეებში თავს იყრიან დაუთმენელი სინანულის ჩრდილები, სულაც მრისხანების ხმები — ცხოვრების ჭავრიო კი არა, აღსარების უაზრობით გულშემოყრილნი. გესმით, რადიო... კვლავ უკრავენ „მთვარის სონატას“.

თარგმნა იზა ორჯონიკიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲣᲛᲙᲐ*

უკან აღარ დაბრუნდება
ზღვას შერთული წყალი;
ქვეყნად სად არ უძებნია
კაზაკს ბედ-იღბალი.
ზღვას მოადგა, ზღვა ნანაობს
და ცისფერი ამკობს,
ზღვისებრ უცემს კაზაკს გული,
ხოლო დუმკა ამბობს:
„არვის ჰკითხე, წამოხვედი,
გზა ირჩიე შორი,
მიატოვე დედა, მამა,
დასთმე გულისწორი.
სხვაა ხალხი უცხო მხარის —
მათთან ვერ იხარებ!
ვერ მიანდობ ვერც გულისთქმას
და ვერც ცრემლებს ცხარეს“.

გამოჰყურებს ზღვას კაზაკი,
ლურჯად მოტორტმანეს,
ეგონა ბედს ვეწევიო —
ცრემლი ულტობს თვალებს:
შინ მიფრენენ წეროები —
ცას გაბმიან ლარად,
მისი გზა კი სამშობლოსკენ
ბალახს დაუფარავს.

1838, ს-პეტერბურგი

ნ. ᲛᲐᲠᲙᲔᲕᲘᲩᲘᲡ**

არწივს ჰგავხარ, მეგანდურევ! —
შეგწევია ზენა:
შემართულხარ — გერჩის ღონე,
შეგიძლია ფრენა.
მიგგლიან უკრაინას —
გაგიშლია ფრთები;
წაგყვებოდი... მაგრამ მე იქ
ვიღას ვაგონდები.
აქ ხომ ასე გარეშე ვარ
და ეულად ვგმინავ,
ჩემო კარგო, უცხო მხარედ
მექცა უკრაინაც;
ობლად დავრჩი სამშობლოშიც...
რაღად ფეთქავ, გულო!..
უკრაინა!.. ველ-მინდვრები
ვრცელი, უსასრული!..
ვით ძმას, მელის მისი სიო,
თავნება და ურჩი;
სულს მოვითქვამ გაშლილ ველზე...
იქ ზღვა ლურჯზე ლურჯი
ზვირთს ამღერებს და ღმერთს აქებს,
მწუხრს გულისას ფანტავს;
იქ ტრამალზე სამარხები
საუბრობენ ქართან;
მოქუფრულან და სუყველა
ერთ სატკივარს ყვება:
„ის, რაც იყო — გარდასულა,
აღარ დაბრუნდება“...
მივდიოდი, მეც დავდგრიდი
მათთან ცრემლებს ცხარეს...
ვაგლახ... ბედმა მომისაჯა
ყოფნა უცხო მხარეს.

ს-პეტერბურგი,
1840 წლის 9 მაისი.

---

* დუმკა უკრაინული და პოლონური ლირიულ-ეპიური ხალხური სიმღერაა. მეტწილად ნაღვლიანი; მისი ტექსტი ხშირად იმპროვიზირებული იყო და თავისი ხასიათითა და შინაარსით კოზაარის ფიქრებსა თუ გულისთქმას გამოხატავდა. სრულდებოდა სოლოდ, მღერადდეკლამირებით, კოზაის, ბანდურის ან ქნარის ხმაზე.

** მარკევიჩი, მიკოლა ანდრიას ძე (1804—1860) — ისტორიკოსი, ხუთტომიანი „უკრაინის ისტორიის“ ავტორი, შევჩენკოს ნაცნობი.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲠᲯᲛᲜᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲐᲚᲐᲜᲘᲫᲔ.

ოთარ ჭელიძე 50

აი, დატოტვილი ლიანდაგები, ესეც სადგური მყუდრო, მაგრამ მაინც ხმაურიანი, საშენოდ ორმოცდაათი ზარი ჩამოუკრავთ... არ არის ბეკრი ორმოცდაათი.

მატარებლები მიჰქრიან, გადაჰყავთ კეთილი მგზავრები ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, ზოგ საბარგოზე მოლისფერი, ცინცხალი ქვემეხები და ტანკები დგანან, ლურჯი ცისაკენ მიუშვერიათ დრუნჩი, ღმერთო შენ დაგვიფარე...

ასეა პოეტის გზაც, მისი ბედი, მისი დახლართული ხაზები რკინიგზისა. გულწრფელია იგი, ხანაც ტყვიამფრქვევივით ავი და მყეფარე, ხანაც მუზასავით მარტო და მშვენიერი. შენ ორთავე გამოგიცდია, ძმაო ოთარ, მარტოხელობაც. ომიც, გლოვაც და უმამობაც.

მე მშვენივრად მახსოვს შენი ლექსი—„წერილი შვილს პიონერთა ბანაკში".

...შენ თუ იდგები კართან მორიგედ,
ყოფილ პიონერს მომეც პატაკი.
მომეც პატაკი, რომ ხარ გულწრფელი,
აყვავებული როგორც აპრილი,
მეგობრობაში წმინდა, უცვლელი,
სათნო, კეთილი და პირდაპირი.

შესანიშნავი სტრიქონებია, მე ღრმად მჯერა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასეთმა ლექსებმა გაუშუქეს ადამიანებს გამოუხატველი სათნოება და ზნეობრივობა.

კვნესის ძველი რექვიემი, რომ იცვლებიან თაობები, დიახ, არის სხვა ზარის გარდუვალობაც, მაგრამ იგი ირეკება ჩვენი ძვირფასი მომავლის სიყვარულში.

მოდიან ისინი, შენი შვილები მოდიან, ისინი ალბათ სულ სხვა გზას დაადგებიან, მათი მატარებლების ბორბლები უფრო ჩქარა იტრიალებენ. მთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ერთი გზა არის, „მათი აწმყო და მათი მერმისი იყოს მიზანში მტრის ამოღება.

ყველა დღე მწარეა, ორმოცდაათი წლის შემოქმედი ალბათ უფრო ეჭვიანიცაა, უფრო დაძაბული, თითებშუა მიძერება სილა უდაბნოსი ხოლო პოეზიის გზა არაბეთის უდაბნოზე გადის.

ვეებერთელა მზე ავგაროზივით ჰკიდია ზეცას, ჩვენგან შექმნილ ზეცას, „ფრჩხილებიდან სისხლის ღვენთ“, მივდივართ დაუპყრობელი მწვერვალების. კენ, საქართველოს სილამაზის გამო, გაოცების გამო, შიშველი ოცნებების გამო, უჭირისუფლოდ დაძარხულთა გამო, რაჭული ჭურების გამო, ყოფნა-არყოფნის გამო. ღირს თუ არა იცოცხლო და ემსახურო ადამიანთა შორიან გადებულ, სისხლითა და ტანჯვით ვადებულ ხიდს, რომელზედაც —

...სიცოცხლე ცეკვით მიდის
ბალღობიდან სიბერემდის.

რა თქმა უნდა ღირს, უთუოდ ღირს.

სულითა და გულით გილოცავ, შენ, ოთარ ჭელიძეს, ნახევარი საუკუნის გავლას და შენსავე სტრიქონს მოგაგონებ „დაუპყრობელი მწვერვალიდან:

„ქვების ფხოჭნით, ხოხვით, ცოცვით, მაგრამ მაინც წინ და მაღლა.“

სულ წინ და მაღლა გევლოს, ძმაო ოთარ.

ჯანსულ ჩარკვიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედუარდ მენაბდე

ევროპა: გუშინ, დღეს, ხვალ...

დღეს, როდესაც „ცივი ომის“ მყინვარსაფარი, როგორც ფიქრობენ, საბოლოოდ გადნა და პოლიტიკური ატმოსფერო მთელ მსოფლიოში შესაძისებელად გაუთბა, დადგა ეპოქა მიღწეული აქვეკეთილდან გადაეხედოთ როგორც ახლო თუ შორეულ წარსულს, ისე იმედით განათებულ მომავლის პერსპექტივას.

ჩვენი ეპოქისაოის ნიშანდობლივია, რომ აწრუდგ ახლა კაცობრობამ დაიწყო წარსული ომების თავისებური დამალსანსება: გამოუთვლელი, რომ ადამიანთა ცივილიზაციის არსებობის უკანასკნელი 5 500 წლის მანძილზე ჩატარდა დაახლოებით 14.500 ომი, რომელმაც ამსხვერპლა მეტი ადამიანი, ვიდრე მსოფლიოში ცხოვრობს. ბალანსი ჩვეულებრივად საქმის დამთავრების შემდეგ გამოყავთ. მაგ შეგვიძლია ვიკითხოთ: ნუთუ ომების ეპოქა საბოლოოდ ჩაბარდა ისტორიას?

სამწუხაროდ, კატეგორიული პასუხი ამ კითხვაზე ჯერ არა ვეძლევა, მაგრამ უდავოა, რომ ადამიანთა სახოგადოებაში, აზროვნებაში ხდება მძლავრი, უაღრესად მნიშვნელოვანი გარდატეხა, მე ვიტყოდი — თავისებური ჰუმანიტარული რევოლუცია, რომელიც აწოსახსოვრებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით დარღვეულ შეფარდებას ტექნიკის მიღწევებსა და პოლიტიკურ აზროვნებას შორის. ადამიანმა, როგორც ჩანს, უკვე შეიგნო საკუთარი შესაძლებლობანი, ისიც კი, რომ მას ძალუძს კითხვის ქვეშ დააყენოს მთელი თავისი არსებობა.

ისტორია მეტწილად ყველამ ვიცით. გვახსოვს ისიც, რომ ბარბეროსი ნიმანნი ნიშანსვეტები პოლიტიკურ ისტორიაში დაკავშირებული იყო სარგონის, ალექსანდრე მაკედონელის, ჰანიბალის, კარლოს დიდის, ბათო-ყაენის, თემურ-ლენგის, ფრიდრიხ ბარბაროსას, ნაპოლეონის, ჰიტლერის და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ სახელთან, რომელთა თანმიმდევრული რიგი ზშირად წარმოქმნდნდა ოფიციალური ისტორიის პერიოდიზაციას: „მაკედონელის, თემურ-ლენგისა თუ ნაპოლეონის ეპოქები“, — ვამბობდით ჩვენ და ფიქრს ვივიწყებდით ეუმარიტად საამაყო სახელებს: არისტოტელე, გალილეი, ნიუტონი, ანშტაინი, დანტე, შოთა, ტოლსტოი, დოსტოევსკი... ითვლებოდა, რომ ისინი „ეპოქას“ არ ქმნიდნენ.

თავის გამოსვლაში თათბირზე ჰელსინკში 1975 წლის 31 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა: „აქ, ევროპაში, არაერთხელ დაუდგამთ თავზე საეკეო „დაფნის გვირგვინები“ აგრესორებს, რომლებსაც შემდეგ ხალხთა წყეული-კრეული ხედათ წოლად. აქ, ევროპაში, პოლიტიკურ დოქტრინად უქცეულთო მსოფლიო ბატონობის პრეტენზიები, რაც ამ სახელმწიფოთა კრახით დამთავრებულა, რომელთა რესურსები დანაშაულებრივ კაცთმოძულეობის მიზნებს ემსახურებოდა“.

ეს არის წარსული ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი. მართლაც, ევროპის მრავალტანჯულ კონტინენტზე უხეად დაღვრილი სისხლი ვერ ასწრებდა შედედებას: ათასწლეულებს მანძილზე ორი-სამი საუკუნე თუ იყო მშვიდობიანი: ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპელის დეკადა დაყოფილი იყო შემდეგნაირად: ცხრა დღე ომი და ერთი დღე დასვენება.

ამასთან ვინ ჯერდებოდა ხანმოკლე შეტაკებებს! საქმე ზშირად „სოლიდურად“ იყო აწყობილი: ისტორიამ იცის შვიდწლიანი, ოცდაათწლიანი და ასწლიანი ომებიც კი. ევროპამ ამ საქმეშიც შეიტანა თავისი წვლილი და არა მარტო დროში, არამედ სივრცეშიც გაბარდა ამ შეტაკებათა მასშტაბები: სწორედ აქ დაიწყო და ძირითადად მიმდინარეობდა ორი მსოფლიო ომი, რომლებმაც მილიონობით ადამიანი ამსხვერპლეს. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომში მოწაწყლეიმდა 60 სახელმწიფო, დაიღუპა 54 მილიონი ადამიანი, დაინგრა ათასობით ქალაქი და სოფელი, განადგურდა უამრავი კულტურის ძეგლი და ფასეულობანი. ევროპის „ცივილიზაციას“ ყოველთვის ფართო გაეპნება ჰქონდა!

და იყო კიდევ ერთი ომი, ხანგრძლივი ოცდაათწლიანი ომი; ომი იარაღის გარეშე, მაგრამ მეტად დაბალი და საოცრად საშინი, რადგანაც მის ოქეთ იწყებოდა კატასტროფა, თერმო-

ბირთვული უძირო უფსკრული. ეს იყო „ცივი ომი“, და განა ევროპას შეეძლო მონაწილეობა არ მიეღო მასში? სწორედ ევროპის კონტინენტის შუაგულში გადოდა „ფრონტის ხაზი“ — ე. წ. „რკინის ფარდა“. მსოფლიო შუაზე გაიპო, ჩაებღაუჭა საშინელ იარაღს და დაიძახა.

მაგრამ ყოველ ომს იდრე თუ გვიან დასასრული მოსდევს, ყველაფერი კაპიტულაციით ან საზავო მოლაპარაკებით მთავრდება. ასე, მაგალითად, ასწლიანი ომის (1337–1453 წ.წ.) უკანასკნელი აკორდი ბორდოში გაისმა, ოცდაათწლიანისა (1618–1648 წ.წ.) — ვესტფალიაში, შვიდწლიანისა (1756-1763 წ.წ.) — პარიზსა და ჰუბერტსბურგში; ნაპოლეონის ომები აღინიშნა ვენის კონგრესით (1815 წ.), ხოლო პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა ხელშეკრულებით ვერსალში (1919 წ.). ყველა ამ შეთანხმებათა შესახებ შეიძლება ვთქვათ ჟან-ჟაკ რუსოს სიტყვებით: „ყოველი ხელშეკრულება უფრო დროებითი შესვენებაა, ვიდრე ნამდვილი მშვიდობა“.

„ცივი ომის“ უკანასკნელმა საათმა კი ფინეთის დედაქალაქ — ჰელსინკში დაკრა. აქ, ასამტალულ ადგილ სასახლე „ფინეთში“ („სუომი — ტალოში“, როგორც მას ფინელები უწოდებენ), რომელიც აშენდა მსოფლიოში განამტკიცო არქიტექტორის ალვარ აალტოს პროექტის მიხედვით, 1975 წლის 30 ივლისიდან 1 აგვისტოამდე მიმდინარეობდა სრულიად ევროპის თათბირის მესამე ეტაპის სხდომები უმაღლეს დონეზე და ხელმოწერილი იყო დასკვნით აქტი, რომელშაც წერტილი დასვა „ცივი ომის“ ისტორიაზე.

ჰელსინკში თათბირის დაწყებამდე და მისი მსვლელობის დროსაც ბევრი პოლიტიკოსი, მეცნიერი თუ მიმოხილველი გაერთო წარსულში შესაფერისი ანალოგის ძებნით, რისთვისაც მათ გადაეხედეს საკმაოდ შორეულ მაგალითებსაც, ვენის კონგრესამდეც კი ჩავიდნენ, მაგრამ ამაოდ — ჰელსინკის „წინაპრები“ არ ჰყოლია. ეს იყო სრულიად ახალი მოვლენა მსოფლიო ისტორიაში. ძირეული სხვაობა კი ამაში მდგომარეობდა, რომ აქ არავინ იყო დამარცხებული, დაჩაგრული და ვიძალადაკავებული. ეს იყო არა ცეცხლმსროლელი იარაღისა და ხიშტის, არამედ გონების ზეიმი, როგორც ეს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა ჰელსინკში. „მოიგო ყველამ, — თქვა მან, — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებმა, სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების კავშირებმა მონაწილეებისა და ნეიტრალური, პატარა და დიდი სახელმწიფოების ხალხებმა. ეს არის ყველას გამარჯვება, ეისთვისაც ძვირფასია ჩვენი პლანეტის მშვიდობა და უშიშროება“.

ანალოგიური შეფასება მისცეს თათბირს არა მარტო სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა, არამედ დასავლთის სადაც და რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკურმა ... ხელმწიფო მოღვაწეებმაც. ჰელსინკის თათბირზე სპეციალ სტუმარმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კურტ ვალდჰაიმმა აღნიშნა: „ასეთი შეკრება უნიკალურია ჩვენი საუკუნის ისტორიაში, შესაძლოა, მთელ ისტორიაში, რადგანაც მისი მიზანია არა ომის დამთავრება, ან ზავის პირობების განსაზღვრა, არამედ არსებული მშვიდობის საფუძვლების განმტკიცება“.

ამავე დროს თათბირი ჰელსინკში, როგორც უბრეკენდენტო მოვლენა ისტორიაში, წარმოადგენს საერთაშორისო ცხოვრებაში ახალი სოციალისტური ნაკადის შემოჭრის შედეგს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს ფრიდრიხ ენგელსი აღნიშნავდა, რომ ევროპის უშიშროება დაკავშირებულია სოციალიზმის გამარჯვებასთან, რომ მშვიდობა ამ კონტინენტზე დაამყარებს მას შემდეგ, რაც ახალი წყობა გამარჯვებს რუსეთში. ამიტომ განა უნდა გვიკვირდეს ის ამბავი, რომ ფორტში ფინეთის დედაქალაქში წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ინიციატივის წარმატებით დაგვირგვინებას, პარტიის XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამის ხორცშესხმას. სავსებით ლოგიკურია ისიც, რომ მშვიდობის უზარმაზარი არმიის ერთ-ერთი მთავარსარდალი არის საბჭოთა კომუნისტების ლიდერი — ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევი.

დღეს სრული დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მთელი კაცობრობის მიერ სრულიად ევროპის თათბირის შედეგებიდან სწორი დასკვნის გაკეთება, ფინეთის დედაქალაქში წარმოქმნილი „ჰპუულის თანმამდეგრული განვითარება დიდებით შეამკობს ჰელსინკის, რომელიც უდაოდ დარჩდილავს კანონსა და პუტეინს, აუსტერლიცისა და ვატერლოოს დიდებას, რადგანაც ამ შემთხვევაში გამარჯვებულთა წარმატებამ არ წარმოქმნია სიძულვილის გრძნობა, შურისძიებისა, ანგარიშსწორებისა და რევანშის წყურვილი. ჰელსინკის დეკლარაცია არის მოწოდება ხალხთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობისაკენ.

სრულიად ევროპის თათბირის დასკვნითი აქტი — უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც შეგვიძლია შევადაროთ ძველოდან გაერთიანებული ერების წესდებას. მეტიც, თუ ეს უკანასკნელი ძირითადად იურიდიულ (საერთაშორისო-სამართლებრივ) დოკუმენტს წარმოადგენს, ჰელსინკის დეკლარაციას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, რადგანაც იგი არის არა მარტო მიღწეულის დადასტურება, არამედ შემდგომი განვითარების პერსპექტივის კონკრეტული დასახვაც. იგი თვალსაზრისს ჩვენი ეპოქის დინამიზმს,

ადამიანთა **საზოგადოების** პროგრესის გზით განვითარების ხასიათს.

ეს მოტივი ეტერად თითქმის ყოველ გამოსვლაში ჰელსინკში. აბსანგმა ლ. ი. ბრეჟნევმა შენიშნა, რომ „მიღწეული ზღვარი არ არის, დღეს ეს შესაძლებლობის მაქსიმუმია, ხვალ კი იგი უნდა გახდეს ამოსავალი წერტილი ინ მიმართულებებით შემდგომი წინსვლისათვის, რომლებიც თათბირმა დასახა".

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ჩვენ გვაქვს ვალდებულებანი ჩვენი შვილებისა და ყველა კონტინენტის შვილების წინაშე ხელიდან არ გავუშვათ არც ერთი შესაძლებელობა, რათა შეექმნათ უკეთესი და უფრო უშიშარი სამყარო... ჩვენ არ უნდა მოველოდეთ სასწაულს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ მოდგმე პროგრესს, ახალ-ახალ ნაბიჯებს პროგრესის გზაზე... ისტორია ამ თათბირის შესახებ იმსჯელებს არა იმის მიხედვით, თუ რას ვლაპარაკობთ ჩვენ დღეს, არამედ იმ საქმეებით, რომელთაც გავაკეთებთ ხვალ, არა იმ დაპირებებით, რომელთაც ვიძლევით, არამედ იმით, თუ როგორ შევასრულებთ ამ დაპირებას".

სრული ჭეშმარიტებაა! მაგრამ... დიახ, ორიოდე თვეც კი არ იყო გასული ჰელსინკში დასკვნით აქტის ხელმოწერის დღიდან, რომ მსოფლიო პრესაში ავლაც გაჩნდა ესოდენ არასასურველი „მაკრამ", რომელიც ამჯერად დაკავშირებული იყო ორი სოციალური სისტემის სახელმწიფოთა განსხვავებულ რეაქციასთან ჰელსინკში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. საბჭოთა კავშირმა წამოაყენა წინადადებანი ატომური იარაღის გამოცდების სრული შეწყვეტის შესახებ, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ნატომაც გააკეთა „სათანადო დასკვნები" და უკვე სეტქმებრის შუარიცხეებში დაიწყო უდიდესი სამხედრო მანევრები დასავლეთ გერმანიისა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

ამავე დროს კვლავ თავი წამოყვეს გარკვეული **ფრთხილ** მიჩუმებულმა „ქორებმა" და კვლავ **გაამძაფრეს** მათი დამოკიდებულება სამხედროსამრეწველო კომპლექსთან, რეაქციასა და ანტიკომუნისტებთან. მათ ბანაში არაფერი შეცვლილა: ეს იგივე ფრანკ-იოზეფ შტრაუსია, იგივე ჯორჯ მინია, იგივე იოზეფ ლუსნია. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ სწორედ ჰელსინკში თათბირის დამთავრების შემდეგ ჩინეთის მოსოტყობა ხელმძღვანელობამ კვლავ გულში ზიაკია დასავლეთ გერმანიის რეაქციის მეთაური — შტრაუსი, რომელიც საერთაშორისო დაბალანსებულობის განმუტვეის თბილეა სიომ პეკინს გაექცია.

მე მიხარია, რომ ჩემი გჯერა.
მოდი. მომშივდა. მომწყურდა. მცივა
ვერ დადგიწყუე, ვერა და ვერა,
ვერც დადგიწყებ და, ალბათ, ხვალეი
მომეწაფება კვლავ ბოელი ძალით
და კვლავ ვიფიქრებ, რომ ყველა ქალმა
ჩემს სულში უნდა დატოვოს კვალი,

ამ მონოლოგში მართლაც გასაოცარ ეკს-პრესიულობას აღწევს პოეტი. სთქმელი დიდი ხანია მის სულშია გაცნობიერებული. მეტყველება დანაწევრდა, სინტაქსი გამარტივდა. აზრი ოდნავ გაბუნდოვანდა, მაგრამ ამასთანავე დაიწყო მკითხველის დაინტერესება იმით, რაც დაფარულია. შინაგანი მონოლოგი სრულიადაც არაა მოულოდნელი, რადგან კიდევ ერთხელ ვარწმუნდებით, რომ ყოველივე, რაც ჰამდენ ითქვა, ან აწი ითქმის პოემაში, შობაქცევლებებით გამოწვეული ამსტრაქტული მსჯელობა კი არაა, არამედ ცოცხალი ადამიანის მიერ გაწყვეული და გაუზრუნველი, რომელსაც უყვარს და პოემის ძირითადი იდეური ბაზის ორგანულ გაგრძელებად მიაჩნია ამ ვრძნობით აღძრული, თავისი ღრმად სუბიექტური ხილვებისა და ემოციების გადმოცემა.

შინაგან მონოლოგს ისევ ზოგადი მსჯელობა მოსდევს.

კვალი კი ნიშნავს, რომ ვიღაც მიდის,
დიდი ხნით მიდის, ან სამუდამოდ,
მაგრამ შესაბმნივ ადგილზე კიდებს
ნიშნებს, რომლისაც სჯერა უდავოდ.
ერთნაირია ყოველთვის ქალი,
მაგრამ არ არის ერთფეროვანი.
ის საგნებს აძლევს ხმასა და ძალას,
როგორც თანხმოვან ბგერებს ხმოვანნი.

დროებით ლექსის დინამიკა სუსტდება, რა-თა იქვე ახალი ძალით იფეთქოს.

და აი, უკვე თენდება კიდევ.
რა ადვე ადგილ შენს ბევრმდით ღამე.
გამოჩნდა ქუჩა, თალი და ხიდი.
დარაჯებს ფანარ უდგათ და ავამენ.
და სიბნელიდან გამოდის, რომი,
რომელიც აკრობს დროსა და მანძილს,
რაც გადაურჩა უთავოლა ომებს
და გაირეკა უთავოლვა ხანძრით.
და მონებს მოაქვთ ქვეყნის ქონება,
თითო სასახლე ჩკიდია თითოს
და ვალმოხდილი ლეგიონები
ელოდებიან ქუბას და ჯილდოს.
ეს კი სამხსვერპლო ცეცხლის ბოლია
რომელიც ცაში ცასკენით ადის
და გაჩაღებულ კაპიტოლიუმს
უახლოვდება კეისრის ლანდი.
შენ მოეწაფე და ხალხში გეძებს,
რომ ერთხელ კიდევ მიგიკრას მკერდზე,
რომ ერთხელ კიდევ შეგაბოს ხელი,
როგორც სამყარო, ურჩი და ვრცელი.
და არცკი იცის, რომ მხოლოდ წუხელ
ვნებამ პირველად დაგიფრთხო ძილი
და ვიღაც უცხოს მიეცი უხვად
თაფლიც და ცეცხლიც კეისრის წილი.

ყველაფერი ეშმაკრატი და მარადი, **რაც** ერთ ერს შეუქმნია და რაც ესთეტიკური ღირებულების მქონეა, ასევე ძვირფასი შეიძლება იყოს სხვა ერის წარმომადგენლისთვისაც. ამაში მეტადენებრნ ხელოვნების ზოგადაკაცობრიული ბუნება. ამ კუთხიდან ო. ჭილაძისათვის ისევე ძვირფასი ქალაქია რომი, როგორც მშობლიური თბილისი. ასეთი შედარება მასთან ყოველგვარ ბანალურობას მოკლებულია:

მე ალალბედზე მივყვები ქუჩებს
და მსურს ვიარო დიდხანს და ნელა,
როგორც თბილისში. და ვამჩნევ უცებ,
რომ სულში რაღაც გაჩნდა და ღელავს.
მე ამ ქალაქში დღეს ჩამოვედი,
დღეს გადავხადე პირველად ფარდა,
მაგრამ მე ასე ვიღელავ ყოველთვის,
როდესაც ვრჩები საყვარელ ქალთან.
და თვალებს ვხუმავ, რომ უფრო ცხადად
და უფრო ახლოს ვიგრძნო წარსული
გმირობასავით დიდი და ხადა,
მაგრამ თანდათან ფერგადასული.

განწყობილებათა ცვალებადობაზე აგებული ეს პოემა ამპულსურია, შედარებით მდორე ადგილებს, ძძაური მონოლოგები ენაცვლება ო. ჭილაძე მონტაჟის **ოსტატია**. გადასვლები ისე ხდება **მის პოემებში, რომ** თითქმის არე შეიმჩნევა. თითვარია, **თდდოდანე** პოეტის თვალით შეხედო **ხიტენში და** მოგ-

ლენებს, მიგრამ ამისათვის შინაგანად უნდა იყო მომზადებული; რადგან გართგენული სიკადილისა და დაბეგრილობის მიუხედავად ო. ჭილაძის პოეზია რთული და ძნელად აღსაგმელია უმეტესობისთვისაც.

ლექსში „მოხეტიალე კუნძული“ პოეტი ამბობს:

ის შენში უნდა აღმოაჩინონ;
შენს არსებაში!
მაგრამ ამისთვის
ბევრ რამეს უნდა ეთხრა უარი:
უნდა ჩამოხსნა ძმინე ფარდები
და გამოაღო სულის ხარმელი
და აღარ მიწვე უსუსურობას
და მორჩილების დამპალ ძირძებზე,
ნარკომანივით გაოგნებული
ყალბი სინათლით.

„მოხეტიალე კუნძული“ თავისებური გასაღებია ო. ჭილაძის შემოქმედებისა. ამ ლექსში ჩანს რა დინამწოლებას ანიგებს პოეტი სიტყვას, ფიქრს. „მოხეტიალე კუნძული“ პოეტის აღსარებაა, სადაც ოვი ვგვიჩვენებს ლექსის შემნის იდეამდე და მეტად მტკივნეულ პროცესს.

და აი, ფურცლის ვლუვ ზედაპირზე
ამოდის სიტყვა,
ამოდის, როგორც ფულიდან ხმელეთი
და მკვდარი ფსკერის დორბლი და ზლამი
გადაშენებულ თევზების ჩონჩხი
და მარგალიტად ქცეული ცრემლი,
(ჩემი თუ სხვისი),
ამოაქვს მაღლა.
ეს სიტყვა ჩემი კუნძულია,
მე ამ კუნძულზე
ჩემი სიცოცხლე გადავზიდე და ბინელ
მლვიმეში

დავბინავე სტალაქტიტივით
მადლობელი ვარ ამ ტკივილისთვის
მე ფიქრი მტკივა, როგორც ხეიბარს
დიდი ხნის წინად მოკრილი ფეხი
ტკივდება ხოლმე.

პოეტის სუბიექტურ განცდას არსებობის უფლება ყოველ დროს ჰქონდა, მაგრამ ზზოლოდ მაშინაა ფასეული, როცა მეთხეველისათვის მახლობელი და გასაგები ხდება. ო. ჭილაძე პოეზიას ადამიანის კეთილდღეობისათვის სამსახურის მაღალ ფუნქციას აკისრებს:

დახეტიალობს ჩემი კუნძული
პირველყოფილი გულუბრყვილობით
დარწმუნებული, რომ საჭიროა,
რომ ვინმეს მაინც მიუწვრების სულზე
ამბელა ზღვაში.
ესაა მხოლოდ მისი მიზანი...

ცხოვრებაში დგება ხოლმე წუთები, როცა ხელოვანი ეკუდება საკუთარ ნამოფეფეფარეში. არც ოთარ ჭილაძისთვისაა უცხო მიდწეული დაუკმაყოფილებლობის გრძნობა:

ბედნიერი ვარ. მადლობთ. ნახვამდის.
ეს განშორება იმედით მავსებს.
არ მეკადო ღმერთო და ბედს დავეკადე
და თავის ჯნებას მახვევდა თავზე.
რაც დღემდე მოხდა, მოხდა თავისით.
მე არაფერში არ ჩავრეულვარ.
დრო კი გაფრინდა და ჯერ არ ვიცი,
რა გამოხტაცა ჩემმა რეკულმა.
რაც დღემდე ითქვა, ქარიანთვის თქვა.
სათქმელს ხურვილი ჭარბობდა თქმისა
და ვარსკვლავივით შორეულ მიზნის
ძალლივით მწარედ უეკეთდა სიტყვა.

(„ბედნიერი ვარ. მადლობთ. ნახვამდის“)

შეიძლება მიზანი გაცილებით დიდი იყო და მთლანად არაა მიღწეული, მაგრამ ის, რაც თავბრუდამხვევად მსრბოლოვდა დროს გამოსტაცა პოეტის რეკულმა, ეს შემარიტი თვითმყოფადობით აღბეჭდილი მაღალი პოეზიაა. ამის დადასტურებაა სწორედ კრებული „გულის მეორე მხარე“. ბევრი კარგი ლექსი არ შეიტანა მასში ო. ჭილაძემ, ალბათ შეგნებულად, მაგრამ ის, რაც ამ კრებულში მოხვდა, ნათელ წარმოდგენას გვიმენის პოეტის როლად და ადგილად შემოქმედებით გზაზე. კრებულში შესული უკანასკნელი ლექსები 1971 წლითაა დათარიღებული. 1974 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ლექსებიც ამ კრებულის ორგანული გაგრძელებად გვესახება. ბოლოხანს ო. ჭილაძემ პროზაშიც სცადა ბედი. მისი რომანის გამოსვლის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მისი პოეტური ფანტაზია უშრეტია.

ახლა, ო. ჭილაძე პოეტური სიმწიფის ხანაში იმყოფება და სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მისი ტალენტი ახალი უშეკთ გაბრწყინდება. ამის იმედს ვვამლევს შემოქმედებითი პროცესის ის სიოუთი, მტკივნეული განცდა, რომელიც ოთარ ჭილაძის ყოველ ლექსში მეფავნდება და რომელიც თვითონ ასე გამოხატა ლექსში „მოწაზე მძიმე“:

...დაუმთავრებელ ძეგლებივით დგანან დღეები
და ღამეები ნოეტბათევ ხაფლავებს გვანან...
ყოველ ძეგლს უნდა შეეტაოვო მე სულის
სიხსნა,
ყველა საფლავში უნდა ჩავეწვედე, რომ
ბგერახავივით
ეკვნთავიანუფლელ დუმილისგან, ანდა შუქივით
გვნთავიანუფლელ სიბნელისაგან და
ფოთოლივით
შემოვაბრუნო ჩემსკენ შენი სმენა და თვალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერი ალიმონიკა

კოლხური მზის სადიდებელი

მურმან ჯგუბერია პირველსავე წიგნში გამოკვეთილი სახით წაროდგა მკითხველს (ლექსები, მერანი, 1969 წ.). სადა სტრიქონი, ნატიფი, დახვეწილი. თითქოს მზითა და მწვანით განწავებულ გარემოში მოციმციმე. სტრიქონმიღმიერი აზრი, ასოციაციებით აღქმული. სტრიქონშორისი სივრცეები, პოეტური სახეები — სიმბოლური .შინაგანი სმენით გაფაქიზებული მუსიკა; ფერისა და ბგერის სინთეზი, — ორმაგი ასოციაციის შერწყმა. ალეგორიცია ბუნებრივი, ფერშეწყობილი, მსუბუქად ხმოვანი. არსი ლექსისა — შინაგანი მზერით განათვალული. რიტმი მრავალხმოვანი და ქმედითი. პოეტური თვალი — სამყაროს მმვერტი. ნაღვლიანად ამშოვანებული ინტონაცია:

ხალამოს პირას მიცდიდა მწუხრი,
მეგობარივით ველოდი რიერაეს,
ღამის წკვარამი მიზრდიდა წუხილს
და შრიალებდა ნაბარზე ქვაში.

თუ მხატვრულობის ერთ-ერთ ნიშნად გულწრფელობასაც მივიჩნევთ, ეს გულწრფელობა გაუყრელია მისი ლექსებისა. ამიტომაც მსუბუქად მოფინავს ჩვენში პოეტური ნაღველი, მშობლიური სანახების ხილვით რომ აღძერია პოეტს. ბუნება, სოფლის გარემო, მავანი შორს მიმავალი, ან იქვე „ოდის წინარე" მომუშაკე, — ესაა პოეტის მზერის არეალი. და ამ დინამიური ფერწერიდან დანახული ქვეყანა. სამყარო და სიცოცხლე, სამყარო და სიკეთილი, სიკეთე ერთიანი, განუყოფელი. ბუნება — ამონთებული დღესასწაული:

როცა ხავსივ გული ხიმღერით
და უსახრულო გგონია წუთი,
ნუ ჩავფიქრებს წუთისოფლის
წარუვალობა...

მურმან ჯგუბერია ცდილობს პოეტური ხილვებით შეაღწიოს ცხოვრების არსში, მოიხილოს ყოველი მოვლენისა თუ საგნის დაუოკებელი ხელი, შეიმეცნოს სიკეთილ-სიცოცხლის ილუმალება. სამისოდ მოხმობილი პეიზაჟი შორდება კერძო სურათს, ზოგადდება, რაც ამდიდრებს პოეტური წარმოსახვის ხარისხს. არსად მაღალფარდოვანება, ზერელე მედიტაცია, ფილოსოფიური პოზა. მაღალ მატერიებს განრიდებული მსჯელობა. სიმარტივე ბუნებისა, კაცის ცხოვრებისა; და ამ სიმარტივეში გაცნობიერებული დამთრგუნველი განცდა, ფილოსოფიური განსჯაც რომ ვერ მოგანიშებთ ზოგჯერ. „საღამო იყო და ყანას ჩკიდნენ და ყანის ხმაზე მღერადნენ წლები" — უბრალოდ ამბობს პოეტი, და გრძნობთ წარმავლობისა და ცხოვრების ერთფეროვნების ულმობელობას. პოეტი რომ ცხოვრების არსში შეღწევას ლამობს, ეს მის რიტორულ შეკითხვებშიც ვლინდება იგი. კითხვები ფაქტიურად პასუხებია სამყაროს იდუმალებათა ამოცანობლობისა:

სალ მიდის ეს სოფელი, ნეტავ?
სალ მიდის, ვის გულის ხმა მიმეკავს?

იქ სოფლის შუკაში რომ მიდის მავანი,
თუ იცის, ნეტავი, სალ მიდის?

იდუმალებათა ამოცანობისას პოეტი არა მარტო კაცთა სიცხოვრისეულს დასტრიალებს (რაგორც ეს ჩანს ლექსებიდან: „რატომ არ სძინავთ", „მხედარი"), არამედ მთელს ორგანულ და არაორგანულ სამყაროს. მისთვის განუყოფელია ეს ორი სამყარო, ერთიერთში განზავებული, ერთი მთლიანობის წარმომქმნელი, ჰარმონიაში განცდილი. პოეტის წარმოსახვაში ბუნება და ადამიანის სიცოცხლე ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. აქედან, მიბრუნება დასაბამიერ ბუნებაში, რომელიც ერთიანია და განუყოფელი. ეს განუყოფლობა არის კიდეც განშვრეტა ბუნების პირველყოფლობისა. ამასთან არის დაკავშირებული სამყაროს რიტმის აღქმა, ბუნების კანონებში წვდომა, რომელიც გაიძულებთ მასთან ერთად იგ-

ზოგრით ისე, რომ არ გადალახოთ მისი ბუნებრივი კანონზომიერებანი. და ბუნება სუბსტანციურად წარმოგვიდგება. არავითარი ზღვრები შავსა და თეთრს, ბნელსა და ნათელს შორის. სამყარო განიცდება ერთიან სიცოცხლის დამამკვიდრებელ უფლებად. სიკეთეც ისე მსუბუქად არის ნაგრძნობი, თითქოს სიცოცხლის ერთ-ერთი ფორმა იყოს, მისი სახეცვლება, ან გაგრძელება. ჩიტი —

გალობდა! ჰაზვინ სავსე ბუნებას
სულ არ აკრთობდა სოფლის ვაება,
და ზოგჯერ ქარი დალულუნებდა
თავის სიცოცხლეს და უკვდავებას...

მურმან ჯგუბერაის მხატვრულ აზროვნებაში პეიზაჟს სპეციფიკური ფუნქცია აქვს დაკისრებული. ბუნება მისთვის ის სამოქმედო ასპარეზია, რომელიც პოეტურობით მუხტავს მის ლექსებს. მაგრამ ბუნება წარმოდგენილია არა როგორც ფონი, საშუალება, არამედ როგორც ორგანული, უბიერტესი ხატი. პოეტი მრავალფეროვნად განიცდის და წარმოსახავს ბუნებას; ზოგჯერ პეიზაჟი რეალურ ფერებში განხატებული ფერწერაა, ზოგჯერ წარმოსახული, ირრეალური. ირრეალურია იმის გამო, რომ ფანტასტიკური სურათი შექმნას, ჩააქსოვოს მასში თავისი სათქმელი. ხშირად დინამიურია ეს ფერწერა, და მას აზრის სიმბოლური გახსნის ფუნქციაც ენიჭება. პოეტი ასეთ ფრთ საკუთარი ინდივიდუური შეფერილობით მოსავს ბუნებას, განსხვავებული ასოციაციებით და წარმოდგენებით. ჩვენთვისაც უცხოა ბუნება და შიმეხბლავი: „და მყუდროება შემოდის სოფლად და ხეს აჭიმებს ნაყოფი თვისი და ტკაცუნებენ ჩტოება ღამით და ვარსკვლავებს ფაფრნი ისმის, და მიწის თბილი სუნნელით მთვრალი ალიონამდე ლოცულნებს ქარი“. მწვანე ფერის ასოციაცია უკვდავების მაუწყებელია მისთვის („მე ერთ წვეთი სიმწვანე მინდა, სულ ერთი წვეთი უკვდავი ფერი“). და მართლაც, არც ერთი ფერი ასე ძალმოსილებით არ აღძრავს ადამიანში სიცოცხლის სიცხადეს, როგორც მზით განათებული მწვანე ფერი. აქ პეიზაჟი თვითმიზნად არ არის კეთული. მასში ვლინდება სიცოცხლისა და ბუნების სიმშვენიერე, მოძრაობაში განცდილი.

ზემოთ აღვნიშნე, მურმან ჯგუბერია პეიზაჟს ინდივიდიური ფერებითა და საღებავებით მოსავს მეთქი. მაგრამ ეს ისე მცირე დოზითაა მოცემული, სხვა შემოხვევაში შეიძლება ყურადღებაც არ გაგვემახვილებინა. მისთვის რომ პეიზაჟი უმთავრესი მასალა არ იყოს პოეტური წარმოსახვისათვის. ამიტომაც ჩავეძიე ასერიგად მისეულ პეიზაჟს. იგი ფოტოგრაფიული ამპარტის სისწრაფით „გამოიუერს“ იმ წამიერ ხატს, სწორედ მისეულ განწყობას. რომ ესადაგება; და მხატვრულად გარდასახავს. ეს პეიზაჟი პლასტიურობას იძენს, პოეტის „მეს“ მიღმა მდებარე. ზოგჯერ კი დინამიზმითაც ეხმიანება. ერთი ასეთი შედარება: მურმან ჯგუბერაის ლექსები მაგრდეს პოიზნრნტალურ ბალიშ მცირე სარკველს, რომელთა შორისაც მხედველი თვალი მთელ სამყაროს ჭვრეტს. პოეტის მახვილი თვალი ისეთ რიგზე წაუწყდება ბუნებაში, რაც სხვისთვის უჩინარია. გასაოცარი სიფაქიზით შეიგრძნობს ფერს. ისე გამახელებულიერ აქვს ფერითი ასოციაცია, რომ ზოგჯერ სმენით უფნემენდაც აღიქვამს:

სანაპიროზე, შედამებისას,
როცა აგროვებს ფერიე ნიკარა
მდინარის ხმას და ნიავის ფაჩუნს,
როცა ჩიტივით ფუსფუსებს გული
და უნდა რადაც გითხრას მკაფიოდ,
ასე მგონია ისმის ბუნება
და უმცირესი ქვაშის მარცვალი
მოუსვენარი სმენის ნაპირთან
ნელა ფუჩუნებს, როგორც სიზმარი...

მურმან ჯგუბერაის ლექსებს ჯასდეეს რომანტიკულ განწყობილებათა გამა. მაგრამ ეს რომანტიზმი გამოხატულია არა იმდენად გარეგნულ ფორმებში, სტილისტურ ხერხებსა და ნიშნებში, რამდენადაც შინაგან სულიერ ლტოლვაში. რა ფორმითაც არ უნდა განვითარდეს მომავალში პოეზია, რაგინდ მკაცრ კანონებსა და „ულმობელ“ ზოედეებში ჩააყენონ, რომანტიზმს მაინც ვერ დავაღწევთ თავს, რადგანაც რომანტიზმი, ჩემი აზრით, უწინარესად ადამიანური ბუნების სუბსტანციური გამოხატულებაა, და არა ლიტერატურული. რომანტიზმი გამოვლენილ ლიტერატურულ ძმდინარეობად იქცევა მაშინ, როცა ადამიანები, ნებსით თუ უნებლიედ, ელტვიან თავისი პირველყოფილი ფსიქოლოგიის, ზნეობრივი, წარმოდგენებისა თუ სამყაროს დაუნაწევრებელი, ჰარმონიული აღქმის გამოვლენას (ასეთი იყო ზოგადად ფეცხარმეტი საუკუნე). მურმან ჯგუბერაის რომანტიკულ განწყობილებათა რეალიზაციაში ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს წარსულის გახსენება იკავებს. პოეტი საოცარის სიწრფელითა და უშუალობით განიცდის მოგონებულ წლებს, დაუბინდავ ბავშვობას, ოდეს ყოველი უზრუნველეობით, სინათლეთა და ეკუთვნებაყვილობით იყო აღსავსე (სხვათა შორის, ეს ბავშვური გულუბრყვილობაც გადაკვრაეს ხოლმე მის მსოფლშეგრძნებას). პოეტი ამ ჩუნვეგე განცდას მსუბუქად ეხებოდა, რაც ნაღვეელს აღძრავს ჩვენში: „შეეღამებამდე ვრეგბოდით მინდრად, ვინაზოვებდით ლიფსიტა ალვებს, ოდის შუკებით გაგვყრიდა ბინდი და დაღლილი მზე გვესიზმრებოდა დღე თენდებოდა... კალავ სხვებივით მიეწერალებდით ძნიდერისეულ ერთად, ნახარის ვმწყემსავდით, მზეზე ვეყარეთ, დრო გადიოდა საოცრად ნელა. სოელ ქვიშაზე ვხატავდით მზეებს და გუვნებდნენ ცხელი მზეები და ფრთხიალებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზზეზე ჩიტები". დრო მდგრადია, წარუდგენელი. დღე დღეკვნდელი და დღე გუშინდელი არ არიან გაყოფილნი გუშმეორეული კედლით. არსებითად, წარსულის არსი სხვა არაფერია, თუ არა ნაწილი დაუსაბამობისა, დაუსრულებლობისა და უხილავი მთელისა, რომელშიც თავს იყრის აგრეთვე აწმყოცა და მომავალიც. წარსულის ობიექტური ახრი დაკავშირებულია ამ ერთიანს, განუყოფელ მთლიანობასთან.

ზეშთად უკვე ვთქვი, რომ მურმან ჯგუბერიას ფრაზა სადაა და დახვეწილი. მაგრამ ეს სისადავე მხოლოდ პოეტური ტექნიკის სრულყოფის შედეგი როდია, — მისი პიროვნული სტილიცაა, მხატვრულ-ესთეტური უშუალობაცაა, მი-ნი სულიერი წყობის ბუნებაა. სტრიქონის ასეთი სინტაქსეთ დავიკვეთნ კიდეც: მართლა უბრალოებაა თუ პრიმიტივიზმი. მისი თვისებაა პოეტური ჩანაფიქრის არა პირდაპირი გამხელა, არამედ პერიფრაზირებთან გათქმა, მინიშნება საკაზე, რაღაცნირი ვაიდუმლება. ზოგჯერ იმპრესიონისტული ტონალობაც შეაქვს პეიზაჟის წარმოსახვისას. ამის მიღმა იმეცნებს ჩკოთხველი პოეტის მსოფლშეგრძნებებს. მკითხველს ეჭვი არ არის უსაფუძვლო. მურმან ჯგუბერიას ღალატის ხოლმე ზომიერების გრძნობა. მას სურვილი აქვს პირდაპირი სტრიქონების იქით რაღაც სხვა ვეთხრას, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს. მხატვრულად განსურულებელი, ბანალური ახრი შეგრჩება ხოლმე ხელთ. ასე ადვილვან ამ სტრიქონებს:

ზეცა გაიყვეს მზემ და ჩიტებმა
და საპარილოდ მოსულ ბალაზზე
წვეს და ღილინებს დაღლილი ხვიჩა,
რომ ყველფაფერი არის ლამაზი...

მხატვრული ჩანაფიქრით სრულყოფილი ლექსების ვეგრილთ პოეტი ფრაგმენტულ, განუსრულებელ ლექსებაც გვთავაზობს. განუსრულებელ მხატვრულობითაც და ემოციურ-შემეცნებითი თვალსაზრისითაც. ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს ლექსები: „გაბედეთ", „ადრე", „ტყე მოსდევნია ქალეს უზმრამდ", „სახლს თვითმფრინავის დაეცა ჩრდილი", „როგორც ბალახის გაკრძელება". ისინი უმალ ჩანახატებია, ესკიზებია, ვიდრე დასრულებული ლექსები. ფრაგმენტულნი არიან ანა პოეტოლობით, არამედ შინაგანი პოეტური სიერცით.

მურმან ჯგუბერიას ლექსებში მკითხველი უსათუოდ შეიგრძნობს განცდის პირველადობას, წარმოსახვის იდილიურობას. მისი სტრიქონი შვიდია, მაგრამ არა ინერტული, ქმედითია, შინაგანად დამუხტული. მისთვის უცხოა არამეტუ მყვარია, ხმამაღალი ფრაზაც კი. განსაკაიდეშალვებულია, გაშინაგნებულია, ხილვითია. ეს განსაკა რეალიზდება არა პირდაპირ, არამედ გაშუალებულად, შთამბეჭდილებებთან, ასოციაციურად. ასე მესახება ლექსი „სიზმრები":

დასერინობენ ტყეში უჩიმრად...
ხოლო როდესაც
მწუხრი დაფარავს ტყისპირა სოფლებს
დაუფვნია ბალეკს ჩუქრაშელთ,
აფრინდებიან მაღალ ღობეებთან.
და... ეწყვეთან ნთვეულარე ოდებს...
ეკმთენიისას ისევ ტუსაკენ პიფარფატებენ...

მურმან ჯგუბერია სიტყვასთან ემოციურ კონტაქტს აყალებს. თითქოს სიტყვები რაღაცოსანური ახრის (ან თუნდაც, ირაციონალური პოეტური ახრის) წარმოსაჩენად კი არ ეწყვილებიან ერთმანეთს, არამედ დამოუკიდებელი არსებობა რომ შეიძინონ. პოეტურ კონტექსტში ისინი ცოცხლობენ, ვითარცა სულიერი არსებანი. ცოცხალ ორგანიზმებად აღიქმებიან. პოეტის მიმართება სიტყვებისადმი არ არის განურჩეველი, მის ლექსებში ყველა სიტყვას თანაბარი ადგილი არ უჭირავს. გამორჩევით უყვარს ზოგიერთები: **მწუხრი, მიმწუხრი,** წკვარამი, ჯარგვალი, ნელიად, სანახი, ცირა, ენინარე, გაუძლიი, ტურცხლი, კიაფობს, ოდა, ქარმბრია, გაწვართული, აშეეტილი, შეეტი, ფიორა. ზოგიერთი სიტყვები სასაუბრო ქარაფულში არ ხმარობა (ანდა, ძალზე იშეითად). ზოგიერთ მათგანს, მწიგნობრულად ეადმოსულს, გარდასულის ეერიც კი დაჭარავს. მაგრამ მურმან ჯგუბერია ისეთნაირი ორიგინალობით მოუხმობს მათ, თვისებრივსა და ბუნებრივს ანენს. ერთადაიგივე სიტყვის მრავალსახოვანი მიმოქცევაც ამის შედეგია. პოეტს შეუსახსოვრებია ეს სიტყვები, ინტუიციურად გრძნობს სიტყვის პირველარსს. მოვიყვან სანიმუშო სტრიქონებს: „მზემ მიიდრიკა სხეული მეცხალი", „მწუხრის ფრთაზე შრიალეს ჩალა", „ბალე სანახებს დფარავს ბნელი", „გაირიგრავა... სადღაც მიხტის წყარო უცადი, თან ტყე ხმიანებს ტანმრეული და გამეუწყლდი", „და სალამურ ბინდს შეერია", „მოეჩინე ეფრანში მარადი შემოღამება", „ელავს ობოლი ღამის სანთური და გაუქლისი ზავი სიმძიმით", „ხმიანებს ქარი და ღვივის მიწა", „უმეერის ყამით გაცევთილ ოდებს", „მიირხეოდა ფიორა ყვავლი"; მაგრამ არაიშვიათად საწინააღმდეგო შემთხვევებსაც აქვს ადგილი. სიტყვა ხელოვნურად არის ჩასმული კონტექსტში, თითქოს სტრიქონიდან ლამობსო ამოვარდნას. ერთიდაიგივე სიტყვა მეტნაკლები ღირსებებისა გეხვენებთან, ამისადმიხედვით — როგორია მისი სასეიოცხო არეალი. ხდება ხოლმე, რომ პოეტის საყვარელი სიტყვა ცვდება, როცა ძალზე ხშირად და მოუხერხებლად რეალიზდება პოეტურ კონტეკსტში. ასეთ დროს სიტყვათწყობა სტერეოტიპულ სახეს იძენს. მაგალითად: „ხეფულიანია მოხნული მიწა", „ხეიფლიან ხნულ-

ლერი ალიმონაკი
კოლეხური მზეს ალდიდებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბზა“, „ციური ფიქრიანი ულელი“, „წაფერენილი **ულელი“**; **„ცირას“** ხშირი ხმარებაც მომპბეზზრებელი. ამ სიტყვის სიმონ ჩიქოვანმა გაუსწორა **კარი** ქართული პოეზიაში და პოეტურობითაც **აღეშენა**. მისი ხმარება არავის ეკრძალება, **არც** მურმან ჯგუბურიას, **მაგრამ** ზომიერების დაცვაა აუცილებელი, რადგანაც სიტყვა ტრაგედიული ხდება დროთა განმავლობაში. **მურ**მან ჯგუბურია ხშირად არა, **მაგრამ** მაინც **მაძახ**თავს **სტრიქონს ჩიქოვანისეულ** კონსტრუქციას. **ეს კონსტრუქცია** ტაპახია იმდენად ინდივიდუალ-პლეონეზმი, **მაგ**ისი ადგილი **აშკარა უხერხულობას** ქმნის. ასეთებია: „ბზა **დაკარგა თუ ქლარენი** ეკვინს“, „ცირა დაკარგ**ეს თუ ბზილი ზეფმა**“, „ზორაა **ცეცხლი** და ქონი **ილლის**“, „**დღე** გთთვალთვალებს თუ ღამე **გიშზერს**“, „**ბუბრის** ნიფოტი **თუ** ბუბრის კვამლი“.

ასეთ **შედარებებს** უნდა მოერიდოს პოეტი: „ქალიშვილი — ასრალის ტოტი“, „მიაქვეთ ურ**მებით** თივა — ზაფხულშია“. ამ სახის შედარებათა ვარიანტა **დაუსრულებლად** შეიძლება (გარდა ამისა, რომ მოძველებულ იერსაც ტოვებენენ). შედარება **უნდა** იყოს ისე ზუსტი, **რომ** მკითხველს სხვა **ვარიანტის** ფარმოდგენის შესაძლებლობა გამოერიცხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯობს სულაც გადერდოთ მას. მეტაფორაში კიდევ შეიძლება შენიღბვა, იგი ასე თუ ისე ფარული, შედარებისას კი ყველაფერი სანჩინოა — შედარებულია და შესადარებელიც შედარება უფრო **მეტ** სიფრთხილეს მოითხოვს. პოეტს **რომ** უბრალოდ ეთქვა: „**მიწა** ბაღივადა... **ასრალის** ტოტი **ირხევა** ნელა“ — არაფერი წახდებოდა. ხოლო ქვევით: „და ირეკა ზზის ნამეცები — მწიფე — **მწიფე** მარცვლები ხორბლის“ — შედარება **აქ** მაქსიმალურად ზუსტია და შინაგანი ლოგიკით **განსაზ**ღვრული. **მზის** სხივებია და **ხორბლის მარცვ**ლებიც **სიცოცხლის** მაუწყებელია.

მურმან **ჯგუბურია ზოგჯერ ერთსა** და იმავე **აზრსა თუ** განწყობილებას მრავალგზისი ვარიაციით გვთავაზობს. **ეს მხატვრული** მეთოდი **ექვემდებარება** პოეტ**ის ზოგად** ეანონებს, **მაგრამ სასურველია ბადმოიცეს** რადიკალურად **ვანსხვავებული** მხატვრული ფორმებით; თორემ ისეთი **შთაბეჭდილება** გექმნებათ, თითქოს პოეტი **ლექსს რამდენიმე** ვარიანტს გვთავაზობდეს.

არიან პოეტები, **რომელთა** მსოფლგაგებასაც ეოოლად შევიმეცნებთ, **ზოგისას** — ვერა. ეს **არც** ნაკლია, **არც** ღირსება. მხატვრულ თვისობრიობითა სხვადასხვაობა. ეურმან ჯგუბურიას ლექსების წაკითხვისას გაგიჭირდებთ განსაზღვრა ერთი რომელიმე მკვეთრად გამოხატული მიმართებისა. არა იმიტომ, **არ** ჰქონდეს, ან ძნელი იყოს მისი ამოცნობა, — ასეთია მისი მხატვრული მეთოდი: მინიშნება, ბოლომდეი **ვანუფუმეცლობა აბრისა, დაუსრულებლობა, ზოგა**ჯერ — განწყობილების **იმპრეზიონისტულობა**. მისი პოეზია უმალ მსოფლშეგრძნებათა გამოცულენა, სამყაროსადმი ირაციონალური დამოკიდებულებაა. ვანხილული ზოგნი პოეტის ერთი ხილულობაა, ერთი სახეფფელით დანახული სამყაროა, ერთი განფფენილობაა.

2

მურმან ჯგუბურიას მეორე წიგნი (ლექსები, საპეშთა საკარფველო, 1971 წ.) წარმატებული გაგრძელებაა პირველი წიგნისა. იგი არ ფალატობს თავის მხატვრულ პრინციპებს. ვიიზარდა პოეტური ხედვის არეალი. პოეტი ცდილობს სხვა მხრიდანაც შეხედოს მოვლენას, საგანს, ბუნებას. ეს ცდა **ზოგჯერ** წარმატებით მთავრდება, **ზოგჯერ... არა, მარცხით არა, მაგრამ** არც **გამარჯვებით**.

მურმან ჯგუბურიას **ლექსებში შემოდონ**ია **მანამდე** უცნობმა **მოტივებ**ი. **ეს არის** სოფლის გაუკაცრიელებით გამოწვეული **საწუხარი**. არც მოფლოდნელი იყო. პოეტისათვის სოფელი ისე ორგანულია და **შეთბილი**ია, **ამ** გაწყობას ბუნებრივი იერი **შეაქვს ლექსში**: „სინწმიდე კიდევ დუქანია, და სინწმი მიღმა კიცი არ გკთხოვს: სად ყოფილხარ, **ან** საით მიხვალ“.

მურმან ჯგუბურიასათვის სოფელი არა მარტო შემეცნებითი ფაკორია, არამედ ესთეტიკური განცდის სარბეელიც, პოეტი ორგანულად არის შეზრდილი სოფლის ყოველ ატრიბუტს. სოფელი ყველაფერია მისთვის. აქვე მინდა შეენიშნო: თუ პირველ წიგნში (მეორე წიგნის მთელ რიგ ლექსებშიც) სოფელი განცდილია როგორც მინიატურული სამყარო, ხოლო გზად მიმავალი ვლეჭაკაი — ადამიანი ზოგადად, ამ წიგნში თავის რეალურ კონტურებს უბრუნდება და უფრო კონკრეტულ სახეს იძენს. **პოეტს** ფიქრები დღენიადაგ სოფელს დასტრიალებს თავს, მისთა ხარობს, ეუხს, ყოველივეს მას უკავშირებს და ყოველი მისგან იშვის. **პოეტს** ღრმად გაუთვალისწინებია **სოფელი თავი**სი არსით, თავისი ტრადიციითა თუ **აწმყოთა**, თქმულებებითა და ზღაპრებით (ფოლკლორული მოტივებიც გაეონავს ხოლმე). ზოგჯერ **მის** მიერ წარმოსახული სოფელი რეალობასაც მოკლებული, ფანტასტიკური ფერებით შემოსილი. ამიტომაც არის მურმან ჯუბურიას სოფელი ეგზომ მომხიბლავი:

გთიბეს ყელი. დაახვავეს ზვანები თივის.
შინ შემოპრუნდნენ მთიბავები **მწუხრზე**
ნელილად.
მოვიდა ღამე ნამიანი და ოდნავ ცივი.
მსუბუქი ქარი აწვალებდა **გამხმარ** ლელიანს.
აწ—ჩემს სოფელში ზამთრისწინა ფლეეი
დიან,
აცელილ ველზე დაფარფატებს **მყივარი**
ქორი;

მიდის ვიდაცა და ხოსოლიდან ბინდბუნდზე მიაკვს
ქალაქში თავი, და გზა უდევს — ბნელი და შორი...

ისეთი შთაბეჭდილება გრიგბამ, თითქოს პოეტი ბუნებას სურათებში იმაზე მეტს ხედავს, რასაც დანახვიერ რიგით ადამიანს ძალუძს. მასა და ბუნებას შორის მაგიური ქაფენი გაბმულ; პოეტი უმალ მკრძნობელია ბუნებისა, ვიდრე რაციონალური მკვლევრი. მის მიერ დასახელილ პეიზაჟში წერტილის დარად ჩანს ადამიანი. გიურკვეველია ამ ადამიანის მოძრაობის მიმართულება. („და როგორც შიში, მიეხეტება ჯნდ ხორციელი", „ბიდის ვიღაცა და სოფლიდან ბინდბუნდზე მიაკვს ქალაქში თავი, და გზა უდევს—ბნელი და შორი", „ბიმწუხრზე მიდის ჯნდ მარტოხელი", „მუხა დატოვა გამოკვაბულთან, შიგნით შევიდა ძეხორციელი"). ადამიანი ნაწილია ბუნებისა, მისი ორგანული ეკმინაყოფა, არ უპირისპირდება ბუნებას, ავსებენ ერთმანეთს. ბუნებას ადამიანისათვის სასიცოცხლო ძალა აქვს („ბალე წმოიგი წვიმა შრიალა და გაიდვიძეს მძინებელი სოფლის მიმწუხრზე მიდის ჯნდ მარტოხელი და აკვირდება თავის ზეციასს ჩუმი ხალისით").

მერმან ჯგუბერია ცდილობს პეიზაჟში გამოავლინოს ქართული სული, ქართველი კაცის ხასიათი. ამიტომ არის, მისი პეიზაჟი რომ არქაული სიმშვიდით სუნთქავს, ბრიელოფიანი სიკეთითა და სიმშვიდით აღსავსეა. ბუნებას მოვლენებნი ისევ პერსონიფიცირებულია, ისევ ანიმიზმით გაფიქნთილი. რატომ არის ბუნება ცოცდი? იგი დაუსრულებელი სიცოცხლისა და აზრის სიმბოლოა. და ამ ბუნებაში „მუხა მიწყივ მუშაკობდეს"—ეს არის პოეტის იდეალი. ამაში ხედავს ადამიანის სიცოცხლეს ხვედრსა და მიზანს.

მერმან ჯგუბერია ესწრაფვის თავისი მხატვრული ესთეტიკა წმინდად პოეტურ ვანწყობილებებს დაუშორჩილოს, მხოლოდ ის აღმოაჩვინა, რასაც გრძნობს, რასაც შინაგანი სულიერი წყობა უკარნახებს. არავითარი ხელოვნური ჩარევა, სოციალური მოქმედების უკუფეენა, იდეის მკეთილი წარმოჩენა. ფერეგზსა და ბეგრებსაც უშუალოდ და ბუნების შესატყვისი კანონზომიერებით ანლაგებს. თუ სოციალური მოტივით განპირობებული ვანწყობილება სადმე გამოკონსა, მას არსებითი როლი არ ენიჭება პოეტის მსოფლშეგრძნების წარმოჩენაში. იგი მხოლოდ უშუალოდ განცდილს რეალიზებაა.

ოთიოდ სიტყვა კვლავ პეიზაჟის გამო. პოეტი, ბუნების ფერწერაზეა აღწერის მერე, რომელსაც ბეგრნთი ველოდიაც თან ახლავს, ლექსის დასასრულს ამბობს სათქმელს. ეს სტილისტური ხერხი ფეისებრივი მისთვის. მკითხველი მოულოდნელობის. გრძნობით ისევ კითხვისა, ცდილობს ბოლოსდე ჩასწვდეს ლექსის ბერ შემოთავაზებულ პეიზაჟს; ლექსის „ბმე ესეეგნება მწუხრის მოებში"—სამ სტროფში სოფლის გარეშია აღწერილი. ბოლო სტროფში პოეტი თავის თავს ეკითხება: „ეე ეე არა ვარ, ეე არა ვარ, სად ვარ ნეტავ?" მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამით მინდა ვთქვა, რომ მურმან ჯგუბერიისთვის პეიზაჟი არ არის ნატურალისტური ალეგორია ან ალეგორია, — გარკვეული იდეის მანიშნებელია. ამ პრინციპს ზოგჯერ აბრალ გაუფერულებამდეც მიაკვეს. პოეტი („ტარისი"). მერმან ჯგუბერიის პეიზაჟეგ ამდენს ამიტომ ვსაუბრობ, რომ ეგი მხოლოდ საშუალება კი არ არის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების წარმოსაჩენად, არამედ პოეტური ცხოვრების დასაბამიცაა და დასასრულიც. პოეტი ცდილობს საგანთა იდუმალი არსის შეცნობას არა მისი დაშლისა და დანაწევრების გზით, არამედ მისი მთლიანობაში განცდით; რომ არ დაუპირისპირდეს ბუნებას, დარჩეს მის ნაწილად, შეინარჩუნოს ღვთთიმამალვლებული ჰარმონია. ამიტომაც არ გარდაქმნის პოეტი ბუნებას სუბიექტურ ფსიქეკეი, მაქსიმალურად არ ანიეგებს თავის ზრახვებს. დანახულ პეიზაჟში ადმოაჩენს პოეზიას; იგი მეგრეტები ბუნებისა და არა მასში განზავებული; თითქოს პოეტი ბზერდეს მხოლოდ მისთვის სასურველ ხილულ ფერ ზოლოგ უცნაურობად და სასწაულებს სიმყარისს, და ეს საოცრანაი ჯადოებენენ, იპყრობენ პოეტს. ამ ბიბს კიდეც: „და ხელისუფლნ მისვენია მარადალი ხორბლის... როგორც ქუანები, უსასრულოდ შემცირებული". პოეტი ბუნებას უყურებ-ად გაფაქიზებული სმენით აღიქვამს. მეორე წიგნში მისი პეიზაჟი უფრო ფერწერული და პლასტიური ბანდა, მეტი ფერადოვნება და სინაზე შეიძინა. ეშვიათად ადმიეკამს ასე გაფაქიზებულად ვარსკვლავი:

ის დიდი ღამის ცქერამ მოიგონა
და მოიფია, გვიან, ნეფილნელ;
პატარა ფეო. ცრემლისადენა,
ოპოოლი, ნაზი და მოწყენილი

უკეე ვვქონდა საუბარი მურმან ჯგუბერიას მიმართებაზე სიტყვებთან; მას უყალოსად ფაქიზი დამოკიდებულება აქვს სიტყვებთან. ეგრეთვე ალენაშნეთ, რომ ზოგჯერ სიტყვა, ან სიტყვათა ჯგუფი ხელოვნურ ფორმ ალარბეს, სტერეოტიპად იქცევა ხშირი და მოუხელოვნელი ხმარებისაგან. ერთი ასეთი სიტყვაა „წარიალი". პოეტი ამ სიტყვას სხვადასხვა კონტექსტში მიმართავს. ზოგან ბუნებრივად გამოიყენება, ზოგან ამკარად ზედმეტია. კარგი

ო�p პოეტი ამბობს: „რაღაც უთქმელი და **შეთბილეული** ხმით წყრიალებდა დაღლილი ელენა“. არ შეიძლება ყველაფერი წყრიალებდეს: ელენაც, მზის სხივიც („და წყრიალებ-**დნენ სხივები მზისა**“), წვიმაც („წვიმების წყრიალი“), ამბებიც („**მზეს** დაიბეგი წყრიალა ამბები“), სიმღა („და ავლა **წყრიალებს** სიმი ციტარის“) ცელიც („**ალიან წყრიალეს** ცელი— ფხიზელი“), ვარსკ**ვლავთა ქნეშაც („ხახუნავებ-ზე** ვარსკვლავთა **ქუთა** ცდაა და **ისმის** სწრა-ფი წყრიალი“), **ადამიანებიც („მივეწყრალებ-დით** მინდვრისკენ **ერთად“).** და ბოლოს სიტყვა „წყრიალს“ სხვა **მნიშვნელობა** აქვს: „დაარწ-რიალოო“ — ეტყვიან დასუფთავების სინონიმად. **ეს სიტყვა** ასეთ შემთხვევაში ეპითეტსაც მოიცავს.

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ მურმან ჯგუბურაის ლექსის ფორმის შესახებ. მურმან ჯგუბერაი უმთავრესად კლასიკური ლექსთწყობის განმგრძობია, კლასიკური ლექსთწყობაში ფორმა თვალსაჩინოა, აშკარად არის გამოხატული მისი შემადგენელი კომპონენტები. რაც არ უნდა ღრმა და ყოველისმომცველი იყოს მასში მოქცეული აზრი, მაინც ვერ გადასცემს ამ ფორმის საზღვრებს. **მურმან** ჯგუბურაის ლექსი, კლასიკური **ლექსთწყობისაგე** ფარგლებში, ოდნავ არღვევს **სიტერიის** და ამ ასიმეტრიით ამორფულად **წარმოგვიდგენს** ტიკას და ეს ამ მოქცეულ **შინაარსს;** ეს მოგეტნი ისე უმნიშვნელო **ღიზით** არის მოცემული, უაღრესად გაფაქიზებულ **სმენას** და ეონეტისთვის მოითხოვს. პოეტი კარგად ფლობს სხვადასხვა რიტმულ **ფორმებს. მისი ტერმინებიც** ნატიფია და მსუბუქი.

3

მურმან ჯგუბურაის მესამე წიგნში (ლექსები, მერანი, 1972 წ.) შესულია ლექსები ისევ სადაა, ფორმა ნატიფი, დახვეწილი. კვლავ ისეთივე ფაქიზი მიმართება სტრიქონებისადმი, სიტყვასადმი. ოგივე კატეგორიები: ბუნება, პეიზაჟი, სოფელი, ადამიანი. ისევ მთა პირველადფიერი ჩანს. მაგრამ აჩვენებული ფერებისა და ხმების, პეიზაჟებისა და მოვლენების უსასრულო ვარიერებამ ერთგვარად განაღვა მისი ლექსებისადმი მკითხველის შთაბეჭდილება. ზემოთ აღვნიშნე, პოეტის მიმართება სამყაროსადმი **სწორეხზოვანია,** ერთი ხილულობაა, ერთი განდ**ევნილობაა-ბეთქვ.** ეს სწორეხზოვბრიობა თავ**ისებურ ხიერსაც** ქმნიდა. სწორედ ეს სწორ**ხაზობრიობა** ქმნიდა **მის** პოეზიას მომხიბლავს, **თავისებურს,** სპეციფიურს. როგორც კი შეეცადა შეეტანა კორეტივი ამ ბილულობაში, მაშინვე სპარიისაკენ შედგი მიიღო. ასე მგონია, ჩინგურის სამი სიმიდან პოეტი **მზოლოდ ერთს** ახმიანებდა. როგორც კი სამივე ერთად ახმეთან, დაირღვა ჰარმონია და ველოდის მა**გ ერთად** მყიფე ხმები **გამოსცეს** სიმებმა. პოეტი ეშმაკობაზეს ზედაპირზე **წამოტეტეტდა,** კითხულობთ ამ კოგბუოლში დასტამბული ლექსების უმრავლესობას და სინანული გიპყრობთ: სადღაა განცდის ის უშუალობა, სტრიქონშორისები, აზრის სიმმოლურობა, სტრიქონის პოეტერობა. გრძნობთ, რომ პოეტი ინერციით მიდის, თითქოს არ სურს ფლოლტის ამეგბეტეგ ზნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვეღარ ახერხებს. **ბევრ მის** ლექსს ხელოვნურობისა და **ამეგბეტეგ** ოემის ოეცილებლად მიხმობის დღი **ახსა. მის** ლექსებში შეიპარა პოეზიის დაუძინებელი მტერი: რეალისმის ფოტოგრაფიუელ პრიფეცირება, **ნატურალიზმი.** როგორც აზრის ჭიდეკესას არ უძეგს წილი პოეზიასთან, განწყობილების გალექსვაც უხეშ **უხერხულობას** ქმნის. შეიმჩნევა პირველადი აზრისა და განცდის ზედაპირული რეალიზაცია. ოგი ჩქარა მოდის, ფაესსე ქრება; ასეთები წიგნში ბევრია.

პოეტი ამბობს: „ვით წვიმის მერე მოკიმეცემ ხეზე კვირტები, ისე სუფთაა და კამკამა ჩემი ფიქრები“. ლექსში ასეთი განცხადებები უხერხულია. პოეტის ფიქრები ეაცილებით „სუფთა“ იყო მაშინ, როცა ამას არ გვეუბნებოდა. რომანტიკულ განწყობილებათა ზერელე რეალიზაციამ აზრობრივი გამოსახულების **სტერეოტიპამდე** მიიყვანა პოეტი. გაჭრილი ვაშლივით გვანან ერომანენთს ლექსები: „გალეუფფირო, ეიტყვი, როგორც რისმე“ და „ზუგდიდის ბალში“, — იდეური ჩანაფიქრით, მხოლოდ იმ განსხვავებით, პირველში მომავლის გაფრაქვეულია წარმოჩენილი, მეორეში — წარსულისა. ამ ლექსთა პოეტური განწყობილება არ ზემოძვედებს კარა ინტერეს, რომ არ თანავუგრძნობ მათში მოქცეულ აზრს, არამედ ინტერეს, ისინი მდარე მხატვრულ ფორმაშია არიან მოქცეულნი, ბანალობის იერიც დაკრავეთ. მურმან ჯგუბერაის მესამე წიგნში კიდევ ერთი ახალი თვისება გაჩნდა; ადრე პოეტი მცირე ფორმიან ლექსებს მიმართავდა. მოეხედავად ამისა, მაინც ახერხებდა მიეღწია მათში მხატვრული სრულყოფილებისა და განზოგადებისათვის, აზრის სიმმოლურობისათვის. ახლა პოეტმა შემოგვთავაზა შედარებით გრძელი ლექსები, ციკლებიც კი. მოხდა საწინააღმდეგო: პოეტმა ვერ შეძლო შეენარჩუნებინა აღრინდელი თვისება. არავითარი მიღმა პოეტური სამყარო ალარ იგრძნობა ამ ლექსებში. თითქოს ლექსი კედელს აკერესო, რამდენიც **არ უნდა** უტარიალოთ, ერთი ხედის მეტს ვერ უთვალთ. კვლავ მოგუბმოთ ნიმუშს:

როცა ბეიურეკი — ტყიისპირია აყვავებული.
მოჩანს ჯიხური, ოდა-სახლი მოჩანს
მეგრული.
ლვავის ჭალაკი, მზე მალდადგა
თვალმოზიმზიმე,
მიგაქვს კალთაი, დაცვარული ველი
ციმციმებს.

გარემოს ადგას შენეული ფერი კეთილი,
მიწა დაბალი, მაღალ ცაა გადაწმენდილი.

მშობლიური კუთხის ფეტიშირებით დაჯარგა ზომიერების გრძნობა, მკითხველსაც დაუკარგა ნდობა და სიმპათია. როცა პოეტი პეიზაჟს განსზოგადებულ ხარისხს ანიჭებდა და მაკროსამყაროს წარმოგვადგენინებდა, ეს გასაგები და მისაღები იყო, ხოლო როცა წმინდა კონკრეტიზაციით აღბეჭდავ და გადაჭარბებული იდეალიზირებით შემოსა, ეს უკვე მხატვრულად პრიზიციული შეცდომაა. მრავალგზის ითქვა, რომ მერმან ჯგუბურიას პოეტური ხედვის არე არის სოფელი (სამყარო) და გლეხი (მაკანი, ადამიანი ზოგადად). ისიც ითქვა, რომ ეს სოფელი არ არის კონკრეტული სოფელი, რომ მასში უკეთესენება მისი პოეტური სამყარო და მასთან მიმართებანი. ამ დროს ადამიანისა და სამყაროს ერთიანობა ქმნიდა სწორედ იმ პოეტურ მომხიბლაობას, რომელსაც მერმან ჯგუბურია ალ ეშვედა ადრინდელ ლექსებში და, მე მგონია, ცნობედა ისეთი ლექსის პოეტური ხარისხი, სადაც პოეტი და ბუნება შორდებიან ერთმანეთს. სხვა შემთხვევაში, იქნება ბუნებრივიც კი ყოფილიყო ამგვარი ალქმა სამყაროსი (ეს პოეტის მსოფლშეგრძნებაზეა დაფუძნებული), ხოლო ამჟამად ხელოვნურად, ნაძალადევად გამოიყურება. სოფლის, მშობლიური გარემოს მონატრების უფლება დიახაც აქვს პოეტს, მაგრამ ამ გაწწყობილების ვიწრო ლოკალურ ჩარჩოებში მოქცევა, ვიმეორებ, აკნინებს ლექსის პოეტურ ხარისხს, მოკლებულია გულწრფელობასაც.

ზემოთ ექვი გამოვქვი, მერმან ჯგუბურია ბეწვის ხიდზე გადისმეფენ: ერთი ნაბიჯი აშორებდა მას სისადავიდან პრიმიტიულობამდე. ექვი გამართლდა. თუ ადრინდელ ლექსებში პოეტი ინარჩუნებდა ზომიერების გრძნობას, ახლა დაიკარგა ეს ზომიერება და პრიმიტიულობამაც კარ დააყოფნა. პოეტი აშკარად დაშორდა თავის მხატვრულ ორიენტაციას და უკიდურესობამდ დაიპყრო. აეიღოთ ლექსი: **„მე გამახსენდა უეცარად ჩემი ოჯუმი“.** მერმან ჯგუბურიამ უარყო ის, რასაც ელოლიავებოდა. ამ ლექსის კითხვისას არ შეიძლება არ იგრძნოთ, ძალიან რბილად რომ ვთქვა, ავტორის ზერელე, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება პოეზიისადმი. შინაარსის სიმწირე, პოეტური ფორმის უსუფურობა, ვიწრო თვალსაწიერი. აკეთია აღნიშნული ლექსი:

მე გამახსენდა უეცარად ჩემი ოჯუმი:
ურმის ბრიალი და სალამის ჭალისპირეთი.
ელანტაციიდან ბრუნდებიან სოფლის ცირები,
მე გამახსენდა უეცარად ჩემი ოჯუმი.

რამ გამახსენა უეცარად ჩემი ოჯუმი?
მიდის ჩიქოლი ქვაჩახია გულგალღილი.

მეუშაობს გლეხი და სავსე აქვს მარად
ბედლეში.

მე გამახსენდა უეცარად ჩემი ოჯუმი.

რამ დამაგიწყა ამდენი ხნით ჩემი ოჯუმი?
დიდი გიორგი ფიქრიანი გასცქერს სანახებს,
შორია ფიქრი და ეკერება ფეხებს ტალახი,
მე გამახსენდა უეცარად ჩემი ოჯუმი.

მე გამახსენდა უეცარად ჩემი ოჯუმი:
პიცოლარეში ტკბილთან ერთად ჭიდგებს
წიწაკას,
ან რას ვისწავლი მე სხვანაირ
ცხოვრებისაგან, —
რამ დამავიწყოს ქვეყანაზე ჩემი ოჯუმი!

პოეტი ისე გატაცებულია მშობლიური გარემოს იდეალიზაციით, ლამის მამულად ეთნოგრაფიული კუთხე აღვიქვათ. ეს ვიწრო თვალსაწიერი პოეტის ადრინდელ ლექსებშიც გამოკრთებოდა ხოლმე ანა-ინ: ახლა კი გადმოლახა საზღვრები. თითქმის მთელი წიგნი გაეღენთოთ ამ პათოსით. ციკლი „ოჯოს საშინაოც“ ამ პათოსის მსხვერპლია. პოემა ისტორიული რეალობის იმიტაციაა. რეალობის პირდაპირი ასახვა არ ექვემდებარება ლირიულ პოეზიას. მით უფრო ეგრეთვითარ შედგენ ვერ მოგვეცემს ისტორიული რეალობის იმიტაციის ასახვა. ამბის გალეკვნა და სამყაროს ზერელე დამკვირებლობა, ხიღიულს ფოტოგრაფიული ასახვა ვერ მოგვანეზს ჭეშმარიტ პოეტურ კმაყოფილებას. რა არის ყოველივე ამის მიზეზი? ვფიქრობ, მიზეზი ისაა, რომ პოეტი შემოსაზღვრა ვიწრო თემატიკით, წინა პლანზე წამოიწია თემამ. თემამ დაიპყრო ლექსი. თემა ვაგდა ლექსის საყრდენ ბურკეში. მაშინ, როცა ჭეშმარიტ პოეზიაში თემა საშუალებაა, ფინია გარკვეული მსოფლმხედველობისა და მხატვრული პრინციპების გასამღიავნებლად. განსაკუთრებით ლირიული პოეზიისათვის თემას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

მიუხედავად ამ ხარვეზებისა, წიგნში არის ლექსები, რომლებიც სიღრმენით იკითხება. არსებითი, რაც ამ ლექსთა ღირსებებს განსაზღვრავს, არის ძიება, ცდა უფრო მეტი სიღრმით იქნეს შეცნობილი ფაქტობრივი ფერმალებანი („ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები“). პოეტი ცდილობს ამოიცნოს, რა არის ადამიანის სოფლად არსებობის მიზანი, აზრი, სად წწყება და სად თავდება მისი ბედნიერება თუ უბედურება. აქ თავს იჩენს პოეტის ლტოლვა შეუცნობის შესაცნობად, წყდომა და გაიზრება ყოველივე იდუმალისა. რა ძალა ამოძრავებს ადამიანს, რა უზენაესი ძალიერება განაგებს მის ყოფიერებას, რა წარმართავს მის ენებებს, ქცევებს; ამ კით-

ხვებით არის დატვირთული ეს სტროიტნები: „რა მიამღერებს ფუსფუსა ღელეს, როდესაც ზღვაში დახრჩობა ელის, რაზე ტირიან ვარსკვლავნი ღამით, ან მზის შესახებ რა იცის მთვარემ, მბორგავი ზღვებით დაწყნარ აფრებს რას ეუბნება ნათელი შორი; ვინ ნაადგინა ჩრდილები ხეებზე, ვინ გაალიანა ფოფინნი ნისლი, ვინ მოიყვანა ჭკვიანი ცეცხლი, მთას ნაფეხური ანნია ვისი, მამლის ყივილი რატომ წყვიტს ღამეს, **მზის** ჩასვლით რატომ იწყვება მწუხრი, ორწოხებს რაზე უგალობს ქარი ან უფსკრულსკენ გზა რატომ მიდის... მზე რატომ უფლის **გველსა** და ჩიტებს, ან ცის ნნათობთა ნაირი ფერით რატომ ხარობენ კაცი და ეშმა და თვით ხარება რა არი ნეტავ?“ თუ პოეტისათვის ადრინდელ ნაწარმოებებში ბუნება მხოლოდ სიხარულის მომნიეველი იყო, ახლა ყოფიერების მძაფრმა განცდამ შემოიარა. ამან ერთგვარად დაარღვია ჰარმონია პოეტსა და სამყაროს ერთიანობას შორის, რამაც მის განცდებს მეტი სიმწვავე შეატა. მურმან ჯგუბურია ცდილობს უფრო მეტი სიღრმით შეიმეცნოს საკუთარი თავი და გარემომცველი სინამდვილე, უფრო ღრმად შეიჭრას ადამიანის პიროვნულ წიაღში და წარმოვიდგინოს მისი მიმართებანი სამყაროსთან. თითქოს პეიზაჟიც გიფერმკრთალდა, უღიმღამო და სტატიური გახდა, თითქოს წაეფთიფა სიცოცხლის ნიშატი. ავისმომსმენელებელი სამყუდროვე დავინებულა გარშემო. ერთფეროვნების უძოაობა, გაურკვეველობის ერთფეროვნება გამეფებულა:

ბუნდოვნად გახსოვს გარდასული, და
მომავალი
არავინ იცის რას მოიტანს, და უცნაური
ენაა სწორი, რომ გეკითხა, ალარაფერი
არ ხდება თითქოს, ჩვეულებრივ მიდის
ცხოვრება.

მიდამო ღამეული ზმანებებითაა აღვსილი, შეიგრძნობა რეალობის სომნამბულისტური განცდა, რეალობის ირეალობად წარმოსახვა. საღამოური ფერი სველით აღავსებს პოეტს. და ეს უბრალო კაპრიზი როდია, არამედ პოეტის ინპრესიონისტული შეგრძნებების გამომსახველობა. ასეთ დროს პეიზაჟის ხილვა საოცარ სეგდას და ტკივილს იწვევს. ამეგარი განცდით არის დაწერილი ლექსი „ლოქვაში“. ამ ღეიმღიმო გარემოში, მხოლოდ ერთი ყვავილი კიაფობს, რომელსაც შეუცვნია ამოება და სევდით გარემოცულა: „სიხშმარეკით უცხო ყვავილი დგას უხუმარი, მარტოსული და იმზირება. **სიხშეკა**, სიჩუმეა გულისწამლები. და ამ ყვავილში, ფეკეთ-ფეკეთობით, ჩუმად ერთადერთ მთელი სამყაროს დიდი მოწყენა“.

ყველაზე ნიშანდობლეკი, რაც მურმან ჯგუბურიას ეკანასკნელ ლექსებს ახასიათებს, არის მოყუჯასისადმი კეთილგანწყობა, ადამიანის სიყვარული, ქართული ადათ-წესებისადმი კრძალვა და თაყვანცემა. პოეტი ცდილობს კოლორიტს მიანიჭოს ისეთი თვისებები, რომლითაც შესძლებს ადგენოს, წარმოსახოს პირველსაწყისი და შინაგანი ეროვნული ხასიათი ქართველი კაცისა, რომელი ხასიათიც დედაბუნების წოლხვეული იქნება, მისი თანაზიარი. ამიტომაც მოსავს ელეგიაკეის ერთფეროვან და მომქანცველ ცხოვრებას ისეთი ზუქით, მკითხველს ეუშმარტი სიხარული განაცდევინოს. ეს ტენდენცია აშკარად გამოსაქვავის ლექსში „ჩიჩილაკა“. სტუმრის წვეეთი გახარებული ელეგიაკი წარმოთქვამს: „კეთრთხეკა შენდა! გახსნილია შენთვის კარები, ჩემს მრეამე ქოხში სველა მწიფეს და ალარ თენდება, დაწყეველილია ეულისაგან ბედი ბეჩავის, მოდი, მობრძანდი, ფრჩხილიც ალარ დგასეკლდება. სხვა სიხარული გახლავს ახლა, სხვა სასეკი. შენ არ მოგაწყენ ნაღვლიანი ჩემი ცხოვრებით, მოდი, ლამაზო, გამინათე ქოხი ღარბი, მე გადავსეკ. მშვენიერო, ჩემი ეულო, კეთრთეკა შენდა, გახსნილია შენთვის კარები“.

მეოხედავად ამისა, მურმან ჯგუბურიას ლექსებში დროდადრო მაინც გაკრთება დრამატიზმით აღსავსე სტროიტნები, რომლებიც პოეტის ბუნებასთან შეპაექრებას გვაუწყებს. და როცა პოეტს სურს ზენაარ ჰარმონიაში განიკადოს თავისი მაშინ, **მის** ამ წარმოსახვას (სურვილსა) და რეალურ **ხილვებს** შორის ბზარი ჩნდება. ეს კი იწვევს ასეთი სტროიტნების დაბადებას:

გარეთ ქარის გუგუნია, გუგუნია, უკუნია,
რა უხსოვარ დროში ცხოვრობს უბედური
ხორციელი
ახლა მთები ალარ ჩანან, არ მაყვება არვინ
შარას,
მხოლოდ ქარი მაწანწალა, მხოლოდ ქარი
მაწანწალა,
ეხეტება ტყეთა წიალ, ეხეტება ბნელი,
მგვრეიე;
რა უხსოვარ დროში ცხოვრობს უბედური
ხორციელი!

სამწუხაროდ, ასეთი გულწრფელი დრამატიზმით აღსავსე სტროიტნები წიგნში ცოტაა. ძირითადად ასე წარმოგვიდგება მურმან ჯგუბურიას პოეტური სახე.

**„ბრიელ-ლიკილან

მოგი...“** — სტრიქონი პოეტს დაუმთავრებელი დარჩენილა ბოლო სიტყვას — „მოგი...“ — კომენტატორები სხვადასხვანაირად კითხულობენ. ჩვენი წაკითხვა ასეთია: „მოგილოცავთ, ძვირფასო კოლეგებო, მაღალმეცნიერული ნაშრომის გამოცემას!“

ტრიანონი — სამეზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ნონა ალექსანდრია.

კომენტარები შეადგინა, გადააუთეთრა, მაყვალას გადააბეჭდვინა და რედაქტორის მოუტანა ტია-ტიამ.

ჟურნალი გაიფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ცოცანაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. პ. მ. მდივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ნობათი“ — 93-17-63.

გადაეცა ასაწყობად 24/IX-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/X-75 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღრ-სიგ. თაბახი 14.5. შეკვეთა № 3543. უე 02072 ტირაჟი 28750.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

„ბრიოლ-დიკილანაც მოგი...“ — სტრიქონი პოეტს დაუმთავრებელი დარჩენია. ბოლო სიტყვა — „მოგი...“ — კომენტატორებმა ბი სხვადასხვანაირად კითხულობენ. ჩვენი წაკითხვა ასეთია: „მოგილოცავთ, ძვირფასო კოლეგებო, მაღალმეცნიერული ნაშრომის გამოცემას!“

ტრიანონი — სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ნონა ალექსანდრია.

კომენტარები შეადგინა, გადაათეთრა, მაყვალას გადააბეჭდვინა და რედაქტორს მიუტანა ტაბ-ტაბამ.

ჟურნალი გაიფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ნ. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მახალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. პ. მგ. მდივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ნობათი“ — 93-17-63.

გადაეცა ასაწყობად 24/IX-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/X-75 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-სოგ. თაბახი 14.5. შეკვეთა № 3543. უე 02072 ტირაჟი 28750.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236